ანა კლდიაშვილი ნინო ღაღანიძე თამარ ჯაყელი

ხელოვნება

VII კლასი

მასწავლებლის წიგნი

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

ანა კლდიაშვილი ნინო ღაღანიძე თამარ ჯაყელი

ხელოვნება

VII კლასი

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2019 წელს

გამომცემლობა „კლიო“

ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი

ხელოვნება

VII კლასი
მასწავლებლის წიგნი

რედაქტორი **ნანა კუპრაშვილი**
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემიის პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ლიპარტელიანი

© 2019 – გამომცემლობა „კლიო“

© 2019 – ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-481-54-3

პირველი გამოცემა (2019)

შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ. №181,
თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

მასწავლებლის წიგნის შინაარსი

1. სახელმძღვანელოს კონცეფცია 4

2. ზოგადი ინფორმაცია VII კლასის მოსწავლის წიგნის (სახელმძღვანელოს) შესახებ 5

3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის სტანდარტი 9

4. მოსწავლის წიგნის თემატური ბლოკები, სასწავლო თემები და მათი შესაბამისობა სტანდარტთან 30

5. მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა 93

6. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში, სამიზნე ასაკის თავისებურებები 95

7. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლე 98

8. სპეციფიკური, საგნობრივი და ზოგადი გამჭოლი უნარები 99

9. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი სტრატეგიები, რომლებსაც ეყრდნობა სახელმძღვანელო 101

10. საგანმანათლებლო რესურსები 109

11. მოსწავლის შეფასების პრინციპები 109

12. აქტივობების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები 125

13. მოსწავლის წიგნის შინაარსი 127

14. გაკვეთილების და პროექტების სავარაუდო სცენარები 128

15. პასუხები ინტერაქტივის კითხვებზე 143

1. სახელმძღვანელოს კონცეფცია

სახელმძღვანელოს მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლის ჰარმონიულ განვითარებას, ასაკის გათვალისწინებითა და საბაზო საფეხურის სტანდარტის შესაბამისად მისცეს მას გარკვეული თეორიული ცოდნა არქიტექტურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესახებ; ასევე, მისცეს მოსწავლეს თვითრეალიზაციის საშუალება, გაუღვივოს შემოქმედებითი აქტივობის სურვილი და ანალიზის უნარი. სახელმძღვანელოს პრაქტიკული ნაწილი ითვალისწინებს შემოქმედებითი საქმიანობის დროს მხატვრულ საშუალებათა ფართო სპექტრის გამოყენებას. ამავე დროს, სახელმძღვანელოში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საქართველოს სკოლების არათანაბარი ტექნიკური შესაძლებლობები.

სახელმძღვანელოს საბოლოო მიზანია, მოსწავლეს აღუძრას ხელოვნების ნაწარმოებთან „ურთიერთობის“ სურვილი, უბიძგოს აზროვნებისაკენ, შემოქმედებითი აქტივობისაკენ; გამოუმუშაოს ამისათვის საჭირო უნარ-ჩვევები და მისცეს მას ხელოვნების სფეროში საწყისი თეორიული ცოდნა, რათა მოსწავლემ შეძლოს ხელოვნების ნაწარმოების აღქმა, აღძრული ემოციის და შთაბეჭდილების გაანალიზება, საკუთარი აზრის გამომუშავება და მკაფიოდ ჩამოყალიბება.

სახელმძღვანელო აგრეთვე ისახავს მიზნად, გააცნოს მოსწავლეებს ხელოვნების ისტორიის განვითარების ძირითადი ეტაპები, დაანახოს მას, როგორ იცვლება ადამიანის მსოფლმხედველობა და ამის შესაბამისად, როგორ იცვლება გამომსახველობითი ფორმები.

2. ზოგადი ინფორმაცია VII კლასის მოსწავლის წიგნის (სახელმძღვანელოს) შესახებ

(მიზნები, სტრუქტურა, შინაარსი, მეთოდოლოგია, შეფასების სისტემა)

სახელმძღვანელოს სტრუქტურა

(კომენტარები მოსწავლის წიგნის თითოეული სტრუქტურული ელემენტის შესახებ)

სახელმძღვანელო შედგება მოსწავლის წიგნისა და მასწავლებლის წიგნისაგან.

მოსწავლის წიგნში 66 გაკვეთილი და ოთხი პროექტია წარმოდგენილი, გაკვეთილების ნაწილი თეორიულია, ნაწილი კი – პრაქტიკული. მასწავლებლის წიგნს ახლავს ელექტრონული რესურსი, რომელზეც მოცემულია დამატებითი ვიზუალური თუ სხვა ტიპის მასალა ყველა გაკვეთილისთვის *(ამჟამად ელ. რესურსი არ არის წარმოდგენილი, რადგან კონკურსის პირობები არ ითვალისწინებდა ამ კომპონენტს).* პროექტები მოსწავლის წიგნშია მოცემული.

მოსწავლის წიგნის (სახელმძღვანელოს) სტრუქტურა იმგვარია, რომ მიზნად ისახავს როგორც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ძირითადი პრინციპებისა და ელემენტების შესწავლას, ასევე, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გარკვეული თეორიული ცოდნის ათვისებას. სასწავლო თემების მონაცვლეობა გულისხმობს გავლილი მასალის ათვისების ხარისხის დიაგნოსტიკას. ეს კი ახალი ცოდნის და უნარების განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. სასწავლო თემების აგების პრინციპი საბაზო საფეხურის მოსწავლეთათვის არსებულ გამოცდილებაზე ახალი ცოდნის კონსტრუირების პრინციპს ეფუძნება. მოსწავლის წიგნის თითოეულ თემატურ ბლოკში/თავში შესასწავლი მასალა მოცემულია წინარე ცოდნის და გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე მჭიდრო კავშირშია სხვა სასკოლო საგნებთან (ბუნებისმეტყველება, ქართული, გეოგრაფია, ისტორია, კომპიუტერული მეცნიერებები და სხვ.). ახალი ცოდნის შეძენის და უნარების გამომუშავების მყარ საყრდენს შეადგენს თემატიკის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და მოსწავლის პრაქტიკულ გამოცდილებასთან.

მოსწავლის წიგნს წინ უძღვის სარჩევი. წიგნს მოსწავლისათვის გასაგები, ნათელი სტრუქტურა აქვს. რამდენიმე სტრუქტურული ელემენტის საშუალებით ხდება განშლის მოწესრიგება და, რაც მთავარია, ეს ელემენტები სისტემატურია ანუ ყველა გაკვეთილში მეორდება და ერთსა და იმავე ადგილასაა განთავსებული, რათა მოსწავლემ იოლად მოახერხოს წიგნში ორიენტირება. სახელმძღვანელოში შესული საილუსტრაციო მასალა შერჩეულია რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: 1. ნიმუშის მაქსიმალური ტიპურობა განსახილველ თემასთან მიმართებისას; 2. მასალის მრავალფეროვნება.

წიგნში სულ 4 თავია:

1. ადამიანი და გარემო
2. ადამიანი – სამყაროს ცენტრი
3. ადამიანი და ყოველდღიურობა
4. ადამიანი და თანამედროვეობა

თითოეულ თავს წინ უძღვის თავფურცელი, რომელზეც მოცემულია ამ თავის სახელწოდება, რიგითი ნომერი და იმ საკვანძო საკითხების ჩამონათვალი, რომელიც ამ თავში იქნება განხილული.

წიგნის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის ყოველ თეორიულ გაკვეთილს ახლავს პრაქტიკული გაკვეთილი, რათა თეორიული ცოდნა პრაქტიკული სამუშაოთიც განმტკიცდეს.

ტექსტსა და ილუსტრაციას წიგნში თითქმის თანაბარი ადგილი უჭირავს, რაც, ცხადია, შესაბამისობაშია მოსწავლეთა ასაკთან. თანაფარდობა ტექსტსა და ილუსტრაციებს შორის ყველა გაკვეთილში ერთნაირია.

ილუსტრაციები თითოეული თემისათვის საგანგებოდაა შერჩეული და კონკრეტულ მიზანს ემსახურება.

წიგნის შინაარსი და მისი თავების პრობლემატიკა განაპირობა ამ კლასის სტანდარტში მოცემულმა სავალდებულო 3-მა თემატურმა ბლოკმა. თუმცა, ჩვენ დავამატეთ მეოთხე თემაც, რომელიც ძირითადად თანამედროვეობას და კონკრეტულად, თანამედროვე ხელოვნებას ეხება.

წიგნში დასმული სახელოვნებო პრობლემები განხილულია ადამიანის მიმართ დამოკიდებულების კუთხით, ანუ ადამიანი არის ყველა თემის ქვაკუთხედი, რათა მოსწავლემ შეძლოს, ხელოვნების არა განცალკევებულ ფენომენად აღქმა, არამედ ადამიანის განვითარების კვალად მისი მსოფლმხედველობის ცვლილების ჭრილში დანახვა, მის წინაშე სხვადასხვა ეპოქაში არსებული პრობლემების გაცნობიერება და შემდგომ თანამედროვეობაზე ანუ საკუთარ თავზე რეფლექსირება.

წიგნის პირველი თავი – **ადამიანი და გარემო** აღწერს, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა სხვადასხვა ეპოქის ადამიანს გარემოსადმი, რას აკვირდებოდა, რა ექცეოდა მისი ყურადღების ცენტრში, რას ასახვდა იგი და რატომ ასახავდა, რა იყო ამა თუ იმ საკითხისადმი მისი ინტერესის განმსაზღვრელი. ასევე, ამ თავში მოსწავლეები დაინახავენ, როგორ და რა კრიტერიუმებით აწყობდა სხვადასხვა ეპოქის ადამიანი თავის საარსებო გარემოს და რომელი ფაქტორები (პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი) განსაზღვრავდა ამას.

წიგნის მეორე თავი – **ადამიანი – სამყაროს ცენტრი** მოსწავლეებს გააცნობს, თუ როგორ ხედავდა ადამიანი საკუთარ თავს, ადამიანის რომელ თვისებებს ანიჭებდა უპირატესობას ამა თუ იმ ეპოქაში, როგორ გამოსახავდა ადამიანს და როგორ განაპირობებდა ამ ყოველივეს სხვადასხავა ეპოქის რწმენა-წარმოდგენები თუ მსოფლმხედველობა. ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ ამ თავში მოსწავლე დაინახავს, თუ როგორ აისახება ეს ყოველივე ხელოვნების ნაწარმოებში და როგორაა შესაძლებელი ამ საკითხებზე მსჯელობა სწორედ ხელოვნების ნიმუშების მაგალითზე. შესაბამისად, ეს თავი მოსწავლეებს გააცნობს ყოველ კონკრეტულ ეპოქაში ადამიანის შესახებ ჩამოყალიბებულ ძირითად პარადიგმულ მოდუსებს.

წიგნის მესამე თავში – **ადამიანი და ყოველდღიურობა** საუბარია ადამიანის მიერ საკუთარ ყოფაში ხელოვნების როლის გაცნობიერებაზე. მოსწავლეები ამ თავში წარმოდგენილი მასალის მიხედვით გაეცნობიან და ცხადად დაინახავენ, თუ როგორ იჭრება ხელოვნება ადამიანის ყოფაში, როგორ ზემოქმედებს ის საზოგადოებაზე. შესაბამისად, ეს თავი ძირითადად გამოყენებით ხელოვნებას ეხება.

წიგნის მეოთხე თავი – **ადამიანი და თანამედროვეობა** ერთგვარ შემაჯამებელ ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ შეიცვალა XX და XXI საუკუნეების ადამიანის დამოკიდებულება სამყაროს მიმართ, როგორ ხედავს იგი პრობლემებს, რომლებზეც წინა თავებში იყო საუბარი, რომელი ახალი პრობლემები გაჩნდა თანამედროვეობაში და როგორია და რა როლს ასრულებს ხელოვნება თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში.

საბოლოოდ, მთელი წიგნის ერთიანი კონცეფცია არა მხოლოდ ხელოვნების ისტორიის სწავლებაზე, არამედ, ამასთან ერთად, ხელოვნების საშუალებით სააზროვნო ველის მოსწავლეებისათვის „გახსნაზეა“ ორიენტირებლი.

მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი თითოეული გაკვეთილი ინტერაქტიული ხასიათისაა; გაკვეთილის საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა ინტერაქტივის კითხვებს, რომლებიც მასწავლებელს საშუალებას აძლევს შეამოწმოს როგორც უკვე გავლილი მასალის ათვისების ხარისხი, ასევე ზოგადი ცოდნა (ინტეგრაცია სხვა საგნებთან, კავშირი ყოფით გამოცდილებასთან), ამასთანავე, მოსწავლისათვის წარმოადგენს გარკვეულ ასპარეზს საკუთარი მოსაზრებების, ვარაუდის თავისუფლად გამოთქმისათვის.

თეორიული გაკვეთილების მიზანია, გააცნოს მოსწავლეს ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა ეტაპი, მათი მონაცვლეობა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. გაკვეთილების ტექსტები იმგვარადაა აგებული, რომ სხვადასხვა კულტურული ეპოქის ხელოვნების შესწავლისას მოსწავლემ მოახერხოს ხელოვნების აღქმა კონტექსტში, ანუ კონკრეტული ნაწარმოების დაკავშირება შესაბამის ეპოქასთან თუ კულტურასთან.

ამასთანავე, თეორიული გაკვეთილების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია თეორიული ინფორმაციის იმ სახით (აღმოჩენის გზით) მიწოდება, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს ხელოვნების კვლევის უნარი, ანალიზისა და საკუთარი აზრის მკაფიოდ და არგუმენტირებულად გამოთქმის ჩვევა. თეორიული გაკვეთილების კიდევ ერთი ასპექტია კონკრეტული ნამუშევრის გაანალიზება, აღწერა-ანალიზის მეთოდის ათვისება.

თითოეული თეორიული გაკვეთილი რამდენიმე პარაგრაფისაგან შედგება და ისინი დანომრილია. გაკვეთილი იწყება რუბრიკით „გაკვეთილის ძირითადი თემები", რომელშიც ჩამოთვლილია ყველა ის ძირითადი თემა, რომლებსაც ეხება მოცემული გაკვეთილი.

თეორიული გაკვეთილების ტექსტები მოკლეა და უხვად არის ილუსტრირებული, დამატებითი საილუსტრაციო მასალა კი მოცემულია ელ. რესურსში, რომელიც მასწავლებლის წიგნს ახლავს. თეორიულ გაკვეთილებში წიგნის კიდეებზე გატანილია რამდენიმე რუბრიკა, რომლებიც დამატებით ინფორმაციას შეიცავს. ეს რუბრიკებია:

1. **განმარტებანი** – უცხო სიტყვების ახსნა. ეს ელემენტი მხოლოდ იმ გაკვეთილებშია ჩართული, რომლებშიც რაიმე ახალი ცნება შემოდის. ზოგჯერ ეს ელემენტი წინა წელს ნასწავლი ტერმინების გასახსენებლადაცაა გამოყენებული.
2. **ძირითადი ტექსტის შემავსებელი ინფორმაცია** ფერად ჩარჩოშია მოთავსებული (მაგ., გაკვეთილში „უძველესი ადამიანის ნახატები"; აღნიშნულ რუბრიკაში შეტანილია ინფორმაცია ამ ხელოვნების აღმოჩენების ისტორიის შესახებ).
3. ყველა გაკვეთილში შეტანილია **ინტერაქტივის შეკითხვები**, რომლებსაც მოსწავლეებმა გაკვეთილის მსვლელობის დროს უნდა უპასუხონ.
4. ზოგიერთი გაკვეთილის ბოლოს საგანგებო ფერად ჩარჩოებში მოცემულია კლასში ან სახლში შესასრულებელი **დავალების** ტექსტი. საშინაო დავალება ყველა გაკვეთილს არ მოსდევს, მასწავლებელს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია თავად მოიფიქროს, თუ რას დაავალებს მოსწავლეებს სახლში შესასრულებლად კონკრეტული თემიდან და კლასის საჭიროებიდან გამომდინარე.

პრაქტიკული ტიპის გაკვეთილების მიზანია, მოსწავლისათვის შემოქმედებითი აქტივობის გაღვივება, მისთვის იმის ცხადად წარმოჩენა, რომ ხელოვნება თვითრეალიზაციის, თვითგამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. პრაქტიკული გაკვეთილის მიზანია, აგრეთვე, თეორიული ცოდნის განმტკიცება პრაქტიკული საქმიანობის გზით. ასევე, უმნიშვნელოვანესია, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს სამუშაოს დაგეგმვისა და ურთიერთთანამშრომლობის უნარ-ჩვევა.

ყველა პრაქტიკულ გაკვეთილში საგანგებო ფერად ჩარჩოში მოცემულია გაკვეთილზე შესასრულებელი პრაქტიკული დავალება.

პრაქტიკული ტიპის გაკვეთილებში საგანგებოდ წერტილებითაა გამოყოფილი ის რჩევები, რომლებიც მოსწავლეებმა პრაქტიკული დავალების შესრულებისას უნდა გაითვალისწინონ (ჩვენ შევეცადეთ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე ტიპური რჩევა დაგვეფიქსირებინა წიგნში, რომელიც წაადგებათ როგორც მოსწავლეებს, ასევე – მასწავლებლებსაც).

პრაქტიკული ტიპის გაკვეთილები ასევე უხვადაა ილუსტრირებული.

ყოველი თავის ბოლოს მოცემულია შემაჯამებელი გაკვეთილი. ამ გაკვეთილების ერთი ნაწილი ტესტური ხასიათისაა და საშუალებას იძლევა, რომ მასწავლებელმა შეამოწმოს, როგორ აითვისა მოსწავლემ განვლილი მასალა, რამდენად გაიგო ამ თავში შემოტანილი ახალი ტერმინებისა თუ ცნებების არსი.

მეორე ტიპის შემაჯამებელი გაკვეთილები ყოველი განვლილი მასალის შეჯამებას გულისხმობს და ყოველი თემის დამაგვირგვინებელ ეტაპს წარმოადგენს.

მოსწავლის წიგნის ბოლოს მოცემულია ორი პროექტი; მასწავლებლის წიგნში დამატებით კიდევ ერთი პროექტია ჩასმული – **თეატრის სამყარო.** სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებელს საკუთარი

შეხედულების მიხედვით შეუძლია განსაზღვროს მათი განხორციელების დრო. პროექტის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს მთელი კლასი და ყველა მოსწავლეს განსაზღვრული უნდა ჰქონდეს საკუთარი მოვალეობა ამ პროცესში (მათ შორის, ინკლუზიის შემთხვევაშიც). მოსწავლის წიგნში მოცემულია ორი პროექტის განხორციელების ეტაპები და კონკრეტული პრაქტიკული რჩევები, მესამე პროექტი კი დეტალურად არის გაწერილი მასწავლებლის წიგნში. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში ჩართული იყოს ყველა მოსწავლე და თითოეულს მიეცეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. ერთობლივ პროექტზე მუშაობა მოსწავლეებს, გარდა კონკრეტული ცოდნისა, გუნდური მუშაობის უნარს, პასუხისმგებლობის გრძნობას, ორგანიზებულობას და შემოქმედებით მიდგომას განუვითარებს.

3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის სტანდარტი

შესავალი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;

გ) მეთოდიკური ორიენტირები;

დ) შეფასება.

საგან „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ ფარგლებში მოსწავლე შეისწავლის ხელოვნებას, როგორც თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებას. ის აცნობიერებს სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს, რომელიც შეუძლია შემოქმედებითად ასახოს ნამუშევრებში.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე გაეცნობა ქართული და მსოფლიო, ძველი და ახალი ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს და ხალხურ შემოქმედებას; მათი შექმნისა და შეფასების განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტებს; გამოიკვლევს მათ როლს საზოგადოების ცხოვრებაში.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა შემოქმედებით პროექტში; შექმნის სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნამუშევრებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალის, ტექნიკის გამოყენებით.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი ხელოვნების მიმართ;
- მოსწავლემ გაიაზროს საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი, განივითაროს თვითგამოხატვის მრავალფეროვანი გზების ძიებისა და გამოყენების უნარი;
- მოსწავლეს განუვითაროს ხელოვნების ნიმუშებზე, საკუთარ და სხვის ნამუშევრებზე აზრის კორექტულად გამოთქმის, მსჯელობისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს საკუთარი მსოფლმხედველობისა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე პიროვნებად ეროვნული და მსოფლიო კულტურის გაცნობის გზით.

ამ მიზნებზე მუშაობით სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ფარგლებში.

სტანდარტის შედეგები ჯგუფდება ორ მიმართულებად:

- **შემოქმედებითობა და პრაქტიკა** – გულისხმობს საკუთარი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების საფუძველზე მხატვრული ნამუშევრების შექმნას, მათი საშუალებით საკუთარი იდეების, ემოციებისა და განწყობების გამოხატვას.

  სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს შემდეგი მასალა, იარაღი, პროცესი, პროცედურა: ფანქარი, პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ტემპერა, აკრილი,

ტუში, მელანი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ცარცები, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, ძაფი, თოკი, მავთული, პლასტილინი, თიხა, სხვა მასალა (ტრადიციული და არატრადიციული, ბუნებრივი და ხელოვნური), ფუნჯი, მაკრატელი, წებო, სადურგლო, სამეთუნეო, საქსოვი, სამკერვალო იარაღი და სხვა. დაჭრა, დაწებება, ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვნა, ქარგვა, ქსოვა, კერვა, ხეზე კვეთა და სხვა;

- **ხელოვნების აღქმა კონტექსტში –** გულისხმობს სხვადასხვა დარგის, ჟანრის, ეპოქის/მიმდინარეობის ხელოვნების ნიმუშების ანალიზს, ინტერპრეტაციასა და შეფასებას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ბლოკების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები სავალდებულო თემატური ბლოკების სახითაა წარმოდგენილი.

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ.: ს.გ. საბ. 1.:

„ს.გ.“ – მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“;

„საბ.“ – მიუთითებს საბაზო საფეხურს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
შედეგების ინდექსები	მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა	ცნებები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ს.გ.საბ.1.	ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;	სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები) სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები) სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები სახვითი ხელოვნების ტექნიკა ეპოქა მიმდინარეობა
ს.გ.საბ.2.	ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი.	
	მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ს.გ.საბ.3.	ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;	
ს.გ.საბ.4.	სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.	

ცნებები

სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები

სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები) (მაგ.: ხაზი: სხვადასხვა ტიპის და სისქის კონტური, შტრიხი; ფერი: ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ნეიტრალური, კონტრასტული, მონათესავე, ინტენსიური, ფერისა და ტონის გრადაცია, კოლორიტი; შუქ-ჩრდილი, განათება; ფორმა: ბრტყელი და მოცულობითი (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, უტრირებული, სტილიზებული და სხვ.); ფაქტურა; ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.

სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები) (მაგ.: კომპოზიციური განაწილება, ელემენტების განმეორებადობა, რიტმი, ძირითადის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია-ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, კონტრასტი, თანაფარდობა, მასშტაბი, პროპორცია/დისპროპორცია, წონასწორობა, სივრცე, პერსპექტივა (ხედვის წერტილი, ჰორიზონტის ხაზი, თავშეყრის წერტილი), კომპოზიციური მთლიანობა.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები (დარგები – მაგ.: ფერწერა (დაზგური, მინიატურა, მონუმენტური – ფრესკა, მოზაიკა, ვიტრაჟი, გრაფიტი), გრაფიკა (დაზგური, ბეჭდვითი), ქანდაკება, ჭედურობა, არქიტექტურა, დიზაინი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და სხვ; ჟანრები – მაგ: ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი, ყოფითი, ისტორიული და სხვ.).

სახვითი ხელოვნების ტექნიკა (მაგ.: ფერწერა, გრაფიკა და მათი ტექნიკები, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, მონოტიპია, მოდელირება, კონსტრუირება, ციფრული ტექნოლოგიები).

სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის ხელოვნება (მაგ.: პრეისტორია, ძველი აღმოსავლეთი, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, აღორძინება, ახალი დროის ხელოვნება (XVII-XIX სს.), მოდერნიზმი, თანამედროვე ხელოვნება.

სავალდებულო თემატური ბლოკები

საბაზო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება წარიმართება სამი ძირითადი თემატური ბლოკის ფარგლებში. საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სამივე თემატური ბლოკის შესაბამისი მასალა.

თემატური ბლოკი: გარემო და ხელოვნება

სარეკომენდაციო თემები: გარემო – ადამიანის ინტერესის ობიექტი; გარემოს ზეგავლენა ადამიანზე და ადამიანის ზეგავლენა გარემოზე; ხელოვნება ჩვენ გარშემო (ხელოვნების დარგები და ჟანრები); სამყაროს მრავალფეროვანი ასახვის გზები – სტილები, მიმდინარეობები, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები; ტექნიკური პროგრესის გავლენა ხელოვნებაზე; გამოსახვის ახალი საშუალებების ძიება.

თემატური ბლოკი: ადამიანი ხელოვნებაში

სარეკომენდაციო თემები: ადამიანის გამოსახულება და რწმენა-წარმოდგენები; ხელოვნება – პიროვნული რეალიზების საშუალება; მე – კულტურის ნაწილი; თვითგამოხატვა, ემოციები, გრძნობები, იდეები, შეხედულებები, წარმოდგენები; თვითგამოხატვის თანამედროვე ფორმები.

თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

სარეკომენდაციო თემები: ხელოვნება – ისტორიული მეხსიერება, რას და როგორ გვიყვება ხელოვნება; კულტურული მემკვიდრეობა; ყოფითი და ესთეტიკური დანიშნულება, ხელოვნება – საჭიროება თუ ფუფუნება; ხელოვნება – ზემოქმედების საშუალება (მონუმენტური ხელოვნება, პლაკატი, რეკლამა, ქუჩის მხატვრობა, ხელოვნება, როგორც აქცია და სხვ.).

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან;

- რა არის ხელოვნება?

- რატომ ქმნიან ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს?
- როგორ და რატომ იცვლებოდა ხელოვნების დანიშნულება?
- როგორ ზემოქმედებს ხელოვნება ადამიანზე და საზოგადოების ცხოვრებაზე?
- როგორ გავლენას ახდენს ხელოვნებაზე საზოგადოების მოთხოვნები და ინტერესები?
- რა შეგვიძლია გადმოვცეთ და გავიგოთ ხელოვნების ნიმუშების მეშვეობით?
- რატომ ვსწავლობ სახვით და გამოყენებით ხელოვნებას?
- რისთვის და როგორ ვიყენებ სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, ტექნიკას, მასალას და იარაღს?

გ) მეთოდიკური ორიენტირები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარაციულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს არ მოეთხოვება მაღალმხატვრული ღირებულების ნამუშევრების შექმნა. ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს „ნიჭი“ და „შემოქმედებითობა“. შემოქმედებითი ნამუშევარი/პროდუქტი თვითგამოხატვის, თვითრეალიზების საშუალებაა, თუმცა, უფრო ხშირად, ამ თვალსაზრისით, თავად შექმნის პროცესია უფრო მნიშვნელოვანი, ანუ, კვლევის, აღმოჩენის, ექსპერიმენტირების პროცესი – რომელსაც უდიდესი ღირებულება აქვს – და არა პროდუქტი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე მასალას, ტექნიკას, ტექნოლოგიას (მათ შორის, ციფრულს) და პროცედურას, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება აქტიურად გამოიყენოს მომავალში და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოსწავლე ასევე უნდა დაეუფლოს შემოქმედებითი და საორგანიზაციო საქმიანობის დაგეგმვისა და მისი განხორციელების უნარებს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით; განუვითარდეს სოციალური, საკომუნიკაციო და გუნდური მუშაობის უნარები.

კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით უნდა მოეწყოს ექსკურსიები მუზეუმებში, გალერეებში, ისტორიულ ძეგლებზე, შეხვედრები ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან და სხვა. მოსწავლემ მონაწილეობა უნდა მიიღოს საკლასო და სასკოლო გამოფენებში, სპექტაკლებში, აქციებში, ზეიმებსა და სხვა ღონისძიებებში; დახმარება უნდა გაუწიოს უმცროსკლასელებს ზეიმების გაფორმებაში, ინვენტარის შეკეთებაში, კლასის მოწყობაში და სხვა.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

კრიტიკული აზროვნება	• ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; • შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება; • არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით; • გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი (არჩევანის) დასაბუთება.
თანამშრომლობა	• სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
ეთიკა	• ეთიკური ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • ემპათია; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
კვლევა	• კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; ; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა	• **აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა** – მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • **აქტივობის/დავალების დაგეგმვა** – მოთხოვნათა გაანალიზება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; • **სწავლის პროცესის მონიტორინგი** – დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; • **სოციოემოციური მართვა** – ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტიანად გამოყენება.

პასუხისმგებლობა	• სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	• ქსელური ძიება (მაგ.: სხვადასხვა დროისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშების, ხელოვანების შემოქმედების და სხვ. შესახებ ინფორმაციის მოძიება ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების მიზნით); • Google Arts & Culture-ის საშუალებით საკუთარი გალერეის შექმნა; • ნამუშევრების შექმნა, დამუშავება კომპიუტერული სახატავი/გრაფიკული პროგრამების გამოყენებით; • ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის ვებგვერდზე/ბლოგზე განთავსება; • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ.: Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
წიგნიერება	• ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ.: კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისთ.).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რის შემდეგ რა გააკეთეს? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია

გამოიყენოს რეკომენდებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს – თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

სასწავლო თემა – სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.
თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები – ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.
თემატური საკვანძო შეკითხვები – თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა: • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; • თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
აქტივობები – მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით. **კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი** კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.
შეფასების ინდიკატორები – შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.
მკვიდრი წარმოდგენები – მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები, გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების დადგენა.
ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო კითხვების დასმა.
ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.
ნაბიჯი 4. აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა.
ნაბიჯი 5. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება.

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია, მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე გამოიყენება.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების შესრულება. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

ქვემოთ შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

- პრაქტიკული სამუშაო – ნამუშევრის შექმნა;
- გამოფენა;
- პროექტი (ვიქტორინა, რომელიმე ხელოვნის შემოქმედების კვლევა, მსოფლიოში/ქვეყანაში/ქალაქში/რეგიონში და სხვ. მომხდარი მოვლენები (ეკოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სხვ.) სკოლის გარემოს გაფორმება და სხვ.);
- მოხსენება-რეფერატი;
- ნამუშევრის წარდგენა;
- გარკვეული ეპოქის, ხელოვნების ნიმუშის და სხვ. ანალიზი;
- სააზროვნო უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული ტესტი;
- და სხვ.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი შემაჯამებელი დავალება;

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკა, შეფასების ინდიკატორების გარდა, უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

შეფასების რუბრიკის შესაძლო ფორმა

კლასი მოსწავლის სახელი, გვარი		
თემა		
დავალების პირობა		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	კომენტარი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

საბაზო საფეხური

წლიური პროგრამა

საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა და აჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების შესაძლო გზებს. პროგრამა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

სასწავლო თემა – სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.
თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები – ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.
თემატური საკვანძო შეკითხვები – თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა: • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; • თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
აქტივობები – მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით. კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.
შეფასების ინდიკატორები – შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.
მკვიდრი წარმოდგენები – მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

თემატური ბლოკი: გარემო და ხელოვნება

სარეკომენდაციო თემები კლასების მიხედვით:

VII კლასი – ბუნებრივი და ადამიანის შექმნილი გარემო

VIII კლასი – განსხვავებული ხედვა

IX კლასი – ახლის ძიება

თემატური ბლოკი: ადამიანი ხელოვნებაში

სარეკომენდაციო თემები კლასების მიხედვით:

VII კლასი – ადამიანი – ხელოვნების ობიექტი

VIII კლასი – ადამიანის შინაგანი სამყარო

თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

სარეკომენდაციო თემები კლასების მიხედვით:

VII კლასი – ხელოვნება და ყოველდღიურობა

VIII კლასი – ხელოვნება – ინფორმაციის წყარო

IX კლასი – ხელოვნება – ზემოქმედებისა და კომუნიკაციის საშუალება

სარეკომენდაციო თემები	საათების სავარაუდო რ-ბა	სარეზერვო დრო
VII კლასი		
ბუნებრივი და ადამიანის შექმნილი გარემო	20 საათი	4 საათი
ადამიანი – ხელოვნების ობიექტი	18 საათი	4 საათი
ხელოვნება და ყოველდღიურობა	20 საათი	4 საათი
VIII კლასი		
განსხვავებული ხედვა	12 საათი	4 საათი
ადამიანის შინაგანი სამყარო	12 საათი	4 საათი
ხელოვნება – ინფორმაციის წყარო	14 საათი	4 საათი
IX კლასი		
ახლის ძიება	20 საათი	7 საათი
ხელოვნება – ზემოქმედებისა და კომუნიკაციის საშუალება	20 საათი	8 საათი

VII კლასი

თემატური ბლოკი: გარემო და ხელოვნება

სასწავლო თემა: ბუნებრივი და ადამიანის შექმნილი გარემო
საათების სავარაუდო რაოდენობა: 20 სთ + 4

ზოგადი ცნებები

სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები

სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები) (მაგ.: ფერი: ფერისა და ტონის გრადაცია; კოლორიტი; ხაზი: სხვადასხვა ტიპის და სისქის, კონტური; ფაქტურა).
სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები) (მაგ.: კომპოზიციური განაწილება, სივრცე, პერსპექტივა (ხედვის წერტილი, ჰორიზონტის ხაზი, თავშეყრის წერტილი), თანაფარდობა, მასშტაბი, პროპორცია, აქცენტი.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები

დარგები (მაგ.: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება).
ჟანრები (მაგ.: პეიზაჟი, ნატურმორტი, ყოფითი).

სახვითი ხელოვნების **ტექნიკა**

შეირჩევა თემატური ბლოკის შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების მიხედვით.

სხვადასხვა ეპოქის**/მიმდინარეობის** ხელოვნება

ეპოქები/მიმდინარეობები და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.

საკვანძო შეკითხვები

- რატომ არის მნიშვნელოვანი გარემოზე დაკვირვება?
- რატომ გაჩნდა ხელოვნების სხვადასხვა დარგი?
- რას და რატომ გამოსახავენ ადამიანები?
- რა საშუალებებით გამოსახავენ ადამიანები გარემოზე დაკვირვების შედეგებს?
- როგორ შემიძლია გამოვიყენო მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები გარემოზე დაკვირვების შედეგებისა და საკუთარი დამოკიდებულების გადმოსაცემად?
- შეუძლია თუ არა ადამიანის შემოქმედებას ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე და როგორ?
- როგორ იყენებს ადამიანი ბუნებრივ რესურსებს შემოქმედებით საქმიანობაში?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- დააკვირდეს გარემოს (ბუნებას, ადამიანის შექმნილს) და დაკვირვების შედეგად აღძრული შთაბეჭდილებები, იდეები, ემოციები, გრძნობები შემოქმედებითად ასახოს ნამუშევარში **(ს.გ.საბ.1);**
- ნამუშევრის შექმნისას, შეარჩიოს და გამოიყენოს შესაბამისი **მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები** (ხაზის, ფერის, ლაქის, ფორმის გამომსახველობითი შესაძლებლობები, პერსპექტივა, მასშტაბი, კომპოზიციური განაწილება, თანაფარდობა და სხვ.), ჩვეული ან ექსპერიმენტული მასალა და ტექნიკა **(ს.გ.საბ.1,2);**
- წერილობით ან ზეპირად აღწეროს, როგორ იყენებს ადამიანი ბუნებრივ რესურსებს შემოქმედებით საქმიანობაში; მოიძიოს ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენებით შექმნას ნამუშევარი **(ს.გ.საბ.1,2,3,4);**
- წერილობით ან ზეპირად გააანალიზოს საკუთარ/სხვის ნამუშევარში გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები (ხაზის, ფერის, ლაქის გამომსახველობითი შესაძლებლობები, პერსპექტივა, მასშტაბი, კომპოზიციური განაწილება, თანაფარდობა და სხვ.) და ისაუბროს საკუთარ ემოციებზე **(ს.გ.საბ.3);**
- გამოთქვას ვარაუდი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის (პეიზაჟი, ნატურმორტი, ყოფითი) გაჩენის შესაძლო მიზეზების შესახებ და ისაუბროს, თუ როგორ იცვლებოდა პეიზაჟის, ნატურმორტის გამოსახვის თავისებურებები დროსთან ერთად, მოიყვანოს რამდენიმე მაგალითი და ჩამოაყალიბოს (ზეპირად და წერილობით) საკუთარი დამოკიდებულება **(ს.გ.საბ.4).**

მკვიდრი წარმოდგენები

- **გარემო ადამიანის შემოქმედებაზე ახდენს გავლენას, ადამიანის შექმნილი კი ზემოქმედებს გარემოზე;**
- **გარემო ადამიანის მუდმივი ინტერესისა და დაკვირვების ობიექტია უძველესი დროიდან დღემდე;** დაკვირვება მნიშვნელოვანია გარე სამყაროს შესაცნობად;
- გარემოდან მიღებულ შთაბეჭდილებებსა და დაკვირვების შედეგებს ადამიანი იყენებს საკუთარ ნამუშევრებში იდეების გადმოსაცემად და თვითგამოხატვისთვის;
- გარე სამყაროს ასახვას ნამუშევარში სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზანი და ფუნქცია ჰქონდა;
- **უძველესი დროიდან დღემდე გარემომცველ სამყაროს** ადამიანები მრავალფეროვანი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით, მასალითა და ტექნიკით ასახავენ;
- გარემო და მისადმი ჩემი დამოკიდებულება ნამუშევარში მრავალი განსხვავებული ხერხით შეიძლება გადმოვცე.

თემატური ბლოკი: ადამიანი ხელოვნებაში

სასწავლო თემა: ადამიანი – ხელოვნების ობიექტი
საათების სავარაუდო რაოდენობა: 18 სთ + 4

ზოგადი ცნებები და საკითხები

სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები
სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები) (მაგ.: ფერი: ცივი და თბილი, ფერისა და ტონის გრადაცია, ფორმა: უტრირებული, ფაქტურა, შუქ-ჩრდილი).
სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები) (მაგ.: პროპორცია).

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები

დარგები (მაგ.: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება).
ჟანრები (მაგ.: პორტრეტი, ყოფითი).

სახვითი ხელოვნების ტექნიკა:

შეირჩევა თემატური ბლოკის შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების მიხედვით.

სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის ხელოვნება

ეპოქები/მიმდინარეობები და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.

საკვანძო შეკითხვები

- რატომ და როგორ გამოსახავდნენ ადამიანებს?
- რა ხერხების გამოყენებით შეიძლება გადმოვცეთ ადამიანის გარეგნული თუ შინაგანი მახასიათებლები/თვისებები?
- რა შეიძლება გავიგოთ ხელოვნების ნიმუშებიდან ადამიანებისა და მათი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ?
- როგორ შეიძლება გამოვსახო ადამიანი (გარეგნობა, ხასიათი, სოციალური სტატუსი და სხვ.)?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ადამიანის გამოსახვა შესაბამისი გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების (ნახევარტონები, ფაქტურა, პროპორცია, დეტალი და სხვ.), სხვადასხვა მასალის და ტექნიკის გამოყენებით **(ს.გ.საბ.1,2);**
- გააანალიზოს პორტრეტში გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები და იმსჯელოს, რისი გადმოცემა სურდა ავტორს მათი საშუალებით (გარეგნობა, ხასიათი, სოციალური სტატუსი და სხვ.) **(ს.გ.საბ.3);**
- განიხილოს პორტრეტის ან ყოფითი ჟანრის წარმოშობის მიზეზები **(ს.გ.საბ.4);**
- შეადაროს ერთმანეთს რომელიმე ორი ეპოქის, დარგის, სტილის, მიმდინარეობის ნაწარმოებები (პორტრეტები, ყოფითი ჟანრის), იმსჯელოს მსგავსება-განსხვავებებზე, თავისებურებებზე **(ს.გ.საბ.4).**

მკვიდრი წარმოდგენები

- ადამიანი (გარეგნობა, ხასიათი, სოციალური მდგომარეობა და სხვ.) და მისი ყოველდღიური ცხოვრება სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების მუდმივი ინტერესის ობიექტია;
- ადამიანის გამოსახულება სხვადასხვა დროსა და კულტურაში სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნებოდა;
- როგორც **უძველესი დროიდან დღემდე, ჩვენც შეგვიძლია ადამიანის გამოსახვა** მრავალფეროვანი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით, მასალითა და ტექნიკით.

თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

სასწავლო თემა: ხელოვნება და ყოველდღიურობა
საათების სავარაუდო რაოდენობა: 20 სთ + 4

ზოგადი ცნებები და საკითხები

სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები

სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები) (მაგ.: ხაზი, ფერი, ფორმა)

სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები) (მაგ.: რიტმი, ელემენტების განმეორებადობა, სიმეტრია-ასიმეტრია, პროპორცია).

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები

დარგები: მაგ.: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, ლანდშაფტური არქიტექტურა, გრაფიკა.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა

შეირჩევა თემატური ბლოკის შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების მიხედვით.

სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის ხელოვნება

ეპოქები/მიმდინარეობები და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.

საკვანძო შეკითხვები

- სად და როგორი სახით გვხვდება ხელოვნება ჩვენ გარშემო?;
- რა ფუნქცია აქვს ხელოვნებას ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- რა განასხვავებს ხელოვნების ნიმუშს უბრალო საგნისგან, ნივთისგან?
- რა ფაქტორები ახდენს გავლენას ხელოვნების ნიმუშის იერსახეზე?
- შეიძლება თუ არა ჩემ მიერ შექმნილი ნამუშევარი გამოვიყენო ყოველდღიურ ცხოვრებაში?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • შექმნას დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრები, აირჩიოს და გამოიყენოს შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა **(ს.გ.საბ.1,2);** • წერილობით და სიტყვიერად გააანალიზოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდება და გამოთქვას საკუთარი დამოკიდებულება **(ს.გ.საბ.3);** • რამდენიმე მაგალითის საფუძველზე გააანალიზოს ყოველდღიური საგნების, ნივთების ესთეტიკური მხარე და იმსჯელოს, რა ფაქტორებს შეიძლებოდა მოეხდინა გავლენა მათზე **(ს.გ.საბ.3);** • ამოიცნოს და შეადაროს ერთმანეთს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშები (მაგ.: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, ლანდშაფტური არქიტექტურა, ანიმაცია და სხვ.) გამოყენებული გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის მიხედვით; იმსჯელოს მათ დანიშნულებაზე **(ს.გ.საბ.3,4);** • შეადაროს ორი სხვადასხვა კულტურის რომელიმე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და იმსჯელოს მსგავსება-განსხვავებებზე **(ს.გ.საბ.3,4).**
მკვიდრი წარმოდგენები; • უძველესი დროიდან დღემდე ხელოვნება ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო; • ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნებოდა; • ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება; • ყველაფერი, რასაც ადამიანი ქმნის, ხელოვნების ნიმუში არ არის, თუმცა, ჩვეულებრივი ნივთები შეიძლება ხელოვნების ნიმუშად ვაქციოთ; • ყოველდღიური საგნების, ნივთების ესთეტიკურ მხარეზე სხვადასხვა ფაქტორმა შეიძლება მოახდინოს გავლენა (ფუნქცია/დანიშნულება, მასალის თვისებები, მასალის ხელმისაწვდომობა, კულტურული თავისებურებების გავლენა, ხელოვნის მხატვრული ხედვა/შემოქმედებითი მიდგომა, სტილი, მოდა და სხვ.); • მრავალი განსხვავებული ხერხით შეიძლება შევქმნა ნამუშევარი, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოვიყენებ.

VIII კლასი

თემატური ბლოკი: გარემო და ხელოვნება

სასწავლო თემა: განსხვავებული ხედვა **საათების სავარაუდო რაოდენობა:** 12 სთ + 4
ცნებები და საკითხები **სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები** შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები** შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა** შეირჩევა თემატური ბლოკის შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების მიხედვით. **სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის ხელოვნება** ეპოქები/მიმდინარეობები და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.

საკვანძო შეკითხვები;

- იცვლებოდა თუ არა დროსთან ერთად გარე სამყაროს ასახვის გზები და ხერხები?
- რა განაპირობებს ხელოვნის მიერ გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალისა და ტექნიკის არჩევანს?
- რა ფაქტორებმა შეიძლება მოახდინოს გავლენა ნამუშევრის მხატვრულ ფორმაზე (სტილზე, მიმდინარეობაზე, შესრულების მანერაზე, მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე, ხერხებზე)?
- როგორ შეიძლება გამოიყენოს ხელოვანმა მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა ჩანაფიქრის, საკუთარი დამოკიდებულების, წარმოდგენების გადმოსაცემად?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- შექმნას ნამუშევარი სხვადასხვა მხატვრულ სტილში (მაგ.: სქემატური, სტილიზებული), ჩანაფიქრის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა, ტექნიკა **(ს.გ.საბ.1,2);**
- გააანალიზოს, როგორ არის გამოყენებული სხვადასხვა სტილის, მიმდინარეობის, დროის ნამუშევარში გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა ჩანაფიქრის განსახორციელებლად **(ს.გ.საბ.3,4);**
- გააანალიზოს, როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში გარე სამყაროს ასახვის გზები ხელოვნებაში **(ს.გ.საბ.3,4);**
- შეადაროს ერთმანეთს ხელოვნების რამდენიმე სტილი, მიმდინარეობა, იმსჯელოს მათ მხატვრულ მახასიათებლებზე, გამოთქვას საკუთარი დამოკიდებულება **(ს.გ.საბ.4)**;
- სიტყვიერად და წერილობით იმსჯელოს ხელოვნების ნიმუშებზე სხვადასხვა კონტექსტის გავლენის შესახებ **(ს.გ.საბ.4).**

მკვიდრი წარმოდგენები;

- ხელოვანები განსხვავებულად გადმოსცემენ გარე სამყაროსადმი საკუთარ დამოკიდებულებას, წარმოდგენებს;
- გარე სამყაროს ასახვის მრავალი გზა და ხერხი არსებობს;
- ნამუშევრის მხატვრულ ფორმას (სტილს, მიმდინარეობას, შესრულების მანერას, მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს) სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს;
- მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალას, ტექნიკას მხატვრული ჩანაფიქრის შესაბამისად ვირჩევთ.

თემატური ბლოკი: ადამიანი ხელოვნებაში

სასწავლო თემა: ადამიანის შინაგანი სამყარო
მინიმალური საათების რაოდენობა: 12 სთ + 4

ზოგადი ცნებები და საკითხები

სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები

სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები) (მაგ.: ფერი: კონტრასტული, მონათესავე, ინტენსიური, ნეიტრალური, ფერისა და ტონის გრადაცია, კოლორიტი; ხაზი).

სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები) (მაგ.: სტატიკა-დინამიკა, კონტრასტი, კომპოზიციური განაწილება, აქცენტი).

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები

დარგები (მაგ.: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება).

ჟანრი (შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით).

სახვითი ხელოვნების ტექნიკა

შეირჩევა თემატური ბლოკის შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების მიხედვით.

სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის ხელოვნება

ეპოქები/მიმდინარეობები და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.

საკვანძო შეკითხვები;

- როგორ იყენებენ ადამიანები ხელოვნებას თვითგამოხატვისთვის?
- როგორ გვეხმარება შემოქმედება საკუთარი თავის შეცნობაში?
- როგორ გამოსახავდნენ ადამიანის შინაგან სამყაროს ხელოვანები სხვადასხვა დროს?;
- მე როგორ შეიძლება გამოვხატო ჩემი ემოციები, განწყობა, აზრები, იდეები ხელოვნების საშუალებით?
- რა შეიძლება გავიგოთ ადამიანის ან მისი შინაგანი სამყაროს შესახებ მისი ნამუშევრებით?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ერთი ან რამდენიმე **მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალების, ხერხის** (შუქ-ჩრდილი, კოლორიტი, ფაქტურა, სხვადასხვა ტიპის ხაზი, მონასმი, კონტრასტი, კომპოზიციური განაწილება, აქცენტი, დეტალი, პოზა, ჟესტი, მიმიკა და სხვ.) გამოყენება პორტრეტში ემოციის, განწყობილების გადმოსაცემად **(ს.გ.საბ.1);**
- სახვითი ხელოვნების დარგის, ჟანრის, მხატვრული ხერხების, მასალის და ტექნიკის შერჩევა საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის გადმოსაცემად ნამუშევარში და მსჯელობა სახვით ხელოვნებაზე, როგორც თვითგამოხატვის საშუალებაზე **(ს.გ.საბ.2,3);**
- ერთი ან რამდენიმე ხელოვნების ნიმუშის საფუძველზე მსჯელობა, თუ როგორ გამოსახავდნენ ადამიანების შინაგან სამყაროს სხვადასხვა დროს **(ს.გ.საბ.3,4);**
- გააანალიზოს რამდენიმე ხელოვნის შემოქმედება და იმსჯელოს, აისახა თუ არა და რა სახით მათ ნამუშევრებში იმ კულტურის გავლენა, რომლის წარმომადგენლებიც არიან **(ს.გ.საბ.3,4).**

მკვიდრი წარმოდგენები;

- სახვითი ხელოვნება არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა;
- ხელოვნების საშუალებით შესაძლებელია როგორც შინაგანი სამყაროს ასახვა, ისე გარემომცველი სამყაროსადმი საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემა;
- შინაგანი სამყაროს ასახვა და გარემომცველი სამყაროსადმი საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემა შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა ფორმით (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით, მასალით, ტექნიკით და სხვ.);
- ადამიანები შინაგან სამყაროს სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად გამოსახავდნენ;
- ეროვნული კულტურის გაცნობით საკუთარი თავის უკეთ შეცნობა შეიძლება.

თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

სასწავლო თემა: ხელოვნება – ინფორმაციის წყარო
მინიმალური საათების რაოდენობა: 14 სთ + 4

ზოგადი ცნებები და საკითხები

სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები

სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები) (მაგ.: რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კომპოზიციური განაწილება)

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები

დარგები (მაგ.: ფერწერა (მოზაიკა, ვიტრაჟი, გრაფიტი, მინიატურა), გრაფიკა (ბეჭდვითი), ქანდაკება, არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

ჟანრები (მაგ.: ყოფითი, ისტორიული)

სახვითი ხელოვნების ტექნიკა

(შეირჩევა თემატური ბლოკის შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების მიხედვით)

სხვადასხვა ეპოქის /მიმდინარეობის ხელოვნება

ეპოქები/მიმდინარეობები და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.

საკვანძო შეკითხვები;

- რა ინფორმაცია შეიძლება მივიღო ხელოვნების ნიმუშებით?
- შეიძლება თუ არა კომუნიკაცია ხელოვნების საშუალებით?
- როგორ მოგვითხრობს ხელოვნება ამბავს?
- მე როგორ შეიძლება მოვყვე ამბავი/ისტორია მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალის, ტექნიკის გამოყენებით?
- რა შეიძლება გავიგოთ სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ხელოვნების საშუალებით?
- როგორ შეიძლება გადმოვცეთ რაიმე მოვლენისადმი საკუთარი დამოკიდებულება ხელოვნების ნიმუშის საშუალებით?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • გადმოსცეს ნამუშევარში რაიმე ამბავი, შეარჩიოს და გამოიყენოს შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა, ტექნიკა საკუთარი ჩანაფიქრის, დამოკიდებულების უკეთ გადმოსაცემად **(ს.გ.საბ.1,2);** • გააანალიზოს რომელიმე ეპოქის ან კულტურის ხელოვნების ნიმუში და იმსჯელოს, რა ინფორმაცია მიიღო მისი მეშვეობით **(ს.გ.საბ.3);** • იმსჯელოს ხელოვნებაზე, როგორც კულტურათშორისი დიალოგის საშუალებაზე, მოიყვანოს რამდენიმე მაგალითი **(ს.გ.საბ.3,4);** • იმსჯელოს კულტურის/კულტურების ან ეპოქების ურთიერთგავლენაზე რამდენიმე მაგალითის საფუძველზე **(ს.გ.საბ.4).**
მკვიდრი წარმოდგენები; • ხელოვნების ნიმუშების საშუალებით ბევრი ინფორმაციის მიღება შემიძლია; • ხელოვნება კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა; • სახვითი ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ამბის გადმოცემა შეიძლება; • ამბის გადმოსაცემად სხვადასხვა დროში სხვადასხვა ხერხს იყენებდნენ; • სათქმელის, იდეების, ინფორმაციის გადმოსაცემად სხვადასხვა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება, ხერხი, მასალა, ტექნიკა, თანამედროვე საკომუნიკაციო ციფრული ტექნოლოგია შეიძლება გამოვიყენო.

IX კლასი

თემატური ბლოკი: გარემო და ხელოვნება

სასწავლო თემა: ახლის ძიება **საათების სავარაუდო რაოდენობა:** 20 სთ + 7
ზოგადი ცნებები და საკითხები **სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები** შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები** შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა** შეირჩევა თემატური ბლოკის შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების მიხედვით. **სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება** ეპოქები/მიმდინარეობები და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.
საკვანძო შეკითხვები; • რატომ და როგორ იცვლებოდა ხელოვნება სხვადასხვა ეპოქაში? • რატომ და როგორ შეიცვალა ხელოვნება XX-XXI საუკუნეებში? • არის თუ არა განსხვავება ადრეულ ეპოქებში მიმდინარე ცვლილებებსა და თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებებს შორის? • როგორ გამომსახველობით საშუალებებს იყენებენ თანამედროვე ხელოვანები? • როგორ შეიძლება გამოვიყენო თანამედროვე მიდგომები, მასალები და საშუალებები ნამუშევრის შექმნისას? • რა გზებით შეიძლება ვეზიარო ხელოვნებას? • მომავალში რა გზებით შეიძლება განვითარდეს ხელოვნება?

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გააანალიზოს, რა უბიძგებდა ადამიანს ახლის ძიებისკენ ხელოვნებაში, მოიყვანოს რამდენიმე მაგალითი **(ს.გ.საბ.3,4);**
- ჩანაფიქრის შესაბამისად შექმნას ნამუშევრები თანამედროვე ხელოვნების მიდგომების (სტილი, მასალას, ტექნიკა, კონცეფციები, პრინციპები და სხვ.) გამოყენებით **(ს.გ.საბ.1,2);**
- გააანალიზოს, რა ცვლილებები განიცადა თანამედროვე ხელოვნებამ და იმსჯელოს მათ გამომწვევ მიზეზებზე **(ს.გ.საბ.3,4);**
- გააანალიზოს თანამედროვე ხელოვნება (მხატვრული მიმდინარეობები, სტილები, ფორმები/დარგები) და მისი გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები რამდენიმე ნიმუშის მაგალითზე **(ს.გ.საბ.3,4);**
- იმსჯელოს, რა ფორმით ხვდება ხელოვნებას ყოველდღიურ ცხოვრებაში და როგორ შეუძლია მასთან ზიარება **(ს.გ.საბ.3,4).**

მკვიდრი წარმოდგენები;

- ახლის ძიება ახასიათებს ყველა ეპოქას;
- XX-XXI საუკუნეებში მიმდინარე მოვლენებმა რადიკალური ცვლილებები გამოიწვია თანამედროვე ხელოვნებაში (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.);
- ცვლილებებმა გამოიწვია ხელოვნების ახალი ფორმების/დარგების გაჩენა;
- თანამედროვე ხელოვანები იყენებენ თვითგამოხატვის მრავალფეროვან, უჩვეულო ფორმებს და გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს;
- ადამიანი ხელოვნებას სხვადასხვა გზით შეიძლება ეზიაროს.

თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

სასწავლო თემა: ხელოვნება – ზემოქმედებისა და კომუნიკაციის საშუალება
მინიმალური საათების რაოდენობა: 20 სთ +8

ზოგადი ცნებები და საკითხები

სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები

სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები) (მაგ.: ფერი: კონტრასტული; ხაზი).

სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები) (მაგ.: მასშტაბი, პროპორცია, კონტრასტი, სტატიკა-დინამიკა, ძირითადის გამოყოფა, კომპოზიციური განაწილება).

სახვითი ხელოვნების ტექნიკა

შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები

დარგები (მაგ.: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება).

სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება

ეპოქები/მიმდინარეობები და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.

საკვანძო შეკითხვები;

- რატომ შეიძლება მოახდინოს ხელოვნების ნიმუშმა ადამიანზე გარკვეული შთაბეჭდილება?
- როგორ იყენებს ძალაუფლება/ხელისუფლება ხელოვნებას საზოგადოებაზე ზემოქმედებისთვის?
- როგორია ხელოვნების ზემოქმედების უნარი ინდივიდუალურად ადამიანზე და მთელ საზოგადოებაზე?
- როგორ განსხვავდება თანამედროვე და ძველი ხელოვნება ადამიანებზე ზემოქმედების საშუალებების გამოყენების მხრივ?
- როგორ იყენებს საზოგადოება ხელოვნებას მიმდინარე მოვლენებზე რეაგირებისთვის?
- შეიძლება თუ არა და როგორ მოახდინოს ხელოვნებამ გავლენა საზოგადოებაზე, მის წარმოდგენებზე, დამოკიდებულებებზე, შეხედულებებზე?
- როგორი ხერხები შეიძლება გამოვიყენოთ ნამუშევარში საზოგადოებაზე/სხვებზე გარკვეული ზემოქმედების მოსახდენად?
- აქვს თუ არა კავშირი სახვითი ან გამოყენებითი ხელოვნების დარგებს ხელოვნების სხვა დარგებთან (ლიტერატურა, თეატრი, ფოტოგრაფია, კინო)?

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- შეადაროს ორი ან რამდენიმე ეპოქა ან კულტურა საზოგადოებაზე ზემოქმედების საშუალებების მიხედვით **(ს.გ.საბ.4);**
- ნამუშევარში გამოიყენოს ის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, რომლებსაც შერჩეულ ეპოქასა ან კულტურაში იყენებდნენ ადამიანზე ზემოქმედების მოსახდენად (მასშტაბი, პროპორცია, კონტრასტი, ძირითადის გამოყოფა და სხვ.) **(ს.გ.საბ.1,4);**
- გააანალიზოს თანამედროვე ხელოვნების საზოგადოებაზე ზემოქმედების ფორმები და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები **(ს.გ.საბ.3,4);**
- შეარჩიოს თანამედროვე ხელოვნების სასურველი ფორმა (მაგალითად, პერფორმანსი, ინსტალაცია და სხვ.) და გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის, წარმოდგენის მიმართ **(ს.გ.საბ.1,2,4).**

მკვიდრი წარმოდგენები;

- ხელოვნება ადამიანზე ზემოქმედების ძლიერი საშუალებაა;
- ხელოვნება – ადამიანებს შორის ურთიერთობის საშუალება, უნივერსალური ენაა;
- სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში ზემოქმედებისთვის ხელოვნებას სხვადასხვანაირად იყენებდნენ;
- სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მიზანმიმართული გამოყენებით ადამიანზე, საზოგადოებაზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა არის შესაძლებელი.

4. მოსწავლის წიგნის თემატური ბლოკები, სასწავლო თემები და მათი შესაბამისობა სტანდარტთან

მოსწავლის წიგნში გაერთიანებულია ოთხი თემატური ბლოკი: I. ადამიანი და გარემო; II. ადამიანი – სამყაროს ცენტრი; III. ადამიანი და ყოველდღიურობა და IV. ადამიანი და თანამედროვეობა.

თემატური ბლოკი – ადამიანი და გარემო

თემატური ბლოკი 20 გაკვეთილისაგან შედგება, აქედან 9 თეორიული გაკვეთილია, ხოლო 10 – პრაქტიკული და ერთი შემაჯამებელი გაკვეთილი.

თემატური ბლოკი მოიცავს ხუთ სასწავლო თემას, რომლებშიც შედის შემდეგი გაკვეთილები:

I. გარემო – ადამიანის ინტერესის ობიექტი (3 გაკვეთილი)

1. უძველესი ადამიანის ნახატები
2. თრიალეთის პეტროგლიფები
3. ვხატავთ ბუნებრივი მასალით

II. გარემოს ასახვა ხელოვნებაში და ხელოვნება ჩვენ გარშემო (5 გაკვეთილი)

4. პეიზაჟი
5. პლენერი
6. როგორ გადმოვცეთ განწყობილება?
15. ნატურმორტი – მკვდარი ბუნება?
16. როგორ დავხატოთ ნატურმორტი?

III. გარემოს ზეგავლენა ადამიანზე და ადამიანის ზეგავლენა გარემოზე (6 გაკვეთილი)

7. მწვანე არქიტექტურა
8. სახალისო არქიტექტურა
9. ბაღი – სამოთხის მიწიერი სახე
10. ჩვენი სკოლის ეზო
11. ნაგებობა და მისი ფუნქცია
12. კოლიზეუმი

IV. ხელოვნება ჩვენ გარშემო (2 გაკვეთილი)

13. მუზეუმები
14. ექსპოზიცია

V. გარემოს რეალისტურად ასახვა და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ძიება (3 გაკვეთილი)

17. პერსპექტივა
18. თავშეყრის წერტილი და ჰორიზონტის ხაზი
19. ალბერტის ბადე
20. შემაჯამებელი გაკვეთილი

სასწავლო თემა I: გარემო – ადამიანის ინტერესის ობიექტი (პრეისტორიული ხანის ხელოვნება)

გაკვეთილები 1-3

1. უძველესი ადამიანის ნახატები
2. თრიალეთის პეტროგლიფები
3. ვხატავთ ბუნებრივი მასალით

სასწავლო თემის მიზანი

ეს სასწავლო თემა შეესაბამება საბაზო საფეხურის სტანდარტში მოცემულ ერთ-ერთ სავალდებულო თემატურ ბლოკს – გარემო და ხელოვნება. მოსწავლეები გაეცნონ კაცობრიობის განვითარების ადრეულ მნიშვნელოვან ეტაპს, იმისთვის რომ გააცნობიერონ/დაინახონ პრეისტორიული ადამიანის ინტერესი და დამოკიდებულება გარემოსთან, ხელოვნების წარმოშობის მიზეზები და მნიშვნელობა, როგორც პრეისტორიული ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი მნიშვნელოვანი ნაწილი, იქნებოდა ეს რელიგიური, სარიტუალო თუ ინფორმაციის გადაცემის ფორმა.

მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, გამოუმუშავდეს ნამუშევრების შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევები: პერიოდის შესატყვისი სტილის შეგრძნების უნარი, ბუნებრივი რესურსების გამოყენებით საღებავების თავად მომზადებისა და მისი გამოყენების უნარი, ხატვის ტექნიკის გამოყენებით მასშტაბური ნამუშევრების შექმნის უნარი. განუვითარდეთ შემოქმედებითი მიდგომისა და თანამშრომლობის უნარი.

თემის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ს.გ.საბ.4. მოსწავლეები შეძლებენ დისკუსიების წარმართვას, მსჯელობას და დასკვნების გამოტანას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ისტორიის, რელიგიისა და ხელოვნების ურთიერთკავშირი სხვადასხვა ეპოქაში (მათი ასაკის შესაბამისად);

- თემის/თავის ფარგლებში მოსწავლეები შექმნიან ნამუშევრებს – მასშტაბურ-პირობითი და სიბრტყობრივი ხასიათის ნამუშევრებს – პრეისტორიული მხატვრობის მოტივებზე/თემატიკაზე;
- ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, შეძლებენ პრეისტორიული გარემოს – მცენარეების, ცხოველების, ფრინველთა გამოსახულებების შექმნას;
- მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ ეფექტიანი საკომუნიკაციო უნარები;

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ზოგადი ცნებები

1. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**
   - კედლის მხატვრობა

2. **სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები)**
   - ხაზი;
   - კონტური;
   - ფერი, ბუნებრივი რესურსებით შექმნილი ფერი;
   - ფორმა;
   - ფაქტურა;
   - სილუეტი

3. **სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება**
   - პრეისტორიული ხანა

4. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა**
   - ძერწვა;
   - ფერწერა/გრაფიკა;
   - აპლიკაცია

5. **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები)**
   - კომპოზიციური განაწილება;
   - ძირითადის გამოყოფა;
   - სტატიკა და დინამიკა

6. **ტერმინები**
   - პეტროგლიფი

თემატური საკვანძო შეკითხვები

- რატომ ხატავდა უძველესი ადამიანი უცნაურ ნიშნებს, სიმბოლოებსა თუ ცხოველთა გამოსახულებებს?
- რატომ იყო უძველესი ადამიანის მიერ დახატული ნიშნები პირობითი?
- რა შეგვიძლია გავიგოთ უძველესი ადამიანის მიერ შექმნილი ნახატებით მათი ყოველდღიური ყოფის შესახებ?

სადებატო კითხვები

- რატომ გვხვდება უძველესი ადამიანის ნახატები მიუდგომელ მღვიმეებში?

ფაქტობრივი კითხვები

- რას გამოსახავდა უძველესი ადამიანი თავის ნახატებზე?
- გამოქვაბულის კედელზე გამოსახული ცხოველებიდან რომელია შენთვის ნაცნობი?
- რა არის პეტროგლიფი?
- რომელი მცენარის ან რომელი ნაყოფის გამოყენება შეიძლება ბუნებრივ საღებავად?

აქტივობები

თემის ფარგლებში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები:

კითხვა-პასუხი, დისკუსია, ნიმუშების აღწერა-ანალიზი სქემების გამოყენებით; პრაქტიკული დავალებები – გამოქვაბულების მხატვრობის შესახებ ინფორმაციისა და ვიზუალური მასალის მოძიება, პრეზენტაციის შექმნა, წარდგენა; ბუნებრივი რესურსებისგან საღებავებისა და ფუნჯების დამზადება, მასშტაბური ნამუშევრების შექმნა ინდივიდუალურად და ჯგუფურად. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით პრეისტორიული გარემოს შექმნა, წარდგენა.

რესურსები

თეორიული გაკვეთილებისათვის საჭირო რესურსები:

თემის/თავის ფარგლებში გამოყენებული იქნება კომპიუტერი, პროექტორი. სახელმძღვანელოს დამხმარე ვიზუალური მასალა, რესურსები – დოკუმენტური (რეკონსტრუქცია) ფილმები, ლინკები,

პრეზენტაციები, ასევე ვებგვერდებზე განთავსებული რესურსები

https://www.youtube.com/watch?v=9wguQaBYKec

https://www.youtube.com/watch?v=yGPevxwITBE

https://www.youtube.com/watch?v=nrRJkzXl4a4

https://www.youtube.com/watch?v=e_phjB19ZEg

https://www.artyfactory.com/art-lessons.html

https://www.pinterest.com/pin/299278337727052706/

პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო რესურსები:

მუყაო, პლასტელინი, ჩხირი; დიდი ზომის ფორმატები, უბრალო ფანქარი, საშლელი, ბუნებრივი რესურსები საღებავებისა და ფუნჯების დასამზადებლად, საწრუპები, ფუნჯები, წყლის ჭურჭელი, ღრუბელი.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

რეკომენდაციის სახით შეგვიძლია მასწავლებელს შევთავაზოთ კონკრეტული თემის ფარგლებში, ინტეგრირება IT ტექნოლოგიების გაკვეთილთან. ამ თემის ფარგლებში შეგროვებული ვიზუალური თუ თეორიული მასალის გამოყენება შესაძლებელია სწორედ ციფრული ტექნოლოგიების გაკვეთილებზე.

შეფასების ინდიკატორები

თეორიული მასალის ათვისების შეფასების ინდიკატორები

- პრეისტორიული ხანის, კონკრეტულად კი ცხოველისა და ადამიანის გამოსახულების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების უნარი; ამ ეპოქების ნამუშევრების შესახებ მსჯელობის, დასკვნის გამოტანისა და პირობით-სიბრტყობრივი და რეალისტური გამოსახულებების აღწერისა და ანალიზის უნარი **(ს.გ.საბ.3)**;

პრაქტიკული უნარების გამომუშავების შეფასების ინდიკატორები

- მიზნის მისაღწევად ნამუშევარში შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენების უნარი **(ს.გ.საბ.4)**;
- ნამუშევრის შექმნისას ამოცანის დასახვისა და შემოქმედებითად გადაჭრის უნარი **(ს.გ.საბ.4)**;

ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები

- კონკრეტულ თემაზე კვლევის ჩატარების უნარი;
- წიგნიერება; ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირების და წარდგენა-გაზიარების უნარი;
- პასუხისმგებლობა; სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება;
- კრიტიკული აზროვნება; ფაქტების, წარმოდგენების, მოვლენების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; შეკითხვის ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება; არგუმენტირებული მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით;
- გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება.

მკვიდრი წარმოდგენები

- უძველეს ეპოქაშიც კი ადამიანი აკვირდება და ასახავს მის გარშემო არსებულ გარემოს;
- გარემო გავლენას ახდენს ადამიანზე, მის შემოქმედებაზე;
- პრეისტორიულ ხანაში გარემოს ცალკეული ელემენტების (ცხოველების) ასახვას კონკრეტული მიზანი ჰქონდა და ეს ადამიანის რწმენა-წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული;
- უძველესი დროიდან დღემდე გარემომცველ სამყაროს ადამიანები მრავალფეროვანი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით, მასალითა და ტექნიკით ასახავენ.

სასწავლო თემა II: გარემოს ასახვა ხელოვნებაში და ხელოვნება ჩვენ გარშემო

გაკვეთილები 4-6, 15-16

4. პეიზაჟი
5. პლენერი
6. როგორ გადმოვცეთ განწყობილება?
15. ნატურმორტი – მკვდარი ბუნება?
16. როგორ დავხატოთ ნატურმორტი?

სასწავლო თემის მიზანი

ეს სასწავლო თემა შეესაბამება საბაზო საფეხურის სტანდარტში მოცემულ ერთ-ერთ სავალდებულო თემატურ ბლოკს – გარემო და ხელოვნება. თემის მიზანია, მოსწავლემ შეძლოს სახვითი ხელოვნების ჟანრების კლასიფიკაცია, სხვადასხვა ჟანრის (პეიზაჟი, ნატურმორტი) ნამუშევრებში ეპოქალური ნიშნების ამოცნობა; ასევე, პეიზაჟისა და ნატურმორტის სხვადასხვა სახეობის ამოცნობა, მსჯელობა მათ კომპოზიციურ თავისებურებებსა თუ სხვა მხატვრულ ხერხებზე;

მოსწავლეს გამოვუმუშავოთ განწყობილებების, იდეებისა და ემოციების გამოსახატავად პეიზაჟის შექმნისთვის, სხვადასხვა შესაბამისი ხერხის, მასალისა და მრავალფეროვანი ტექნიკის შემოქმედებითად გამოყენების უნარი;

მოსწავლეს განვუვითაროთ საპრეზენტაციო უნარები;

მოსწავლემ თავად შეძლოს გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების შემოქმედებითად გადმოცემისა და სივრცის ასახვის უნარი, განვუვითაროთ პეიზაჟის შექმნის უნარი მეხსიერებით ან პლენერზე მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით;

გამოვუმუშაოთ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ელემენტისა და ხერხის (კონტრასტული ფერები, მონასმი, ფაქტურა) გამოყენებით ნატურმორტის და პეიზაჟის პრაქტიკულად შექმნის უნარი.

თემის ბოლოს მისაღწევი შედეგები

- მოსწავლეები შეძლებენ დისკუსიების წარმართვას, მსჯელობას და დასკვნების გამოტანას;
- თემის/თავის ფარგლებში მოსწავლეები შექმნიან სხვადასხვა ტიპის პეიზაჟებს, ნატურმორტის სახეობებს, გადმოსცემენ განწყობილებას პეიზაჟში და გამოიყენებენ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს ნამუშევრის შესაქმნელად;
- მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ ეფექტიანი საკომუნიკაციო უნარები.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ზოგადი ცნებები

თემის ფარგლებში მოსწავლე გაეცნობა შემდეგ ცნებებს:

1. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**
   - დაზგური ფერწერა;
   - მონუმენტური ფერწერა;
   - პეიზაჟი და მისი სახეობები (ვედუტა, მარინა, პასტორალური და ურბანული პეიზაჟი);
   - ნატურმორტი და მისი სახეობები (ნატურმორტი ყვავილებით, ნანადირევით, ვანიტასი)

2. **სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება**
   - XVI-XX საუკუნეები (ჰოლანდიური, ფრანგული, ესპანური ნატურმორტები, ჰოლანდიური, ინგლისური, ფრანგული, იტალიური, გერმანული, ამერიკული პეიზაჟები)

3. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა**
   - ფერწერა

4. **სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები)**
   - ფერი (ცივი და თბილი, კონტრასტული);
   - ფორმა (სიბრტყობრივი და მოცულობითი, გეომეტრიული და ბუნებაში არსებული);
   - ფაქტურა;
   - სილუეტი

5. **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები)**
   - კომპოზიციური განაწილება;
   - ძირითადის გამოყოფა;
   - სიმეტრია;
   - პროპორცია

6. **ტერმინები;**
   - პლენერი

თემატური საკვანძო შეკითხვები

- რის მიხედვით ვაკუთვნებთ ამა თუ იმ ნაწარმოებს ამა თუ იმ ჟანრს?
- რით განსხვავდება ერთმანეთისაგან პეიზაჟის სხვადასხვა სახეობა?

სადებატო კითხვები

- რა შეგვიძლია გავიგოთ ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ნიმუშების მეშვეობით ამა თუ იმ ეპოქისა თუ ისტორიული პერიოდის შესახებ?
- გოეთეს აქვს ასეთი გამოთქმა – „იმისთვის, რომ მზე დაინახო, თვალი მზისა უნდა გქონდეს? გაიაზრე და იმსჯელე ამ გამოთქმის შესახებ (ფერთან დაკავშირებით).

ფაქტობრივი კითხვები

- რა არის ჟანრი?
- სად და როდის ჩნდება პირველად პეიზაჟი, როგორც დამოუკიდებელი ჟანრი?
- პეიზაჟის რა სახეობები არსებობს?
- რა არის პლენერი?
- როდის და ვინ დაიწყო პირველად პლენერზე მუშაობა?
- ნატურმორტის რომელ სახეობებს იცნობთ?

აქტივობები

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი აქტივობები:

კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, დისკუსია. ნიმუშების აღწერა-ანალიზი სქემების გამოყენებით; პრაქტიკული დავალებები – ვიზუალური მასალის მოძიება, პრეზენტაციის შექმნა, წარდგენა; მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით სხვადასხვა ტიპის პეიზაჟებისა და ნატურმორტების შექმნა, პეიზაჟში განწყობილების გადმოცემა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების, მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით.

თეორიული გაკვეთილებისათვის საჭირო რესურსები:

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს დამხმარე ვიზუალური მასალა, ასევე, ვებგვერდებზე განთავსებული ელექტრონული რესურსები, საწერი ფურცლები, კალამი, ფერადი ფანქრები (ესკიზებისთვის), კომპიუტერი, პროექტორი.

პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო რესურსები:

გუაშის საღებავები, ფუნჯები ან პასტელი, ღრუბელი, მუყაოს ნაჭრები, ჯაგრისი, ხის ტოტები ან კომბოსტოს ფოთლები (ანაბეჭდის შესასრულებლად), წყლის ჭურჭელი.

შეფასების ინდიკატორები

თეორიული მასალის ათვისების შეფასების ინდიკატორები

- გარემოზე (ბუნებაზე) დაკვირვება და დაკვირვების შედეგად აღძრული შთაბეჭდილებების, იდეების, ემოციების და განწყობილებების შემოქმედებითად გადმოცემა ნამუშევარში **(ს.გ.საბ.1)**;
- სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრების (სხვადასხვა ტიპის პეიზაჟი, ნატურმორტის სახეობები) აღწერა-ანალიზი ზეპირად ან წერილობით; გააანალიზოს ნამუშევარში გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები (ხაზის, ფერის, ლაქის გამომსახველობითი შესაძლებლობები, პერსპექტივა, მასშტაბი, კომპოზიციური განაწილება, თანაფარდობა და სხვ.) და ისაუბროს საკუთარ შთაბეჭდილებებზე **(ს.გ.საბ.3)**;
- ისაუბროს ჟანრების შესახებ (სხვადასხვა ტიპის პეიზაჟი, ნატურმორტის სახეობები) გამოთქვას ვარაუდი მათი წარმოშობის (პეიზაჟი, ნატურმორტი,) შესაძლო მიზეზების შესახებ. ისაუბროს, თუ როგორ იცვლებოდა პეიზაჟის, ნატურმორტის გამოსახვის თავისებურებები დროსთან ერთად **(ს.გ.საბ.4)**.

პრაქტიკული უნარების გამომუშავების შეფასების ინდიკატორები

- ნამუშევრის შექმნისას შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების გამოყენება (ხაზის, ფერის, ლაქის, ფორმის გამომსახველობითი შესაძლებლობები, პერსპექტივა, მასშტაბი, კომპოზიციური განაწილება, თანაფარდობა და სხვ.) **(ს.გ.საბ.1, 2);**

ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები

- ეკოლოგიური წიგნიერება;
- კონკრეტულ თემაზე კვლევის ჩატარების უნარი;
- წიგნიერება; ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირების და წარდგენა-გაზიარების უნარი;
- პასუხისმგებლობა; სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება;
- კრიტიკული აზროვნება; ფაქტების, წარმოდგენების, მოვლენების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; შეკითხვის ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება; არგუმენტირებული მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით;
- გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება.

მკვიდრი წარმოდგენები

- სახვითი ხელოვნების ჟანრების ნიმუშების მეშვეობით ხდება ინფორმაციის მიღება (თუ კვლევა) ამა თუ იმ ეპოქისა თუ პერიოდის შესახებ;
- გარემოდან მიღებულ შთაბეჭდილებებს (დაკვირვების შედეგებს) ადამიანი იყენებს საკუთარ ნამუშევრებში იდეების, შთაბეჭდილებების, განწყობილების გადმოსაცემად და თვითგამოხატვისთვის სახვითი ხელოვნების პრინციპების, ელემენტების, მრავალფეროვანი ტექნიკისა და მასალის გამოყენებით;
- გარე სამყაროს ასახვას ნამუშევარში სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზანი და ფუნქცია ჰქონდა და მისდამი დამოკიდებულება განსხვავებული ხერხებით გადმოიცემოდა.

სასწავლო თემა III. გარემოს ზეგავლენა ადამიანზე და ადამიანის ზეგავლენა გარემოზე

გაკვეთილები 7-12

7. მწვანე არქიტექტურა
8. სახალისო არქიტექტურა
9. ბაღი – სამოთხის მიწიერი სახე
10. ჩვენი სკოლის ეზო
11. ნაგებობა და მისი ფუნქცია
12. კოლიზეუმი

სასწავლო თემის მიზანი

ეს სასწავლო თემა შეესაბამება საბაზო საფეხურის სტანდარტში მოცემულ ერთ-ერთ სავალდებულო თემატურ ბლოკს – გარემო და ხელოვნება. კონკრეტული თემატური ერთეულის მიზანია, მოსწავლეები გაეცნონ, როგორ ქმნის ადამიანი საკუთარ საარსებო გარემოს და ამას აკეთებს არქიტექტურისა და ბაღების საშუალებით. ასევე თემის მიზანია, სხვადასხვა დანიშნულების არქიტექტურულ ნაგებობების ფუნქციის გააზრება და მის ფორმასთან დაკავშირება; იმის გაცნობიერება, თუ რა ფაქტორები მოქმედებს არქიტექტურული ნაგებობის შექმნისას და რა ტენდენციებია თანამედროვე არქიტექტურაში;

ჩვენი უმთავრესი მიზანია, მოსწავლემ გააცნობიეროს, თუ როგორი მნიშვნელოვანია, ადამიანის მიერ შექმნილი არქიტექტურული გარემო იყოს კომფორტული და ეკოლოგიურად სუფთა, რაც „მწვანე არქიტექტურისა“ და ბაღების გაშენების საუკუნოვანი ტრადიციის გაცნობითა და გააზრებით მიიღწევა.

განვუვითაროთ კონკრეტული ეპოქის საცხოვრებლის თავისებურებებზე დაკვირვების, შედარების და მსჯელობის უნარი;

განვუვითაროთ არქიტექტურული ნაგებობის დამახასიათებელი ნიშნების ამოცნობის და არქიტექტურის ფუნქციონალურ დანიშნულებასთან მათი დაკავშირების უნარი;

განვუმტკიცოთ არქიტექტურული ნამუშევრების აღწერა-ანალიზის უნარი;

განვუვითაროთ თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ნამუშევარში გამოყენების უნარი, გავუღვივოთ ფანტაზია და შემოქმედებითი მიდგომა, გავაცნობიერებინოთ არქიტექტურული ნაგებობის ფორმასა და დანიშნულებას შორის არსებული კავშირები.

თემის ბოლოს მისაღწევი შედეგები

- მოსწავლეები შეძლებენ არქიტექტურული ნაგებობების ფუნქციისა და ფორმის ურთიერთკავშირის გაანალიზებას, ამ საკითხზე მსჯელობასა და დასკვნების გამოტანას;
- ბაღების შექმნის მნიშვნელობის გაცნობიერებასა და სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ბაღების ტრადიციებზე მსჯელობას;
- თუ რამდენად მნიშვნელოვანია ისტორიის, რელიგიისა და ხელოვნების ურთიერთკავშირი სხვადასხვა ეპოქაში გასაანალიზებლად და დასკვნების გამოსატანად (მათი ასაკის შესაბამისად);
- მწვანე არქიტექტურის მნიშვნელობის გაცნობიერებას დიდი მეგაპოლისებისათვის;
- დედამიწის ბუნებრივი მწვანე საფარის მნიშვნელობისა და ხელმისაწვდომობის გაცნობიერებას.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

თემის ფარგლებში მოსწავლე გაეცნობა შემდეგ ცნებებს:

7. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**
   - არქიტექტურა და მისი ფუნქცია;
   - მწვანე არქიტექტურა;
   - ბაღები.

8. **სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის ხელოვნება**
   - XIX-XX სს-ის არქიტექტურა;
   - ჩინური და იაპონური ბაღები;
   - ფრანგული და ინგლისური ბაღები

9. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა**
   - ფერწერა

10. **სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები)**
    - ფერი (ცივი და თბილი, კონტრასტული);
    - ფორმა (სიბრტყობრივი და მოცულობითი, გეომეტრიული და ბუნებაში არსებული);
    - ფაქტურა;
    - სილუეტი;
    - შესაძლებელია შეირჩეს სხვა ელემენტებიც თემატური ბლოკის შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების მიხედვით.

11. **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები)**
    - მოდელირება;
    - კონსტრუირება;
    - აპლიკაცია;
    - ფერწერა ან გრაფიკა;
    - შესაძლებელია შეირჩეს სხვა ხერხებიც თემატური ბლოკის შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების მიხედვით.

12. **ტერმინები**
    - მწვანე არქიტექტურა;
    - მეგაპოლისი;
    - ეკოლოგია.

თემატური საკვანძო შეკითხვები

- რამდენად განსაზღვრავს სხვადასხვა ეპოქაში არქიტექტურული ნაგებობის ფორმას მისი დანიშნულება?
- რამ განაპირობა მეგაპოლისების გაჩენა მთელ მსოფლიოში და რა პრობლემები შეუქმნა ამან ადამიანს?

სადებატო კითხვები

- როგორ გესმით „ნაგებობა – სახელმწიფოს სიმბოლო“?
- როგორ და რა ფორმით წარმოგიდგენიათ დიდ ქალაქებში არსებული ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტა?
- „მწვანე არქიტექტურის“ მაღალი ღირებულების გათვალისწინებით, მწვანე გარემოს შექმნის რომელ ხერხს მიანიჭებდით უპირატესობას და რატომ?

ფაქტობრივი კითხვები

- საიდან იღებს სათავეს ბაღის ხელოვნება?
- როგორია ტიპური ჩინური, იაპონური, ინგლისური და ფრანგული ბაღები?
- რა არის მწვანე არქიტექტურა? სად და რატომ გაჩნდა ის?
- რამ შეუწყო ხელი თანამედროვე ქალაქებში ცათამბჯენების მშენებლობას?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

კავშირი ეკოლოგიასთან

გაკვ. 7:

- მოსწავლემ უნდა გაიაზროს, თუ რა მჭიდრო კავშირშია დიდ ქალაქებში მწვანე არქიტექტურის განვითარება ქალაქის ეკოლოგიასთან.

შეფასების ინდიკატორები

– მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- შექმნას ნამუშევარი სხვადასხვა მხატვრულ სტილში (მაგ.: სქემატური, სტილიზებული), ჩანაფიქრის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა, ტექნიკა **(ს.გ.საბ.1, 2);**
- გააანალიზოს, როგორ არის გამოყენებული სხვადასხვა სტილის, მიმდინარეობის, დროის ნამუშევარში გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა ჩანაფიქრის განსახორციელებლად **(ს.გ.საბ.3, 4);**
- გააანალიზოს, როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში გარე სამყაროს ასახვის გზები ხელოვნებაში **(ს.გ.საბ.3, 4);**
- შეადაროს ერთმანეთს ხელოვნების რამდენიმე სტილი, მიმდინარეობა, იმსჯელოს მათ მხატვრულ მახასიათებლებზე, გამოთქვას საკუთარი დამოკიდებულება **(ს.გ.საბ.4)**;
- სიტყვიერად და წერილობით იმსჯელოს ხელოვნების ნიმუშებზე სხვადასხვა კონტექსტის გავლენის შესახებ **(ს.გ.საბ.4)**.

მკვიდრი წარმოდგენები

- არქიტექტურის ფორმას განსაზღვრავს მისი ფუნქცია, ეპოქის სტილი და ტექნიკური შესაძლებლობები;
- არქიტექტურული ნიმუშები სხვადასხვა დანიშნულებით და განსხვავებული ფორმების გამოყენებით იქმნება ქვეყნის გეოგრაფიული, კლიმატური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით;
- ეკოლოგიური საკითხების გათვალისწინება აუცილებელია არქიტექტურული გარემოს შექმნის დროს.

სასწავლო თემა IV. ხელოვნება ჩვენ გარშემო

გაკვეთილები 13-14

13. მუზეუმები
14. ექსპოზიცია

თემის მიზანი

ეს სასწავლო თემა შეესაბამება საბაზო საფეხურის სტანდარტში მოცემულ ერთ-ერთ სავალდებულო თემატურ ბლოკს – გარემო და ხელოვნება. სასწავლო თემის მიზანია, მის ფარგლებში მოსწავლეს გააცნოს, თუ როგორ შეიქმნა ხელოვნების გარემო მუზეუმის სახით, როგორ ჩამოყალიბდა მუზეუმი, როგორც სახელოვნებო ინსტიტუცია და რა ფუნქცია აკისრია მას საზოგადოების ცხოვრებაში. ასევე, ამ თემის მიზანია, გააცნოს მუზეუმის მუშაობის ძირითადი პრინციპები, ამოცანები და გაარკვიოს მოსწავლე, როგორ ეწყობა მუდმივი თუ დროებითი გამოფენები და გამოუმუშაოს მას გამოფენის გარკვეული კონცეფციის მიხედვით ექსპოზიციის გამართვის უნარი.

თემის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მოსწავლეს პრაქტიკული დავალებების შესრულების შედეგად გამოუმუშავდება შემოქმედებითი უნარები:

ს.გ.საბ.2. გამოფენის კონცეფციის შემუშავებისა და მისი განხორციელების დროს შემოქმედებითი ამოცანის დასახვისა და გადაჭრის უნარი.

თეორიული მასალის შესწავლის შედეგად:

ს.გ.საბ.4. საკუთარი და თანაკლასელების ნამუშევრების გარკვეული კონცეფციის ფარგლებში მოქცევისა და კულტურულ კონტექსტში გააზრების უნარი.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

თემის ფარგლებში მოსწავლე გაეცნობა შემდეგ ცნებებს:

- კონცეფცია;
- გამოფენის კონცეფცია;
- ექსპოზიცია;
- ექსპონატი;
- მუზეუმის სახეობები.

თემატური საკვანძო შეკითხვები

- რა ფუნქცია აკისრია მუზეუმს?
- რომელი პირობების გათვალისწინებით ხდება ექსპონატების დაცვა?

სადებატო კითხვები

- სჭირდება თუ არა მუზეუმს განსაკუთრებული შენობა, თუ ის ნებისმიერ ნაგებობაში შეიძლება განთავსდეს?
- რა უნდა გავითვალისწინოთ გამოფენის კონცეფციის შემუშავებისას?
- როგორ უნდა შევიმუშაოთ გამოფენის კონცეფცია?

ფაქტობრივი კითხვები:

- როგორ იქმნებოდა მუზეუმები?
- რას ნიშნავს კონცეფცია?

აქტივობები

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი აქტივობები:

კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, დისკუსიის სხვადასხვა ფორმა; ნიმუშების აღწერა-ანალიზი; გამოფენისათვის მოსაწვევისა და აფიშის შექმნა.

რესურსები

თეორიული მასალისათვის საჭირო რესურსები:

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს დამხმარე ვიზუალური მასალა, ასევე, ვებგვერდებზე განთავსებული რესურსები.

პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო რესურსები:

მოსწავლეების მიერ აქამდე შექმნილი ნამუშევრები, მასალა გამოფენის აფიშისა და მოსაწვევების შესაქმნელად: ფორმატები, უბრალო ფანქარი, საშლელი, ფერადი ფანქრები/გუაში/პასტელი, საწერი ფურცლები, კალამი, კომპიუტერი, მუყაო, წებო, მაკრატელი, სახაზავი.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

საგანთშორისი კავშირების დამყარების მიზნით ამ თემის ფარგლებში შესაძლებელია მოსწავლეებისათვის კომპლექსური დავალების მიცემა:

- **კავშირი გეოგრაფიასთან**

გაკვეთილი 13. გაკვეთილზე დასახელებული სხვადასხვა ცნობილი მუზეუმის დაკავშირება იმ ქვეყნებთან, რომლებშიც ეს მუზეუმები მდებარეობს.

შეფასების ინდიკატორები

თეორიული მასალის ათვისების შეფასების ინდიკატორები

- გამოფენის კონცეფციის შემუშავებისას საკუთარი და თანაკლასელების ნამუშევრების ანალიზის, ინტერპრეტაციის, შეფასებისა და დაჯგუფების უნარი **(ს.გ.საბ.3)**;
- საკუთარი და თანაკლასელების ნამუშევრების გარკვეული კონცეფციის ფარგლებში მოქცევისა და კულტურულ კონტექსტში გააზრების უნარი **(ს.გ.საბ.4)**;

პრაქტიკული უნარების გამომუშავების შეფასების ინდიკატორები

- გამოფენის ექსპოზიციის მოწყობისას ამოცანის დასახვისა და შემოქმედებითად გადაჭრის უნარი **(ს.გ.საბ.4)**;

ტრანსფერული გამჭოლი უნარები:

- ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვისა და გაანალიზების უნარი;
- არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოხმობით;
- გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება;
- ეთიკური ნორმების დაცვა ნამუშევრების შერჩევის დროს;
- სამუშაოს თანაბრად განაწილება და შესრულება გუნდური მუშაობის დროს;
- მზაობა გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად;
- პასუხისმგებლობა; სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება.

მკვიდრი წარმოდგენები

- მუზეუმი, როგორც კულტურის კერა, ითავსებს სხვადასხვა ფუნქციას;
- მუზეუმის დანიშნულებაა უნიკალური ექსპონატების შეგროვება, მათი დაცვა და საზოგადოებისთვის გაცნობა;
- ექსპონატების დასაცავად სპეციალური გარემოს შექმნაა აუცილებელი.

სასწავლო თემა 5. გარემოს რეალისტურად ასახვა და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ძიება

გაკვეთილები 17-19

17. პერსპექტივა
18. თავშეყრის წერტილი და ჰორიზონტის ხაზი
19. ალბერტის ბადე

სასწავლო თემის მიზანი

ეს სასწავლო თემა შეესაბამება საბაზო საფეხურის სტანდარტში მოცემულ ერთ-ერთ სავალდებულო თემატურ ბლოკს – გარემო და ხელოვნება. სასწავლო თემის მიზანია, მის ფარგლებში მოსწავლეს გააცნოს, თუ როგორ აისახება რენესანსის ხელოვნებაში გარემო. როგორ იცვლება დამოკიდებულება გარემოს მიმართ შუა საუკუნეებთან შედარებით, რენესანსის ეპოქაში და რა არის ამის მიზეზი? რა მსოფლმხედველობრივი საფუძველი აქვს ამ ცვლილებას. რენესანსის ეპოქაში გარემოს რეალისტურად გადმოცემის ამოცანა გადაწყვეტილია პერსპექტივის კანონების დადგენითა და მათი გამოყენებით სახვით ხელოვნებაში. ამ თემატური ბლოკის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს პერსპექტივის კანონები, მათი გამოყენების მაგალითები რენესანსის ხანის ხელოვნებაში. ასევე, თავად მოსწავლემ მოსინჯოს ძალები და რეალისტურად, პერსპექტივის კანონების გამოყენებით პრაქტიკული ნამუშევარი შექმნას ალბერტის ბადის გამოყენებით.

თემის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მოსწავლეს პრაქტიკული დავალებების შესრულების შედეგად გამოუმუშავდება შემოქმედებითი უნარები:

ს.გ.საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისთვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი;

თეორიული მასალის შესწავლის შედეგად

ს.გ.საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;

ს.გ.საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

თემის ფარგლებში მოსწავლე გაეცნობა შემდეგ ცნებებს:

13. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:**
    - დაზგური ფერწერა;
    - წიგნის მინიატურა;
    - გრაფიკა;
    - მონუმენტური ფერწერა;
    - პეიზაჟი;
    - რელიგიური ჟანრი.

14. **სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება:**
    - შუა საუკუნეების ხელოვნება;
    - რენესანსის ხელოვნება.

15. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა:**
    - გრაფიკა

16. **სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები):**
    - ხაზი;
    - ფორმა (სიბრტყობრივი და მოცულობითი, გეომეტრიული და ბუნებაში არსებული)

17. **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები):**
    - კომპოზიციური განაწილება;
    - განმეორებადობა;
    - პერსპექტივა (თავშეყრის წერტილი, ჰორიზონტის ხაზი).

თემატური საკვანძო შეკითხვები

- რატომ დაიწყეს მხატვრებმა პერსპექტივის კანონების მიხედვით სივრცის ასახვა რენესანსის ეპოქაში?

სადებატო კითხვები

- როგორ შეიცვალა სივრცის ასახვის ხერხები რენესანსის ეპოქაში შუა საუკუნეებთან შედარებით და რა იყო ამის მიზეზი?
- თქვენი აზრით რატომ იყვნენ პერსპექტივის კანონების ჩამოყალიბების ავტორები არქიტექტორები?

ფაქტობრივი კითხვები

- რისთვის იყენებენ მხატვრები პერსპექტივის კანონებს?
- როდის დაიწყეს მხატვრებმა პერსპექტივის კანონების მიხედვით სივრცის ასახვა?
- რისთვის გამოიყენება ალბერტის ბადე?
- რა არის თავშეყრის წერტილი და სად შეიძლება იყოს ის სურათზე?
- სად გადის სურათზე ჰორიზონტის ხაზი?
- როგორ გავარკვიოთ, სად არის სურათზე თავშეყრის წერტილი და სად გადის ჰორიზონტის ხაზი?
- როგორ გამოვიყენოთ ალბერტის ბადე სასურათო სიბრტყეზე სივრცის გადმოსაცემად?

აქტივობები

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი აქტივობები:
კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, დისკუსიის სხვადასხვა ფორმა; ნიმუშების აღწერა-ანალიზი; პრაქტიკული დავალებები პერსპექტივის კანონებზე მომუშავე არქიტექტორების (ბრუნელესკისა და ალბერტის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციისა და ვიზუალური მასალის მოძიება, პრეზენტაციის შექმნა, წარდგენა; სავარჯიშოები სხვადასხვა მხატვრის მიერ შექმნილ სურათებზე თავშეყრის წერტილისა და ჰორიზონტის ხაზის მოძიების უნარის გამომუშავებაზე, ასევე, ნამუშევრის შექმნა ალბერტის ბადის გამოყენებით და საკუთარ ნამუშევარზე რეალური სივრცის გადმოცემის უნარის გამომუშავება პერსპექტივის კანონების გამოყენებით.

რესურსები

თეორიული მასალისათვის საჭირო რესურსები:
თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს დამხმარე ვიზუალური მასალა, ასევე, ვებგვერდებზე განთავსებული რესურსები.

პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო რესურსები

ფორმატები, უბრალო ფანქარი, საშლელი, ფერადი ფანქრები/გუაში/პასტელი, საწერი ფურცლები, კალამი, კომპიუტერი, პროექტორი, მუყაო, გამჭვირვალე ქაღალდი, წებო, მაკრატელი, სახაზავი. რამდენიმე სურათის ქსეროასლი.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

საგანთშორისი კავშირების დამყარების მიზნით ამ თემის ფარგლებში შესაძლებელია მოსწავლეებისათვის

რამდენიმე კომპლექსური დავალების მიცემა:

- **კავშირი გეომეტრიასთან**

  გაკვეთილები **17, 18, 19.** მოსწავლემ უნდა დაინახოს პერსპექტივის კანონების კავშირი გეომეტრიასთან.

შეფასების ინდიკატორები

თეორიული მასალის ათვისების შეფასების ინდიკატორები

- რენესანსული ეპოქის იმ რეალისტური ნამუშევრების ანალიზი, რომლებშიც სივრცე პერსპექტივის კანონების მიხედვითაა ასახული; რენესანსული სივრცის და მის გადმოსაცემად გამოყენებული ხერხების აღწერის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების უნარი **(ს.გ.საბ.3)**;
- შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშებისა და რენესანსული ნიმუშების ამოცნობის, სივრცის ასახვის თვალსაზრისით ერთმანეთთან შედარებისა და ისტორიულ, რელიგიურ და კულტურულ კონტექსტში გააზრების უნარი **(ს.გ.საბ.4)**;

პრაქტიკული უნარების გამომუშავების შეფასების ინდიკატორები

- მიზნის მისაღწევად ნამუშევარში შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენების უნარი **(ს.გ.საბ.4)**;
- ნამუშევრის შექმნისას ამოცანის დასახვისა და შემოქმედებითად გადაჭრის უნარი **(ს.გ.საბ.4)**;

ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები

- კონკრეტულ თემაზე კვლევის ჩატარების უნარი;
- წიგნიერება; ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირების და წარდგენა-გაზიარების უნარი;
- პასუხისმგებლობა; სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება;
- კრიტიკული აზროვნება; ფაქტების, წარმოდგენების, მოვლენების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხების ძიება; არგუმენტირებული მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით;
- გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება.

მკვიდრი წარმოდგენები

- შუა საუკუნეების შემდგომ, რენესანსის ეპოქაში იცვლება ადამიანის რწმენა-წარმოდგენები და მსოფლმხედველობა;
- კონკრეტული ეპოქის რწმენა-წარმოდგენები და მსოფლმხედველობა მხატვრული ხერხების ცვლილებას იწვევს;
- გარემოს/სივრცის რეალისტურად ასახვა სიბრტყეზე პერსპექტივის კანონების გამოყენებითაა შესაძლებელი და ამას დასაბამი რენესანსის ეპოქაში მიეცა;

პირველი თავის შემაჯამებელი გაკვეთილი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ შეაჯამოს მიღებული თეორიული ცოდნა, ამის საფუძველზე და შეძენილი უნარების გამოყენებით შეძლოს პრაქტიკული ნამუშევრის შესრულება. დავალების შესრულებისას მან უნდა შეძლოს ურბანული პეიზაჟის შექმნა, ნამუშევარში პერსპექტივის კანონებისა და მწვანე არქიტექტურის ელემენტების გამოყენებით; ასევე, მან უნდა შეძლოს ნამუშევრის წარდგენა, მის შესახებ მსჯელობა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების შესახებ არგუმენტირებული საუბარი, თუ როგორ და რატომ შეარჩია ისინი.

გაკვეთილის შედეგი მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- დააკვირდეს გარემოს (ბუნებას, ადამიანის შექმნილს) და დაკვირვების შედეგად აღძრული შთაბეჭდილებები, იდეები, ემოციები, გრძნობები შემოქმედებითად ასახოს ნამუშევარში **(ს.გ.საბ.1)**;
- ნამუშევრის შექმნისას, შეარჩიოს და გამოიყენოს შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები (ხაზის, ფერის, ლაქის, ფორმის გამომსახველობითი შესაძლებლობები, პერსპექტივა, მასშტაბი, კომპოზიციური განაწილება, თანაფარდობა და სხვ.), ჩვეული ან ექსპერიმენტული მასალა და ტექნიკა **(ს.გ.საბ.1, 2);**
- წერილობით ან ზეპირად გააანალიზოს საკუთარ/სხვის ნამუშევარში გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები (ხაზის, ფერის, ლაქის გამომსახველობითი შესაძლებლობები, პერსპექტივა, მასშტაბი, კომპოზიციური განაწილება, თანაფარდობა და სხვ.) და ისაუბროს საკუთარ ემოციებზე **(ს.გ.საბ.3)**;
- დავალების შესრულებისას გაითვალისწინოს არქიტექტურის ნიმუშის ისტორიული და კულტურული კონტექსტი **(ს.გ.საბ. 4).**

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური ან წყვილებში

რესურსი: სახელმძღვანელო, ინტერნეტის მეშვეობით მოძიებული ინფორმაცია

შეფასების ფორმა: შემაჯამებელი

კრიტერიუმები: განვლილი მასალის ათვისების უნარი, დაკვირვების უნარი, დაკვირვების შედეგად აღძრული შთაბეჭდილებების, იდეების, ემოციების, გრძნობების შემოქმედებითად ასახვის უნარი, ნამუშევრის შექმნისას შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების (ხაზის, ფერის, ლაქის, ფორმის გამომსახველობითი შესაძლებლობები, პერსპექტივა, მასშტაბი, კომპოზიციური განაწილება, თანაფარდობა და სხვ.) შერჩევისა და გამოყენების უნარი, ჩვეული ან ექსპერიმენტული მასალა და ტექნიკა, ჯგუფური მუშაობის უნარი, საპრეზენტაციო უნარები.

.

თემატური ბლოკი: ადამიანი – სამყაროს ცენტრი

თემატური ბლოკი 15 გაკვეთილისაგან შედგება, აქედან 8 თეორიული გაკვეთილია, ხოლო 6 – პრაქტიკული და ერთი შემაჯამებელი გაკვეთილი.
თემატური ბლოკი მოიცავს ორ სასწავლო თემას, რომლებშიც შედის შემდეგი გაკვეთილები:

I. ადამიანის რწმენა-წარმოდგენები და მისი გამოსახულება (9 გაკვეთილი)

21. ადამიანი სახის გარეშე
22. მცირე პლასტიკის ხელოვნება (პრაქტიკული)
23. მარადისობისაკენ მიმავალი ადამიანი
24. ეგვიპტური სათამაშო
25. იდეალური ადამიანი
26. მოცეკვავე კაცუნები
27. ადამიანი და მისი ხასიათი
28. სხეული – სულის ჭურჭელი
29. ძეგლის სილუეტი

II. ადამიანი და მისი მსოფლმხედველობა; ხელოვნება – ადამიანის პიროვნული რეალიზების საშუალება (6 გაკვეთილი)

30. ღირსებით აღსავსე ადამიანი
31. ცხენოსანი ქანდაკება
32. მოქანდაკის შემოქმედება
33. ადამიანის სულის ანარეკლი
34. სახასიათო პორტრეტი
35. შემაჯამებელი გაკვეთილი

სასწავლო თემა I: ადამიანის რწმენა-წარმოდგენები და მისი გამოსახულება

გაკვეთილები 21-29

21. ადამიანი სახის გარეშე
22. მცირე პლასტიკის ხელოვნება (პრაქტიკული)
23. მარადისობისაკენ მიმავალი ადამიანი
24. ეგვიპტური სათამაშო
25. იდეალური ადამიანი
26. მოცეკვავე კაცუნები
27. ადამიანი და მისი ხასიათი
28. სხეული – სულის ჭურჭელი
29. ძეგლის სილუეტი

სასწავლო თემის მიზანი

ეს სასწავლო თემა შეესაბამება საბაზო საფეხურის სტანდარტში მოცემულ ერთ-ერთ სავალდებულო თემატურ ბლოკს – ადამიანი ხელოვნებაში. სასწავლო თემის მიზანია, მის ფარგლებში მოსწავლეს გააცნოს, თუ როგორ ხედავს ადამიანი საკუთარ თავს სხვადასხვა ეპოქაში. ამ თემის ფარგლებში განხილული იქნება შემდეგი ეპოქები: უძველესი ადამიანის ეპოქა, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, რენესანსი და XVII ს; ნაჩვენები იქნება, როგორ იცვლება დამოკიდებულება ადამიანის მიმართ ეპოქების ცვლილების კვალდაკვალ. თემის მიზანია, მოსწავლემ გააცნობიეროს, რომ ყოველ კონკრეტულ ეპოქაში ადამიანის წარმოდგენა საკუთარ თავზე სხვადასხვაგვარია, შესაბამისად, მისი გამოსახულებაც განსხვავებულია და განსხვავებულია გამოსახვის ხერხებიცა და საშუალებებიც. რაც ყველაზე მთავარია, მოსწავლემ გაიგოს და გააცნობიეროს, თუ რაზეა დამოკიდებული ეს ცვლილებები; თემის მიზანია, მოსწავლემ გაიაზროს, რომ ყოველი ეპოქის წარმოდგენას ადამიანის შესახებ ამ ეპოქის მსოფლმხედველობა და კონკრეტული რწმენა-წარმოდგენები უდევს საფუძვლად. ჩვენი მიზანია, რომ ამ პროცესში მოსწავლეს განუვითარდეს მსოფლიო შედევრებზე თუ საკუთარ ან თავის თანატოლთა მიერ შექმნილ ნამუშევრებზე აზრის გამოთქმის, მსჯელობის, ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარი. გარდა ამისა, იგი გარკვეული თვალსაზრისით გაეცნოს წიგნის ამ მონაკვეთში განხილული ისტორიული ეპოქების მსოფლმხედველობას, რწმენა-წარმოდგენებსა და ღირებულებებს, რაც სამომავლოდ დაეხმარება მას საკუთარი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებაში.

თემის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მოსწავლეს პრაქტიკული დავალებების შესრულების შედეგად გამოუმუშავდება შემოქმედებითი უნარები:

ს.გ.საბ.1.ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისთვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი;

თეორიული მასალის შესწავლის შედეგად

ს.გ.საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;

ს.გ.საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

თემის ფარგლებში მოსწავლე გაეცნობა შემდეგ ცნებებს:

1. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები;**
   - დაზგური ფერწერა;
   - მონუმენტური ფერწერა;
   - მონუმენტური ქანდაკება;
   - რელიეფი;
   - მცირე პლასტიკა;
   - არქიტექტურა;
   - პორტრეტი
2. **სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება;**
   - პრეისტორიული ხანა;
   - ანტიკური ხანა (ძველი საბერძნეთი, ძველი რომი);
   - შუა საუკუნეები
3. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა;**
   - ძერწვა;
   - მოდელირება;
   - კონსტრუირება;
   - ანაბეჭდის გაკეთება;
   - ფერწერა;
   - გრაფიკა
4. **სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები);**
   - ფერი (ცივი და თბილი, კონტრასტული);
   - ფორმა (სიბრტყობრივი და მოცულობითი, გეომეტრიული და ბუნებაში არსებული);
   - ფაქტურა;
   - სილუეტი
5. **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები);**
   - კომპოზიციური განაწილება;
   - ძირითადის გამოყოფა;
   - სტატიკა და დინამიკა

თემატური საკვანძო შეკითხვები

- როგორ განაპირობებს ამა თუ იმ ეპოქის რწმენა-წარმოდგენები და მსოფლმხედველობა ნაწარმოების მხატვრულ ფორმას?

სადებატო კითხვები

- რატომ დაიწყო თავდაპირველად უძველესმა ადამიანმა მხოლოდ ცხოველების გამოსახვა გამოქვაბულების კედლებზე და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდა ადამიანის ფიგურის გამოსახვაზე?
- რას ნიშნავს „იდეალური ადამიანი“ და როგორ წარმოგიდგენიათ ის?
- არსებობს თუ არა დღეს გარეგნული სილამაზის სტანდარტები და როგორის ისინი?[1]
- თქვენი აზრით, აუცილებელია თუ არა დღვანდელი ადამიანი ესწრაფვოდეს გარეგნული სილამაზის დადგენი სტანდარტებს?

ფაქტობრივი კითხვები

- როგორ გამოსახავდნენ უძველესი ადამიანები საკუთარ თავს კედლის მხატვრობისა და პლასტიკის ნიმუშებზე?
- როგორ გამოსახავდნენ ადამიანს ძველი ეგვიპტელები?
- როგორ გამოსახავდნენ ადამიანს ძველი ბერძნები?
- როგორ გამოსახავდნენ ადამიანს ძველი რომელები?
- როგორ გამოსახავდნენ ადამიანს შუა საუკუნეების ოსტატები?

აქტივობები

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი აქტივობები:

კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, დისკუსიის ფორმები – მიკროფონი, სივრცე, მრგვალი მაგიდა; ნიმუშების აღწერა-ანალიზი სქემების გამოყენებით; პრაქტიკული დავალებები სხვადასხვა ეპოქის ადამიანის გამოსახულების შესახებ, ინფორმაციისა და ვიზუალური მასალის მოძიება, პრეზენტაციის შექმნა, წარდგენა; პლასტილინის/თიხისაგან მცირე პლასტიკის ნიმუშების დამზადება, სათამაშოს დამზადება სხვადასხვა მასალისაგან, ანაბეჭდის შექმნა სტატიკისა და დინამიკის ცნებების გამოყენებით, მასშტაბური ნამუშევრების შექმნა ინდივიდუალურად და ჯგუფურად.

რესურსები:

თეორიული გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს დამხმარე ვიზუალური მასალა, ასევე, ვებგვერდებზე განთავსებული რესურსები.

პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო რესურსები

ფორმატები, უბრალო ფანქარი, საშლელი, ფერადი ფანქრები/გუაში/პასტელი, მუყაო, თიხა/პლასტილინი, მაკრატელი, კენჭები/მეტლახის ნატეხები, ფერადი მძივები, ღილები, ფუნჯები, წყლის ჭურჭელი, საწერი ფურცლები, კალამი, კომპიუტერი, პროექტორი.

[1] ამ კითხვაზე მოსწავლე სავარაუდოდ უპასუხებს, რომ სილამაზის დღვანდელი სტანდარტები განსხვავდება ძველბერძნული იდეალისაგან. მართალია, სხვადასხვა ქვეყნის კულტურა ერთმანეთისაგან განსხვავებულ გარეგნულ იერს მიიჩნევს ლამაზად, მაგრამ საზოგადოდ აღიარებულია, რომ დღეს უფრო გამხდარი, სპორტულიო აღნაგობის სხეული იმსახურებს მოწონებას. თუმცა, სრულებით არ არის აუცილებელი ნებისმიერი ადამიანი შეესაბამებოდეს ამ სტანდარტს, რადგან ასევე ძალზე ფასობს ინდივიდუალური ნიშნების მქონე, ყველასგან გამორჩეული გარეგნობა.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

საგანთშორისი კავშირების დამყარების მიზნით ამ თემის ფარგლებში შესაძლებელია მოსწავლეებისათვის რამდენიმე კომპლექსური დავალების მიცემა:

- **კავშირი მშობლიურ ლიტერატურასთან**

  გაკვეთილი 21. მოსწავლემ უნდა მოახერხოს დააკავშიროს შულავერში აღმოჩენილი „გოგონათა ტორსები“ ქართულ ხალხურ ლექსთან „თებროლე მიდის წყალზედა“ და ამ ლექსის დასურათებისას გამოიყენოს შესაბამისი მხატვრულ-სტილისტური ხერხები;

- **კავშირი მსოფლიო ისტორიასთან**

  გაკვეთილი 27. მოსწავლემ მოიძიებს ინფორმაციას მხედართმთავარ აგრიპასა და იმპერატორ ავგუსტუსის შესახებ და შეაჯერებს ამ ინფორმაციას მათ სკულპტურულ პორტრეტებთან; მან უნდა იმსჯელოს, რამდენად არის ასახული ამ ისტორიული პირების სოციალური მდგომარეობა, ხასიათი, მათი ცხოვრების პერიპეტიები მათსავე პორტრეტებზე;

- **კავშირი საქართველოს ისტორიასთან**

  გაკვეთილი 28. მოსწავლე მოიძიებს ინფორმაციას როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის შესახებ, თუ რომელი ტაძრების აღდგენა უკავშირდება მათ სახელებს;

შეფასების ინდიკატორები

თეორიული მასალის ათვისების შეფასების ინდიკატორები

- პრეისტორიული ხანის, ძველი ეგვიპტის, ანტიკური ხანის (ძველი საბერძნეთისა და რომის), შუა საუკუნეების, კონკრეტულად კი, ადამიანის გამოსახულების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების უნარი; ამ ეპოქების ნამუშევრების შესახებ მსჯელობის, დასკვნის გამოტანისა და პირობით-სიბრტყობრივი და რეალისტური გამოსახულებების აღწერისა და ანალიზის უნარი **(ს.გ.საბ.3)**;
- პრეისტორიული ხანის, ძველი ეგვიპტის, ანტიკური ხანის (ძველი საბერძნეთისა და რომის), შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშების ამოცნობის, ერთმანეთთან შედარებისა და ისტორიულ, რელიგიურ და კულტურულ კონტექსტში გააზრების უნარი **(ს.გ.საბ.4)**;

პრაქტიკული უნარების გამომუშავების შეფასების ინდიკატორები

- მიზნის მისაღწევად ნამუშევარში შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენების უნარი **(ს.გ.საბ.4)**;
- ნამუშევრის შექმნისას ამოცანის დასახვისა და შემოქმედებითად გადაჭრის უნარი **(ს.გ.საბ.4)**;

ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები

- კონკრეტულ თემაზე კვლევის ჩატარების უნარი;
- წიგნიერება; ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირების და წარდგენა-გაზიარების უნარი;
- პასუხისმგებლობა; სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება;
- კრიტიკული აზროვნება; ფაქტების, წარმოდგენების, მოვლენების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; შეკითხვის ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება; არგუმენტირებული მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით;
- გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება.

მკვიდრი წარმოდგენები

- ამ სასწავლო თემის ფარგლებში განხილულ ეპოქებში (პრეისტორიული ხანა, ეგვიპტე, ანტიკური ხანა, ქრისტიანული შუასაუკუნეები) იცვლება ადამიანის რწმენა-წარმოდგენები, მსოფლმხედველობა და, შესაბამისად, იცვლება მხატვრული ფორმა და გამომსახველობითი ხერხები;
- ამა თუ იმ ეპოქაში შექმნილი ხელოვნების ნიმუშის მხატვრული ხერხებისა და ფორმის მიხედვით შესაძლებელია ამოვიკითხოთ ამ ეპოქის ადამინის რწმენა-წარმოდგენები და მსოფლმხედველობა.

სასწავლო თემა 2: ადამიანი და მისი მსოფლმხედველობა; ხელოვნება – ადამიანის პიროვნული რეალიზების საშუალება

გაკვეთილები 30-34

30. ღირსებით აღსავსე ადამიანი
31. ცხენოსანი ქანდაკება
32. მოქანდაკის შემოქმედება
33. ადამიანის სულის ანარეკლი
34. სახასიათო პორტრეტი

სასწავლო თემის მიზანი

ეს სასწავლო თემა შეესაბამება საბაზო საფეხურის სტანდარტში მოცემულ ერთ-ერთ სავალდებულო თემატურ ბლოკს – ადამიანი ხელოვნებაში. სასწავლო თემის მიზანია, მის ფარგლებში მოსწავლეს გააცნოს, თუ როგორ ხედავს ადამიანი საკუთარ თავს სხვადასხვა ეპოქაში. ამ თემის ფარგლებში განხილული იქნება შემდეგი ეპოქები: რენესანსი და XVII საუკუნე (ბაროკო). წარმოდგენილი იქნება, როგორ იცვლება დამოკიდებულება ადამიანის მიმართ ეპოქების ცვლილების კვალდაკვალ. თემის მიზანია, მოსწავლემ გააცნობიეროს, როგორ შეიცვალა შუა საუკუნეების შემდგომ რენესანსის ეპოქაში წარმოდგენები ადამიანზე, როგორ წამოიწია წინა პლანზე ადამიანის ინდივიდუალობამ და პიროვნულმა თვისებებმა, როგორ ჩამოყალიბდა და რას ნიშნავს ცნება – „რენესანსული ადამიანი“, შესაბამისად, როგორ გამოსახავენ რენესანსის ეპოქაში ადამიანს და რომელი მხატვრული ხერხებით ხდება მისი ასახვა. გარდა ამისა, ეს თემა მიზნად ისახავს მოსწავლეს დაანახვოს, რა ცვლილებას განიცდის ეს საკითხი ბაროკოს ეპოქაში (XVII ს-ში) და რა განაპირობებს ადამიანის რენესანსისაგან განსხვავებული დამოკიდებულების გაჩენას ამ ეპოქაში, როგორ იცვლება მსოფლმხედველობა ამ პერიოდში და როგორ აისახება ეს ხელოვნების ნიმუშებში ადამიანის გამოსახვისას. ამ პროცესში ჩვენი მიზანია, მოსწავლემ გააცნობიეროს, რა მსოფლმხედველობრივი ცვლილებები ხდება ყოველ მომდევნო ეპოქაში, რაც ცვლის ადამიანის მიმართ დამოკიდებულებას და შესაბამისად, როგორ ხელოვნებაშიც იცვლება მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები ამ პროცესის კვალად.

ჩვენი მიზანია, რომ ამ პროცესში მოსწავლეს განუვითარდეს მსოფლიო შედევრებზე თუ საკუთარ ან თავის თანატოლთა მიერ შექმნილ ნამუშევრებზე აზრის გამოთქმის, მსჯელობის, ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარი. გარდა ამისა, იგი გარკვეული თვალსაზრისით გაეცნოს წიგნის ამ მონაკვეთში განხილული ისტორიული ეპოქების მსოფლმხედველობას და ღირებულებებს, რაც სამომავლოდ საკუთარი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

თემის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მოსწავლეს პრაქტიკული დავალებების შესრულების შედეგად გამოუმუშავდება შემოქმედებითი უნარები:

ს.გ.საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისთვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი;

თეორიული მასალის შესწავლის შედეგად

ს.გ.საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;

ს.გ.საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

თემის ფარგლებში მოსწავლე გაეცნობა შემდეგ ცნებებს:

1. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**
   1. დაზგური ფერწერა
   2. მონუმენტური ფერწერა – მოზაიკა
   3. მონუმენტური ქანდაკება, ცხენოსანი ქანდაკება
   4. პორტრეტი

2. **სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება;**
   - რენესანსი;
   - XVII ს.

3. **სახვითი ხელოვნების ტექნიკა;**
   - ფერწერა;
   - გრაფიკა

4. **სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები);**
   - ფერი (ცივი და თბილი, კონტრასტული);
   - ფორმა (სიბრტყობრივი და მოცულობითი, გეომეტრიული და ბუნებაში არსებული);
   - ფაქტურა

5. **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები);**
   - კომპოზიციური განაწილება;
   - ძირითადის გამოყოფა;
   - აქცენტი

თემატური საკვანძო შეკითხვები

- როგორ განაპირობებს ამა თუ იმ ეპოქის რწმენა-წარმოდგენები და მსოფლმხედველობა ამ ეპოქაში შექმნილი ხელოვნების ნიმუშის მხატვრულ ფორმას?

სადებატო კითხვები

- ადამიანის რომელ თვისებებს მიიჩნევდნენ რენესანსის ეპოქაში ღირსეული „რენესანსული ადამიანისათვის“ მნიშვნელოვნად და დღესაც ჭირდება თუ არა ადამიანს ეს თვისებები?
- როგორ აისახა მსოფლმხედველობრივი ცვლილებები რენესანსის ხელოვნებაში?
- როგორ იცვლება ადამიანის მიმართ დამოკიდებულება XVII საუკუნეში და როგორ აისახა ეს ცვლილებები სახვითი ხელოვნების ნიმუშებში?

ფაქტობრივი კითხვები:

- როგორ გამოსახავენ ადამიანს რენესანსის ეპოქაში?
- როგორ შეიცვალა ადამიანის სახე ბაროკოს ეპოქის ხელოვნებაში?

აქტივობები

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი აქტივობები:

კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, დისკუსიის ფორმები – მრგვალი მაგიდა; ნიმუშების აღწერა-ანალიზი სქემების გამოყენებით; პრაქტიკული დავალებები სხვადასხვა ეპოქის ადამიანის გამოსახულების შესახებ, ინფორმაციისა და ვიზუალური მასალის მოძიება, პრეზენტაციის შექმნა, წარდგენა; სახასიათო პორტრეტის ცნების ათვისება, ფერწერული ან გრაფიკული საშუალებებით პორტრეტის დახატვა და წარდგენა.

რესურსები

თეორიული გაკვეთილებისთვის საჭირო რესურსები:

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს დამხმარე ვიზუალური მასალა, ასევე, ვებგვერდებზე განთავსებული რესურსები.

პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო რესურსები:

ფორმატები, უბრალო ფანქარი, საშლელი, ფერადი ფანქრები/გუაში/პასტელი, მუყაო, ფუნჯები, წყლის ჭურჭელი, საწერი ფურცლები, კალამი, კომპიუტერი, პროექტორი, წებო, მაკრატელი.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

საგანთშორისი კავშირების დამყარების მიზნით ამ თემის ფარგლებში შესაძლებელია მოსწავლეებისათვის რამდენიმე კომპლექსური დავალების მიცემა:

- **კავშირი მსოფლიო ისტორიასთან**

  გაკვეთილი 31. მოსწავლე გაეცნობა მარკუს ავრელიუსის ანტიკურ ცხენოსან ქანდაკებას, რომელიც რომში, კაპიტოლიუმის მოედანზე იდგა (ამჟამად მოედანზე ამ ქანდაკების ბრინჯაოს ასლი დგას, ხოლო ორიგინალი იქვე, მუზუმშია დაცული). ასევე გაეცნობა ამ ისტორიული პირის ცხოვრებასა და მოღვაწეობას და შეაჯერებს ამ ინფორმაციას მის სკულპტურულ პორტრეტთან.

შეფასების ინდიკატორები

თეორიული მასალის ათვისების შეფასების ინდიკატორები

- რენესანსისა და XVII ს-ის ხელოვნების, კონკრეტულად კი, ადამიანის გამოსახულების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების უნარი; ამ ეპოქების ნამუშევრების შესახებ მსჯელობის, დასკვნის გამოტანისა და პირობით-სიბრტყობრივი და რეალისტური გამოსახულებების აღწერისა და ანალიზის უნარი **(ს.გ.საბ.3)**;
- რენესანსისა და XVII ს-ის ხელოვნების ნიმუშების ამოცნობის, ერთმანეთთან შედარებისა და ისტორიულ, რელიგიურ და კულტურულ კონტექსტში გააზრების უნარი **(ს.გ.საბ.4)**;

პრაქტიკული უნარების გამომუშავების შეფასების ინდიკატორები

- მიზნის მისაღწევად ნამუშევარში შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენების უნარი **(ს.გ.საბ.4)**;
- ნამუშევრის შექმნისას ამოცანის დასახვისა და შემოქმედებითად გადაჭრის უნარი **(ს.გ.საბ.4)**;

ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები

- კონკრეტულ თემაზე კვლევის ჩატარების უნარი;
- წიგნიერება; ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირების და წარდგენა-გაზიარების უნარი;
- პასუხისმგებლობა; სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება;
- კრიტიკული აზროვნება; ფაქტების, წარმოდგენების, მოვლენების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; შეკითხვის ჩამოყალიბება და მათზე პასუხების ძიება; არგუმენტირებული მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით;
- გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება.

მკვიდრი წარმოდგენები

- ამ სასწავლო თემის ფარგლებში განხილულ ეპოქებში (რენესანსი, ბაროკო) თანმიმდევრულად იცვლება ადამიანის რწმენა-წარმოდგენები, მსოფლმხედველობა და, შესაბამისად, იცვლება ხელოვნების ნიმუშის მხატვრული ფორმა და გამომსახველობითი ხერხები;
- კონკრეტული ეპოქის რწმენა-წარმოდგენები და მსოფლმხედველობა განსაზღვრავს ნაწარმოების მხატვრულ ფორმას;

მეორე თავის შემაჯამებელი გაკვეთილი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეს განვუმტკიცოთ განვლილი ეპოქების შესახებ მიღებული ცოდნა; შევამოწმოთ, როგორ აქვს ათვისებული სახელმძღვანელოს ამ თავში განვლილი მასალა და რამდენად აქვს გამომუშავებული პრაქტიკული თუ შემოქმედებითი უნარები.

გაკვეთილის შედეგი მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- დააკვირდეს გარემოს (ბუნებას, ადამიანის შექმნილს) და დაკვირვების შედეგად აღძრული შთაბეჭდილებები, იდეები, ემოციები, გრძნობები შემოქმედებითად ასახოს ნამუშევარში **(ს.გ.საბ.1);**
- ნამუშევრის შექმნისას, შეარჩიოს და გამოიყენოს შესაბამისი **მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები** (ხაზის, ფერის, ლაქის, ფორმის გამომსახველობითი შესაძლებლობები, პერსპექტივა, მასშტაბი, კომპოზიციური განაწილება, თანაფარდობა და სხვ.), ჩვეული ან ექსპერიმენტული მასალა და ტექნიკა **(ს.გ.საბ.1,2);**
- წერილობით ან ზეპირად გააანალიზოს საკუთარ/სხვის ნამუშევარში გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები (ხაზის, ფერის, ლაქის გამომსახველობითი შესაძლებლობები, პერსპექტივა, მასშტაბი, კომპოზიციური განაწილება, თანაფარდობა და სხვ.) და ისაუბროს საკუთარ ემოციებზე **(ს.გ.საბ.3).**

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური

რესურსი: სახელმძღვანელო, ტესტი, საძერწი მასალა.

შეფასების ფორმა: შემაჯამებელი

კრიტერიუმები:

განვლილი მასალის ათვისების უნარი, დაკვირვების უნარი, დაკვირვების შედეგად აღძრული შთაბეჭდილებების, იდეების, ემოციების, გრძნობების შემოქმედებითად ასახვის უნარი, ნამუშევრის შექმნისას, შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების (ხაზის, ფერის, ლაქის, ფორმის გამომსახველობითი შესაძლებლობები, პერსპექტივა, მასშტაბი, კომპოზიციური განაწილება, თანაფარდობა და სხვ.) შერჩევისა და გამოყენების უნარი, ჩვეული ან ექსპერიმენტული მასალა და ტექნიკა, საპრეზენტაციო უნარები.

ტესტის პასუხი

1. მარადისობისკენ მიმავალი ადამიანი – ბ) ეგვიპტის ხელოვნება
2. ადამიანი სახის გარეშე – ზ) უძველესი ადამიანის ხელოვნება
3. იდეალური ადამიანი – ე) ძველი საბერძნეთის ხელოვნება
4. ადამიანი და მისი ხასიათი – ვ) ძველი რომის ხელოვნება
5. სხეული – სულის ჭურჭელი – ა) შუა საუკუნეების ხელოვნება
6. ღირსებით აღსავსე ადამიანი – გ) რენესანსის ხელოვნება
7. ადამიანის სულის ანარეკლი – დ) XVII ს-ის ხელოვნება

თემატური ბლოკი: ადამიანი და ყოველდღიურობა

თემატური ბლოკი 16 გაკვეთილისაგან შედგება, აქედან 8 თეორიული გაკვეთილია, ხოლო 7 – პრაქტიკული და ერთი შემაჯამებელი გაკვეთილი.

თემატური ბლოკი მოიცავს ოთხ სასწავლო თემას, რომლებშიც შედის შემდეგი გაკვეთილები:

I. ხელოვნების ყოფითი და ესთეტიკური დანიშნულება; ხელოვნება – საჭიროება თუ ფუფუნება.

36. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება
37. ორნამენტი – ნივთის სამკაული
38. ორნამენტი სხვადასხვა კულტურაში
39. კერამიკის ხელოვნება
40. თიხის ჭურჭელი
41. სამოსი სხვადასხვა ეპოქაში
42. კოსტიუმი და მისი დეტალები
43. ადამიანი დიზაინის გარემოში

II. ტექნიკური პროგრესის გავლენა ხელოვნებაზე; გამოსახვის ახალი საშუალებების ძიება

44. კომპიუტერული დიზაინი

III. კულტურული მემკვიდრეობა

45. წიგნის ისტორიიდან
46. ხელნაკეთი წიგნი
47. პირველი ნაბეჭდი წიგნი
48. ანბანის სამყარო

IV. ინფორმაციის მიწოდება და ზემოქმედების საშუალება

49. პლაკატის ხელოვნება
50. პლაკატი
51. შემაჯამებელი გაკვეთილი

სასწავლო თემა I. ხელოვნების ყოფითი და ესთეტიკური დანიშნულება; ხელოვნება – საჭიროება თუ ფუფუნება

გაკვეთილები 36-43

36. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება
37. ორნამენტი – ნივთის სამკაული
38. ორნამენტი სხვადასხვა კულტურაში
39. კერამიკის ხელოვნება
40. თიხის ჭურჭელი
41. სამოსი სხვადასხვა ეპოქაში
42. კოსტიუმი და მისი დეტალები
43. ადამიანი დიზაინის გარემოში

სასწავლო თემის მიზანი

სასწავლო თემის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნობიან საზოგადოებისა და ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციური და ესთეტიკური ასპექტის – დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ძირითადი ელემენტების ჩასახვის და დამოუკიდებელ სახელოვნებო დარგად მისი ჩამოყალიბების პროცესს, ზოგადად საყოფაცხოვრებო ნივთების დეკორატიული შემკობის იდეურ და ესთეტიკურ მნიშვნელობას. გააანალიზებენ ისეთი დეკორატიული ელემენტის, როგორიც არის ორნამენტი, როლსა და ადგილს დეკორატიული ხელოვნების სფეროში და გაეცნობიან მის თავისებურებებს სხვადასხვა კულტურაში; გაეცნობიან კერამიკისა და სამოსის დიზაინის კონკრეტული დარგების თავისებურებებს ეპოქებისა და სხვადასხვა კულტურის მიხედვით. იმსჯელებენ თითოეულ კულტურაში დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განსხვავებული ტრადიციების შესახებ და განავითარებენ ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზის, სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ნამუშევრების ამოცნობა/დახასიათების უნარებს. მოსწავლეები გამოიმუშავებენ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების შექმნის უნარ-ჩვევას როგორც ტრადიციული, ასევე განსხვავებული რესურსისა და მხატვრული ხერხის გამოყენებით. გაიღრმავებენ ცოდნას ადამიანის გარშემო არსებულ გარემოში დიზაინის ელემენტებისა და მათი მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობის შესახებ.

თემის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მოსწავლეს პრაქტიკული გაკვეთილების ათვისების და დავალებების შესრულების შედეგად გამოუმუშავდება შემოქმედებითი უნარები:

ს.გ.საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისთვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი;

თეორიული გაკვეთილების ათვისების და მასალის შესწავლის შედეგად გამოუმუშავდება შემდეგი უნარები:

ს.გ.საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;

ს.გ.საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

- დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და მისი დარგები;
- ხელოვნების ძირითადი ელემენტები (ხაზი, ფორმა, ფერი, სიბრტყე და სხვ.) და პრინციპები;
- გამოყენებითი ხელოვნების ზოგიერთი დარგის (კერამიკა, სამოსის დიზაინი, ინტერიერის დიზაინი, ავეჯის დიზაინი, მხატვრული მინა, სამკაული, ხის მხატვრული დამუშავება, დეკორატიული ქსოვილი) მრავალფეროვანი მასალა;
- ტერმინები: ინკრუსტაცია, დიზაინი, მეანდრი, ძიომონი, გობელენი, სტილიზაცია, მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტი;
- თიხის, ქსოვილის, ხის, ლითონისა და ძვირფასი თვლების, მინის მხატვრული დამუშავების სხვადასხვა ტექნიკა;
- სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება (შორეული აღმოსავლეთი, ანტიკური საბერძნეთი და რომი, საქართველო, დასავლეთ ევროპა).

თემატური საკვანძო შეკითხვები

- ახდენს თუ არა ზეგავლენას ორნამენტის მხატვრულ სახეზე მასალა, რომლითაც იქმნება ესა თუ ის ნივთი?

სადებატო კითხვები

- რომელი ფაქტორები განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყნის სამოსის თავისებურებებს, მის მასალას, თარგს, მხატვრულ სახეს?
- როგორ გაჩნდა ნივთების შემკობის ტრადიცია?
- ორნამენტი წარმოადგენს ნივთის სამკაულს თუ მას რაიმე სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს?
- რა ასოციაციებს იწვევს უძველესი ხანის ქართული ჭურჭლის დეკორი?

ფაქტობრივი კითხვები

- როგორია ტრადიციული ძველბერძნული აღმოსავლური სამოსი?
- რა ახასიათებს ტრადიციულ ქართულ სამოსს?
- როგორ იცვამდნენ ევროპელები XVIII-XIX სს-ში?
- რომელი ახალი დარგები გაჩნდა დღეს?
- რა არის გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტი, როგორ ხასიათდება ორნამენტი და მისი რიტმული წყობა?
- რომელია დიზაინის თანამედროვე სახეობები?
- საიდან იღებს სათავეს კერამიკა, როგორ მზადდება და იმკობა კერამიკული ჭურჭელი?
- როგორ გაჩნდა დიზაინერის პროფესია?

აქტივობები

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი აქტივობები:

კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, დისკუსიის ფორმები – საკლასო დისკუსია, მრგვალი მაგიდა; ნიმუშების აღწერა-ანალიზი სქემების გამოყენებით; პრაქტიკული დავალებები სხვადასხვა ეპოქის და კულტურის სამოსის შესახებ, მასალისა და ვიზუალური ინფორმაციის მოძიება და ესკიზების შექმნა. სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გამოყენება პრაქტიკული ნამუშევრის შესაქმნელად.

რესურსები

თეორიული გაკვეთილებისათვის საჭირო რესურსები:

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს დამხმარე ვიზუალური მასალა, ასევე, ვებგვერდებზე განთავსებული რესურსები. საწერი ფურცლები, კალამი, ფერადი ფანქრები (ესკიზებისთვის), კომპიუტერი, პროექტორი.

პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო რესურსები:

ფორმატები, უბრალო ფანქარი, საშლელი, ფერადი ფანქრები/გუაში/პასტელი, მუყაო, თიხა/პლასტილინი, მაკრატელი, გუაშის საღებავები და წყლის ჭურჭელი, ფუნჯები, ფერადი მძივები, ქსოვილები, შარფები, სამოსის ნებისმიერი აქსესუარი (ჩანაფიქრის შესაბამისად), საწერი ფურცლები, კალამი.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

საგანთშორისი კავშირების დამყარების მიზნით ამ თემის ფარგლებში შესაძლებელია მოსწავლეებისათვის რამდენიმე კომპლექსური დავალების მიცემა:

ინტეგრირება მსოფლიო ისტორიასთან

გაკვეთილი 41, 42;

- თანამედროვე სამოსის ნიმუშების შექმნა, რომლებშიც ამა თუ იმ ეპოქის ან ქვეყნის ტრადიციული სამოსის ელემენტებია გამოყენებული.

ინტეგრირება კომპიუტერულ წიგნიერებასთან

გაკვეთილი 43;

- საკუთარი ოთახის ინტერიერის ესკიზის შექმნა კომპიუტერული დიზაინის გამოყენებით.

შეფასების ინდიკატორები

თეორიული მასალის ათვისების შეფასების ინდიკატორები

- სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის (მაგ.: კერამიკა, ხის ნაწარმი, სამკაული, სამოსის დიზაინი და სხვ.) ნიმუშების აღწერა/ანალიზის, ინტერპრეტირებისა და შეფასების უნარები **(ს.გ.საბ. 3);**
- სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ამოცნობისა და შედარების უნარი, შესაბამისი კულტურის ესთეტიკური ნორმების და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით **(ს.გ.საბ.4)**;

პრაქტიკული უნარების გამომუშავების შეფასების ინდიკატორები

- ჩანაფიქრის და მოცემულობის შესაბამისი მასალის და გამომსახველობითი ხერხების შერჩევა და მიზნის მისაღწევად მათი შემოქმედებითად გამოყენება **(ს.გ.საბ. 1.);**
- შემოქმედებითი ამოცანის დასახვისა და მის გადასაჭრელად მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მასალის, ტექნიკის შერჩევის უნარი **(ს.გ.საბ.2);**

ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები

- სხვადასხვა გზით თეორიული და ვიზუალური ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, გააზრების, სისტემატიზაციის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციის, კომუნიკაციის დამყარების უნარი;
- სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის ინტეგრირების უნარი დასახული მიზნის მისაღწევად;
- კრიტიკული ანალიზის უნარი;
- დროის სწორად ორგანიზების უნარი;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარი.

მკვიდრი წარმოდგენები

- საყოფაცხოვრებო საგნების დეკორით შემკობის ტრადიცია განსხვავდება სხვადსხვა ეპოქასა და კულტურაში;
- დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები ასახავს შესაბამისი ეპოქის ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებს და ესთეტიკურ იდეალებს;
- დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში უტყუარი ინფორმაციის წყაროა შესაბამისი ეპოქის და კულტურის ხასიათის შესახებ;
- დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის მასალა და დანიშნულება განაპირობებს მისი შემკობის ხასიათს და სტილს;
- თანამედროვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებში თავისებურად აისახება სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის ტრადიციული ელემენტები;
- ბუნებრივი და ხელოვნური მასალა და მათი შემოქმედებითი გამოყენება მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების და მრავალფეროვანი ტექნიკის დახმარებით შესაძლებელს ხდის, ხორცი შეესხას მხატვრულ ჩანაფიქრს.

სასწავლო თემა II – ტექნიკური პროგრესის გავლენა ხელოვნებაზე; გამოსახვის ახალი საშუალებების ძიება

გაკვეთილი 44

44. კომპიუტერული დიზაინი

სასწავლო თემის მიზანი

სასწავლო თემის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნობიან ეროვნული სასწავლო გეგმის თემატური ბლოკის – საზოგადოებისა და ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის – ტექნიკური პროგრესის შედეგად წარმოშობილი ხელოვნების თანამედროვე დარგის, კერძოდ, კომპიუტერული დიზაინის ძირითად პრინციპებს. სახელმძღვანელო და გაკვეთილი დაეხმარება მოსწავლეს ახლებურად დაინახოს კომპიუტერის არა მხოლოდ როგორც კომუნიკაციის საშუალების, არამედ როგორც ხელოვნების ახალი დარგის შესაძლებლობები; თავისი ძალები მოსინჯოს დასმული მარტივი შემოქმედებითი ამოცანის გადაჭრაში, მოახდინოს სახელოვნებო და კომპიუტერული წიგნიერების სფეროებში მიღებული ცოდნის ინტეგრაცია და გამოიმუშაოს დასმული ამოცანის შემოქმედებითად გადაჭრის უნარ-ჩვევა. მოსწავლე გააცნობიერებს კომპიუტერული დიზაინის ფართო შესაძლებლობებს ყველასთვის კარგად ცნობილი ანიმაციური და მხატვრული კინემატოგრაფის ნიმუშების მაგალითზე. კომპიუტერული დიზაინის შესაძლებლობების გამოყენებით განუვითარდება ჩანაფიქრის მხატვრულად ხორცშესხმის უნარ-ჩვევა. მოსწავლე გააცნობიერებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში (მაგ.: ფიზიკა, გეომეტრია), ასევე ციფრული წიგნიერების სფეროში მიღებული ცოდნის ინტეგრირების აუცილებლობას სახელოვნებო განათლებასთან კონკრეტული ამოცანის გადაჭრის ფარგლებში.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

მოსწავლეს გამოუმუშავდება შემოქმედებითი უნარები:

ს.გ.საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისთვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

- ხელოვნების ახალი დარგი – კომპიუტერული დიზაინი;
- სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები (ხაზი, ფორმა, ფერი, სიბრტყე, მოცულობა, დაცემული ჩრდილი, დაშტრიხვა, ფერის გრადაცია, რაკურსი, განათება და სხვ.) და პრინციპები;
- ანიმაციური და მხატვრული კინოინდუსტრია;
- კომპიუტერული მხატვრული ეფექტი.

თემატური საკვანძო შეკითხვები

- რატომ გაჩნდა კომპიუტერული (ციფრული) დიზაინის გამოყენების აუცილებლობა?
- რა უნარების ქონას მოითხოვს კომპიუტერული დიზაინი ადამიანისგან და რატომ?
- რომელ სფეროებში არსებული ცოდნაა აუცილებელი კომპიუტერული დიზაინის შექმნისას?

სადებატო კითხვები

- რომელი ჩანაფიქრის განსახორციელებლად გამოიყენებდით ციფრულ წიგნიერებას, კონკრეტულად კი, კომპიუტერულ დიზაინს?

ფაქტობრივი კითხვები

- რომელი მხატვრული ან ანიმაციური ფილმის პერსონაჟები ან გარემო არის შექმნილი კომპიუტერის დახმარებით?
- რომელი ახალი პროფესიები გაჩნდა ხელოვნების ახალი დარგის- კომპიუტერული დიზაინის განვითარების შედეგად?
- თანამედროვე ხელოვნების რომელ სფეროებში გვხვდება ყველაზე ხშირად კომპიუტერული დიზაინის ნიმუშები?
- თანამედროვე ყოფის რომელ სფეროებში ხვდება ადამიანი ყოველდღიურად კომპიუტერული დიზაინის ნიმუშებს?

აქტივობები

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი აქტივობები:

კითხვა-პასუხი, დისკუსია, წარმოდგენილი პერსონაჟების დახასიათება და ანალიზი (ნიმუშების აღწერა-ანალიზი სქემების გამოყენებით); კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამის გამოყენება პრაქტიკული ნამუშევრის შესაქმნელად.

რესურსები

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს დამხმარე ვიზუალური მასალა, ასევე, ვებგვერდებზე განთავსებული ელექტრონული რესურსები, საწერი ფურცლები, კალამი, ფერადი ფანქრები (ესკიზებისთვის), კომპიუტერი, პროექტორი.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

საგანთშორისი კავშირების დამყარების მიზნით ამ თემის ფარგლებში შესაძლებელია მოსწავლეებისათვის რამდენიმე კომპლექსური დავალების მიცემა:

ინტეგრირება მსოფლიო ისტორიასთან და მშობლიურ ლიტერატურასთან:

- რეალურად არსებული ან მითოლოგიური პერსონაჟის ესკიზის შექმნა კომპიუტერული დიზაინის გამოყენებით;
- რეალურად არსებული ან წარმოსახვითი გარემოს შექმნა რომელიმე ისტორიული ეპიზოდის დასასურათებლად კომპიუტერული დიზაინის გამოყენებით;
- მხატვრული ნაწარმოების რომელიმე ეპიზოდის დასურათება კომპიუტერული დიზაინის გამოყენებით;

ინტეგრირება გეოგრაფიასთან და საბუნებისმეტყველო საგნებთან:

- რეალური ან წარმოსახვითი გეოგრაფიული გარემოს შექმნა კომპიუტერული დიზაინის გამოყენებით;
- რეალური ან წარმოსახვითი ფლორისა ან/და ფაუნის შექმნა კომპიუტერული დიზაინის გამოყენებით

ინტეგრირება ციფრული წიგნიერების საგანთან;

- სხვადასხვა კომპიუტერული (მათ შორის, სახატავი) პროგრამის დახმარებით სასურველ თემაზე ნამუშევრის შექმნა.

შეფასების ინდიკატორები

თეორიული ვიზუალური მასალის გაცნობისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავების შეფასების ინდიკატორები

- ჩანაფიქრის განსახორციელებლად გამომსახველობითი ხერხების, კომპიუტერული პროგრამის ფუნქციების შერჩევა და მიზნის მისაღწევად მათი შემოქმედებითად გამოყენება **(ს.გ.საბ. 1.)**;
- ნამუშევრის შექმნისას შემოქმედებითი ამოცანის დასახვა და მისი გადაჭრა ადეკვატურად შერჩეული ტექნიკური ხერხების გამოყენებით **(ს.გ.საბ. 2).**

ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები

- შემოქმედებითი ამოცანის დასახვისა და განხორციელების უნარი;
- თეორიული და ვიზუალური მასალის მოძიების და პრაქტიკულ სამუშაოში მათი გამოყენების უნარი;
- დროის სწორად ორგანიზების უნარი;
- საპრეზენტაციო უნარები;
- სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის ინტეგრირების უნარი დასახული მიზნის მისაღწევად;
- ინდივიდულაური და ჯგუფური მუშაობის უნარი.

მკვიდრი წარმოდგენები

- კომპიუტერული დიზაინის გამოყენება შესაძლებელია როგორც სახელოვნებო, ასევე თანამედროვე ცხოვრების ბევრ სხვადასხვა სფეროში;
- ანიმაციასა და მხატვრულ კინოინდუსტრიაში კომპიუტერული დიზაინი სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებს;
- ციფრული წიგნიერება და მათ შორის, კომპიუტერული დიზაინის ძირითადი პრინციპების ცოდნა აუცილებელია ნებისმიერი პროფესიის ადამიანისათვის, ყოველდღიური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში;
- კომპიუტერული დიზაინის დახმარებით შესაძლებელია როგორც ტექნიკური ვიზუალური ამოცანების გადაჭრა, ასევე, წარმოსახვითი რეალობის ასახვა.

სასწავლო თემა III. – კულტურული მემკვიდრეობა

გაკვეთილები 45-48

45. წიგნის ისტორიიდან
46. ხელნაკეთი წიგნი
47. პირველი ნაბეჭდი წიგნი
48. ანბანის სამყარო

სასწავლო თემის მიზანი

სასწავლო თემის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნობიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის თემატური ბლოკის – საზოგადოებისა და ხელოვნების ერთ-ერთ სასწავლო თემას, რომელიც ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის ფენომენის და კონკრეტულად წიგნის, როგორც ინფორმაციისა და ცოდნის შენახვისა და გადაცემის ფუნქციას ეხება. მოსწავლე შეიძენს ცოდნას წიგნის, როგორც კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი მონაპოვრის შესახებ, განუვითარდება მისი ისტორიული ტიპოლოგიის გარჩევის უნარი; შეიძენს საკუთარი ხელით წიგნის დამზადების კომპეტენციას; ასევე გამოუმუშავდება ანბანის სხვადასხვა სახეობის შერჩევის და მიზანდასახულად გამოყენების უნარ-ჩვევა. მოსწავლე გაიღრმავებს წყვილებში ან ჯგუფური მუშაობის და საკუთარი ფუნქციების შემოქმედებითად შესრულების უნარ-ჩვევას.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

მოსწავლეს პრაქტიკული გაკვეთილების ათვისების და დავალებების შესრულების შედეგად გამოუმუშავდება შემოქმედებითი უნარები:

ს.გ.საბ.1.ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისთვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი;

თეორიული გაკვეთილების ათვისების და მასალის შესწავლის შედეგად გამოუმუშავდება შემდეგი უნარები:

ს.გ.საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;

ს.გ.საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

- ხელნაკეთი წიგნების სახეობები და ტიპები ეპოქებისა და კულტურების მიხედვით; წიგნის სხვადასხვა სახეობის კავშირი კონკრეტული ეპოქის ან ქვეყნის კულტურის ხასიათთან და მის თავისებურებებთან;
- ხელნაწერი წიგნის შემკობის ტრადიცია, სახვითი ხელოვნების გამომსახველობის საშუალებები (ელემენტები): ხაზი, ფორმა, ფერი, სიბრტყე/ფონი, მოცულობა და სხვ;
- ხელნაწერ წიგნთან დაკავშირებული ტერმინები: გრაგნილი, კოდექსი, ფოთხი, პაპირუსი, პერგამენტი, სინგური, მინიატურა, ოქროს მელანი;
- ნაბეჭდ წიგნთან დაკავშირებული ტერმინები: ბეჭდვის უძველესი ტექნოლოგიები, წიგნის საბეჭდი მანქანა, შრიფტი, ანბანი, ტირაჟი;
- პრაქტიკულ სამუშაოსთან დაკავშირებული ცნებები: მასალის მიზანმიმართულად არჩევა, მინიატურის ხელოვნება, ხელნაწერი წიგნის შემკობის ტექნიკა.

თემატური საკვანძო შეკითხვები

- როგორ იცვლება ხელნაწერი წიგნის ფორმა ეპოქების და ქვეყნების მიხედვით?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა სტამბის დაარსებას და ნაბეჭდი წიგნის გამოცემას საქართველოში?

სადებატო კითხვები

- რით იყო გამოწვეული შუა საუკუნეების ხელნაწერ წიგნთა ოსტატების თავმდაბლობა, რატომ არ აწერდნენ ისინი ნამუშევრებს ხელს? რა განსხვავებაა ამ მხრივ შუასაუკუნეებისა და თანამედროვე ხელოვანებს შორის და რა განაპირობებს ამ განსხვავებას? თქვენ რომელ პოზიციას იზიარებთ და რატომ?
- შესაძლებელია თუ არა ელექტრონულმა წიგნმა სრულიად ჩაანაცვლოს ნაბეჭდი წიგნი და მთლიანად შეითავსოს მისი ფუნქციები?
- ქართული შრიფტის რომელი სახეობა მიგაჩნიათ თანამედროვედ და რატომ?

ფაქტობრივი კითხვები

- რა არის გრაგნილი და კოდექსი?
- რისგან და როგორ მზადდება საწერი მასალა: პაპირუსი, პერგამენტი?
- საიდან იღებს სათავეს თანამედროვე წიგნი?
- რატომ უწოდებენ სახარებას ოთხთავს?
- რა ფაქტორები გაითვალისწინეთ ხელნაკეთი წიგნის ფორმის შერჩევისას და როგორ აირჩიეთ ხელნაკეთი წიგნის მასალა?
- სად და როდის გამოიგონეს წიგნის ბეჭდვის ტექნოლოგია?

აქტივობები

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი აქტივობები:
კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, საკლასო დისკუსია, წყვილებში და ჯგუფურად მუშაობა, ნიმუშების აღწერა-ანალიზი სქემების გამოყენებით; პრაქტიკული დავალებები სხვადასხვა ეპოქის და კულტურისთვის დამახასიათებელი ხელნაკეთი წიგნის დასამზადებლად, თეორიული ინფორმაციის და ვიზუალური მასალის მოძიება სხვადასხვა ეპოქის ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების შესახებ. ვიზუალური მასალის მოძიება სხვადასხვა სახის ქართული შრიფტის შესახებ. სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გამოყენება პრაქტიკული ნამუშევრის შესაქმნელად.

რესურსები

თეორიული გაკვეთილებისათვის საჭირო რესურსები:

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს დამხმარე ვიზუალური მასალა, ასევე, ვებგვერდებზე განთავსებული რესურსები. საწერი ფურცლები, კალამი, კომპიუტერი, პროექტორი.

პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო რესურსები:

ფურცლები, უბრალო ფანქარი, საშლელი, ფერადი ფანქრები, აკვარელის საღებავი, მუყაო, მაკრატელი, ბაწარი, ხის ტოტები, წყლის ჭურჭელი, ფუნჯები, საწერი ფურცლები, კალამი, კომპიუტერი, პროექტორი.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

საგანთშორისი კავშირების დამყარების მიზნით ამ თემის ფარგლებში შესაძლებელია მოსწავლეებისათვის რამდენიმე კომპლექსური დავალების მიცემა:

ინტეგრირება მშობლიურ ლიტერატურასთან, მსოფლიო ისტორიასთან

გაკვეთილი 45, 46;

- ხელნაწერი წიგნის დამზადება და შემკობა სხვადასხვა კულტურის ტრადიციული ფორმით;
- რომელიმე ქვეყნის ისტორიული, მითოლოგიური სიუჟეტის არჩევა ხელნაკეთი წიგნის დასურათებისას.

შეფასების ინდიკატორები

თეორიული მასალის ათვისების შეფასების ინდიკატორები

- სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის ხელნაწერი წიგნის ფორმებისა და შემკულობის ნიმუშების აღწერა/ანალიზის, ინტერპრეტირებისა და შეფასების უნარები **(ს.გ.საბ. 3);**
- სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელნაწერი წიგნების, შრიფტების ნიმუშების ამოცნობისა და შედარების უნარი, შესაბამისი კულტურის ესთეტიკური ნორმების და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით **(ს.გ.საბ.4)**.

პრაქტიკული უნარების გამომუშავების შეფასების ინდიკატორები

- ჩანაფიქრის და მოცემულობის შესაბამისი მასალის და გამომსახველობითი ხერხების შერჩევა და მიზნის მისაღწევად მათი შემოქმედებითად გამოყენება **(ს.გ.საბ. 1.);**
- შემოქმედებითი ამოცანის დასახვისა და მის გადასაჭრელად მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მასალის, ტექნიკის შერჩევის უნარი **(ს.გ.საბ.2).**

ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები

- სხვადასხვა გზით თეორიული და ვიზუალური ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, გააზრების, სისტემატიზაციის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციის, კომუნიკაციის დამყარების უნარი;
- სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის ინტეგრირების უნარი დასახული მიზნის მისაღწევად;
- ხელნაწერი წიგნების ხელოვნების ანალიზის უნარი განსხვავებული კულტურის კონტექსტში;
- დროის სწორად ორგანიზების უნარი;
- ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური მუშაობის უნარი.

მკვიდრი წარმოდგენები

- წიგნს სხვადასხვა ფორმა აქვს უძველეს კულტურებში;
- თანამედროვე წიგნის ფორმა სათავეს იღებს რომაული კოდექსიდან;
- ხელნაწერი წიგნის დეკორით შემკობის ტრადიცია განსხვავდება სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში. მასში ნათლად აირეკლება ეპოქის ესთეტიკა, მსოფლმხედველობა, რწმენა-წარმოდგენები;
- ხელნაწერი წიგნის მასალა მჭიდროდ უკავშირდება ამა თუ იმ ეპოქის გეოგრაფიულ მდებარეობას და ბუნებრივ რესურსებს;
- წიგნი ინფორმაციის შენახვის და თაობათათვის მისი გადაცემის შეუცვლელი საშუალებაა;
- ელექტრონული წიგნი ზოგადად ცოდნის გადაცემის თანამედროვე საშუალებაა;
- შრიფტის სახესხვაობა ასახავს ეპოქის ესთეტიკურ იდეალებს.

სასწავლო თემა IV. ინფორმაციის მიწოდება და ზემოქმედების საშუალება

გაკვეთილები 49-50

49. პლაკატის ხელოვნება
50. პლაკატი

სასწავლო თემის მიზანი

სასწავლო თემის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნობიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის სტანდარტის თემატური ბლოკის – „საზოგადოებისა და ხელოვნების“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას – პლაკატის (აფიშის, პოსტერის) ხელოვნებას, რომელიც მოსწავლეს გამოუმუშავებს ინფორმაციის ლაკონური ფორმით გადაცემის, ზემოქმედების მოხდენის ეფექტიან უნარ-ჩვევებს. მოსწავლეს განუვითარდება საზოგადოების ფართო ფენებთან „ურთიერთობის“ სპეციფიკური კომპეტენცია სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტების და პრინციპების (ხაზი, ფორმა, ფერი, კონტრასტი, მასშტაბი და სხვ.) გამოყენებით. გამოუმუშავდება აგრეთვე პლაკატის/აფიშის პრაქტიკულად დამზადების, მასალის და ტექნიკის ადეკვატურად შერჩევის და შემოქმედებითად განხორციელების უნარ-ჩვევები. სასწავლო თემის ფარგლებში მოსწავლე გააცნობიერებს სხვადასხვა დანიშნულების (პოლიტიკური, სააგიტაციო, აქტუალური თემატიკა) მქონე ნამუშევრების შექმნის სპეციფიკას.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

მოსწავლეს პრაქტიკული გაკვეთილების ათვისების და დავალებების შესრულების შედეგად გამოუმუშავდება შემოქმედებითი უნარები:

ს.გ.საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისთვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი;

თეორიული გაკვეთილების ათვისების და მასალის შესწავლის შედეგად გამოუმუშავდება შემდეგი უნარები:

ს.გ.საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;

ს.გ.საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

- საზოგადოების ფართო მასებთან ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა – პლაკატი და მის დანიშნულებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფორმა: აფიშა, პოსტერი;
- პლაკატის დამზადების და ტირაჟირების ტექნოლოგია;
- სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტების და პრინციპების გამოყენების ფორმები პლაკატის ფუნქციასთან მიმართებით;
- პლაკატის ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინები: აფიშა, პოსტერი, ლითოგრაფია.

თემატური საკვანძო შეკითხვები

- რამ განაპირობა პლაკატის წარმოშობის აუცილებლობა?
- რა როლს ასრულებს პლაკატი საზოგადოების ცხოვრებაში?

სადებატო კითხვები

- რამდენად განაპირობებს პლაკატის ფუნქცია სახვითი გამომსახველობითი საშუალებების არჩევას?
- სახვითი და ვიზუალური ხელოვნების რომელი სფეროების ინტეგრაციაა შესაძლებელი პლაკატის/ აფიშის/პოსტერის შექმნისას?

ფაქტობრივი კითხვები

- რა არის პლაკატი?
- სად და როგორ წარმოიშვა პლაკატი?
- რა ტიპის პლაკატები არსებობს?
- რა არის აფიშა, პოსტერი?
- რომელი გამომსახველობითი საშუალებები ან სახვითი ხელოვნების რომელი პრინციპები შეიძლება გამოიყენო საკუთარი ხელით დასამზადებელი პლაკატის შექმნისას?

აქტივობები

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი აქტივობები:

კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, ნიმუშების აღწერა-ანალიზი სქემების გამოყენებით; ინტერაქტივი (საძიებო და სადებატო კითხვებზე პასუხი), პრაქტიკული დავალებების შესრულება შესაბამისი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით.

რესურსები

თეორიული გაკვეთილებისათვის საჭირო რესურსები:

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს დამხმარე ვიზუალური მასალა, ასევე, ვებგვერდებზე განთავსებული რესურსები. საწერი ფურცლები, კალამი, ფერადი ფანქრები (ესკიზებისთვის), კომპიუტერი, პროექტორი.

პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო რესურსები:

ფორმატები, უბრალო ფანქარი, საშლელი, ფერადი ფანქრები/გუაში/პასტელი, მუყაო, ჟურნალებიდან ამოჭრილი ფოტოები, მაკრატელი, გუაშის საღებავები და წყლის ჭურჭელი, ფუნჯები, საწერი ფურცლები, კალამი, კომპიუტერი, პროექტორი.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

საგანთშორისი კავშირების დამყარების მიზნით ამ თემის ფარგლებში შესაძლებელია მოსწავლეებისათვის რამდენიმე კომპლექსური დავალების მიცემა:

ინტეგრირება ნებისმიერ სასკოლო დისციპლინასთან, მათ შორის, ციფრულ წიგნიერებასთან

გაკვ. 50.

- თანამედროვე პლაკატის შექმნა აქტუალურ თემაზე (ეკოლოგია, ცხოველთა დაცვა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ჯანსაღი ცხოვრების წესი და სხვ.). პლაკატის შექმნა ფოტოხელოვნების, კომპიუტერული დიზაინის ნიმუშების გამოყენებით.

შეფასების ინდიკატორები

თეორიული მასალის ათვისების შეფასების ინდიკატორები

- სხვადასხვა ტიპის პლაკატის ანალიზის უნარი გამოყენებული სახვითი ელემენტებისა და ხერხების მიხედვით **(ს.გ.საბ. 3);**
- სხვადასხვა სტილის ნამუშევრის ანალიზი ისტორიული, სოციალური, კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით **(ს.გ.საბ.4)**;

პრაქტიკული უნარების გამომუშავების შეფასების ინდიკატორები

- ჩანაფიქრის და მოცემულობის შესაბამისი მასალის და გამომსახველობითი ხერხების შერჩევა და მიზნის მისაღწევად მათი შემოქმედებითად გამოყენება **(ს.გ.საბ. 1.);**
- შემოქმედებითი ამოცანის დასახვისა და მის გადასაჭრელად მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის შერჩევის უნარი **(ს.გ.საბ.2)**

ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები

- სხვადასხვა გზით თეორიული და ვიზუალური ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, გააზრების, სისტემატიზაციის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციის, კომუნიკაციის დამყარების უნარი;
- სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის და კომპეტენციების ინტეგრირების უნარი დასახული მიზნის მისაღწევად;
- მედიაწიგნიერება, ციფრული (კომპიუტერული) წიგნიერება;
- ეკოლოგიური წიგნიერება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პრიორიტეტად დასახვის უნარი;
- სემიოტიკური კომპეტენცია ანუ ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის უნარი;
- სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია;
- დროის სწორად ორგანიზების უნარი;
- კონსტრუქციული თანამშრომლობის უნარი.

მკვიდრი წარმოდგენები

- პლაკატის შექმნისას მისი დანიშნულება განაპირობებს კონკრეტული მხატვრული ხერხების არჩევანს;
- პლაკატის ხელოვნების საუკეთესო ნამუშევრებში მხატვრული ფორმით ინტეგრირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებული მრავალფეროვანი ინფორმაცია;
- პლაკატი/აფიშა/პოსტერი სახვითი, გამოყენებითი და მედიახელოვნების გამომსახველობით ელემენტებს, ხერხებსა და ტექნიკას იყენებს საკუთარი მიზნების მისაღწევად, მხატვრული ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად.

მესამე თავის შემაჯამებელი გაკვეთილი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ შეაჯამოს მიღებული თეორიული ცოდნა, ამის საფუძველზე და შეძენილი უნარების გამოყენებით შეძლოს პრაქტიკული ნამუშევრის შესრულება. დავალების შესრულებისას მან უნდა შეძლოს სასურველი ლიტარატურული ნაწარმოების დასურათება (შერჩეული ეპიზოდების ილუსტრაციები) ჩანაფიქრის შესაბამისი გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით. ნამუშევრის წარდგენისას უნდა დაასაბუთოს საკუთარი არჩევანი და ისაუბროს, რატომ შეარჩია კონკრეტული საშუალებები და რის გადმოცემას (როგორი შთაბეჭდილების აღძვრას) ისახავდა მიზნად.

გაკვეთილის შედეგი

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ლიტერატურულ ნამუშევარში შეარჩიოს რამდენიმე ეპიზოდი და დაასურათოს ისინი მხატვრული გამომსახველობითი ელემენტების გამოყენებით. შერჩეული ეპიზოდების დასურათებისას შეეცადოს, შემოქმედებითად ასახოს ნამუშევარში საკუთარი შთაბეჭდილებები, იდეები, ემოციები, გრძნობები **(ს.გ.საბ.1);**
- ნამუშევრის შექმნისას შეარჩიოს და გამოიყენოს შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები (ხაზის, ფერის, ფერთა შეხამების ან კონტრასტის, ლაქის, ფორმის გამომსახველობითი შესაძლებლობები, კომპოზიცია, რიტმი და სხვ.), ჩვეული ან ექსპერიმენტული მასალა და ტექნიკა **(ს.გ.საბ.1,2);**
- წერილობით ან ზეპირად გააანალიზოს საკუთარ/სხვის ნამუშევარში გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები და ისაუბროს საკუთარ ემოციებზე **(ს.გ.საბ.3);**
- დავალების შესრულებისას გაითვალისწინოს ლიტერატურული ნაწარმოების ისტორიული და კულტურული კონტექსტი **(ს.გ.საბ. 4).**

მესამე თავის შემაჯამებელი გაკვეთილი

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური

რესურსი: სახელმძღვანელო, ლიტერატურული ნაწარმოების ტექსტი (მასწავლებელი აწვდის წინასწარ მომზადებულ რესურსს) ან ტექსტის მოძიება და შერჩევა ხდება ინტერნეტის მეშვეობით, სახატავი მასალა, სახატავი ფორმატი.

შეფასების ფორმა: შემაჯამებელი

კრიტერიუმები: განვლილი მასალის ათვისების უნარი, დაკვირვების უნარი, დაკვირვების შედეგად აღძრული შთაბეჭდილებების, იდეების, ემოციების, გრძნობების შემოქმედებითად ასახვის უნარი, ნამუშევრის შექმნისას, შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების (ხაზის, ფერის, ფერთა შეხამების ან კონტრასტის, ლაქის, ფორმის გამომსახველობითი შესაძლებლობები, კომპოზიციის აგების პრინციპი, რიტმი და სხვ.) შერჩევისა და გამოყენების უნარი. სახატავი მასალის და ტექნიკის გამოყენების უნარი, პრეზენტაციის უნარი, თვითშეფასება.

თემატური ბლოკი: ადამიანი და ყოველდღიურობა

თემატური ბლოკი 15 გაკვეთილისაგან შედგება, აქედან 9 თეორიული გაკვეთილია, ხოლო 5 – პრაქტიკული და ერთი შემაჯამებელი გაკვეთილი.

თემატური ბლოკი მოიცავს სამ სასწავლო თემას, რომლებშიც შედის შემდეგი გაკვეთილები:

I. სამყაროს მრავალფეროვანი ასახვის გზები – სტილები, მიმდინარეობები, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები და თვითგამოხატვა, ემოციები, გრძნობები, იდეები, შეხედულებები, წარმოდგენები

52. შთაბეჭდილების ხელოვნება
53. ხელოვნების ნიმუში – შთაგონების წყარო
54. „ძველი“ და „ახალი“ მენინები

II. გამოსახვის ახალი საშუალებების ძიება და თვითგამოხატვის თანამედროვე ფორმები

55. ანრი მატისი-„დიდი ბავშვი“
56. მაკრატლით „ხატვა“
57. მზერა მომავლისკენ
58. კუბიზმი
59. აბსტრაქციონიზმი
60. აბსტრაქციონისტული ნამუშევარი

III. გარემოს მოდელირება და ხელოვნება – ზემოქმედების საშუალება

61. სტრიტარტი
62. „დიდი ზომის“ ხელოვნება
63. ლენდარტი საკუთარი ხელით
64. ძველი და ახალი ქალაქი
65. რეკლამა
66. შემაჯამებელი გაკვეთილი

სასწავლო თემა I. სამყაროს მრავალფეროვანი ასახვის გზები – სტილები, მიმდინარეობები, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები და თვითგამოხატვა, ემოციები, გრძნობები, იდეები, შეხედულებები, წარმოდგენები

გაკვეთილები 52-54

52. შთაბეჭდილების ხელოვნება
53. ხელოვნების ნიმუში – შთაგონების წყარო
54. „ძველი“ და „ახალი“ მენინები

სასწავლო თემის მიზანი

სასწავლო თემის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნობიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის სტანდარტის თემატური ბლოკის – საზოგადოებისა და ხელოვნების საინტერესო სასწავლო თემას, რომელიც სამყაროს მრავალფეროვანი ასახვის გზებზე – სტილებზე, მიმდინარეობებზე, მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებსა და თვითგამოხატვაზე მოუთხრობს მოსწავლეს. მოსწავლე ივითარებს ასევე, ემოციების, გრძნობების, იდეების, შეხედულებების და წარმოდგენების მხატვრულ ნაწარმოებში „ამოკითხვის“ უნარს. პრაქტიკული დავალების შესრულებისას მოსწავლეს უღრმავდება გამომსახველობითი საშუალებების მეშვეობით შთაბეჭდილების და ემოციის ასახვის უნარი. განუვითარდება ხელოვნების რომელიმე კონკრეტული ნაწარმოების შთაგონებით საკუთარი ნამუშევრის შექმნის უნარ-ჩვევა. მოსწავლე გააცნობიერებს, რომ თავად ხელოვნების სამყაროში ესა თუ ის ნაწარმოები სხვა ეპოქის ხელოვანებისთვის იქცევა შთაგონების წყაროდ.

თემის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მოსწავლეს პრაქტიკული გაკვეთილების ათვისების და დავალებების შესრულების შედეგად გამოუმუშავდება შემოქმედებითი უნარები:

ს.გ.საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისთვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი; თეორიული გაკვეთილების ათვისების და მასალის შესწავლის შედეგად გამოუმუშავდება შემდეგი უნარები;

ს.გ.საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;

ს.გ.საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

- სახვითი ხელოვნების მიმდინარეობები (იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი);
- სახვითი ხელოვნების საშუალებები (ხაზი, ფორმა, ფერი და ა.შ.) და პრინციპები (ფერთა კონტრასტული შეხამება, სპირალური მონასმი; ლოკალური ფერი და სხვ.);
- სახვითი ხელოვნების ტექნიკა;
- სახვითი ხელოვნება თანამედროვე ეპოქაში.

თემატური საკვანძო შეკითხვები

- რა განასხვავებს იმპრესიონისტების ნაწარმოებებს კლასიკური მხატვრობის ნაწარმოებებისგან?
- რით განსხვავდება ერთმანეთისგან იმპრესიონისტი და პოსტიმპრესიონისტი მხატვრების ნამუშევრები?
- განსხვავდება თუ არა იმპრესიონისტი ქალი მხატვრის ბერტა მორიზოსა და ამავე მიმდინარეობის მამაკაცი მხატვრის კლოდ მონეს ნამუშევრები ერთმანეთისაგან მხატვრული დონით?

სადებატო კითხვები

- როგორ და რა მიზნით იყენებს თანამედროვე ხელოვნება და მეოცე საუკუნის ხელოვანი წარსულის საგანძურს?
- რამდენად განაპირობებს სახატავი მასალა წერის მანერის თავისებურებებს?
- რა ფაქტორების გათვალისწინებით ხდება სახატავი მასალის და ტექნიკის არჩევა ჩანაფიქრის გადმოსაცემად

ფაქტობრივი კითხვები:

- რა იყო იმპრესიონისტების მთავარი ამოცანა?
- რომელ მხატვრულ ხერხებს იყენებდნენ იმპრესიონისტები შთაბეჭდილების გადმოსაცემად?
- რას ნიშნავს მენინები?
- რას ნიშნავს მენინები და საზოგადოების რომელი ფენების წარმომადგენლები არიან გამოსახული ველასკესის ცნობილ სურათზე?
- რომელი მხატვრული ხერხებით გადმოსცემს ველასკესი განათებას და სივრცეს ნამუშევარში?

აქტივობები

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი აქტივობები:
კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, ნიმუშების დემონსტრირება, საკლასო დისკუსია, ნიმუშების აღწერა-ანალიზი სქემების გამოყენებით; ნამუშევრების კრიტიკული ანალიზი, ვიზუალური მასალის მოძიება, პრაქტიკული დავალებები, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გამოყენება პრაქტიკული ნამუშევრის შესაქმნელად.

რესურსები

თეორიული გაკვეთილებისათვის საჭირო რესურსები:

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს დამხმარე ვიზუალური მასალა, ასევე, ვებგვერდებზე განთავსებული რესურსები. საწერი ფურცლები, კალამი, კომპიუტერი, პროექტორი.

https://www.tate.org.uk/kids/explore/what-is/impressionism
https://wiki.eanswers.net/ka/%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98
https://www.artsy.net/article/artsy-editorial-7-female-impressionists-art-history-lover
http://www.bbc.com/culture/story/20180807-the-women-impressionists-forgotten-by-history

პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო რესურსები:

ფორმატები, უბრალო ფანქარი, საშლელი, ფერადი ფანქრები/გუაში/პასტელი /აკვარელი, მუყაო, წყლის ჭურჭელი, ხელსახოცი, ფუნჯები, საწერი ფურცლები, კალამი, კომპიუტერი, პროექტორი.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

საგანთშორისი კავშირების დამყარების მიზნით ამ თემის ფარგლებში შესაძლებელია მოსწავლეებისათვის რამდენიმე კომპლექსური დავალების მიცემა:

ინტეგრირება ნებისმიერ სასკოლო დისციპლინასთან

გაკვ. 53

- ნამუშევრის შექმნა ნებისმიერი ფერწერული, ლიტერატურული, მუსიკალური ნაწარმოების შთაგონებით;

ინტეგრირება ციფრულ წიგნიერებასთან

გაკვ. 54

- რომელიმე ცნობილი მხატვრული ნამუშევრის ესკიზის შექმნა ნებისმიერი მხატვრული საშუალებების ან კომპიუტერული დიზაინის გამოყენებით.

შეფასების ინდიკატორები

თეორიული მასალის ათვისების შეფასების ინდიკატორები

- სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის სახვითი ხელოვნების ნიმუშების აღწერა/ანალიზის, ინტერპრეტირებისა და შეფასების უნარები **(ს.გ.საბ. 3);**
- სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის სახვითი ხელოვნების დარგების ნამუშევრების ამოცნობისა და შედარების უნარი, შესაბამისი კულტურის ესთეტიკური ნორმების, ისტორიული და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით **(ს.გ.საბ.4)**;

პრაქტიკული უნარების გამომუშავების შეფასების ინდიკატორები

- ჩანაფიქრის და მოცემულობის შესაბამისი მასალის და გამომსახველობითი ხერხების შერჩევა და მიზნის მისაღწევად მათი შემოქმედებითად გამოყენება **(ს.გ.საბ. 1.);**
- შემოქმედებითი ამოცანის დასახვისა და მის გადასაჭრელად მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მასალის, ტექნიკის შერჩევის უნარი **(ს.გ.საბ.2)**

ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები

- სხვადასხვა გზით თეორიული და ვიზუალური ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, გააზრების, სისტემატიზაციის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- სემიოტიკური კომპეტენცია (სხვადასხვა ნიშანთა სისტემებში მოპოვებული ინფორმაციის ინტეგრაცია);
- შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციის, კომუნიკაციის დამყარების უნარი;
- სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის ინტეგრირების უნარი დასახული მიზნის მისაღწევად;
- კრიტიკული ანალიზის უნარი;
- თვითშეფასების და თანატოლთა ნამუშევრების ობიექტურად შეფასების უნარი;
- დროის სწორად ორგანიზების უნარი.

მკვიდრი წარმოდგენები

თემის ფარგლებში მოსწავლე დაინახავს/გააცნობიერებს:

- ახალი ხელოვნებისა და სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობის ძირითადი თავისებურებების შედარებითი ანალიზის საფუძველზე მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები დგინდება;
- ქალი და მამაკაცი იმპრესიონისტი მხატვრების ხელწერის ანალიზით დგინდება მსგავსება მათ მიერ გამოყენებულ მხატვრულ ხერხებსა და ტექნიკას შორის და ასევე ცხადი ხდება ორივე შემთხვევაში თანაბარი მხატვრული დონე;
- კონკრეტული შთაბეჭდილების, ემოციის და განწყობილების შესაძლებელია გადმოცემა სწორად/ადეკვატურად შერჩეული მხატვრული ხერხების და საშუალებების მეშვეობით;
- მხატვრული ჩანაფიქრის ხორცშესხმა სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების, მხატვრული მასალისა და ტექნიკის მიზანმიმართულად არჩევით და მათი შემოქმედებითად გამოყენებით არის შესაძლებელი.

სასწავლო თემა II. გამოსახვის ახალი საშუალებების ძიება და თვითგამოხატვის თანამედროვე ფორმები

გაკვეთილები 55-60

55. ანრი მატისი – „დიდი ბავშვი“
56. მაკრატლით „ხატვა“
57. მზერა მომავლისკენ
58. კუბიზმი
59. აბსტრაქციონიზმი
60. აბსტრაქციონისტული ნამუშევარი

სასწავლო თემის მიზანი

სასწავლო თემა აერთიანებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის სტანდარტის სამივე თემატური ბლოკის შემადგენელ თემებს და აცნობს მოსწავლეს თანამედროვე ხელოვნების ჩამოყალიბების პროცესს. მოსწავლეს უვითარდება თანამედროვე ხელოვნების მრავალფეროვანი მიმდინარეობების აღქმის, ანალიზის და შეფასების უნარი, ხელოვნების ნაწარმოების სხვადასხვა კონტექსტში აღქმის უნარი, ახალი გამომსახველობითი საშუალებების, ხერხებისა და ტექნიკის ამოცნობის უნარი. მოსწავლეს უვითარდება, ასევე, თვითგამოხატვის თანამედროვე ფორმების დამოუკიდებლად და მიზანმიმართულად გამოყენების უნარ-ჩვევა. მოსწავლეებს შეეძლებათ მსჯელობა თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების თავისებურებების შესახებ, გამომუშავებული ექნებათ სხვადასხვა მიმდინარეობის ნამუშევრების შედარების და კრიტიკული ანალიზის უნარი.

თემის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მოსწავლეს პრაქტიკული გაკვეთილების ათვისების და დავალებების შესრულების შედეგად გამოუმუშავდება შემოქმედებითი უნარები:

ს.გ.საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისთვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი;

თეორიული გაკვეთილების ათვისების და მასალის შესწავლის შედეგად გამოუმუშავდება შემდეგი უნარები:

ს.გ.საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;

ს.გ.საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

- თანამედროვე ხელოვნების მხატვრული მიმდინარეობები: ფოვიზმი, კუბიზმი, ფუტურიზმი, აბსტრაქციონიზმი;
- თანამედროვე ხელოვნების ტექნიკა, პროცედურა და ტერმინები: დეკუპაჟი, კოლაჟი, ავანგარდი;
- თანამედროვე ხელოვნებაში გამომსახველობითი საშუალებების (ელემენტების) და პრინციპების ახლებური გამოყენება: ხაზი, ფერი, ფორმა, სიბრტყე და სივრცე, კონტრასტი, დეკონსტრუირება, დეფორმაცია და სხვ;
- სახვითი ხელოვნების მეშვეობით დინამიკის გადმოცემის ახლებური ხერხები.

თემატური საკვანძო შეკითხვები

- რას ისახავდნენ მიზნად ფუტურისტები და რატომ?
- რა კავშირია ხედვის წერტილსა და კუბისტურ ნამუშევარს შორის?
- რა პრინციპით უნდა შეირჩეს გამომსახველობითი საშუალებები კონკრეტული შთაბეჭდილების გადმოსაცემად აბსტრაქციონისტულ ნამუშევარში?

სადებატო კითხვები

- რომელი სახვითი ელემენტებით ხდება დინამიკის ეფექტის შექმნა ფუტურისტულ ნამუშევარში?
- რატომ დაერქვა ახალ მხატვრულ მიმდინარეობას „ველურები“?
- არსებობს თუ არა კავშირი ტექნიკურ პროგრესსა და ახალ მხატვრულ მიმდინარეობა ფუტურიზმს შორის?
- რატომ იყენებდნენ ფუტურისტები გამოფენებზე დამატებით ხმოვან ეფექტებს?
- როგორ აღძრავს გარკვეულ ემოციას „უსაგნო ხელოვნების„ ნამუშევრები მაყურებელში?
- რომელი გამომსახველობითი საშუალებების მეშვეობით აღძრავს აბსტრაქციონისტული ნამუშევრები ემოციას მაყურებელში?

ფაქტობრივი კითხვები

- რა არის დეკუპაჟი?
- რა არის კოლაჟი?
- როგორ გაჩნდა ტერმინი „კუბიზმი“?
- რა არის ახალი და უჩვეულო ფოვისტების ნამუშევრებში?
- რომელი გამომსახველობითი საშუალებები გამოიყენეს ფურისტებმა დინამიკის ეფექტის შესაქმნელად?
- როდის და სად წარმოიშვა ახალი მხატვრული მიმდინარეობა ფუტურიზმი?
- რომელი გეომეტრიული ფორმები გვხვდება ყველაზე ხშირად კუბისტურ ნამუშევრებში?
- კომპოზიციური განაწილების რომელ პრინციპს ვხვდებით აბსტრაქციონისტულ ნაწარმოებში?
- სახვითი ხელოვნების რომელ ელემენტებს იყენებენ აბსტრაქციონისტულ ნაწარმოებებში?

აქტივობები

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი აქტივობები:
კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, ინტერაქტივი, საკლასო დისკუსია, ხელოვნების ნიმუშების აღწერა-ანალიზი სქემების გამოყენებით; ხელოვნების ნაწარმოების შედარებითი და კრიტიკული ანალიზი. სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გამოყენება პრაქტიკული ნამუშევრის შესაქმნელად.

რესურსები

თეორიული გაკვეთილებისათვის საჭირო რესურსები:

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს დამხმარე ვიზუალური მასალა, ასევე, ვებგვერდებზე განთავსებული რესურსები, საწერი ფურცლები, კალამი, კომპიუტერი, პროექტორი.

პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო რესურსები:

ფორმატები, უბრალო ფანქარი, საშლელი, ფერადი ფანქრები/გუაში/პასტელი, მუყაო, მაკრატელი, წყლის ჭურჭელი, ფუნჯები, ხელსახოცი, კომპიუტერი, პროექტორი.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

საგანთშორისი კავშირების დამყარების მიზნით ამ თემის ფარგლებში შესაძლებელია მოსწავლეებისათვის რამდენიმე კომპლექსური დავალების მიცემა:

ინტეგრირება ციფრულ წიგნიერებასთან

გაკვეთილები 55-60

- თეორიული და ვიზუალური მასალის მოძიება ინტერნეტის მეშვეობით სახვითი ხელოვნების სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობის, არტისტების და მათი ნამუშევრების შესახებ. მოძიებული მასალის სისტემატიზაცია და წარდგენა კლასის წინაშე მოხსენების ან პრეზენტაციის ფორმით;
- ფოვისტური, ფუტურისტული, კუბისტური ან აბსტრაქციონისტული ნამუშევრის შექმნა კომპიუტერული დიზაინის პროგრამის დახმარებით.

შეფასების ინდიკატორები

თეორიული მასალის ათვისების შეფასების ინდიკატორები

- სხვადასხვა თანამედროვე მიმდინარეობის სახვითი ხელოვნების ნამუშევრების აღწერა-ანალიზი, ინტერპრეტაცია და შეფასება **(ს.გ.საბ. 3);**
- სხვადასხვა სტილის ნამუშევრების ანალიზი და მიმდინარეობის ამოცნობა განსხვავებული კონტექსტის გათვალისწინებით **(ს.გ.საბ.4)**;

პრაქტიკული უნარების გამომუშავების შეფასების ინდიკატორები

- ჩანაფიქრის და მოცემულობის შესაბამისი მასალის და გამომსახველობითი ხერხების შერჩევა და მიზნის მისაღწევად მათი შემოქმედებითად გამოყენება **(ს.გ.საბ. 1.);**
- შემოქმედებითი ამოცანის დასახვისა და მის გადასაჭრელად მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის შერჩევის უნარი **(ს.გ.საბ.2)**

ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები

- სხვადასხვა გზით თეორიული და ვიზუალური ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, გააზრების, სისტემატიზაციის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციის, კომუნიკაციის დამყარების უნარი;
- სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის ინტეგრირების უნარი დასახული მიზნის მისაღწევად (სემიოტიკური კომპეტენცია);
- კრიტიკული ანალიზის უნარი;
- დისკუსიაში მონაწილეობის და საკუთარი მოსაზრების არგუმენტირების უნარი.

მკვიდრი წარმოდგენები

- თანამედროვე ეპოქა გამოსახვის ახალი შესაძლებლობების ძიებაში განსხვავებულად იყენებს სახვითი ხელოვნების ტრადიციულ ელემენტებს და პრინციპებს;
- თანამედროვე ხელოვნება თვითგამოხატვის ახალი ფორმების ძიებაში ქმნის ავანგარდული ხელოვნების ბევრ ახალ მხატვრულ მიმდინარეობას;
- თანამედროვე ხელოვნება მასალად იყენებს არატრადიციულ ბუნებრივ და ხელოვნურ რესურსს ახალი ტიპის ნამუშევრების შესაქმნელად (დეკუპაჟი, კოლაჟი);
- ახალი ხელოვნება მიმართავს ფორმის დეფორმაციის, გასიბრტყოვნების, ნახატის გამარტივების ხერხს ახალი ეფექტების შესაქმნელად ნამუშევრებში.

სასწავლო თემა III. გარემოს მოდელირება და ხელოვნება – ზემოქმედების საშუალება

გაკვეთილები 61-65

61. სტრიტარტი
62. „დიდი ზომის“ ხელოვნება
63. ლენდარტი საკუთარი ხელით
64. ძველი და ახალი ქალაქი
65. რეკლამა

სასწავლო თემის მიზანი

სასწავლო თემის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნობიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის სტანდარტის თემატური ბლოკის – საზოგადოებისა და ხელოვნების საინტერესო თემას, რომელიც თანამედროვე გარემოს მოდელირებისა და საზოგადოების ფართო მასებზე ხელოვნების ზემოქმედების უნიკალური საშუალების შესახებ მოუთხრობს მათ. მოსწავლეს განუვითარდებათ თანამედროვე ხელოვნების ახალი, მასშტაბური დარგების აღქმისა და შეფასების უნარი, მათი მეშვეობით თვითრეალიზაციის და ყოველდღიური გარემოს მოდელირების უნარ-ჩვევა. ამასთან, მოსწავლე შეძლებს თანამედროვე მასშტაბური ხელოვნების ნამუშევრების ანალიზს და იმის შეფასებას, თუ როგორ ზემოქმედებს ისინი ურბანულ საზოგადოებაზე. გააცნობიერებს, ხელოვნების ამ ახალი დარგების მეშვეობით როგორ არის შესაძლებელი აქტუალური იდეების ვიზუალიზაცია და სოციუმის ყველა ფენამდე მათი ადეკვატურად მიტანა.

თემის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მოსწავლეს პრაქტიკული გაკვეთილების ათვისების და დავალებების შესრულების შედეგად გამოუმუშავდება შემოქმედებითი უნარები:

ს.გ.საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისთვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი;

თეორიული გაკვეთილების ათვისების და მასალის შესწავლის შედეგად გამოუმუშავდება შემდეგი უნარები:

ს.გ.საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;

ს.გ.საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

- მოსწავლეები გაეცნობიან ხელოვნების ახალი დარგების სპეციფიკას, მათ სტრატეგიას (ხელოვნების ნაწარმოების განთავსება ღია ცის ქვეშ);
- სტრიტარტის და ლენდარტის გამომსახველობითი ელემენტები და ხერხები: გრაფიტი, ტრაფარეტი, სტენსილი, გეოგლიფი; ასევე, გამომსახველობითი ხერხებით შექმნილი ილუზია;
- ხელოვნების ახალი დარგების დიდი მასშტაბი, ბუნებრივი და ხელოვნური მასალა, შესრულების ახალი და მრავალფეროვანი ტექნიკა.

თემატური საკვანძო შეკითხვები

- რამ განაპირობა ხელოვნების ახალი ფორმების (სთრითარტი, სტენსილი, ლენდარტი) გაჩენა თანამედროვე ეპოქაში?
- რა მიზანი აქვს თანამედროვე ხელოვნების ახალ ფორმებს (სთრითარტი, სტენსილი, ლენ-დარტი)?

სადებატო კითხვები

- სტრიტარტი ხელოვნებაა თუ დანაშაული?
- რა მსგავსება და განსხვავებაა ძველ და ახალ გეოგლიფებს შორის?
- როგორც წესი, დიდი ზომის არქიტექტურული ობიექტების, ბუნებრივი ლანდშაფტის შეფუთვა გარკვეული დროის პერიოდითაა შესაძლებელი, რის შემდეგაც ხელოვნების ახალი ნაწარმოები ქრება ანუ ობიექტი იბრუნებს პირვანდელ სახეს. რა მიზანს ემსახურება შეფუთული ობიექტების საზოგადოებისათვის წარდგენა რაიმე ფორმით?
- როგორ ფიქრობთ, რა ძირითადი განსხვავებებია ძველი და ახალი ქალაქების იერსახესა და ცხოვრების ჩვეულ წესს შორის?
- მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ქალაქებში დასაშვებია თუ არა თანამედროვე სტილის არქიტექტურის მშენებლობა და როგორი უნდა იყოს ის?

ფაქტობრივი კითხვები

- რა არის სტრიტარტი?
- რა არის სტენსილი და გრაფიტი?
- რა არის ლენდარტი, რისგან იქმნება ლენდარტის ნამუშევარი და როგორი მასშტაბი აქვს მას?
- როგორ შეიძლება დაახასიათო „შეფუთვის“ ხელოვნება?

აქტივობები

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი აქტივობები:

კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, ნიმუშების დემონსტრირება, საკლასო დისკუსია, ნიმუშების აღწერა-ანალიზი სქემების გამოყენებით; ვიზუალური მასალის მოძიება, პრაქტიკული დავალებები, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გამოყენება პრაქტიკული ნამუშევრის შესაქმნელად.

რესურსები

თეორიული გაკვეთილებისათვის საჭირო რესურსები:

თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს დამხმარე ვიზუალური მასალა, ასევე, ვებგვერდებზე განთავსებული რესურსები, საწერი ფურცლები, კალამი, ფერადი ფანქრები (ესკიზებისთვის), კომპიუტერი, პროექტორი.

პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო რესურსები:

ფორმატები, უბრალო ფანქარი, საშლელი, ფერადი ფანქრები/გუაში/პასტელი, მუყაო, მაკრატელი, ბუნებრივი რესურსი (ქვები, ფოთლები, ხის ჩხირები და სხვ.), ხელოვნური რესურსი დასახული ამოცანის შესაბამისად, საღებავები და წყლის ჭურჭელი, ფუნჯები), საწერი ფურცლები, კალამი, კომპიუტერი, პროექტორი.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

საგანთშორისი კავშირების დამყარების მიზნით ამ თემის ფარგლებში შესაძლებელია მოსწავლეებისათვის რამდენიმე კომპლექსური დავალების მიცემა:

ინტეგრირება ნებისმიერ სასკოლო დისციპლინასთან

გაკვ. 61

- თანამედროვე სტრიტარტის ესკიზის შექმნა სასურველ თემაზე კონკრეტული ნაგებობის ფასადისათვის.

გაკვ. 63

- ლენდარტის ნამუშევრის შექმნა (მათ შორის, გეოგლიფი საკუთარი მხარის სიმბოლოებით) ბუნებრივი მასალის გამოყენებით წინასწარ შექმნილი ესკიზის მიხედვით

ინტეგრირება ციფრულ წიგნიერებასთან

გაკვ. 65

- ფოტოხელოვნებისა და კომპიუტერული დიზაინის მეშვეობით რეკლამის ნიმუშის შექმნა.

შეფასების ინდიკატორები

თეორიული მასალის ათვისების შეფასების ინდიკატორები

- სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის თანამედროვე ხელოვნების (სტრიტარტი, ლენდარტი, რეკლამა) ნიმუშების აღწერა/ანალიზის, ინტერპრეტირებისა და შეფასების უნარები **(ს.გ.საბ. 3);**
- სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის თანამედროვე ხელოვნების დარგების ნამუშევრების ამოცნობისა და შედარების უნარი, შესაბამისი კულტურის ესთეტიკური ნორმების და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით **(ს.გ.საბ.4)**;

პრაქტიკული უნარების გამომუშავების შეფასების ინდიკატორები

- ჩანაფიქრის და მოცემულობის შესაბამისი მასალის და გამომსახველობითი ხერხების შერჩევა და მიზნის მისაღწევად მათი შემოქმედებითად გამოყენება **(ს.გ.საბ.1.)**;
- შემოქმედებითი ამოცანის დასახვისა და მის გადასაჭრელად მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის შერჩევის უნარი **(ს.გ.საბ.2)**

ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები

- სხვადასხვა გზით თეორიული და ვიზუალური ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, გააზრების, სისტემატიზაციის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- სემიოტიკური კომპეტენცია (სხვადასხვა ნიშანთა სისტემებში მოპოვებული ინფორმაციის ინტეგრაცია);
- შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციის, კომუნიკაციის დამყარების უნარი;
- სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის ინტეგრირების უნარი დასახული მიზნის მისაღწევად;
- კრიტიკული ანალიზის უნარი;
- სამოქალაქო თვითშეგნება და ღირებულებები;
- დროის სწორად ორგანიზების უნარი;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარი.

მკვიდრი წარმოდგენები

- თანამედროვე ხელოვნების ახალი დარგების (სტრიტარტი, ლენდარტი, რეკლამა) ნიმუშებში თავისებურად აისახება ეპოქისა და სხვადასხვა ქვეყნის აქტუალური პრობლემატიკა;
- ისტორიული მემკვიდრეობა და თანამედროვე ხელოვნება ჰარმონიულად უნდა თანაარსებობდეს თანამედროვე ურბანულ გარემოში;
- ბუნებრივი და ხელოვნური მასალა და მათი შემოქმედებითი გამოყენება მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების და მრავალფეროვანი ტექნიკის დახმარებით შესაძლებელს ხდის, ხორცი შეესხას მხატვრულ ჩანაფიქრს.

მეოთხე თავის შემაჯამებელი გაკვეთილი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ ტესტური დავალების შესრულების ფორმით უნდა შეაჯამოს მიღებული თეორიული ცოდნა და უნდა შეძლოს მხატვრული მიმდინარეობებისა და კონკრეტული ნამუშევრების ერთმანეთთან დაკავშირება (მიმართულებისა და ნამუშევრის იდენტიფიცირება).

თანამედროვე ხელოვნების სასურველი მხატვრული მიმდინარეობის არჩევის შემდეგ უნდა შეძლოს პრაქტიკული ნამუშევრის შესრულება ამ მიმდინარეობის ძირითადი პრინციპების მიხედვით შესაბამისი ტექნიკისა და ხერხების გამოყენებით.

ნამუშევრის წარდგენისას უნდა დაასაბუთოს საკუთარი არჩევანი და ისაუბროს, რატომ შეარჩია კონკრეტული საშუალებები და რის გადმოცემას (როგორი შთაბეჭდილების აღძვრას) ისახავდა მიზნად.

გაკვეთილის შედეგი

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ათვისებული თეორიული ცოდნის საფუძველზე უნდა შეძლოს მხატვრული მიმდინარეობისა და კონკრეტული ნამუშევრის ერთმანეთთან დაკავშირება (იდენტიფიცირება). **(ს.გ.საბ. 4);**
- პრაქტიკული ნამუშევრის შექმნისას შეეცადოს, შემოქმედებითად ასახოს ნამუშევარში საკუთარი შთაბეჭდილებები, იდეები, ემოციები, გრძნობები **(ს.გ.საბ.1);**
- ადეკვატურად შეარჩიოს და გამოიყენოს ჩანაფიქრის შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები (ხაზი, ფერი, ფორმა, კომპოზიცია, და სხვ.), სახატავი მასალა და ტექნიკა **(ს.გ.საბ.1,2);**
- ნამუშევრის წარდგენისას ზეპირად დაახასიათოს გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები და ისაუბროს საკუთარ ემოციებზე **(ს.გ.საბ.3);**

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური

რესურსი: სახელმძღვანელო, სახატავი ფორმატი, სახატავი მასალა (საღებავები, პასტელი, ფერადი ფანქრები, ფუნჯი, წყლის ჭურჭელი).

შეფასების ფორმა: შემაჯამებელი.

კრიტერიუმები:

განვლილი მასალის ათვისების უნარი, დაკვირვების უნარი, დაკვირვების შედეგად აღძრული შთაბეჭდილებების, იდეების, ემოციების, გრძნობების შემოქმედებითად ასახვის უნარი, ნამუშევრის შექმნისას, შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების და ხერხების (ხაზის, ფერის, ფერთა შეხამების ან კონტრასტის, ლაქის, ფორმის გამომსახველობითი შესაძლებლობები, კომპოზიციის აგების პრინციპი, რიტმი და სხვ.) შერჩევისა და გამოყენების უნარი. სახატავი მასალის და ტექნიკის გამოყენების უნარი, პრეზენტაციის უნარი, თვითშეფასება.

ტესტური დავალების პასუხები:

1. იმპრესიონიზმი – დ)
2. პოსტიმპრესიონიზმი – ბ)
3. ფოვიზმი – ე)
4. ფუტურიზმი – ვ)
5. კუბიზმი – ა)
6. აბსტრაქციონიზმი – გ)

5. მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა

გამოყენების მითითებები

VII კლასის „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ კომპლექტაცია წარმოდგენილია მოსწავლის წიგნითა და მასწავლებლის წიგნით. მოსწავლის წიგნში (სახელმძღვანელო) სრულადაა შეტანილი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა თემა და უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევა.

მასწავლებლის წიგნში მოცემულია:

• ზოგადი ინფორმაცია VII კლასის მოსწავლის სახელმძღვანელოს შესახებ (მიზნები, სტრუქტურა, შინაარსი, მეთოდოლოგია, კომპლექტაცია);

• სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის სტანდარტი;

• მოსწავლის წიგნის თემატური ბლოკები და სასწავლო თემები და მათი შესაბამისობა სტანდარტთან;

• მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა, კომპლექტაციის შემადგენლობა, გამოყენების მითითებები;

• მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში, სამიზნე ასაკის თავისებურებები;

• სპეციფიკური, საგნობრივი და ზოგადი გამჭოლი უნარები;

• მოსწავლეზე (მათ შორის, სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეზე) ორიენტირებული სწავლების ძირითადი სტრატეგიები, რასაც ეყრდნობა სახელმძღვანელო;

• ხელოვნების ნაწარმოების აღწერა-ანალიზის სქემები;

• საგანმანათლებლო რესურსები;

• მოსწავლის შეფასების პრინციპები;

• აქტივობების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები;

• გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები

• გაკვეთილების სანიმუშო სცენარები (სულ 9 გაკვეთილის სცენარი);

• შემაჯამებელი გაკვეთილების მასალა: ტესტები და მათი პასუხები;

• პასუხები ინტერაქტივის შეკითხვებზე (პ.ი.კ.).

მასწავლებლისათვის ძალზე ხელსაყრელი მასალაა თავმოყრილი მასწავლებლის წიგნის მე-15 თავში. აქ მოცემულია პასუხები მოსწავლის წიგნში შეტანილ ინტერაქტივის ყველა კითხვაზე.

საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამატებით მომზადებულია მდიდარი საილუსტრაციო მასალა ელექტრონული რესურსის სახით, რომელიც ატვირთული იქნება გამომცემლობის ვებ და ფბ-გვერდებზე.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი მასწავლებლის წიგნში შესაბამისი ნომრითაა აღნიშნული და დადასტურებულია სარჩევში.

მასწავლებლის წიგნთან დაკავშირებული კომენტარები

მასწავლებლის წიგნი პრაქტიკული თვალსაზრისით მოსწავლის წიგნის თანმდევ მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას ახორციელებს და საშუალებას აძლევს მასწავლებელს ისარგებლოს წიგნის ავტორების მიერ შეთავაზებული სასწავლო თემებით და ამავე დროს, აუცილებელ თავისუფლებას ანიჭებს მასწავლებელს, შემოქმედებითად წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად და კლასის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

1. მოსწავლის წიგნში მოცემული მასალა მასწავლებლის წიგნში გაწერილია სასწავლო თემებად. თითოეული სასწავლო თემის გეგმაში მოცემულია:
    - თემის სასწავლო მიზანი;
    - თემის ბოლოს მისაღწევი შედეგები;
    - თემის ფარგლებში დასამუშავებელი ზოგადი ცნებები;

- თემატური საკვანძო შეკითხვები (საკვანძო კითხვები, სადებატო კითხვები);
- აქტივობები;
- რესურსები (თეორიული გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები,პრაქტიკული გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები);
- კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი;
- შეფასების ინდიკატორები;
- კომპეტენციები (სპეციფიკური/საგნობრივი კომპეტენციები, ტრანსფერული კომპეტენციები);
- მკვიდრი წარმოდგენები.

2. მასწავლებლის წიგნში მოცემულია რამდენიმე გაკვეთილის სავარაუდო სცენარი და ყველა სასწავლო თემის მიზანი, შედეგის კონკრეტული ინდიკატორის მითითებით, შეფასების ინდიკატორები, ცნებები, უნარები, კომპლექსური დავალებები და მკვიდრი წარმოდგენები. ასევე, ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის დამატებითი მასალა.
3. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა სასწავლო თემის ფარგლებში, გაკვეთილების წარმართვისას გაითვალისწინოს მოსწავლის წინარე ცოდნა, რაც იმას გულისხმობს, რომ მან აუცილებლად უნდა მოამზადოს წინასწარ ის შეკითხვები, რომლითაც გამოვლინდება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული უკვე განვლილი მასალის ცოდნა და ასევე წინა პერიოდში გამომუშავებული უნარ-ჩვევები. სწორედ ამ ბაზისზე უნდა მოხდეს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირება და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება.
4. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო თემის ფარგლებში, ყოველი გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებმა მოაწესრიგონ სამუშაო ადგილი, რათა სასწავლო პროცესი სუფთა გარემოში გაგრძელდეს. მოსწავლეებმა სამუშაო ადგილი – მერხები, კლასი – ყოველ ჯერზე უნდა დაასუფთაონ. მასწავლებელმა ამ ჩვევის გამომუშავებაზე ყურადღება უნდა გაამახვილოს და საჭიროებისამებრ, შეახსენოს მოსწავლეებს ამ მოვალეობის შესახებ.
5. მასწავლებელი უნდა ეცადოს, აღზარდოს მოსწავლეებში საკუთარ და სხვის ნამუშევართან ფაქიზად და გულისყურით მოპყრობის კულტურა.
6. მასწავლებელს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასის საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლია შეცვალოს თითოეული სასწავლო თემის ხანგრძლივობა.

6. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში, სამიზნე ასაკის თავისებურებები

ბავშვის განვითარების თავისებურებები

კრიზისული ანუ ე.წ. გარდატეხის ასაკი განვითარების რთული და მნიშვნელოვანი პერიოდია, რადგან თვისებრივად იცვლება ბავშვის ფიზიკური მდგომარეობა, ფსიქოლოგიური თუ სოციალური განვითარება. როგორ გაივლის ამ პერიოდს ბავშვი, როგორ დაუჭერენ მას მხარს მშობლები გარდატეხის ასაკის კრიზისის დასაძლევად და როგორი გამოცდილებით გამოვა ის ამ პერიოდიდან, ამაზეა დამოკიდებული მისი პიროვნების ჩამოყალიბება, ფსიქიკური ჯანმრთელობა და მომავალი ცხოვრება.

კრიზისული ანუ ე.წ. გარდატეხის ასაკი 4-5 წელი გრძელდება და სწრაფი ფიზიკური ზრდით და ფიზიოლოგიური ცვლილებებით ხასიათდება. ამ პერიოდში აქტიურად ვითარდება თავის ტვინის წინა, შუბლის ნაწილი, რომელიც აკონტროლებს პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების და ქცევის კონტროლის პროცესებს. თავის ტვინის ამ ნაწილის განვითარება ხელს უწყობს დაგეგმვას, რისკების შეფასებას, იმპულსის კონტროლს.

ამ პერიოდში იწყება თვითშემეცნების რთული პროცესი, პასუხის ძიება კითხვებზე: „ვინ ვარ?“ „როგორი ვარ?“; გამუდმებული დაკვირვება საკუთარ თავზე. პარალელურად მოზარდები სხვათა შეცნობას, სხვების აზრის წვდომას ცდილობენ.

შემეცნებითი უნარების განვითარება

11 წლიდან მოზარდის აზროვნება რადიკალურად იცვლება. ლოგიკური ოპერაციების განვითარებით. ამ ასაკის ბავშვს უკვე თავისუფლად შეუძლია განზოგადება, ლოგიკური მსჯელობა და დასკვნების გამოტანა და უფრო აქტიურად ვითარდება მკვეთრი წარმოსახვის უნარი. ამასთან ერთად, მოზარდის აზროვნება არათანმიმდევრულია მისი მოჭარბებული ემოციური რეაქტიულობისა და იმპულსურობის გამო. გარდატეხის ასაკის მოზარდებს მოსწონთ კამათი – ეს უფროსებთან მათი ურთიერთობის წამყვანი სტილია, რადგან ხაზს უსვამს მათ დამოუკიდებლობას. ამის მიზეზია ის, რომ მოზარდის ლოგიკური უნარები სწრაფად ვითარდება და მეორე მხრივ იზრდება მისი სკეპტიციზმი, ავტორიტეტების შემოწმების და უარყოფის ტენდენცია, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა. საკუთარი თავის შესწავლის და გაგების მოთხოვნილება წამყვანი ხდება და ამიტომ მოზარდის აზროვნება ეგოცენტრულობას უბრუნდება. მოზარდის ეგოცენტრულობა, ანუ საკუთარ თავზე ფოკუსირება განსხვავდება სკოლამდელი ასაკის ბავშვების ეგოცენტრულობისაგან. გარდატეხის ასაკის ბავშვი საკმაოდ ბევრს ფიქრობს საკუთარი თავის შესახებ, საკუთარი თავითაა დაკავებული, იქნება ეს გარეგნობა, ურთიერთობები თუ სტატუსი. მოზარდს უკვე შეუძლია ლოგიკურად სიტუაციის ანალიზი, სხვადასხვა ვარიანტის განხილვა-შედარება და დასკვნების გაკეთება. მოზარდს იზიდავს მისთვის უცნობი, შეუმეცნებელი, მისთვის ახალი მოვლენები, ნივთები, ადამიანები.

გარდატეხის ასაკის შემეცნებითი უნარების დამახასიათებელი ნიშნები:

- ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი;
- ალტერნატივების დანახვისა და გაგების უნარი;
- კამათის და დისკუსიის მოთხოვნილება;
- ძლიერი წარმოსახვა;
- ცნობისმოყვარეობა, უცნობის და ახლის გამოცდის და შემეცნების სურვილი;
- საკუთარი თავის შემეცნების სურვილი და ცხოვრების საზრისის ძიება: „ვინ ვარ, რატომ ვარ?“

ფსიქოემოციური განვითარება

მოზარდის ემოციური სფერო და ფსიქოლოგიური მდგომარეობაც რადიკალურად იცვლება. მისი ქცევა წინააღმდეგობრივი, იმპულსური და რადიკალურია. თვითონ მოზარდისთვისაც დისკომფორტია ასეთი წინააღმდეგობრიობა თუ რადიკალურობა, უჭირს საკუთარი თავის გაგება, რაც ხშირად საკუთარი თავითა და გარშემო მყოფებით უკმაყოფილებას იწვევს. გარეგნობაზე შფოთვა და საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილება მოზარდის ემოციური მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. შესაბამისად, ნებისმიერი, თუმდაც უწყინარი რეპლიკა მათი გარეგნობის შესახებ, ძალიან მძიმედ აღიქმება და განიცდება. თავისი ეგოცენტრულობის გამო, მოზარდი თვლის, რომ გარშემო მყოფები მას მიკროსკოპით კრიტიკულად აკვირდებიან, რის გამოც ხშირად თავს უხერხულად გრძნობს. სიმორცხვე და მოუქნელობა გარდატეხის ასაკის მოზარდისთვის ხშირი მახასიათებლებია, რომელთა დაფარვასაც ზოგჯერ არაადეკვატური გზით ცდილობს. ამ ასაკის ბავშვისთვის რთულია ემოციების მართვა, რის გამოც ხშირია სიბრაზისა და უხალისობის გამოვლინება.

გარდატეხის ასაკის ფსიქო-ემოციური განვითარების დამახასიათებელი ნიშნები:

- უხერხულობის განცდა და სიმორცხვე;
- საკუთარი თავით და გარშემო მყოფებით უკმაყოფილება;
- გრძნობებისა და აზრების ამბივალენტობა;
- იმპულსურობა;
- უხალისობა და უგუნებობა;
- სწრაფი აგზნება და ემოციური აფეთქებები;
- სტრესი.

სოციალური განვითარება

11-12 წლამდე ბავშვისთვის მშობელი მნიშვნელოვან ავტორიტეტს წარმოადგენდა, უკვე გარდატეხის ასაკში მშობლების გავლენა მოზარდზე მცირდება, მისი თანატოლებისა თუ რომელიმე ჯგუფის გავლენა კი – მნიშვნელოვნად იზრდება. მოზარდის მთავარი სოციალური ამოცანაა თავისი იდენტობის ძიება და აღმოჩენა.

გარდატეხის ასაკის სოციალური განვითარების დამახასიათებელი ნიშნები:

- დამოუკიდებლობის სურვილი;
- თანატოლების მხრიდან აღიარების სურვილი;
- ჯგუფთან მიკუთვნების და აღიარების მოთხოვნილება;
- მშობლების ავტორიტეტის უგულებელყოფა;
- „მე“-ს იდენტობის ძიება: თვითშეფასებისა და საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენების და რწმენების ჩამოყალიბება;
- ადამიანებთან ურთიერთობით ექსპერიმენტირება;
- ალტერნატიული როლების, იდენტობების მორგება, მათ შორის, ნეგატიურის და სარისკოსი;
- მნიშვნელოვანი ჯგუფის გავლენის ქვეშ ადვილად მოქცევის ტენდენცია.

მორალური განვითარება

კრიზისულ ასაკში, როდესაც ძლიერია დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, მოზარდისთვის განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ისეთი ქმედებები, როგორებიცაა გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და არჩევანის გაკეთება. მოზარდს აწუხებს კითხვები იმის შესახებ, თუ რატომ იქცევიან ადამიანები ასე და არა სხვანაირად? მოზარდი ვერ იტანს ორმაგ სტანდარტებს, მისთვის კონკრეტული ქცევის ეთიკური შეფასება ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია მისი პიროვნების იდენტობის მდგრადობისა და განვითარებისთვის.

არსებობს უამრავი ფუნდამენტური გამოკვლევა ესთეტიკური აღზრდის დარგში, რომლებიც მე-20 საუკუნის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ძირითად მიმდინარეობებს ეყრდნობა. ასეთ ნაშრომებში ხაზი აქვს გასმული იმ მდგომარეობას, რომ კრიზისული ანუ „გარდატეხის“ ასაკის მოსწავლეების შემოქმედებითი უნარი მკვეთრად კლებულობს და მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით სწავლების გეზი სწორად უნდა იქნეს არჩეული, რაც გულისხმობს იმას, რომ ესთეტიკური საგნების იგნორირება დაუშვებელია. რეკომენდებულია, გარდატეხის ასაკის ბავშვები აქტიურად დაკავდნენ ხელოვნებისა და სპორტის სახეობებით. სახვით და გამოყენებით ხელოვნებას, როგორც სასწავლო დისციპლინას, აქვს მძლავრი თერაპიული ეფექტი და მოსწავლეს თვითგამოხატვისა და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, უნერგავს საკუთარი შესაძლებლობების რწმენას, ხოლო მიღებული შედეგი ამაღლებს მოზარდის მოტივაციას და ეხმარება კრიზისული ასაკის სირთულეების დაძლევაში.

7. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლე

თუ კლასში არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (სსსმ – იგულისხმება როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ასევე, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავ-ლეები), მასწავლებელი უნდა ეცადოს, დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და რეალიზებაში. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე მასწავლებელმა არ უნდა მოაქციოს ყურადღების ცენტრში და არ გამოხატოს ზედმეტი ყურადღება თუ თანაგრძნობა მის მიმართ. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს თანასწორუფლებიანობა კლასში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა თუ სხვა საგნების გაკვეთილებზე. **მასწავლებელმა მოს-წავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობა და შესაბამისად, ხელი შეუწყოს მათ განვითარებასა თუ მიღწევების გაუმჯო-ბესებას.** მიუხედავად მისი განსხვავავებული შესაძლებლობებისა, მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რისი გაკე-თება მოეთხოვება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილზე. საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ან კომბინირებული ადაპტირებული ინსტრუქციები. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სხვა თვალსაჩინო საშუალებებიც.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განსაზღვრას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან იქნას აცილებული, ერთი მხრივ, მოსწავლის ქცევის თავისებურების **არასწორი ინტერპრეტაცია,** ხოლო მეორე მხრივ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის არამართებულად მინიჭება იქ, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს. რაც თავის მხრივ სასწავლო პროცესის არა ეფექტიან დაგეგმვას, ჩარევის არასწორი სტრატეგიებისა და არა ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებამდე აუცილებელია ბავშვის როგორც ფსიქოლოგიური, ასევე აკადემიური შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა – რა შეუძლია, რა არ შეუძლია. შეფასებაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ბავშვისთვის შესაბამისი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების შემუშავება.

სკოლა სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში განსაზღვრავს იმ მოსწავლის ან მოსწავლეთა სიას, რომლებიც მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით სწავლას საჭიროებენ. სსსმ მოსწავლის გამოვლენიდან ერთი თვის განმავლობაში სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე; გუნდში ერთიანდებიან ის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს (სხვა საგნის მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობას იღებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი), აგრეთვე: მშობელი/მეურვე, ფსიქოლოგი, ექიმი და სხვა დამხმარე პერსონალი. სამუშაო ჯგუფს ზედამხედველობას უწევს კლასის დამრიგებელი; მულტიდისციპლინური გუნდის შეხვედრები მოეწყობა სემესტრში მინიმუმ ორჯერ მაინც, რომელზეც გააანალიზებენ მიმდინარე პროცესებს, ისაუბრებენ შედეგებზე და შეიმუშავებენ მოკლე და გრძელვადიან ამოცანებს; ყოველი სემესტრის ბოლოს მოეწყობა ერთი შემაჯამებელი შეხვედრა; ყველა შეხვედრა აღირიცხება ოქმით და ინახება მოსწავლის პირად საქმეში; ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.

8. სპეციფიკური, საგნობრივი და ზოგადი გამჭოლი უნარები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სპეციფიკურ, საგნობრივ კომპეტენციებს ავითარებს ამ საგნის შემადგენელი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ცოდნა და გამოსამუშავებელი უნარ-ჩვევები. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეს უვითარდება როგორც კონკრეტულად მხატვრული შემოქმედების სფეროს აღქმა/გაცნობიერების, ასევე, საკუთარი იდეების, ემოციების, განწყობილებების გადმოცემის, თვითრეალიზების კომპეტენციები, რომელთათვისაც აუცილებელია იგი ფლობდეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ძირითად პრინციპებსა და ტექნოლოგიებს, იცნობდეს და იყენებდეს მის ხერხებს, ელემენტებსა და პროცედურებს. გამოსამუშავებელ უნარ-ჩვევათაგან უმნიშვნელოვანესია ის კომპეტენციები, რომლებიც ხელოვნების როლისა და დანიშნულების გააზრებას უწყობს ხელს ზოგადად მსოფლიო კულტურის კონტექსტში **(ანალიზისა და კრიტიკული ანალიზის უნარი),** ასწავლის და აჩვევს მოსწავლეს, შემოქმედებითად მიუდგეს სხვადასხვა ტიპის პრობლემის გადაჭრას **(პრობლემის გადაჭრის უნარი),** უვითარებს მას ნებისმიერ სფეროში საკუთარი იდეების და განცდების გამოხატვის და მათზე მსჯელობის ჩვევას **(თვითგამოხატვის და შემოქმედებითი აზროვნების უნარი),** უღვივებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში წვლილის შეტანის სურვილს **(აქტიური სამოქალაქო პოზიციისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლება),** უვითარებს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების, მისი გაცნობიერების, ინტერპრეტაციის ჩვევებს **(კვლევა-ძიების უნარი),** ასწავლის თანამშრომლობითი სწავლის და მუშაობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის გზებს **(კომუნიკაციის უნარი),** აჩვევს იყოს ობიექტური და თვითკრიტიკული საქმიანობის ნებისმიერ სფეროში **(თვითშეფასებისა და სწავლის უნარი).**

ამდენად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესწავლა უვითარებს მოსწავლეს სპეციფიკურ საგნობრივ კომპეტენციებს, რომელთა საბოლოო მიზანს წარმოადგენს: მშვენიერების განცდის განვითარება, წარმოსახვისა და ფანტაზიის გაღვივება, ხელოვნების ნაწარმოების აღქმის უნარ-ჩვევა, ხელოვნების უნივერსალური ენის გაცნობიერების უნარი, რაც ქართული და მსოფლიო კულტურის ფასეულობათა ერთ მთლიანობაში აღქმის საშუალებას აძლევს მას და უვითარებს ესთეტიკური აღქმის მყარ საფუძვლებს.

პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები

წიგნიერება, რაც გარდა კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარისა, გულისხმობს ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარს იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს;

მედიაწიგნიერება – ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მულტიმედიური ტექსტების (ანუ ისეთი ტექსტის, რომელიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს) აღქმა/გაცნობიერების უნარი. მოსწავლემ უნდა შეძლოს ამგვარი მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ შეძლოს მედიასამყაროში მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება, რაც კრიტიკული აზროვნების განვითარების საწინდარია;

ციფრული ანუ კომპიუტერული წიგნიერება, რაც მოსწავლეებში თანამედროვე სამყაროში შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების გამომუშავებას განაპირობებს; ამდენად, სრულ შესაბამისობაშია საგნის დარგობრივ კომპეტენციებთან;

რაოდენობრივი წიგნიერება – რიცხვის არსის გააზრება, რიცხვებს შორის მიმართებების გაგება, რაოდენობათა შედარება მოსწავლეს მათემატიკის და სხვა საგნების შესწავლაში ეხმარება;

ეკოლოგიური წიგნიერება გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას გულისხმობს და რადგან გარემო, მასზე დაკვირვება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესასწავლად ინფორმაციის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს, ეკოლოგიურ წიგნიერებას განსაკუთრებული როლი ენიჭება სწავლის პროცესში.

მრავალენობრივი კომპეტენცია ენების დაუფლების და გამოყენების უნარია, რომლის განვითარება ნებისმიერი საგნის ფარგლებშია შესაძლებელი.

სემიოტიკური კომპეტენცია ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანას გულისხმობს. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე სწორედ ეს კომპეტენციაა უმნიშვნელოვანესი დარგობრივ კომპეტენციათა მსგავსად, რადგან საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ინტერპრეტირება გაუკეთოს ვერბალურ ან არავერბალურ (სქემა, რუკა, მელოდია და სხვ.) ინფორმაციას და საკუთარი ნააზრევი ან შთაბეჭდილება ხელოვნების მეშვეობით გამოხატოს. მაგალითად, სიტყვიერ ტექსტში ან მუსიკალურ ნაწარმოებში გადმოცემული აზრის ილუსტრაციით გამოხატვის, სიტყვიერი ტექსტისა და ნახატის ერთმანეთთან დაკავშირების უნარია, რომელსაც უპირატესად უვითარებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანი. სწავლის სწავლა არის სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი, რომელიც სასწავლო პროცესის აუცილებელი კომპონენტია. მასწავლებელმა უნდა მიმართოს მოსწავლის ყურადღება სწავლის პროცესზე, მის მიმდინარეობაზე; დაეხმაროს მოსწავლეს იმ ფაქტორებისა და პირობების გაცნობიერებაში, რომლებიც აფერხებს ან ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას; აღმოაჩენინოს ის ხერხები და მიდგომები, რომლებიც აუმჯობესებს სწავლის შედეგებს და გამოუმუშაოს სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი;

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილ-ების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვა. ხელოვნების სწავლების პროცესში განსხვავებული ესთეტიკის და შემოქმედებითი მიდგომების არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლისათვის ამ კონპეტენციის განვითარებას.

9. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი სტრატეგიები, რომლებსაც ეყრდნობა სახელმძღვანელო

„სტრატეგია 3, 2, 1“

ეს სტრატეგია გამოიყენება ფილმის ნახვის, თვალსაჩინოების დათვალიერების, ტექსტის გაცნობის, პროექტის დასრულების შემდეგ. ეს მეთოდი აძლიერებს მოტივაციას, აყალიბებს აქტიურ მსმენელად და მკითხველად, უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას. ეს მეთოდი სამი ეტაპისგან შედგება:

1. სასწავლო მიზნიდან გამომდინარე მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ტექსტის წაკითხვას, ფილმის ნახვას ან თვალსაჩინოების დათვალიერებას;
2. მეორე ეტაპზე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ 3 საკითხი, რომლებმაც დააინტერესათ; აქედან ამოარჩიონ 2 საკითხი, რომლებზეც უნდათ, რომ მეტი გაიგონ და შეთანხმდნენ იმ ერთ საკითხზე, რომელზეც მომავალში იმსჯელებდნენ;
3. მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს.

„სტრატეგია: რა დამამახსოვრდება კლასის დატოვების შემდეგ“

მასწავლებელი გაკვეთილის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ურიგებს მოსწავლეებს მცირე ზომის ფურცლებს და ავალებს მათ, რომ გააფორმონ იგი (დააწერონ თავიანთი სახელი და გვარი და ა. შ.), შემდეგ კი ერთი მომცრო აბზაცის მეშვეობით, მწყობრად და მართლწერის ნორმების დაცვით, ჩამოაყალიბონ თავიანთი აზრი, გამოხმაურება იმის შესახებ, თუ რა ასწავლა და გააგებინა მათ ამ კონკრეტულმა გაკვეთილმა, წაკითხულმა ტექსტმა ან ნანახმა ფილმმა. რა დაამახსოვრდებათ მას შემდეგ, როცა საკლასო ოთახს დატოვებენ.

კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეებს გაკვეთილზე მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება. მოსწავლეებს ხელთ ეძლევათ იდეის, საკითხის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის, ცნებისა და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში დაეხმარებათ. კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეთა აქტივობისა და დამოუკიდებლობის ზრდის კარგი საშუალებაა. სწავლების პროცესში კოგნიტური დიაგრამების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეცვალა პედაგოგის როლი და ფუნქცია, გაუადვილა მასწავლებლებს სტრუქტურირებული, საქმიანი გაკვეთილების დაგეგმვა, ხელთ მისცა აკადემიური პროგრესის და უნარ-ჩვევების გამომუშავების კონტროლისა და შეფასების საკმაოდ მოქნილი ტექნიკა, სწავლებისა და სწავლის პროცესი უფრო მრავალფეროვანი და შემოქმედებითი გახადა. შედარების დროს, ძირითადად, ორი ტიპის გრაფიკული სქემა გამოიყენება – „ვენის დიაგრამა“ და შედარების მატრიცა.

შედარება წარმოადგენს საგნებს ან იდეებს შორის მსგავსებისა და განსხვავებების იდენტიფიკაციის პროცესს.

კლასიფიკაცია წარმოადგენს საგანთა კატეგორიებად დაჯგუფების პროცესს, რომელიც ეფუძნება მათ მახასიათებლებს. იგი გულისხმობს ელემენტების ჯგუფურად დაყოფას, მათ შორის, მსგავსების საფუძველზე. კლასიფიკაციის დროს მთავარია იმ წესების იდენტიფიკაცია, რომელიც კლასსა და კატეგორიაში კუთვნილებას განსაზღვრავს. კლასიფიკაციის სავარჯიშოებზე მუშაობისას მოსწავლეებმა მზა ელემენტების კლასიფიკაცია უნდა მოახდინონ. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ინფორმაციას იმ კატეგორიების (ჯგუფი, დარგი, ჟანრი, სტილი) შესახებ, რომელთა მიხედვითაც მოსწავლეებმა მოცემული ელემენტების

კლასიფიკაცია უნდა მოახდინონ. ასეთ სავარჯიშოში მთავარია, მოსწავლემ ზუსტად განსაზღვროს ელემენტის კატეგორია და გაიაზროს, თუ რატომ მიაკუთვნა ესა თუ ის ელემენტი ამა თუ იმ კატეგორიას.

შედარების პროცესი ეფექტიანია მაშინ, როდესაც მასწავლებლის მიზანია, მოსწავლეებმა ერთსა და იმავე მახასიათებლებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავება დაინახონ. ეს პროცესი შედეგიანი რომ იყოს, მასწავლებელმა კარგად მოფიქრებული სტრუქტურიზებული სავარჯიშო უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს, რაც გულისხმობს, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მიუთითოს ის მახასიათებლები, რის მიხედვითაც უნდა შეადარონ მოვლენები და ხელოვნების ნიმუშები. ასეთი სავარჯიშოები საშუალებას აძლევს მასწავლებელს, მოსწავლის მიერ გამოთქმული მოსაზრებები შესაბამისი (საჭირო) დასკვნების გამოტანისკენ მიმართოს.

1. „ვენის დიაგრამა“ ეს მეთოდი შედარებითი ანალიზის საშუალებას იძლევა და ძალიან ეფექტიანია სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და მიმდინარეობის (ნიმუშების) ნამუშევრების შედარებისას. შედგება ორი ან მეტი რგოლისაგან. „ვენის დიაგრამა“ შემდეგნაირად უნდა შეივსოს: პირველ და მეორე ნაწილში განსხვავებული ნიშნები, ფაქტები, მოვლენები იწერება, მესამეში კი – მსგავსი.

შესაძლებელია სქემის განსხვავებულად შევსება. ცალ-ცალკე ივსება პირველი და მეორე ნაწილი, ხოლო ის, რაც ორივეში ერთნაირი აღმოჩნდება, გადადის მესამეში.



დიაგრამა 2. „ვენის დიაგრამა“

2. შედარების მატრიცა დეტალური მიდგომის დროს უფრო გამოიყენება, ვიდრე „ვენის დიაგრამა“. მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენა მნიშვნელოვანია კლასიფიკაციის დროსაც, რადგან გარკვეული ელემენტების კლასიფიკაცია სწორედ მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაციით იწყება. კლასიფიკაცია გულისხმობს ელემენტების ჯგუფებად დაყოფას, მათ შორის, მსგავსების საფუძველზე. მაგ., მოსწავლეები იკვლევენ არქიტექტურულ ფორმებს – უძველესი ცივილიზაციებიდან თანამედროვე არქიტექტურის ნიმუშებამდე (ჩათვლით) მათი შედარების საფუძველზე. მოსწავლეები ადარებენ ერთმანეთს ხეოფსის პირამიდას და მინის პირამიდას პარიზში.

მახასიათებლები	**შესადარებელი ნიმუშები**			
	№ 1	**№ 2**	**№ 3**	
1				**მსგავსებები**
				განსხვავებები

2				**მსგავსებები**
				განსხვავებები
3				**მსგავსებები**
				განსხვავებები
4				**მსგავსებები**
				განსხვავებები

„სტრატეგია: ვიცი – მინდა ვიცოდე – რა გავიგე“

თუკი მასწავლებლის მიზანია, მაქსიმალურად მიიპყროს მოსწავლეების ყურადღება და დააფიქროს ისინი ამა თუ იმ საკითხზე, მასწავლებელი მოსწავლეს სტრუქტურას და საფეხურეობრივ მიდგომას სთავაზობს, ეს მეთოდი ყურადღების კონცენტრირებას უწყობს ხელს; ხელს უწყობს მოსწავლეს ყურადღების მობილიზებაში; ააქტიურებს მის წინა ცოდნას; ეხმარება მასალის მთლიანობაში გააზრებაში; უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას; უვითარებს კითხვის დასმის უნარ-ჩვევას; უჩვენებს, რა არის მნიშვნელოვანი მოცემულ მასალაში; მიუთითებს, რა ისწავლა მან ამ მასალის დამუშავებით; უმაღლებს მოტივაციას.

მასწავლებელი ავალებს თითოეულ მოსწავლეს, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცნობამდე შეავსოს პირველი და მეორე გრაფები, ინფორმაციის გაცნობის შემდეგ კი – მესამე.

ვიცი	მინდა ვიცოდე	რა გავიგე

დიდაქტიკური თამაშები და მოზარდის კოგნიტური და ასაკობრივი განვითარება

საყოველთაოდ აღიარებული და მეცნიერულად დადასტურებულია, რომ თამაშს, როგორც ქცევას, საფუძვლად უდევს სიამოვნება. ბავშვისთვის თამაშის ძირითადი მოტივი აქტივობისაგან სიამოვნების მიღებაა. თამაშზე საუბრისას აუცილებელია, შევეხოთ მის ფსიქოლოგიურ და კოგნიტურ საფუძვლებს.

თამაშის დროს ქცევის იმპულსი ფუნქციურია, ანუ ბავშვის ქცევას წარმართავს ფუნქციური სიამოვნება. ამიტომ, როდესაც ბავშვი შედის სკოლაში და იწყებს სწავლას, მისი ინტელექტუალური ფუნქციების ასამოქმედებლად უფრო ეფექტიანი იქნება თამაშის გამოყენება, ანუ სწავლის წარმართვა თამაშით.

ცოდნის მიღების, განმტკიცებისა და სასწავლო უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ხშირად გამოიყენება სახალისო, შემეცნებითი სავრჯიშოები – დიდაქტიკური თამაშები.

დიდაქტიკური თამაშები მრავალფეროვანია. ეს თამაშები შეიძლება იყოს:

1. სახალისო;
2. სააზროვნო;
3. ლოგიკური;
4. განმავითარებელი;
5. შემეცნებითი;
6. სიმულაციური;
7. ინტელექტუალური.

დიდაქტიკური თამაშები, კოგნიტური განვითარების თეორიების მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა:

1. ჯგუფი	2. ჯგუფი
ამ ტიპის დიდაქტიკური თამაშის დროს ბავშვის აზროვნება ლოგიკური ხდება, მაგრამ მაინც აღქმით არის განსაზღვრული. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვი პრობლემას მხოლოდ საკუთარი მოლოდინის მიხედვით განიხილავს.	ამ ტიპის დიდაქტიკური თამაშის დროს ბავშვები აღარ უშვებენ შეცდომებს კლასიფიკაციის დროს, იმიტომ, რომ აზროვნება აღარ არის მხოლოდ აღქმით შემოფარგლული. დიდაქტიკური თამაშის გართულება იმით არის გამოწვეული, რომ ამ ასაკში (7-11 წ.) მოზარდის ცნობიერებაში ჩნდება მასის, მოცულობისა და წონის მუდმივობის ძირითადი ცნებები. მეორე მხრივ, ლოგიკური ოპერაციების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ რეალურ საგნებზე. ამიტომ ბავშვები ხშირად წყვეტენ ამოცანებს რეალურ საგნებზე, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ ფორმალურ დონეზე – აზრობრივად, წარმოსახვით.

დიდაქტიკური თამაში „მებაღე“

„მებაღე“ მოსწავლემ უნდა დაასახელოს მისი საყვარელი 3, 4, 5 ხილის სახელი.

მოსწავლეები ასახელებენ სხვადასხვა ხილს. ერთი და იმავეს გამეორება შეიძლება. მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეთა მიერ დასახელებულ სახელებს და დაფაზე „ბაღის პანორამა“ ჩნდება.

შემდეგ მასწავლებელი იწყებს სახალისო შეკითხვებით თამაშს. ის სვამს შეკითხვებს:

მარწყვი რომ მოწყვიტო, ხეზე უნდა ახვიდე?

მოცხარი რომ მოწყვიტო, ხეზე უნდა ახვიდე?

ბალი ბალახია? რომ მოწყვიტო, ბალახის ფოთლები უნდა გადაწიო და იქ იპოვი?

შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ხაზავს სამსვეტიან ცხრილს და შიგ წერს: ხე, ბუჩქი, ბალახი. მოსწავლეები სახალისო კითხვა-პასუხის შედეგების მიხედვით ავსებენ ცხრილს, ანუ ხდება რანჟირება.

ხე	ბუჩქი	ბალახი
ვაშლი მსხალი ატამი კომში	მოცხარი ჟოლო მაყვალი	მარწყვი

დიდაქტიკური თამაში სწავლების ისეთი საშუალებაა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, სასწავლო ამოცანის შენიღბვის მეშვეობით ბავშვი წინასწარი განზრახვის გარეშე დაეუფლოს ცოდნას.

მაგალითად, განვიხილოთ მკითხველთა თეატრი. ის ისეთი დიდაქტიკური თამაშია, რომელიც კითხვის დასახვეწად გამოიყენება – ამა თუ იმ ნაწარმოების ზეპირი შესრულებით ხომ მოსწავლეები გაუცნობიერებლად ვარჯიშობენ კითხვაში. გარდა ამისა, ისინი ოსტატდებიან საუბარში, მეტი ინტერესი უჩნდებათ ლიტერატურისადმი.

საჭიროა მცირე ზომის ტექსტი, რომელიც 10-15 წუთში იკითხება და შედგება დიალოგებისაგან, რაც მოსწავლეებისთვის როლების განაწილების საშუალებას იძლევა.

მკითხველთა თეატრის მოსაწყობად უნდა განხორციელდეს შემდეგი პროცედურები:

- კლასში ტექსტის წასაკითხად უნდა შეირჩნენ მოხალისეები;
- თითოეულ მკითხველს უნდა მიეცეს ასლი და მასწავლებელმა უნდა მოისმინოს მხატვრულად წაკითხული ვარიანტი;
- ამის შემდეგ მასწავლებელმა უნდა წაიკითხოს ტექსტი კლასთან ერთად;

• მან უნდა სთხოვოს მოსწავლეებს, წაიკითხონ ტექსტი ჟესტებით, მიმიკებით, ინტონაციებით;

• მოსწავლეებმა ტექსტი თეატრალურად უნდა წაიკითხონ;

• მათ უნდა გაიმეორონ სცენები რამდენჯერმე, რათა მათი წაკითხული უფრო დრამატული და გამართული გახდეს.

გასაკვირი არაა, რომ ბავშვებს თამაში განსაკუთრებით უყვართ. ამ დროს ისინი ითავისებენ სასიცოცხლოდ აუცილებელ უნარებს და ჩვევებს, იმდიდრებენ სოციალურ წარმოდგენებს და ეცნობიან რთული და პრობლემური სიტუაციებიდან თავის დაღწევის გზებს. დიდაქტიკური თამაში სწავლების განსაკუთრებული საშუალებაა. მისი გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია, ლამაზად შენიღბოს სასწავლო ამოცანა და მოსწავლე ბუნებრივად, სტრესის გარეშე დაეუფლოს ცოდნას. აღნიშნული სტრატეგიის გამოყენება ეფექტიანი იქნება იმ ტიპის გაკვეთილის წარმართვისას, სადაც მუშაობა ჯგუფური ფორმით მიმდინარეობს, ფუნქციები განაწილებულია.

დიფერენციაციის თეორია და მისი გამოყენება სასწავლო პროცესში

დიფერენციაციის თეორია ეყრდნობა დასკვნას, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს (კ. ტომლინსონი). ამ დასკვნის საფუძველზე დიფერენციაციის თეორია გვთავაზობს სტრატეგიებს, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს, განსაკუთრებული პირობები შეუქმნას თითოეულ მოსწავლეს კარგად სწავლისთვის. ამისთვის მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა სასწავლო მასალას, განსხვავებულ დავალებებს და სხვაგვარ პრაქტიკას.

დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს კლასის ფასილიტაციის ზოგადი პრინციპებით, რომლებიც ეფექტიანია თითოეულ მოსწავლესთან მიმართებისას. ამ თეორიის მიხედვით, სწავლებისას გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობების:

• შინაარსი;

• პროცესი;

• პროდუქტი.

სისტემატურად იცვლება გამომდინარე იქიდან, თუ რისთვის არიან მზად მოსწავლეები. დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისას:

1. მასწავლებელმა ზუსტად იცის, რა არის მნიშვნელოვანი გაკვეთილში;
2. მასწავლებელი აცნობიერებს, აფასებს და ეყრდნობა მოსწავლეთა შორის განსხვავებას;
3. სწავლება და შეფასება ურთიერთკავშირშია;
4. მასწავლებელი აკვირდება და არეგულირებს შინაარსს, პროცესსა და შედეგს;
5. მოსწავლეთა ინდივიდუალური წარმატება და წარმატების მაქსიმალური ზრდა ორი მთავარი მიზანია;
6. სწავლების ყველა ეტაპზე (დაგეგმვა, სწავლება, შეფასება) ლავირება აუცილებელია დიფერენციაციის განსახორციელებლად.

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას მასწავლებელი ახდენს შემდეგი კომპონენტების მოდიფიცირებას:

• სასწავლო მასალების;

• სასწავლო რესურსების;

• სასწავლო გარემოს.

მოდიფიკაცია სამი ძირითადი ასპექტის გამოა აუცილებელი:

1. სწავლის შესაძლებლობა;
2. სწავლის მოტივაცია;
3. სწავლის ეფექტიანობა.

ეს სამივე ასპექტი აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ:

- მოსწავლის მზადყოფნას;
- ინტერესს;
- სწავლას.

ფაქტია, რომ ყველა მოსწავლე განსხვავებულია. არ არსებობს „სტანდარტული" მოსწავლე და არ არსებობს იდეალური ხერხი, რომლითაც მასწავლებელი ყველა მოსწავლის პრობლემებს გაუმკლავდება. სწორედ აქ გვეხმარება დიფერენციაციის თეორია, რომელიც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების არსებობას აღიარებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მას შემოაქვს დიფერენცირებული მიდგომები სწავლის მოდალობების თვალსაზრისით. მათზე დაყრდნობით მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოსწავლეთა განსხვავებების გამოყენება სასწავლო მიზნით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად.

სწავლის მოდალობებია:

- სმენითი;
- ვიზუალური;
- კინესთეტიკური.

ვიზუალურად შემსწავლელები

ვიზუალურად შემსწავლელები კლასის უმსხვილეს ჯგუფს წარმოადგენენ. ამგვარმა მოსწავლეებმა უნდა „დაინახონ" სასწავლი მასალა იმისათვის, რომ იგი გასაგები გახდეს. მნიშვნელოვანია, გვქონდეს ვიზუალური დამხმარე საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ ინფორმაციის დანახვას. ამისთვის მათ სჭირდებათ სურათები, გრაფიკული სახელმძღვანელოები, ოთახში გამოკრული ინფორმაცია და ვიზუალიზაციის ხელშემწყობი პირობები.

ტომლინსონი გვთავაზობს ვიზუალურად შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას:

- მოსწავლეებს უჭირთ სახელების დამახსოვრება, თუმცა ადამიანის შესახებ სხვა დეტალებს უკეთესად აღიქვამენ;
- ისინი შესანიშნავად ითვისებენ ცოდნას, თუკი ვიზუალური საშუალებები ხელმისაწვდომია ამ ცოდნის ასახსნელად;
- მათ ურჩევნიათ, თავად წაიკითხონ ტექსტი და არა სხვამ წაუკითხოს;
- ისინი ჩამოწერის მეშვეობით ალაგებენ აზრებს;
- უჭირთ სმენით მიღებული დირექტივების დამახსოვრება;
- ხშირად ამჟღავნებენ ემოციებს სახის გამომეტყველებით;
- უყვართ „ფაზლები" და მსგავსი გასართობები.

უნდა გვახსოვდეს, რომ კლასში ვიზუალური სტიმულის შემოტანით ჩვენ ხელს ვუწყობთ ამგვარ მოსწავ-ლეებს წარმატების მიღწევაში. უნდა გვახსოვდეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის „დანახვა".

სმენით შემსწავლელები

სმენით შემსწავლელები კლასის უმცირეს ჯგუფს წარმოადგენენ. შესაძლოა, მულტიმედიის, დღევანდელი ტექნიკური საშუალებების ბრალია, რომ იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომლებსაც სწავლა ჯდომისა და მოსმენის მეშვეობით ურჩევნიათ, ასე შემცირდა. ამგვარი მოსწავლეებისთვის

მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოსმენა – იქნება ეს ლექცია თუ დისკუსია, – მაგრამ მათ უნდა მივცეთ ლაპარაკის საშუალებაც.

სპრენჯერი წერს: „როდესაც ამ კატეგორიის მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, ან ზოგჯერ მაშინაც კი, როდესაც არ კითხულობენ, ხშირად შევამჩნევთ, რომ ისინი ამოძრავებენ ტუჩებს ან ბუტბუტებენ. საერთოდ, ასეთ მოსწავლეებს საკუთარ თავთან ლაპარაკისკენ მიდრეკილება აქვთ“.

ასეთი მოსწავლეები ხანდახან სმენით ინფორმაციას თანმიმდევრულად ინახავენ და ამ ინფორმაციის აღდგენაც თანმიმდევრულად უნდა მოხდეს. მასწავლებლები, რომლებიც თითქმის მთლიანად სმენით სწავლებას ეყრდნობიან, შესაძლოა, პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, თუ სხვა მოდალობების მოსწავლეებთან ექნებათ საქმე, განსაკუთრებით კი – კინესთეტიკურებთან.

მეცნიერები გვთავაზობენს სმენით შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას:

- სმენით შემსწავლელები სახელებს უკეთესად იმახსოვრებენ, ვიდრე სახეებს;
- მოუსვენრობას ავლენენ, თუკი საკლასო ოთახში დიდხანს უწევთ ჯდომა;
- რეაგირებენ ფიზიკურ წახალისებაზე, როგორიცაა, მაგალითად, მხარზე ხელის გადასმა;
- ურჩევნიათ კონკრეტული თემის შესახებ ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობა, ვიდრე მის შესახებ წაკითხვა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი გრძნობენ საკლასო ოთახის კომფორტულობის დონეს და ექცევიან ამ მახასიათებლის გავლენის ქვეშ; ადვილად ეფანტებათ ყურადღება ხმაურისაგან; კარგი მეზღაპრეები არიან; წერით სამუშაოს ამჯობინებენ ზეპირ გამოსვლას.

კინესთეტიკურად შემსწავლელები

სპრენჯერი ამბობს: „ყოველი გაკვეთილი უნდა შეიცავდეს მოძრაობას. ეს მოძრაობა ხშირად გაიმეორეთ. ბოლოს იგი მუდმივ მეხსიერებად იქცევა“. სიმართლე რომ ვთქვათ, პედაგოგები, რომლებიც ლექციური ტიპის გაკვეთილებს ანიჭებენ უპირატესობას, დიდ სირთულეებს წააწყდებიან კინესთეტიკურად შემსწავლელებთან ურთიერთობისას. ამგვარ მოსწავლეებს მოძრაობა სჭირდებათ. მათ აგრეთვე სჭირდებათ სასწავლო მოდელები, რომლებსაც ისინი ხელში დაიჭერენ და შეეხებიან. ამგვარ მოსწავლეებს სჭირდებათ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და პრაქტიკული სწავლა იმისათვის, რომ სასწავლი მასალა მათთვის გასაგები იყოს.

მკვლევრები გვთავაზობენ კინესთეტიკურად შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას:

- უკეთესად იმახსოვრებენ, როდესაც თავად ქმნიან. ეს ურჩევნიათ ნახვას ან მოსმენას;
- პრობლემის გადაჭრისას ხშირად ირჩევენ ისეთ ხერხს, რომელიც მაღალ ფიზიკურ აქტიურობას საჭიროებს;
- არ უყვართ ისეთი პროცესი, რომელიც მხოლოდ ყურებას ითხოვს;
- უყვართ იმიტაციები, დრამატული ინსცენირებები და აქტივობები ღია ცის ქვეშ.

უნდა გვახსოვდეს, რომ მათ უყვართ მოდელები და ხშირად აგებენ მოდელებს დამოუკიდებელი პროექტებისათვის; თავიანთ ემოციებს გამოხატავენ „სხეულის ენით“.

მთავარია, სწავლებისას სხვადასხვაგვარ მეთოდიკას მივმართოთ – ისეთ მეთოდებს, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ხედვის, სმენის და მოძრაობის გამოყენებას სასწავლო აქტივობებში.

როგორც ცნობილია, ყველა შემომავალ მონაცემს გონება უმკლავდება პერცეპტუალური რეგისტრატორის ან რეტიკულაციური აქტივაციის სისტემის (RAS) მეშვეობით. ეს მძლავრი სისტემა სწრაფად წყვეტს, ღირს თუ არა მისთვის ყურადღების მიქცევა. თუ სენსორულ მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია სწრაფად არ იქნა კოდირებული, იგი დაიკარგება. რის კოდირებას ახდენენ მოსწავლეები, დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აქცევენ ყურადღებას. დიფერენციაციის თეორიის გამოყენებისას მასწავლებელი გეგმავს აქტივობებს სხვადასხვა მოდალობის მოსწავლეებისთვის, ქმნის ეფექტურ სასწავლო გარემოს, რითაც ეხმარება კლასში მყოფ სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს, ისწავლონ. როდესაც მოსწავლეს სასწავლო

მასალა მიეწოდება შესაბამის მოდალობაში, ხდება ინფორმაციის სწრაფად კოდირება და ის არ იკარგება.

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატში:

1. სასწავლო მასალა და აქტივობები ყველა მოდალობის მოსწავლეზეა გათვლილი;

2. კლასში ჯგუფების ფორმირება ხდება სწავლის მოდალობის მიხედვით და თითოეული ჯგუფისთვის შექმნილია შესაბამისი სავარჯიშო.

პირველი ფორმატი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ მოსწავლე სწავლობს ყველა მოდალობით, მაგრამ დომინანტური ერთ-ერთი მოდალობაა. მასალის მაქსიმალურ გააზრებას თითოეული მოსწავლე იმ აქტივობით მიაღწევს, რომლის მოდალობაც მისთვის დომინანტურია. ამიტომ ამ ფორმატით სწავლების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად ახერხებს მასწავლებელი აქტივობების დონეზე დიფერენციაციის თეორიის რეალიზებას.

მეორე ფორმატი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ მთავარია, მოსწავლემ იმ მოდალობით ისწავლოს, რომელიც მისთვის დომინანტურია. ამ ფორმატით სწავლების ეფექტიანობა დამოკიდებულია ორ ფაქტორზე:

1. რამდენად სწორად მოახერხა მასწავლებელმა ჯგუფების დაკომპლექტება შესაბამისი მოდალობის მიხედვით;

2. რამდენად სწორადაა ადაპტირებული სასწავლო აქტივობა კონკრეტული მოდალობის ფარგლებში.

პრაქტიკაში მეორე მოდალობა უფრო პოპულარულია, თუმცა განათლების სპეციალისტები მუდმივად აღნიშნავენ პირველი ფორმატის ეფექტურობას. ასაკობრივ განვითარებასთან ერთად შერეული მოდალობით სწავლების ხარისხი იზრდება, თუმცა დომინანტური მოდალობა ადამიანს ბოლომდე უნარჩუნდება. შესაძლოა, გაკვეთილის დაგეგმვა დაეყრდნოს იმ მოსაზრებას, რომ მოსწავლე ყველა მოდალობით სწავლობს, თუმცა თითოეული აქტივობის ფარგლებში გამოჩნდება, რომ ერთი მოდალობაა დომინანტური, ანუ დიფერენციაციის თეორია აქტივობების დონეზე რეალიზდება. მნიშვნელოვანია, დავსვათ შეკითხვა:

რა ხდება შემდეგ, ანუ რამდენად აქტუალურია დიფერენციაციის თეორია საკითხის ღრმა გააზრების, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების თვალსაზრისით; როგორ ახერხებს მოსწავლე ანალიზს, სინთეზს და შეფასებას – რამდენად დინამიკური და ტრანსფერულია შეძენილი ცოდნა? მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მიიღებენ და გადაამუშავებენ ინფორმაციას, ის გონების ფილტრებში გაივლის. სწორედ გონება გადაწყვეტს, თუ რა უნდა მოუხერხდეს ამ ინფორმაციას. აზროვნების პროცესი განსაზღვრავს იმ ფაქტორებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს, უკეთესად შეძლონ მასალის ღრმად გააზრება და ერთმანეთთან დაკავშირება. ამისთვის კი მასწავლებელს სხვადასხვა როლის შესრულება უწევს: 1. ზოგიერთი მოსწავლისათვის ის კოლეგა ხდება აღმოჩენების პროცესში. 2. ზოგიერთი მოსწავლისათვის მასწავლებელი მწვრთნელის როლს ასრულებს. 3. არიან მოსწავლეები, რომლებისთვისაც ის წამქეზებლის როლს ასრულებს. 4. მასწავლებელი ვალდებულია, შინაარსის გამოტანაში დაეხმაროს ზოგიერთ მოსწავლეს. მასწავლებლის სხვადასხვა როლი სასწავლო პროცესისადმი დიფერენცირებული მიდგომიდან გამომდინარეობს, რადგან დიფერენციაციის თეორია აღიარებს მოსწავლეებს შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებებს და თითოეული მოსწავლის უნიკალურობას.

10. საგანმანათლებლო რესურსები

საგანგებოდ ამ სახელმძღვანელოსათვის მომზადებულია საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსი, ასევე სახატავი კომპიუტერული პროგრამები და აუდიო/ვიდეომასალა ხელოვნების შესახებ (ლინკები).

ეს რესურსები ატვირთული იქნება გამომცემლობის ვებგვერდზე და ხელმისაწვომი იქნება ნებისმიერი მასწავლებლისათვის.

მასწავლებელს შეეძლება თითოეული გაკვეთილისათვის დამატებითი საილუსტრაციო მასალის გამოყენება საგანგებოდ VII კლასის სახელმძღვანელოსათვის შექმნილი ელექტრონული რესურსიდან *(მიზანმიმართულად შერჩეული ელექტრონული რესურსი, რომელიც აიტვირთება გამომცემლობის ვებგვერდზე).* გარდა ამისა, ვებ გვერდზევე იქნება მითითებული კომპიუტერული სახატავი პროგრამებისა და აუდიო და ვიდეომასალის ლინკები. ელექტრონულ რესურსში წარმოდგენილია სახელმძღვანელოში განხილული თითოეული თემის საილუსტრაციო მასალა (ეპოქა, კულტურა, მხატვრული ტექნიკა, შემოქმედი, ნაწარმოები და სხვ.). ამ მასალების გამოყენება უზრუნველყოფს სწავლების მიზნის წარმატებით განხორციელებას და შედეგების ეფექტიან მიღწევას.

11. მოსწავლის შეფასების პრინციპები

შეფასების სისტემა

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სასწავლო თემების ფარგლებში გათვალისწინებული შეფასების სისტემა ეყრდნობა შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: სანდოობას; ვალიდურობას; ობიექტურობას და გამჭვირვალობას. ამ პრინციპების მისაღწევად გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი/შემაჯამებელი შეფასების ტიპები, ინსტრუმენტები, კონკრეტული და გაზომვადი შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლეთა შესაფასებლად გამოიყენება როგორც ანალიტიკური, ასევე ჰოლისტური შეფასების რუბრიკები. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება. შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, სისტემატურად და ხელს უწყობს მოსწავლის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ შეფასება თანაბარ პირობებში უნდა აყენებდეს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს. ხელოვნების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების სხვადასხვა ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული: შემოქმედებითი პრაქტიკული საქმიანობა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მრავალფეროვანი ტექნიკისა და მასალის გამოყენებით ექსპერიმენტის ჩატარება, წერითი და ზეპირი აქტივობები, არგუმენტირებული მსჯელობა, პროექტში მონაწილეობა, გამოფენის ორგანიზება და მასში მონაწილეობა, მასალის მოგროვება და სისტემატიზება, კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირება.

განმსაზღვრელი შეფასებით დგინდება მოსწავლის ცოდნის ხარისხი და მოსწავლის მიღწევების დონე ანუ სწავლის შედეგი, რომელიც აისახება ქულებში. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას, მოსწავლის პოტენციის განვითარებას და მის წინსვლას ანუ ამ შემთხვევაში ფასდება სწავლის პროცესის დინამიკა. განმავითარებელი შეფასების ფორმები და საშუალებებია: მასწავლებლის კომენტარი, თვითშეფასების კითხვარი, მასწავლებლის რეკომენდაცია.

შეფასების ტიპები და მათი გამოყენება დროის მიხედვით		
	განმსაზღვრელი	**განმავითარებელი**
მიმდინარე	**ყოველდღიური დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ჩართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი ან სხვა, რომელშიც ნიშანი იწერება.**	**ყოველდღიური დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ჩართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი ან სხვა, რომელშიც ვუხსნით მოსწავლეს, როგორ გააუმჯობესოს შედეგები.**
შემაჯამებელი	**რაიმე თემის, დროის მონაკვეთის, პროექტის ბოლოს მიღებული ნიშანი.**	**რაიმე თემის, დროის მონაკვეთის, პროექტის ბოლოს მიღებული სიტყვიერი შეფასება, კომენტარი, რუბრიკით შეფასება და სხვ.**

სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები

მოსწავლის ნიშანი უნდა გამომდინარეობდეს მის მიერ საგნის შესწავლის სხვადასხვა კომპონენტისგან. მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) საშინაო დავალება;

ბ) საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

სამივე კომპონენტს შეფასებისას თანაბარი წონა აქვს.

შეფასების კომპონენტები

საკლასო დავალება

1. პრაქტიკული სამუშაო, რომელიც ფასდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:
   - სახვითი და გამოყენებითი ელემენტების და პრინციპების, ტექნიკის და მასალის ფლობა;
   - შემოქმედებითი მიდგომა, ორიგინალური გადაწყვეტილების მიღება;
   - ორგანიზებულობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალა/აღჭურვილობა, სისტემურობა);
   - ჯგუფური მუშაობის უნარი, თანამშრომლობა.

2. საკუთარი და სხვისი ნამუშევრის განხილვაში მონაწილეობა.

3. ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი/განხილვა, რაც ფასდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:
   - განხილვაში აქტიური მონაწილეობა;
   - აზრის დასაბუთებულად წარმოჩენა;
   - სხვისი აზრის მიმართ პატივისცემის დემონსტრირება.

4. საკუთარი და სხვების ნამუშევრების წარდგენა, რაც ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
   - სათქმელის ნათლად გადმოცემა; კონტაქტი აუდიტორიასთან;
   - თვალსაჩინოების და ტექნიკური საშუალებების გამოყენება;
   - კითხვებზე შესაბამისი პასუხების გაცემა;
   - საშინაო დავალება;
   - პრაქტიკული სამუშაო;
   - ინფორმაციის და ვიზუალური მასალის მოძიება;
   - რეფერატი, ესე, შემაჯამებელი დავალებები;
   - მასშტაბური პრაქტიკული ნამუშევარი;

- გამოფენა;
- ტესტირება/კროსვორდი;
- მოხსენება/რეფერატი (მხატვრული ნაწარმოების, შემოქმედის, ეპოქის შესახებ).

სასწავლო თემების ფარგლებში რეკომენდებულია მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენება:

- პრაქტიკული სამუშაოს შეფასების რუბრიკების ნიმუში;
- დისკუსიაში მონაწილეობის შეფასების რუბრიკების ნიმუში;
- პრეზენტაციის შეფასების რუბრიკების ნიმუში;
- ნამუშევრის აღწერა-ანალიზის შეფასების რუბრიკების ნიმუში;
- მოსწავლეთა ურთიერთშეფასების რუბრიკების ნიმუში;
- მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკების ნიმუშები;
- მოსწავლის პროგრესზე დაკვირვების სქემის ნიმუში;
- შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკების ნიმუში:
- მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკების ნიმუში.

განმავითარებელი შეფასება

განმავითარებელი შეფასების მიზანს სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა, სწავლის პროცესის/არსებული საჭიროებების შეფასება, პროგრესის მონიტორინგი და მეტაკოგნიტური აზროვნების ხელშეწყობა წარმოადგენს. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას, თუ როგორ არის შესაძლებელი სწავლის შედეგის გაუმჯობესება, ეხმარება მათ ადეკვატური თვითშეფასების, სხვათა შეფასების უნარის ფორმირებასა და წარმატების მიღწევაში. განმავითარებელი კომენტარები/რჩევები, ხელს უწყობს მოსწავლეს, ხარვეზის/სუსტი მხარეების დანახვასა და უკეთესი შედეგების მისაღწევად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაში.

განმავითარებელი შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დააკვირდეს მოსწავლის მიღწევებს, დააფიქსიროს მისი საჭიროებები, ხოლო შემდეგ ხელი შეუწყოს მის განვითარებას. ხარვეზის/ნაკლოვანების აღმოჩენის დროს მოსწავლე იმედოვნებს, რომ მასწავლებელი მიუთითებს, რას უნდა მიაქციოს ყურადღება უკეთესი შედეგის მისაღწევად, არ ფერხდება და არ უქრება სწავლის მოტივაცია. ახალი ცოდნის ათვისების პროცესში მასწავლებელი და მოსწავლე ერთად ცდილობენ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას, იმ ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებიც შესაძლოა, შემაფერხებელ როლს თამაშობდეს და განსაზღვრავენ მათი გადალახვის ტაქტიკას. ამასთან, მოსწავლეს უყალიბდება თვითშეფასების უნარი, იზრდება მისი შეგნება და პასუხისმგებლობა. განმავითარებელი შეფასება აფასებს მოსწავლეს საკუთარ მიღწევებთან მიმართებით, აჩვენებს მის წინსვლას და მომავალი განვითარების პერსპექტივებს.

განმავითარებელი შეფასება ეყრდნობა შეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემებს და მოსწავლის მიღწევებს დინამიკაში აფასებს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

წერილობითი და სიტყვიერი კომენტარი, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები, კითხვარი, მასწავლებლის რეკომენდაცია.

უკუკავშირი კონკრეტულ საქმიანობაზე, სიტუაციებზე კომენტირების პროცესია. იგი ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას. უკუკავშირის დროს აქცენტი კეთდება კონკრეტულ საქმიანობაზე.

წერილობითი უკუკავშირი

წერილობითი უკუკავშირი გამოიყენება საშინაო დავალების, საკლასო სამუშაოსა თუ პორტფოლიოს

შეფასებისთვის. მასწავლებელი შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით ჯერ აღნიშნავს ნამუშევრის ძლიერ მხარეს. ხარვეზების არსებობის შემთხვევაში – მისი გამოსწორების რეკომენდაციებს გასცემს. რეკომენდაციების მიწოდებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შეხსენება და თანმიმდევრული დახმარება. თანმიმდევრული დახმარება შეიძლება განხორციელდეს შეკითხვების დასმის, აღწერისა და მაგალითის/ნიმუშის შეთავაზების ფორმით.

შემაჯამებელი ბარათები

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს პატარა ფურცლებს – „შემაჯამებელ ბარათებს", სთხოვს, ანონიმურად უპასუხონ ერთ ან ორ შეკითხვას და დატოვონ მაგიდაზე. ბარათებს რომელიმე მოსწავლე აგროვებს.

კითხვები შეიძლება იყოს ქვემოთ მოცემულის მსგავსი ან სულაც თქვენ მიერ შერჩეული.

- დაწერეთ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც დღეს პირველად გაიგეთ. რატომ არის ეს საკითხები ყველაზე მნიშვნელოვანი?
- რა ვისწავლე დღეს?
- როგორ გამოვიყენებ ამ ცოდნას ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- რომელი საკითხი დარჩა ბუნდოვანი და რატომ?

შემაჯამებელი ბარათები გამოგადგებათ იმის გასარკვევად, თუ რა უჭირთ მოსწავლეებს, როგორ წარიმართა თქვენი გაკვეთილი, მიაღწიეთ თუ არა მიზნებს. მომდევნო გაკვეთილზე აუცილებლად გააკეთეთ წინა გაკვეთილის მცირე შეჯამება და ყურადღება გაამახვილეთ იმ საკითხებზე, რომლებიც მოსწავლეებმა აღნიშნეს ბარათებში. იმის მიხედვით, თუ რომელ კლასში შეგაქვთ შემაჯამებელი ბარათები, პასუხები შესაძლოა განსხვავდებოდეს. ზოგჯერ მოსწავლეები შეიძლება ზერელედ მოეკიდონ ბარათების შევსებას, თუმცა, თუ მათ დაანახებთ, რა შედეგი მოჰყვება პასუხების გაცემას, მათი დამოკიდებულებაც შეიცვლება.

კითხვების დასმა

კითხვების დასმა განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია, თუმცა, საგულისხმოა ის, რომ ნებისმიერი კითხვა ვერ ემსახურება განმავითარებელ შეფასებას. თუ კითხვა მაღალი დონის სააზროვნო უნარებს კი არა, მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებს, მასწავლებელი ვერ იგებს, რამდენად გაიაზრა მოსწავლემ ახალი მასალა. მაგალითად, კითხვა – „რომელ წელს შეიქმნა რომელიმე კონკრეტული ნაწარმოები?" – რადგან მხოლოდ მზა ცოდნაზეა ორიენტირებული, თუმცა, შემდეგი კითხვა – „რომელი მხატვრული ხერხებია გამოყენებული საზეიმო განწყობილების, სასიხარულო ემოციების გადმოსაცემად: ნათელი, მკვეთრი ფერები თუ პირქუში, მუქი ფერთა გამა?" შეიძლება გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასების მიზნით. როცა მოსწავლეებმა ფერის გამოყენების პრინციპები იციან, ასეთი კითხვა ნამდვილად დაგვანახებს, რამდენად ღრმად აქვთ გააზრებული საკითხი.

აუხსენი შენზე უმცროსს/აუხსენი მეგობარს

მოსწავლეებს სთხოვეთ, აუხსნან უმცროს/ მეგობარს ახალი ცნება ან მასალა უფრო მარტივად, ვიდრე მასწავლებელმა აუხსნა მათ. განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ წარმოსახვითი/რეალური მეგობარი, მათ შორის, არსებული ასაკობრივი სხვაობის გამო, შესაძლოა, ბევრად უფრო ნაკლებ ცოდნას ფლობდეს. ამიტომ მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ შეძლონ მოცემული ცნების ახსნა ბევრად უფრო მარტივი ენით, ვიდრე ეს გააკეთა მასწავლებელმა. დააკვირდით, როგორ ხსნიან მოსწავლეები ახალ ცნებებს, რათა გაიგოთ, რამდენად ღრმად გაიგეს/გაიაზრეს საკითხი.

ურთიერთშეფასება

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ურთიერთშეფასება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია, სთხოვეთ მოსწავლეებს, გადახედონ ერთმანეთის პრაქტიკულ ნამუშევრებს. თავდაპირველად აღნიშნონ რა მოსწონთ

თანატოლთა ნამუშევრებში და რატომ, ხოლო შემდეგ დაურთონ (კორექტული) კომენტარები, რომლებიც უნდა აღწერდეს არა მარტო იმას, თუ რა არის არასწორი, არამედ ნაშრომის გაუმჯობესების გზებსაც (ტექნიკა – ნამუშევრების გაცვლა/შეფასება; ურთიერთგამოკითხვა გეგმის მიხედვით; კომენტარების დართვა). ეს სტრატეგია მასწავლებელს უკეთეს წარმოდგენას შეუქმნის იმაზე, თუ რამდენად კარგად გაიგეს მასალა მოსწავლეებმა. ურთიერშეფასებისა და თვითშეფასების მიზანია, საკუთარი სწავლის პროცესისა და ცოდნის შეფასების უნარის განვითარება ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების სქემებზე/რუბრიკებზე დაყრდნობით. თანაკლასელების შეფასება ეხმარება მოსწავლეებს, ურთიერთშეფასების პროცესში მოსწავლეები სწავლობენ სხვის ნამუშევრებში ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას და ამით აანალიზებენ საკუთარ პროგრესსაც.

საკუთარი სწავლის პროცესის შეფასება

განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია. იმისთვის, რომ მოსწავლემ განივითაროს საკუთარი თავის ობიექტურად შეფასების უნარი, საჭიროა შემდეგი სამუშაოების ჩატარება:

1. ვასწავლოთ მოსწავლეს საკუთარი სწავლის მოტივის გაცნობიერება. ეს შეიძლება მოხდეს შემდეგი ტიპის შეკითხვების დასმით: რატომ უნდა ვიცოდე? რატომ უნდა შემეძლოს? რაში შემეშლება ხელი, თუ არ მეცოდინება?
2. საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა: რა ნაბიჯები უნდა გადავდგა დავალების შესასრულებლად? რა რესურსები დამჭირდება ამისთვის (რა უნდა მოვიმზადო დავალების შესასრულებლად? რა სირთულეები შეიძლება შემხვდეს? როგორ უნდა დავძლიო? რა/ვინ დამეხმარება ამაში?
3. შედეგის ანალიზი – უნდა ვუპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს: შეესაბამება თუ არა სამუშაო დასახულ მიზანს? როგორ შემიძლია შევამოწმო შედეგი? რატომ დავუშვი შეცდომები? შემიძლია აღვნიშნო, რატომ დავუშვი ისინი?

ამისთვის შეიძლება გამოვიყენოთ კითხვარები. გთავაზობთ კითხვარის გამოყენების კონკრეტულ ნიმუშს: მასალის ახსნის, განმტკიცებისთვის.

სავარჯიშოების შესრულების შემდეგ კლასს ვყოფთ ოთხ ჯგუფად. მათ უნდა შეავსონ შემდეგი ტიპის კითხვარი:

- რა ვისწავლეთ დღეს ახალი?
- რომელი ინფორმაცია იყო ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო?
- რა იყო რთული?
- რა გვიშლიდა ხელს მუშაობაში?
- რაში გამოგვადგება მიღებული ცოდნა?

თითოეული მოსწავლე ჯგუფის შიგნით მხოლოდ ერთ კითხვას სცემს პასუხს, ამის შემდეგ ჯგუფდებიან ბავშვები, რომელთაც ანალოგიურ კითხვაზე მოუხდათ პასუხის გაცემა. ხდება პასუხების განზოგადება და წარდგენა ჯგუფის წინაშე.

შემაჯამებელი შეფასება

განვლილი მასალის შეჯერება-შეფასება მრავალფეროვანი სტრატეგიებითა და ინსტრუმენტებით ხორციელდება. სახელმძღვანელოში შემაჯამებელი დავალებები წარმოდგენილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული დავალებებისა და ტესტების სახით. სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა და სწავლა/სწავლების ხარისხის მართვა მოსწავლის შეფასებით ხორციელდება. შეფასება უნდა განხორციელდეს მრავალფეროვანი მეთოდით და დიდი ინტენსივობით, რაც მოსწავლის შესაძლებლობების

შემდგომი განვითარების წინაპირობას წარმოადგენს.

განმსაზღვრელი შეფასებით დგინდება მოსწავლის ცოდნის ხარისხი და მოსწავლის მიღწევების დონე ანუ სწავლის შედეგი, რომელიც აისახება ქულებში. შემაჯამებელ დავალებებს უნდა ახლდეს შეფასების რუბრიკა, დავალების ტიპის გათვალისწინებით ანუ თეორიული და პრაქტიკული ნაშრომის შეფასება.

შემაჯამებელი დავალებების შესრულება აუცილებელია ყველა მოსწავლისათვის. დადებითი ან უარყოფითი შემაჯამებელი შეფასების მიღების შემთხვევაში სასურველია, მასწავლებელმა გააკეთოს წერილობითი კომენტარი, რაც, ერთ შემთხვევაში, ხარვეზის აღმოფხვრის საწინდარი გახდება, ხოლო მეორე შემთხვევაში, მოტივაციას აუმაღლებს მოსწავლეს.

შემაჯამებელი შეფასების რუბრიკის შედგენისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი:

1. შემაჯამებელმა დავალებამ უნდა შეაფასოს ის, რაც მოსწავლეებმა კონკრეტული თემის გავლის შედეგად ისწავლეს;
2. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილი უნდა იყოს მოსწავლეთათვის;
3. შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათელი და არ იძლეოდეს ინტერპრეტირების საშუალებას;
4. შეფასების რუბრიკაში გათვალისწინებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომლის ათვისებასაც ემსახურებოდა გავლილი თემა;
5. შეფასების კრიტერიუმებს შორის ქულები გადანაწილებული უნდა იყოს გონივრულად;
6. მრავალდონიანი შეფასების რუბრიკის გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსალოდნელი რისკები და შესაძლო შედეგები.

ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადადგას სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელმა:

ნაბიჯი 1. ხელოვნების მასწავლებელი, შემაჯამებელი დავალების ჩატარებამდე მოსწავლეებთან ერთად დეტალურად განიხილავს შეფასების რუბრიკას;

ნაბიჯი 2. მოსწავლეებს სახლში შესასრულებლად ეძლევათ იმ ტიპის დავალება, რომელიც შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების დროს იქნება გამოყენებული;

ნაბიჯი 3. მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს შეფასების რუბრიკაზე დაყრდნობით შემუშავებულ თვითშეფასების ფორმებს და სთხოვს, დავალების შესრულების შემდეგ საკუთარი ნაშრომები თავად შეაფასონ.

ნაბიჯი 4. მასწავლებელი თავად აფასებს მოსწავლეთა ნამუშევრებს და საერთო შეცდომებსა და ტენდენციებს განიხილავს გაკვეთილზე.

ამგვარი სიღრმისეული განხილვის შემდეგ, მოსწავლეებისთვის ნათელი ხდება, როგორ შეასრულონ შემაჯამებელი დავალება, როგორ გამოიყენონ შეფასების ფორმები თვითშეფასებისათვის და როგორ გაუმჯობესონ საკუთარი მიღწევები.

შენიშვნა: მოსწავლის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები – ტესტები და მის მიერ შესრულებული პრაქტიკული ნამუშევრები მასწავლებლის კომენტარით უნდა ინახებოდეს პორტფოლიოში.

შეფასების რუბრიკების ნიმუშები:

მოსწავლის ნამუშევრის (პრაქტიკული უნარების განვითარების) შეფასების რუბრიკები (მ. ბარტელის მიხედვით)

მასწავლებელი: _____

მოსწავლე: _____ *(VII კლასის მოსწავლე)*

ზრდა, სიახლე და გაუმჯობესება	• შეესაბამება თუ არა ნამუშევარი იმავე მოსწავლის წინა ნამუშევარს? • ჩანს თუ არა მასში მეტი ემოციურობა და გამომსახველობა? • ჩანს თუ არა ახალი იდეა, მეტი ნააზრევი? • ჩანს თუ არა მეტი ოსტატობა?	კარგი	საშუალო	საჭიროებს გაუმჯობესებას
შემოქმედებითობა და მოულოდნელი აღმოჩენები/მიგნებები	• რამდენად ინოვაციური, ორიგინალურია ნამუშევარი? • წინა ნამუშევართან შედარებით ჩანს თუ არა რაიმე ცვლილება?			
დავალების შესრულება	• დავალებაში რამდენად კარგადაა გადაჭრილი დასახული ამოცანა/პრობლემა? • თუ მოსწავლეს შესრულებული დავალება განსხვავებულად აქვს გადაწყვეტილი, ჰქონდა თუ არა სერიოზული მიზეზი?			
გულმოდგინება	• ნამუშევარი გულმოდგინედაა შესრულებული. ნამუშევრის სტილი გააზრებულია და ოსტატურადაა შესრულებული.			

შენი ნამუშევარი	
ორიგინალურია?	
საინტერესოა?	
რამდენად დეტალურია?	
შენი საკუთარი იდეაა?	
იდეის/დავალების შესაბამისია?	
შენი ნამუშევარი ფერადოვანია?	
დარწმუნებული ხარ, რომ ნამუშევარი დასრულებულია?	

მასწავლებლის რეფლექსია

როგორ/რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ახდენთ თვითშეფასებას?

თემატური ერთეულის დასრულების შემდეგ, მასწავლებელმა ინდივიდუალური წერილობითი რეფლექსიის დროს პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს:

- რა იყო ჩემი, როგორც მასწავლებლის წარმატება?
- რის საფუძველზე მივაღწიე ამას?
- რა სირთულეს წავაწყდი?
- რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა თემატური ერთეულის ფარგლებში – თითოეული გაკვეთილის გეგმით განსაზღვრულ მიზნებს?
- რა გავლენა იქონია გაკვეთილზე გამოყენებულმა სტრატეგიებმა მიღებულ შედეგებზე?
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული პრაქტიკული ნამუშევრები რისი თქმის საშუალებას მაძლევს? (ხატვა, ძერწვა, კონსტრუირებას ან მათ მიერ შესრულებული ტესტები, ესე?)
- რომელი სტრატეგიების გამოყენებით გახდა შესაძლებელი (თემატური ერთეულის ფარგლებში – თითოეული გაკვეთილის განმავლობაში) ცოდნის კონსტრუირება?
- მისაღწევი მიზნების შესაბამისად, როგორ შეიცვალა თემატური ერთეულის ფარგლებში შემავალი გაკვეთილის/გაკვეთილების გეგმები გაკვეთილის მსვლელობის პროცესში? რატომ?
- მომავალში ამ თემატურ ერთეულში შემავალი გაკვეთილის ხელმეორედ ჩატარების შემთხვევაში რას შევცვლი? რატომ?

თემის შედეგების შეფასების რუბრიკები

თითოეულ კრიტერიუმს ენიჭება შესაბამისი ქულა

კრიტერიუმი	1-3	4-6	7-8	9-10
1.თემის ფარგლებში მოსწავლე ახდენს სახვითი ხელოვნების ჟანრების კლასიფიკაციას, სხვადასხვა (პეიზაჟი, ნატურმორტი) ჟანრის ნამუშევრებში ეპოქალური ნიშნების ამოცნობას	მოსწავლე ვერ განასხვავებს სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრებს ერთმანეთისაგან	მოსწავლე განასხვავებს სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრებს ერთმანეთისაგან	მოსწავლე განასხვავებს სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრებს ერთმანეთისაგან, ნამუშევართა ნაწილს მიაკუთვნებს შესაბამის ეპოქას. ხშირ შემთხვევაში, ვერ ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას	მოსწავლე განასხვავებს სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრებს ერთმანეთისაგან, ახდენს მათ კლასიფიცირებას და ეპოქალური ნიშნების საშუალებით მიაკუთვნებს შესაბამის ეპოქას. მოჰყავს არგუმენტები საკუთარი პოზიციის გასამყარებლად
2.თემის ფარგლებში მოსწავლე გადმოსცემს პეიზაჟში განწყობილებას სხვადასხვა ხერხის, მასალისა და მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენებით	მოსწავლის მიერ შექმნილ ნამუშევარში გამოყენებულია მწირი მასალა და ტექნიკა	მოსწავლის მიერ პეიზაჟის შესაქმნელად გამოყენებული ხერხები, მასალა და ტექნიკა ვერ გადმოსცემს განწყობილებას ნამუშევარში	მოსწავლის მიერ შექმნილ პეიზაჟში გადმოცემულია განწყობილება ხერხების, მასალისა და ტექნიკის გამოყენებით	მოსწავლის მიერ შექმნილ პეიზაჟში გამოყენებულია სხვადასხვა ხერხი და მასალა, მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენებით გადმოცემულია შესაბამისი განწყობილება

3. თემის ფარგლებში მოსწავლე შემოქმედებითად გადმოსცემს გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს ადეკვატური გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით, ასახავს სივრცეს პეიზაჟში (მეხსიერებით ან პლენერზე) მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით	მოსწავლის მიერ შექმნილ პეიზაჟში არ არის გადმოცემული გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები ადეკვატური გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით,არ იკვეთება სივრცის გადმოცემის მცდელობა	მოსწავლის მიერ შექმნილ პეიზაჟში გადმოცემულია გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები, იკვეთება სივრცის გადმოცემის მცდელობა	მოსწავლის მიერ შექმნილ პეიზაჟში გადმოცემულია გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები ადეკვატური გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით. ასახულია სივრცე	მოსწავლის მიერ შექმნილ პეიზაჟში შემოქმედებითადაა გადმოცემული გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები ადეკვატური გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით. ასახულია სივრცე მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით
4. თემის ფარგლებში მოსწავლე იყენებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ელემენტსა და ხერხს (კონტრასტული ფერები, მონასმი, ფაქტურა) ნატურმორტის შესაქმნელად	დავალება არ არის ადეკვატურად გაგებული – მოსწავლე ვერ ქმნის ნატურმორტს კონტრასტული ფერების, მონასმებისა და ფაქტურის გამოყენებით	მოსწავლე ქმნის სქემატურ, მარტივ ნატურმორტს	მოსწავლის მიერ შექმნილ ნატურმორტში გამოყენებულია კონტრასტული ფერები და მონასმები	მოსწავლის მიერ შექმნილ ნატურმორტში გამოყენებულია სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ელემენტი და ხერხი (კონტრასტული ფერები, მონასმი, ფაქტურა)
5. მოსწავლე ფლობს ეფექტიანი კომუნიკაციის უნარებს – გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანმიმდევრულად ავითარებს მას – შესაბამის ტერმინებს ასახელებს სწორად და იყენებს მიზანმიმართულად	მოსწავლე არ ფლობს ეფექტიანი კომუნიკაციის უნარებს, მისი მოსაზრებები არ არის თანმიმდევრულად ჩამოყალიბებული. შესაბამის ტერმინებს ვერ ასახელებს სწორად	მოსწავლე ნაწილობრივ ფლობს ეფექტიანი კომუნიკაციის უნარებს, მისი მოსაზრებები ნაწილობრივ თანმიმდევრულია, მაგრამ ვერ ასახელებს შესაბამის ტერმინებს სწორად	მოსწავლე ძირითადად ფლობს ეფექტიანი კომუნიკაციის უნარებს, მისი მოსაზრებები ხშირ შემთხვევაში თანმიმდევრულია, ასახელებს და იყენებს შესაბამის ტერმინებს სწორად და მიზანმიმართულად	მოსწავლე იყენებს ეფექტიანი კომუნიკაციის უნარებს საკუთარი მოსაზრებების გასაგებად, თანმიმდევრულად გადმოსაცემად, ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს, შესაბამის ტერმინებს იყენებს მიზანმიმართულად

6. თემის ფარგლებში კოოპერაცია – ეფექტიანად თანამშრომლობს თანაკლასელებთან – წყვილში, ჯგუფში	არ თანამშრომლობს თანაკლასელებთან	იშვიათად თანამშრომლობს თანაკლასელებთან	ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება	თანამშრომლობს თანაკლასე-ლებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს
7. ორგანიზებულობა – მოსწავლე ორგანიზებულია, აქვს პრაქტიკული სამუშაოსთვის და თეორიული ტიპის გაკვეთილისთვის საჭირო ყველა რესურსი	არ არის ორგანიზებული – სისტემატურად არ აქვს საჭირო რესურსი როგორც თეორიული ტიპის გაკვეთილისთვის, ასევე პრაქტიკული სამუშაოსთვის	მოსწავლეს იშვიათად აქვს საჭირო მასალა როგორც თეორიული ტიპის გაკვეთილისთვის, ასევე პრაქტიკული სამუშაოსთვის	მოსწავლე ძირითადად ორგანიზებულია – აქვს პრაქტიკული სამუშაოსთვის და თეორიული ტიპის გაკვეთილისთვის საჭირო რესურსი	მოსწავლე ორგანიზებულია – აქვს პრაქტიკული სამუშაოსთვის და თეორიული ტიპის გაკვეთილისთვის საჭირო ყველა რესურსი

ნამუშევრის აღწერა-ანალიზის შეფასების რუბრიკები

აღწერა უნდა პასუხობდეს კითხვას: რას ხედავთ ხელოვნების ამ ნაწარმოებში?	1-3	4-6	7-8	9-10
აღწერა უნდა პასუხობდეს კითხვას: რას ხედავთ ხელოვნების ამ ნაწარმოებში? • ნამუშევრის სათაური და ავტორის ვინაობა; • ხელოვნების რომელ დარგს ან ჟანრს განეკუთვნება ეს ნამუშევარი? • რა მასალითაა ის შესრულებული? • როგორია ნამუშევრის ფორმატი (მაგალითად, რა ფორმისაა სასურათე არე, რა ზომის არის ნამუშევარი)? • რა შინაარსს ასახავს ნამუშევარი? ან რა არის მისი ფუნქცია? • აღწერეთ ყველა გამოსახულება (ან ფიგურა), რომელსაც ხედავთ; • ხელოვნების რომელი ელემენტები (მაგალითად, ხაზი, ფერი, ფორმა და ა.შ.) და პრინციპებია გამოყენებული ნამუშევარში?	მოსწავლე არ პასუხობს პირობაში მოცემულ მითითებებს – არც ერთ კითხვაზე არ არის გაცემული ადეკვატური პასუხი	მოსწავლე პასუ-ხობს პირობაში მოცემულ ზოგიერთ მითითებას, მისი პასუხი ნაწილობრივ სწორია – ზოგი-ერთ კითხვაზე გაცემულია ნაწი-ლობრივ სწორი პასუხი	მოსწავლე პასუხობს უმეტეს მითითებას, მისი პასუხები არის სწორი/ ადეკვატური, მაგრამ ზოგადი – კითხვების უმრავლესობაზე გაცემულია სწორი პასუხი	მოსწავლე პასუ-ხობს ყველა მითი-თებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პი-რობა – პასუხები გააზრებული და დამაჯერებელია, ყველა კითხვაზე გაცემულია სწორი პასუხი

ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის სქემა
 	
ანალიზი უნდა პასუხობდეს კითხვას: როგორია ხელოვნების ეს ნაწარმოები?
 	
• როგორ/რა პრინციპით არის აგებული ნამუშევრის კომპოზიცია? გაწო-ნასწორებულია თუ არა ის, სიმეტრიულია თუ არა, მეორდება თუ არა ელემენტები? რა წარმოადგენს კომპოზიციის ცენტრს?
• შეგიძლიათ განსაზღვროთ, რომელია მთავარი და რომელი მეორეხარისხოვანი გამოსახულება? რა ხერხით არის გამოყოფილი მთავარი გამოსახულება (მაგალითად, ზომა, მდებარეობა, ფერი)?
• როგორ არის გამოყენებული ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევარში? აღწერე და დაახასიათე, რა ტიპის ხაზებია (სწორი, ირიბი, ტეხილი, მრუდე, ტალღოვანი და სხვ.), რომელი ფერებია (ცივი, თბილი, კონტრასტული, ჟღერადი, ბაცი, მუქი,) გამოყენებული, როგორაა დამუშავებული ფორმა (მოცულობითია თუ სიბრტყოვანი), არის თუ არა ნამუშევარში სივრცე;
  • რეალისტურია თუ პირობითი გამოსახულება/ გამოსახულებები?
  • რა ემოციას და განწყობილებას აღძრავს ნამუშევარი?
  • რა არის ხელოვნების ამ ნაწარმოების მთავარი აზრი?
	მოსწავლის პასუხები – მსჯელობა არ შეესაბამება სქემაში დასმულ საკითხებს	მოსწავლის პასუხებიდან ჩანს სქემაში დასმული საკითხების ნაწილობრივი ცოდნა და გააზრება	მოსწავლის მსჯელობიდან ჩანს, რომ აქვს შესაბამისი ცოდნა და ესმის სქემაში დასმული საკითხების არსი, თუმცა, მისი პასუხები ზოგადია	მოსწავლის პასუხები – მისი მსჯელობა დამაჯერებელია და ლოგიკური, ადეკვატური არგუმენტებითაა გამყარებული

პროექტის შეფასების სარეკომენდაციო ცხრილი:

კრიტერიუმი	კარგი	საშუალო	სუსტი
თემატიკა. საძიებო პროექტი, მასში დასმული პრობლემა/ საკითხები რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია მოსწავლის განვითარებისთვის – შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განსავითარებლად			
მიზანი. რამდენად კონკრეტული, მიღწევადი, ნათელი და გაზომვადია			
ამოცანები. რამდენად შეესაბამება თითოეული ამოცანა პროექტის მიზანს			
განხორციელების გზები. რამდენად უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას, რამდენად რაციონალურია და პრაქტიკული, რამდენად რეალურია ვადები და არის თუ არა ფუნქციები სწორად გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის			
შედეგი. რამდენად რეალურია აღნიშნული შედეგის მიღწევა და რამდენად შეესაბამება მიზანს და ამოცანებს			
რესურსები. რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული, რა არის საჭირო პროექტით გათვალისწინებული საქმიანობებისათვის			
სტრუქტურა. რამდენად ლოგიკურად არის აგებული პროექტი (თანმიმდევრობა)			

დისკუსიის შეფასების კითხვარი

სახელები: _____ **თარიღი:** _____

სადისკუსიო თემა: _____

	დიახ	არა	ზოგჯერ	შენიშვნები
დისკუსიის პროცესში ყველა მონაწილეობდა, გამოთქვამდა აზრს და ასაბუთებდა				
ჯგუფი მეგობრულად იყო განწყობილი, მონაწილეები ერთმანეთს მხარს უჭერდნენ				
ჯგუფის წევრები ხშირად სვამდნენ შეკითხვებს აზრების დასაზუსტებლად და დისკუსიის პროცესის სრულყოფისათვის				
დისკუსია ჯგუფში თემას არ გასცილებია				
ჯგუფი კონსტრუქციული იყო, აკრიტიკებდა მოსაზრებას და არა პიროვნებას				

შემუშავებული შეფასების რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეს, თავად აღნიშნოს, თუ რამდენად კარგად აქვს შესრულებული კონკრეტული დავალება

დავალება 1.	დავალება ძალიან კარგად შევასრულე	დავალება კარგად შევასრულე	ნაწილობრივ შევასრულე დავალება	მჭირდება დამატებითი მუშაობა
დაასახელეთ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები და დაასახელეთ მათი მახასიათებლები	დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (ნასწავლი) ჟანრები და მათი (ყველა) მახასიათებლები	დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (ნასწავლი) ჟანრები და დავასახელე მათი თითოეული მახასიათებელი	დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები	ვერ დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები და ჟანრები

მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი

პრაქტიკული სამუშაო

მოსწავლის სახელი, გვარი _____

დავალების ინსტრუქციის მოსმენის შემდეგ, სანამ პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას დავიწყებ, ჯერ სამოქმედო გეგმას ვადგენ (თანმიმდევრულად რას რის შემდეგ გავაკეთებ)	ყოველთვის ზოგჯერ არასდროს
მუშაობის დაწყებამდე ვქმნი მოსამზადებელ ჩანახატს	ყოველთვის ზოგჯერ არასდროს
ვიცავ დროის ლიმიტს	ყოველთვის ზოგჯერ არასდროს
ვაწესრიგებ სამუშაო ადგილს	ყოველთვის ზოგჯერ არასდროს
ვინიშნავ რესურსების ნუსხას, რომელიც დამჭირდება შემდეგ გაკვეთილზე	ყოველთვის ზოგჯერ არასდროს

ხელოვნების ნაწარმოების აღწერის სქემა

აღწერა უნდა პასუხობდეს კითხვას: რას ხედავთ ხელოვნების ამ ნაწარმოებში?

- ნამუშევრის სათაური და ავტორის ვინაობა;
- ხელოვნების რომელ დარგს ან ჟანრს განეკუთვნება ეს ნამუშევარი?
- რა მასალითაა ის შესრულებული?
- როგორია ნამუშევრის ფორმატი (მაგალითად, რა ფორმისაა სასურათე არე, რა ზომის არის ნამუშევარი)?
- რა შინაარსს ასახავს ნამუშევარი? ან რა არის მისი ფუნქცია?
- აღწერეთ ყველა გამოსახულება (ან ფიგურა), რომლებსაც ხედავთ;
- ხელოვნების რომელი ელემენტები (მაგალითად, ხაზი, ფერი, ფორმა და ა.შ.) და პრინციპებია გამოყენებული ნამუშევარში?

ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის სქემა

ანალიზი უნდა პასუხობდეს კითხვას: როგორია ხელოვნების ეს ნაწარმოები?

- როგორ/რა პრინციპით არის აგებული ნამუშევრის კომპოზიცია? გაწონასწორებულია თუ არა ის, სიმეტრიულია თუ არა, მეორდება თუ არა ელემენტები? რა წარმოადგენს კომპოზიციის ცენტრს?
- შეგიძლიათ განსაზღვროთ, რომელია მთავარი და რომელი მეორეხარისხოვანი გამოსახულება? რა ხერხით არის გამოყოფილი მთავარი გამოსახულება (მაგალითად, ზომა, მდებარეობა, ფერი)?
- როგორ არის გამოყენებული ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევარში? აღწერე და დაახასიათე, რა ტიპის ხაზებია (სწორი, ირიბი, ტეხილი, მრუდე, ტალღოვანი და სხვ.), რომელი ფერებია (ცივი, თბილი, კონტრასტული, ჟღერადი, ბაცი, მუქი) გამოყენებული, როგორაა დამუშავებული ფორმა (მოცულობითია თუ სიბრტყოვანი), არის თუ არა ნამუშევარში სივრცე;
    - რეალისტურია თუ პირობითი გამოსახულება/გამოსახულებები?
    - რა ემოციას და განწყობილებას აღძრავს ნამუშევარი?
    - რა არის ხელოვნების ამ ნაწარმოების მთავარი აზრი?

12. აქტივობების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები

გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები

1. მოტივაცია

მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად საჭიროა შესატყვისი გარემოს შექმნა, რისთვისაც აუცილებელია სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსების მოფიქრება და მომზადება.

რესურსები შესაძლებელია შეირჩეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- საჭიროება
- ხელმისაწვდომობა
- შენახვის უზრუნველყოფა
- დახმარება

რესურსის შექმნამდე მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს:

- რა არის მის მიერ მოფიქრებულ რესურსში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას;
- რა არის მის მიერ მოფიქრებულ რესურსში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს გამოცდილების საფუძველზე სწავლას (სწავლა კეთებით);
- შეუწყობს თუ არა ეს რესურსი ხელს ნასწავლის უფრო უკეთ გააზრება-გაგებას;

საგანმანათლებლო რესურსები სხვადასხვა გზით შეიძლება შეიქმნას:

- ხელმისაწვდომი და სკოლაში არსებული რესურსების მოძიება და გამოყენება;
- საგანმანათლებლო რესურსები შესაძლებელია, თავად მასწავლებელმა შექმნას. რესურსების შექმნისას შესაძლებელი და სასურველია თანამშრომლობა სასწავლო რესურსების გაცვლის გზით როგორც სხვა საგნების პედაგოგებთან ერთი სკოლის ფარგლებში, ასევე, სხვა სკოლებთანაც.
- რესურსი, ასევე, შეიძლება შეიქმნას მოსწავლეების მიერ და ეს იქცეს სასწავლო პროცესის ნაწილად. მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო რესურსების შექმნის საქმეში სხვადასხვაგვარად შეიძლება.

რეკომენდაცია: შეიძლება, მასწავლებელმა დაავალოს მოსწავლეებს ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებული ბუნებრივი მასალის შეგროვება.

მასწავლებელი უნდა დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს, შექმნას საკუთარი პორტფოლიო, რომელშიც შევა მის მიერ შესრულებული ყველა პრაქტიკული დავალება და საშინაო დავალებები.

2. მასწავლებლის მიერ ჩატარებული წინასწარი სამუშაო

მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი ძირითადი საკითხიდან გამომდინარე. აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს წინარე ცოდნა. ასევე, მასწავლებელმა უნდა გაიაზროს შედეგი, რომლის მიღწევასაც აპირებს (იხ. თემატური ბლოკებისა და სასწავლო თემების შესაბამისობა სტანდარტთან). ამის მიხედვით მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს რესურსები, დაგეგმოს აქტივობები და განსაზღვროს აქტივობებისათვის საჭირო დრო.

3. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა

მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში ნათლად განსაზღვრავს და აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის მიზანს და უსახავს კონკრეტულ ამოცანას.

4. ძირითადი და დამხმარე სასწავლო მასალა

საკითხის დასმისა და ამოცანის განსაზღვრის შემდგომ მასწავლებელი გადადის კონკრეტულ მასალაზე. შესაძლებელია, გაკვეთილი პირდაპირ აქტივობით დაიწყოს. ამ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაკვეთილის ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განსახილველი თემის შესაბამის ილუსტრაციასაც. მისი გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სვამს ინტერაქტივის კითხვებს, რითიც უბიძგებს მოსწავლეებს გამოთქვან სურათიდან მიღებული პირველი შთაბეჭდილება, აღწერონ სურათი, გააანალიზონ იგი, იმსჯელონ და საკუთარი აზრი გამოთქვან მის შესახებ. დამხმარე სასწავლო მასალად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ელ. რესურსში მოცემული სხვადასხვა სახის მასალა.

5. დამოუკიდებელი სამუშაო

თითქმის ყველა თემა შეიცავს პრაქტიკულ სამუშაოს, რომელსაც მოსწავლე დამოუკიდებლად, წყვილებში ან ჯგუფურად ასრულებს გაკვეთილის მსვლელობისას; დამოუკიდებელი სამუშაო სრულდება სახატავ რვეულში ან ფორმატზე.

ამის შედეგად მასწავლებელს საშუალება ეძლევა, შეამოწმოს, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა ახსნილი მასალა და როგორ გამოიყენეს ეს ცოდნა პრაქტიკულად. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი თანაბარი ვერ იქნება, მაგრამ თუ მოსწავლე ახერხებს გაკვეთილზე შეძენილი ცოდნის რაიმე სახით დემონსტრირებას, თუნდაც სიტყვიერი კომენტარით, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მიზანი მიღწეულია.

6. სავარჯიშოები

ყოველი გაკვეთილის ბოლოს მოცემულია შეკითხვები, რომლებიც მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილის მსვლელობისას დასვას და ამით გააქტიუროს მოსწავლეები და შეამოწმოს ახალი მასალის ათვისების ხარისხი.

7. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაო

ყოველ თემატურ ბლოკს აგვირგვინებს შემაჯამებელი გაკვეთილი, რომელიც ერთ (პრაქტიკულ) ან ორი ტიპის დავალებას – პრაქტიკულს და ტესტურს მოიცავს, მათი საშუალებით მოწმდება როგორც მასალის ათვისების, ასევე, შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავების ხარისხი.

მასწავლებლის წიგნში რამდენიმე გაკვეთილის სცენარია, თუმცა, შევნიშნავთ, რომ ჩვენ მხოლოდ სავარაუდო სცენარებს გთავაზობთ, თქვენ შეგიძლიათ თავისუფლად, საკუთარი შეხედულების მიხედვით დაგეგმოთ ნებისმიერი გაკვეთილი.

ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და თითოეული გაკვეთილის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას. მასწავლებლის წიგნში ზოგიერთ სავარაუდო სცენარში წარმოდგენილია საშინაო დავალება და ინსტრუქცია, რომელსაც მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს. ბუნებრივია, მასწავლებელს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია ზოგიერთ გაკვეთილში დაამატოს საშინაო დავალება.

13. მოსწავლის წიგნის შინაარსი

I. ადამიანი და გარემო 5
1. უძველესი ადამიანის ნახატები 6
2. თრიალეთის პეტროგლიფები..... 9
3. ვხატავთ ბუნებრივი მასალით 10
4. პეიზაჟი 11
5. პლენერი..... 14
6. როგორ გადმოვცეთ განწყობილება?.. 16
7. მწვანე არქიტექტურა 17
8. სახალისო არქიტექტურა 20
9. ბაღი – სამოთხის მიწიერი სახე 21
10. ჩვენი სკოლის ეზო 24
11. ნაგებობა და მისი ფუნქცია..... 25
12. კოლიზეუმი..... 28
13. მუზეუმები..... 29
14. ექსპოზიცია..... 32
15. ნატურმორტი – მკვდარი ბუნება? 33
16. როგორ დავხატოთ ნატურმორტი?..... 34
17. პერსპექტივა..... 37
18. თავშეყრის წერტილი და ჰორიზონტის ხაზი..... 40
19. ალბერტის ბადე..... 41
20. შემაჯამებელი გაკვეთილი 42

II. ადამიანი – სამყაროს ცენტრი 43
21. ადამიანი სახის გარეშე 44
22. მცირე პლასტიკის ხელოვნება 47
23. მარადისობისაკენ მიმავალი ადამიანი 48
24. ეგვიპტური სათამაშო..... 50
25. იდეალური ადამიანი..... 51
26. მოცეკვავე კაცუნები..... 54
27. ადამიანი და მისი ხასიათი..... 55
28. სხეული – სულის ჭურჭელი 57
29. ძეგლის სილუეტი 60
30. ღირსებით აღსავსე ადამიანი 62
31. ცხენოსანი ქანდაკება..... 65
32. მოქანდაკის შემოქმედება..... 68
33. ადამიანის სულის ანარეკლი 69
34. სახასიათო პორტრეტი..... 71
35. შემაჯამებელი გაკვეთილი 72

III. ადამიანი და ყოველდღიურობა 73
36. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება..... 75
37. ორნამენტი – ნივთის სამკაული..... 77
38. ორნამენტი სხვადასხვა კულტურაში..... 80
39. კერამიკის ხელოვნება..... 81
40. თიხის ჭურჭელი..... 84
41. სამოსი სხვადასხვა ეპოქაში..... 85
42. კოსტიუმი და მისი დეტალები..... 88
43. ადამიანი დიზაინის გარემოში..... 89
44. კომპიუტერული დიზაინი..... 92
45. წიგნის ისტორიიდან 93
46. ხელნაკეთი წიგნი 96
47. პირველი ნაბეჭდი წიგნი..... 97
48. ანბანის სამყარო..... 99
49. პლაკატის ხელოვნება..... 100
50. პლაკატი..... 103
51. შემაჯამებელი გაკვეთილი..... 104

IV. ადამიანი და თანამედროვეობა 105
52. შთაბეჭდილების ხელოვნება..... 106
53. ხელოვნების ნიმუში – შთაგონების წყარო..... 109
54. „ძველი“ და „ახალი“ მენინები..... 110
55. ანრი მატისი – „დიდი ბავშვი“..... 113
56. მაკრატლით „ხატვა“..... 116
57. მზერა მომავლისკენ 117
58. კუბიზმი..... 119
59. აბსტრაქციონიზმი 121
60. აბსტრაქციონისტული ნამუშევარი..... 123
61. სთრითარტი..... 124
62. „დიდი ზომის“ ხელოვნება..... 127
63. ლენდარტი საკუთარი ხელით..... 130
64. ძველი და ახალი ქალაქი 131
65. რეკლამა..... 134
66. შემაჯამებელი გაკვეთილი 135

პროექტი I. ეს მნიშვნელოვანია!.....137
პროექტი II. ძველი და ახალი თბილისი....138

14. გაკვეთილების და პროექტების სავარაუდო სცენარები

1. უძველესი ადამიანის ხელოვნება

მიზანი: უძველესი ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშების მაგალითზე მოსწავლეს გამოუმუშავდეს ნამუშევრის აღქმის, გამოსახულების აღწერა-ანალიზის, დამოუკიდებელი მსჯელობისა და დასკვნის გამოტანის უნარი.

აქტივობა და დროის განაწილება: 1. თემის ირგვლივ მოსწავლეთა მეხსიერების/ცოდნის აქტივიზაცია, განვლილი მასალის გახსენება – 5 წთ.; 2. კითხვა-პასუხი – 5 წთ.; 3. გაკვეთილში მოცემული თეორიული მასალის გაცნობა კითვა-პასუხის რეჟიმში – 15 წთ.; 4. ნამუშევრების აღწერა-ანალიზი – 10 წთ.; 5. პრეზენტაცია – 10 წთ.

შედეგი: ს.გ. საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;

ს.გ. საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

რესურსი: სახელმძღვანელო, დამხმარე ელექტრონული რესურსი, ვებგვერდები, აღწერის და ანალიზის სქემები.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური და წყვილებად.

შეფასება: ხელოვნების წარმოშობის შესაძლო მიზეზების შესახებ მოსწავლის მსჯელობის, დასკვნის გამოტანისა და გამოსახულებების აღწერისა და ანალიზის უნარი, თანამშრომლობის უნარი.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1

მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ ამ და სხვა საგნებში მიღებული ინფორმაცია პრეისტორიულ პერიოდზე (ჩვენივე სახელმძღვანელოებში 2-6 კლასებში წარმოდგენილი იყო უძველესი მხატვრების ნამუშევრები).

აქტივობა 2

მასწავლებელი ახსენებს/უყვება მოსწავლეებს პრეისტორიული ადამიანის ყოველდღიურ სირთულეებზე და სვამს კითხვას: 1. როგორ ფიქრობთ, ისეთ პირობებში, როგორშიც უძველესი ადამიანები იყვნენ, გაგიჩნდებოდათ სურვილი, რაიმე განსაკუთრებული შეგექმნათ, დაგეხატათ ან გამოგექანდაკებინათ, ანუ ისეთი საქმიანობისათვის მიგეყოთ ხელი, რომელიც უშუალოდ ყოფის გაუმჯობესებაში ვერ დაგეხმარებოდათ? მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან ვარაუდი, თუ რატომ ხატავდა უძველესი ადამიანი, ურთულესი პირობების მიუხედავად.

აქტივობა 3

მასწავლებელი თანმიმდევრულად უნდა მიჰყვეს წიგნში მოცემულ სქემას და თანმიმდევრობით დასვას შემდეგი კითხვები: 1. რას ხატავდა უძველესი ადამიანი? 2. რით ხატავდა უძველესი ადამიანი? 3. სად ხატავდა იგი და როგორ ხატავდა? მასწავლებელმა აქვე უნდა დასვას ინტერაქტივის კითხვები. სასურველია, ყველა ამ შეკითხვის დასმისას მასწავლებელმა თავდაპირველად მოსწავლეებს მისცეს პასუხის გაცემის საშუალება და მხოლოდ შემდეგ გააცნოს მათ ინფორმაცია. ამის შემდგომ მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს წიგნში მოცემულ ინფორმაციას ევროპის ტერიტორიაზე უძველესი ადამიანის მიერ შექმნილი მხატვრობის

ნიმუშების აღმოჩენების შესახებ. ეს მასალა მოცემულია მოსწავლის წიგნში, დამატებითი ინფორმაციის სახით. ამ აქტივობის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, თუ სად, მსოფლიოს რომელ წერტილებშია აღმოჩენილი კიდევ უძველესი ადამიანის ნახატები (გაკვეთილის მე-2 პუნქტი).

აქტივობა 4

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ნამუშევრის აღწერის სქემას და აძლევს დავალებას: თითოეულმა მოსწავლემ ინდივიდუალურად უნდა აღწეროს ერთი კონკრეტული გამოსახულება ამ სქემის მიხედვით. მოსწავლეებმა აღწერის დროს ყურადღება უნდა გაამახვილონ ცხოველის გამოსახულების ამოცნობაზე, თუ რა ნიშნით ამოიცნეს მათ ის, როგორია მათი მოძრაობა, როგორ და რა ხერხებითაა გადმოცემული მათი ფორმები, ბეწვის ფაქტურა და სხვ. ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ მეწყვილეებმა უნდა გაცვალონ მათ მიერ დაწერილი აღწერა-ანალიზი და წითელი ფანქრით (ან რომელიმე სხვა ფერით) აღნიშნონ ის ნაწილი/ინფორმაცია, რომელიც თავად მას არ აქვს გამოყენებული ნამუშევრის აღწერა-ანალიზისას. ამ აქტივობის დასრულების შემდეგ ისევ იცვლება ნაწერები და უბრუნდება ავტორს.

აქტივობა 5

მოსწავლეები წარმოადგენენ აღწერა-ანალიზის სქემებს (უნდა აღნიშნონ, თუ რა აქვთ განსხვავებული მათი მეწყვილისგან).

6. როგორ გადმოვცეთ განწყობილება

მიზანი: მოსწავლეს გამოვუმუშაოთ განწყობილებების, იდეებისა და ემოციების გამოსახატავად თემის შერჩევისა და ამ თემის შესაბამისი სხვადასხვა ხერხის, მასალისა და მრავალფეროვანი ტექნიკის შემოქმედებითად გამოყენების უნარი; განვუვითაროთ საპრეზენტაციო უნარები.

აქტივობა და დროის განაწილება: 1. სავარჯიშო (ნამუშევრების აღწერა-დასათაურება) – 10 წთ.; 2. პრაქტიკული სამუშაო – 25 წთ.; 3. პრეზენტაცია – 10 წთ.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსი: სახელმძღვანელო, ფორმატები წყლის საღებავისთვის, გუაშის საღებავები, ფუნჯები, წყლის ჭურჭელი, ღრუბელი, კბილის ჯაგრისი, მუყაოს ნაჭრები, პალიტრა ან პლასტმასის თეფში საღებავების მოსამზადებლად.

შეფასება: განწყობილების, ჩანაფიქრის, იდეებისა და ემოციების გამოსახატავად შერჩეული შესაბამისი მასალის, ტექნიკის, ხერხების გამოყენების უნარი; საკუთარი ნამუშევრის წარდგენის უნარი.

შედეგი: ს.გ.საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს საუბრით იმის შესახებ, რომ მხატვრები სხვადასხვა ხერხით, ფერებით, ტექნიკითა და მასალით გადმოსცემენ იდეებს, განწყობილებასა და ემოციებს. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გადაშალონ სახელმძღვანელო და დააკვირდნენ იქ წარმოდგენილ ნიმუშებს,

აღწერონ ნამუშევრები და თავიანთი შთაბეჭდილებიდან გამომდინარე დაასათაურონ ისინი. ამ სავარჯიშოს შესრულების შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შექმნან ნამუშევარი, თავად შეარჩიონ თემა, რომლითაც მათ შეეძლებათ თავიანთი იდეების, განწყობილებებისა და ემოციების გადმოცემა.

აქტივობა 2

პრაქტიკული სამუშაოს დაწყებამდე მოსწავლეებს მერხებზე მომზადებული უნდა ჰქონდეთ საჭირო მასალა პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად. მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ თავდაპირველად მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ თემა და უბრალო ფანქრით მკრთალად მოხაზონ გამოსახულებები. სხვადასხვა ტიპის – წრიული, ვერტიკალური, ჰორიზონტალური და დიაგონალური მონასმების გამოყენებით, ასევე, ფერების შერჩევით გადმოსცენ განწყობილება და ემოციები. გამოიყენონ მრავალფეროვანი ტექნიკა და მასალა. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მუშაობის დროს გაითვალისწინონ, რომ:

1. საღებავით მუშაობის დაწყებამდე პალიტრაზე შეარჩიონ საღებავები და მოსინჯონ საცდელ ფურცელზე.
2. მონასმების შესრულება, ფუნჯის გარდა, შეუძლიათ თითებით, ღრუბლის ან სხვადასხვა ზომის მუყაოს გამოყენებით.
4. მოსწავლეებს შეუძლიათ, სხვა მასალაც გამოიყენონ მუშაობისას (მაგ., პასტელი საღებავების გაშრობის შემდეგ, ნახშირი და სხვა).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მაქსიმალურად გამოიყენონ პრაქტიკული სამუშაოსთვის განკუთვნილი დრო.

აქტივობა 3

ნამუშევრის დასრულების შემდეგ მოსწავლეები გამოფენენ საკუთარ ნამუშევრებს და წარადგენენ კლასის წინაშე. მათ უნდა ისაუბრონ, როგორი განწყობილების გადმოცემა სურდათ საკუთარ ნამუშევარში და რომელი ხერხები, რა მასალა გამოიყენეს ამისათვის. შესაძლებელია, მოსწავლეებმა გამოთქვან მოსაზრებები (კორექტული ფორმით) თანაკლასელთა ნამუშევრების შესახებაც.

15. ნატურმორტი – მკვდარი ბუნება?

მიზანი: მოსწავლემ განასხვავოს სხვადასხვა ტიპის ნატურმორტი ერთმანეთისაგან; იმსჯელოს მათ თავისებურებებზე, გააანალიზოს ამ ჟანრის კონკრეტული ნიმუშები და გამოთქვას თავისი მოსაზრებანი.

აქტივობა და დროის განაწილება: 1. სიტუაციური ამოცანა – 5 წთ.; 2. ინფორმაციის გაცნობა – 5 წთ.; 3. ნამუშევრების აღწერა-დახასიათება – 10 წთ.; 4. ინტერაქტივი, მსჯელობა – 15 წთ.; 5. დამატებითი ინფორმაციის გაცნობა, მსჯელობა – 10 წთ.

შედეგი: ს.გ. საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;

ს.გ. საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

რესურსი: სახელმძღვანელო, ელ. რესურსი, სასკოლო ნივთები (წიგნები, რვეულები, საშლელი, კალმისტარი, გლობუსი და ა. შ.).

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილებად.

შეფასება: სხვადასხვას ტიპის ნატურმორტის აღწერა-დახასიათებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1

გაკვეთილი იწყება მასწავლებლის აქტივობით: მასწავლებელი საკუთარ მაგიდაზე წინასწარ მომზადებულ ნივთებს აწყობს და სთავაზობს მოსწავლეებს, დაწყვილდნენ და თავადაც დაალაგონ მათ ხელთ არსებული ნივთები (წიგნი, რვეული, სახაზავი, კალმისტარი და სხვ.) მაგიდაზე ისე, რომ ერთგვარი მხატვრული კომპოზიცია შექმნან, სახელწოდება შეურჩიონ მერხებზე სახელდახელოდ შექმნილ კომპოზიციებს (სავარაუდოდ, ასეთი სახელწოდებები იქნება: „სასკოლო ნატურმორტი“, „სამუშაო მაგიდა“ და სხვ.).

აქტივობა 2

ამის შემდეგ, მასწავლებელი აუწყებს მათ, რომ მათ ახლა ნატურმორტი „დადგეს“ და უხსნის ამ ჟანრის – ნატურმორტის რაობას, ამცნობს, რომ მხატვრობაში ნატურმორტის რამდენიმე სახეობა არსებობს, რომლებსაც ისინი ამ გაკვეთილზე გაეცნობიან.

აქტივობა 3

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელო, დააკვირდნენ გაკვეთილის პირველ გვერდზე წარმოდგენილ ნატურმორტებს და აღწერონ თითოეული მათგანი. იგი წარუდგენს კლასს ფრანსისკო სურბარანის ნატურმორტს და სთხოვს, აღწერონ ნამუშევარი.

მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილებინოს მოსწავლეებს სურბარანის ნატურმორტის სიმარტივეზე და, ამავე დროს, მხატვრის უზადო ოსტატობაზე.

ბრეიგელის ნატურმორტის აღწერისა და გაანალიზებისას, მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ ნატურმორტი ყვავილებით ამ ჟანრის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული.

ვილემ კალფის ნატურმორტი კი ნივთების სიუხვით გამოირჩევა. აუცილებელია, რომ აღწერა-ანალიზისას მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილონ იმაზე, თუ როგორ ზედმიწევნით რეალისტურადაა გადმოცემული ამ ნამუშევარზე ყოველი ნივთის ფერი, ფორმა, ფაქტურა. რა როლს ასრულებს ამაში განათება და როგორ ოსტატურადაა აგებული ნატურმორტის კომპოზიცია.

აქტივობა 4

მასწავლებელი კიდევ უფრო ართულებს ამოცანას. იგი მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ ბეიერენის ნატურმორტს და სვამს შეკითხვას: რა შთაბეჭდილებას აღძრავს ეს ნატურმორტი? მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ „საზეიმო ნატურმორტი“ და მასზე უხვად გამოსახული სურსათი და მდიდრული ჭურჭელი ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია და ჰოლანდიაში ამგვარი ნატურმორტები სიუხვის, ბარაქის ნიშნად ითვლებოდა.

შემდგომ მოსწავლეები აღწერენ და ახასიათებენ ჟან ბატისტ შარდენის ასევე მრავალსაგნიან ნატურმორტს, რომელსაც განზრახ არ აწერია სახელწოდება, მოსწავლეებმა აქ გამოსახული საგნებიდან გამომდინარე, თავად უნდა შეურჩიონ მას სახელწოდება, რის შემდეგაც, მასწავლებელი აცნობს მათ თავად მხატვრის მიერ დარქმეულ სახელს – „ხელოვნების ატრიბუტები“ და ამცნობს, რომ ნატურმორტებს, რომლებზეც სხვადასხვა პროფესიის ატრიბუტებია გამოსახული, პროფესიულ ან ინტელექტუალურ ნატურმორტებს უწოდებენ და ეს ნატურმორტის კიდევ ერთი სახეობაა. ამის შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ ინტერაქტივის მე-6 შეკითხვას.

აქტივობა 5

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს წიგნის ბოლოს მოცემულ დამატებით ინფორმაციას ვანიტასის, ნატურმორტის კიდევ ერთი სახეობის შესახებ და მოსწავლეები აანალიზებენ ამ ჟანრის ნიმუშებს.

საშინაო დავალება: გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლებს აძლევს სახლში შესასრულებელ დავალებას: მოიძიონ ნატურმორტის შესატყვისი იმ უცხო ენაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული და სხვ.), რომელსაც სწავლობენ და გაიაზრონ მისი პირდაპირი მნიშვნელობა; როგორ შეესაბამება იგი ამ ჟანრის არსს? პასუხები წარმოადგინონ წერილობით.

16. როგორ დავხატოთ ნატურმორტი?

მიზანი: მოსწავლეს გამოვუმუშაოთ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ელემენტისა და ხერხის (კონტრასტული ფერები, მონასმი, ფაქტურა) გამოყენებით ნატურმორტის პრაქტიკულად შექმნის უნარ-ჩვევა.

აქტივობა და დროის ორგანიზება: 1. ნატურმორტის დადგმა და რჩევების მიცემა – 10 წთ.; 2. პრაქტიკული სამუშაო – 25 წთ.; 3. პრეზენტაცია – 10 წთ.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსი: სახელმძღვანელო, გუაშის საღებავები, პასტელი, სხვადასხვა ზომის ფუნჯები, წყლის ჭურჭელი, პალიტრა ან პლასტმასის თეფში საღებავების მოსამზადებლად), ბუნებრივი მასალა, ნატურმორტისთვის შერჩეული ნივთები (სახლიდან მოტანილი ან კლასში არსებული).

შეფასება: მრავალფეროვანი (შერეული მასალა) მასალისა და ტექნიკის გამოყენებით შექმნილი ნატურმორტი, შემოქმედებითობა.

შედეგი: ს.გ. საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ. საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს იმ ნივთების განლაგებით, რომლებიც მოსწავლეებმა მოიტანეს (წინა გაკვეთილზე დავალებული ჰქონდათ მოეტანათ ნივთები ნატურმორტისათვის). მასწავლებელი აკეთებს შესავალს იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნატურმორტისათვის ნივთების სწორად შერჩევა და განლაგება, ასევე, ნატურმორტის ხატვის დროს ამ ნივთების ფორმატზე კომპოზიციურად განაწილება. ამის შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეარჩევს ნივთებს და „დგამს“ ნატურმორტს.

აქტივობა 2

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს,მუშაობის დროს გაითვალისწინონ, რომ:

1. სანამ ფერით დაიწყებდნენ ხატვას, ჯერ ფანქრით მსუბუქად მოხაზონ ნივთები და გაანაწილონ ისინი ფორმატზე, განსაზღვრონ მათი პროპორციული ურთიერთშეფარდება;
2. ნატურმორტის შემადგენელი ნივთების ფაქტურის გადმოსაცემად შეუძლიათ გამოიყენონ შერეული ტექნიკა და სხვადასხვა მასალა: პასტელი და გუაშის საღებავები, აკვარელი და პასტელი, აკვარელი და ფერადი ფანქრები, ჯაგრისი, ჩხირები და სხვ;
3. სიმეტრიული აგებულების მქონე ნივთების დასახატად ფანქრით გაავლონ შუახაზი. შეეცადონ, არ გამოიყენონ სახაზავი;
4. განსაზღვრონ, საიდან ეცემა შუქი ნატურმორტს, მონიშნონ ყველაზე ნათელი და მუქი ადგილები, ამ არეებზე შესაბამისი ფერი დაადონ და შეეცადონ, მუქიდან ნათლისაკენ გადასასვლელად

ანუ ფერის გასაღიავებლად გამოიყენონ ფერის გრადაცია. მონასმების შესრულება შეუძლიათ თითებით, ღრუბლის ან სხვადასხვა ზომის მუყაოს გამოყენებით.

აქტივობა 3

ნამუშევრის დასრულების შემდეგ მოსწავლეები გამოფენენ საკუთარ ნამუშევრებს და წარადგენენ კლასის წინაშე, საუბრობენ დასახულ ამოცანაზე და მისი გადაწყვეტის გზებზე. მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან მოსაზრებები (კორექტული ფორმით) თანაკლასელთა ნამუშევრების შესახებ.

საშინაო დავალება: მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, სახლში შეასრულონ ნატურმორტი. მასალა და ტექნიკა შეარჩიონ თავად.

შენიშვნა: ეს პრაქტიკული ტიპის დავალებაა, რომლის მიზანია, შეძენილი უნარების და ცოდნის გამყარება.

26. მოცეკვავე კაცუნები

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს დინამიკის გადმოცემა ნამუშევარში, გამოუმუშავდეს ადამიანის პროპორციისა და ფიგურის დინამიკურ მოძრაობაში გადმოცემის უნარ-ჩვევა; ასევე, სიბრტყობრივ-პირობითი ნამუშევრის შექმნის უნარ-ჩვევა.

აქტივობა და დროის განაწილება: 1. საუბარი, დავალების გაცნობა და რჩევების მიცემა – 5 წთ.; 2. პრაქტიკული სამუშაო – 30 წთ.; 3. პრეზენტაცია – 10 წთ.

რესურსი: სახელმძღვანელო, ელ. რესურსი, ფორმატი, ქაღალდი, პლასტილინი (ან თიხა), საღებავები, ღრუბელი.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური ან წყვილები.

შეფასება: ადამიანის ფიგურის მოძრაობის, დინამიკის გადმოცემა; ადამიანის სხეულის ძირითადი პროპორციების დაცვა, ფორმატზე ფიგურების კომპოზიციური განაწილება.

შედეგი: ს.გ. საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ. საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე გავლილ მასალას, პირველყოფილი ადამიანის მიერ შექმნილ ნახატებს, ეგვიპტურ ხელოვნებას, ანტიკური საბრძნეთის ხელოვნებას. და სთხოვს, თითო სიტყვით დაახასიათონ სხვადასხვა პერიოდის ხელოვნების ნიმუშებზე გამოსახული ადამიანთა ფიგურები. სავარაუდოდ, მოსწავლეები ჩამოთვლიან შემდეგ სიტყვებს: ცოცხალი, მოძრავი, დინამიკური, აქტიური, მბრუნავი, მოქმედი, მშვიდი, სტატიკური, უძრავი, გაშეშებული და ა.შ.

ამის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, ამოირჩიონ დინამიკური ნიმუშები, დააკვირდნენ მათ და სცადონ, თავადაც შექმნან მსგავსი დინამიკური, მოძრავი ფიგურების გამოსახულებები, ოღონდ გამოიყენონ ბეჭდვის ტექნიკა.

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ხერხს, უხსნის, თუ რომელი მასალა დასჭირდებათ და როგორ უნდა გამოიყენონ ის. იგი სთავაზობს მოსწავლეებს, წინასწარ გაეცნონ წიგნში მოცემულ რჩევებს, ფოტოებზე წარმოდგენილ სამუშაოს თანმიმდევრობას და დააკვირდნენ აქვე მოცემულ ნიმუშებს.

აქტივობა 2

მოსწავლეები იწყებენ მუშაობას. ამზადებენ ფორმატს; ასევე, პლასტილინისაგან ამზადებენ ადამიანის სხეულის შესაბამის ფორმებს; რამდენიმე ღრუბელზე ასხამენ სხვადასხვა ფერის საღებავებს და შიგ აწობენ პლასტილინის ფორმებს, შემდეგ კი ამ ფორმებით ქაღალდზე ანაბეჭდებს აკეთებენ. მასწავლებელი რჩევებს აძლევს მათ. იმისათვის, რომ ფიგურების მოძრაობა აქტიური და ცოცხალი გამოვიდეს, მოსწავლეებს შეუძლიათ, პლასტილინს ფორმა შეუცვალონ, სხვადასხვაგვარად გაღუნონ. გარდა ამისა, მასწავლებელმა მოსწავლეებს ყურადღება უნდა გაამახვილებინოს იმაზეც, რომ გამოსახულებები ფორმატზე კომპოზიციის გარკვეული პრინციპების დაცვით გაანაწილონ. შესაძლოა, მათ მთელ ფორმატზე თანაბრად განალაგონ ფიგურები, შესაძლოა, გამოჰყონ კომპოზიციური ცენტრი და მის გარშემო მოუყარონ თავი სხვა ფიგურებს. ასევე, შესაძლებელია, რომ მოსწავლეებმა ერთი ფორმატის ფარგლებში სხვადასხვა ზომის ფიგურები გამოსახონ და სხვ. ერთი სიტყვით, მასწავლებელმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს და წაახალისოს მოსწავლეთა ყოველი შემოქმედებითი ინიციატივა თუ სიახლე, გამომგონებლობა და ფანტაზია, ექსპერიმენტირების სურვილი. თითოეულმა მოსწავლემ შესაძლებელია, რამდენიმე ნამუშევარიც კი შექმნას; სხვადასხვა ნამუშევრის შემთხვევაში სხვადასხვა ფერი ან სხვადასხვა კომპოზიციური აგება გამოიყენოს.

ეს სამუშაო, მასწავლებლის სურვილისამებრ, შესაძლებელია, წყვილებმაც შეასრულონ. ამ შემთხვევაში თითოეული მოსწავლე ფორმატზე ქმნის ნამუშევარს, შემდეგ მოსწავლეები ცვლიან ნამუშევრებს და მეწყვილისას უკეთებენ ასეთივე ფიგურებით (მხოლოდ უფრო მცირე ზომის) შემკულ ჩარჩოს. ეს ძალზე სასარგებლო აქტივობაა, რადგან ამ შემთხვევაში მათ მოუწევთ ერთმანეთის ნამუშევრის გააზრება, მისთვის ანგარიშის გაწევა, დაფიქრება, თუ რა ფერის ჩარჩო შეუხამონ მას, როგორი ფორმისა და ზომის გააკეთონ ის, რა ფერით დაიტანონ ჩარჩოზე ფიგურები და სხვ. ერთი სიტყვით, მათ სრულიად არგუმენტირებულად უნდა შეარჩიონ ჩარჩოს თითოეული პარამეტრი და ანგარიში გაუწიონ მეგობრის ნამუშევარს. მასწავლებელმა ამ შემთხვევაში მათ უნდა ურჩიოს, რომ ისეთი ჩარჩო გაუკეთონ მეგობრის ნამუშევარს, რომელიც არ დათრგუნავს მას, არ „შეჭამს“ თავისი აქტიური ფერითა თუ ფორმით. რადგან ჩარჩო მხოლოდ სამკაულია, მან პირველობა თავად ნამუშევარს უნდა „დაუთმოს“.

აქტივობა 3

პრეზენტაციისას მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ, თუ როგორ შეასრულეს ეს ნამუშევარი, როგორ მოახერხეს ადამიანის მოძრაობის გადმოცემა, როგორ გაანაწილეს ფიგურები ფორმატზე. ასევე, არსებითია იმის წარდგენაც, თუ როგორ შეუხამეს მათ ნამუშევარს ჩარჩო.

შესაძლებელია, მასწავლებელმა საშუალება მისცეს მოსწავლეებს, ერთმანეთის ნამუშევრებზეც იმსჯელონ.

53. ხელოვნების ნიმუშები – შთაგონების წყარო

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს, რომ ხელოვნების ნიმუში იქცეს მისი შთაგონების წყაროდ; ხელოვნების ნაწამროებისაგან მიღებულმა შთაბეჭდილებამ მისცეს მას ახალი იმპულსი საკუთარი ნამუშევრის შექმნისას. მოსწავლემ შეძლოს ამა თუ იმ მხატვრის დამახასიათებელი ძირითადი მხატვრული ხერხების გაცნობიერება და პრაქტიკული ნამუშევრის შექმნის დროს მათი შემოქმედებითად გადამუშავება, ინტერპრეტირება. მოსწავლემ შეძლოს ამ მიზნის მისაღწევად შესაბამისი ტექნიკური, მხატვრული ხერხების შერჩევა და გამოყენება.

შეფასება: მხატვრის „სტილის“ შეგრძნების უნარი; საკუთარ ნამუშევარში მისი შემოქმედებითად ინტერპრეტირების უნარი; შესაბამისი მასალის, ტექნიკის, მხატვრული ხერხების შერჩევის და გამოყენების უნარი; საკუთარი ნამუშევრის წარდგენის უნარი;

აქტივობა და დროის ორგანიზება: 1. დავალებისა და რჩევების მიცემა – 5 წთ.; 2. პრაქტიკული სამუშაო – 30 წთ.; 3. პრეზენტაცია – 10 წთ.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსი: სახელმძღვანელო, დიდი ზომის ფორმატები წყლის საღებავებისათვის (ხორკლიანი ან შედარებით სქელი), უბრალო ფანქარი, საშლელი, გუაშის საღებავები, სხვადასხვა ზომის ფუნჯები, წყლის ჭურჭელი, პალიტრა ან პლასტმასის თეფში საღებავების მოსამზადებლად.

შეფასება: ს.გ.საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისთვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი;

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ სხვადასხვა მოვლენა, რეალური ამბავი, მუსიკალური ან მხატვრული ნაწარმოები, ბუნების ლამაზი ხედი და ა.შ. შესაძლებელია, მხატვრისთვის შთაგონების წყაროდ იქცეს. მხატვრები სხვადასხვა თემატიკით, ხერხით, ტექნიკითა და მასალით გამოხატავენ იდეებს, განწყობილებასა და ემოციებს. თავად მხატვრის შემოქმედებამ, თუ მისმა კონკრეტულმა ნამუშევარმა, შესაძლებელია, ძლიერი ემოცია გამოიწვიოს და ჩვენი შთაგონების წყაროდაც იქცეს. ამ მხრივ საინტერესოა ვინსენტ ვან გოგის ნამუშევრები, რომლებიც გამოირჩევა ენერგიული მონასმებით და კაშკაშა, მანათობელი ფერებით. ეს ნამუშევრები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს და შესაძლებელია, გვიბიძგოს, თავად შევქმნათ ნამუშევარი. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შეარჩიონ თემა და შექმნან დიდი ზომის ნამუშევარი, რომელიც ერთი შეხედვისთანავე სწორედ ვან გოგის შემოქმედებასთან გამოიწვევს ასოციაციას. მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელო და დააკვირდნენ წარმოდგენილ ნიმუშებს.

აქტივობა 2

მოსწავლეებს მერხებზე მომზადებული უნდა ჰქონდეთ საჭირო მასალა პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად. მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ თავდაპირველად მათ უნდა შეარჩიონ სასურველი ჟანრი და უბრალო ფანქრით მკრთალად მოხაზონ გამოსახულებები ჩაფიქრებული კომპოზიციის შესაბამისად. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ, რა ფორმის მონასმებს იყენებს მხატვარი, როგორ ენერგიას ასხივებს მისი სპირალური, ენერგიულად დახვეული სქელი თუ წვრილი მონასმები. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მუშაობის დროს გაითვალისწინონ, რომ:

1. საღებავით მუშაობის დაწყებამდე პალიტრაზე შეარჩიონ საღებავები და მოსინჯონ საცდელ ფურცელზე. ფუნჯი წყლიანი უნდა იყოს.
2. გუაშის საღებავი გაშრობის შემდეგ ცოტათი განსხვავებულ ფერს იღებს. მონასმების შესრულება შეუძლიათ თითებით ან სხვადასხვა ზომის მუყაოს გამოყენებით.
3. ფორმატზე საღებავის გაშრობამდე მოსწავლეებს ფუნჯის ტარით შეუძლიათ, სხვადასხვა მიმართულებით ნაკაწრები გააკეთონ და ამით გააძლიერონ მონასმების შთაბეჭდილება.
4. მოსწავლეებს შეუძლიათ, სხვა მასალაც გამოიყენონ მუშაობისას (მაგ., ნახშირი, საღებავების გაშრობის შემდეგ გამოიყენონ პასტელი და სხვა).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მაქსიმალურად გამოიყენონ პრაქტიკული სამუშაოსთვის განკუთვნილი დრო.

აქტივობა 3

სამუშაოს დასრულების შემდეგ, მოსწავლეები გამოფენენ საკუთარ ნამუშევრებს (შესაძლებელია, კლასში სპეციალური სტენდი არსებობდეს ნამუშევრების გამოსაფენად; სტენდის არარსებობის შემთხვევაში ნამუშევრები შეიძლება, წებოვანი ლენტით მიამაგრონ კედელზე ან გაჭიმულ თოკზე სამაგრებით ჩამოკიდონ. მოსწავლეებმა ძალზე მოკლედ უნდა ისაუბრონ საკუთარი ჩანაფიქრის შესახებ, განსაზღვრონ, რამდენად მიაღწიეს მიზანს. თანაკლასელთა ნამუშევრების შესახებ მსჯელობისას მოსწავლეებმა კორექტული ფორმით უნდა გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები.

შენიშვნა: თუ კლასი მრავალრიცხოვანია, ამ შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია, პრეზენტაცია მომავალი გაკვეთილისთვის დაგეგმოს, ვინაიდან ძალიან მნიშვნელოვანია, თითოეულმა მოსწავლემ გამოთქვას მოსაზრება საკუთარ და თანაკლასელთა ნამუშევრებზე.

55. ანრი მატისი – „დიდი ბავშვი“

მიზანი: მოსწავლეს გავაცნოთ ცნობილი მხატვრული მიმდინარეობა – ფოვიზმი და ფრანგი მხატვარი ანრი მატისი, განვუვითაროთ თანამედროვე მხატვრობის ძირითადი ნიშნების ჩამოყალიბების უნარი ტიპური ნიმუშების ანალიზის მეშვეობით. გავუღვივოთ ინტერესი ახალი მხატვრული ტექნიკის – დეკუპაჟის მიმართ;

შეფასება: მხატვრული ნაწარმოების ანალიზის უნარი. მხატვრული მიმდინარეობისა და კონკრეტული ხელოვანის შემოქმედების ძირითადი მახასიათებლების გაცნობიერების უნარი.

აქტივობა და დროის განაწილება: 1. მსჯელობა, მხატვრული ნაწარმოების ანალიზი – 15 წთ.; 2. ინფორმაციის გაცნობა და ინტერაქტივი – 20 წთ.; 3. ახალი მხატვრული ტექნიკის გაცნობა – 10 წთ.

რესურსი: სახელმძღვანელო.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური.

შედეგი: ს.გ.საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება.

ს.გ.საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1

მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პროცესებზე. იგი ასახელებს ახალი მხატვრული მიმდინარეობების უცნაურ სახელებს: ფოვიზმი, კუბიზმი, აბსტრაქციონიზმი. მათ შესახებ მოსწავლეები შემდეგ შეიტყობენ ყველაფერს, ამჯერად კი ისინი ფოვიზმს და ამ მიმდინარეობის თავისებურებებს გაეცნობიან. სახელმძღვანელოში მორის ვლამინკის სურათია წარმოდგენილი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, უპასუხონ პირველი ინტერაქტივის შეკითხვებს.

პ.ი.კ. 1. ვლამინკის სურათებზე ფერების კონტრასტული შეხამებები და მათი ჟღერადობა იქცევს ყურადღებას.

2. უჩვეულო ისაა, რომ მხატვარი რეალობას ანუ საგანთა რეალურ შეფერილობას კი არ გადმოსცემს, არამედ თავისი შეხედულებისამებრ აფერადებს მათ. ბუნებრივია, ასეთი ჟღერადი ფერები და უჩვეულო შეხამებები უცნაურ და მძაფრ შთაბეჭდილებებს აღუძრავს მნახველს.

მასწავლებელი საუბარს აგრძელებს ფოვიზმის შესახებ, აწოდებს მათ ინფორმაციას და ეკითხება მოსწავლეებს, ესმით თუ არა მათ რატომ შეარქვეს ამ მიმდინარეობის წარმომადგენლებს „ველურები“. მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამენ და, სავარაუდოდ, ამ სახელს უკავშირებენ სურათების ფერადოვნებას, უჩვეულო ხასიათს, ენერგიას, რომელსაც ისინი ასხივებენ.

აქტივობა 2

შემდეგ საუბარი ანრი მატისზე – ახალი ფრანგული ფერწერის ერთ-ერთ ფუძემდებელზე გადადის და მოსწავლეები მის ნამუშევრებს ეცნობიან. მასწავლებელი ინტერაქტივის კითხვებს საკლასო დავალების სახეს აძლევს. 2-3 წუთის განმავლობაში მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს და შემდეგ მასწავლებლის მითითებით პასუხობენ ინტერაქტივის შეკითხვებს. აქვე მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს წინა წლებში განვლილ მასალას – კონტრასტულ ფერებს და ტერმინის – კონტრასტის მნიშვნელობას. მოსწავლეები ასახელებენ მათთვის უკვე ცნობილ კონტრასტულ ფერებს.

პ.ი.კ. 3. მატისი ხშირად იყენებს წითელს, მწვანეს, ყვითელს, ლურჯს.

4. კონტრასტულ ფერებს გარკვეულწილად დაძაბულობის და სიმძაფრის ეფექტი შეაქვს მხატვრულ ნაწარმოებში.
5. ფერის თვალსაზრისით ეს კონტრასტის ეფექტის გამოყენებაა, კომპოზიციური აგება ხალიჩის პრინციპს მოგვაგონებს, თითქმის არ არის დიფერენცირებული პლანები, ხოლო ფორმები სიბრტყოვანია.
6. სივრცის ილუზიის შექმნის მაგივრად მატისი სიბრტყეზე აგებს კომპოზიციას.

ამ დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი აჯამებს შედეგებს და ანრი მატისის შემოქმედების ძირითად თავისებურებებზე მსჯელობს.

აქტივობა 3

გაკვეთილის ბოლო მონაკვეთი ეთმობა ახალი მხატვრული ტექნიკის – ე. წ. დეკუპაჟის გაცნობას. მისი აღწერის და გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან მატისის მიერ ამ ტექნიკით შესრულებულ ნამუშევრებს. ისინი მსჯელობენ დეკუპაჟის ტექნიკის გამომსახველობით შესაძლებლობებზე. მასწავლებელი ეკითხება მათ, მათი აზრით, რით იზიდავდა ეს ტექნიკა მატისს. მოსწავლეთა პასუხებში უნდა ჩანდეს, რომ მათ გაიაზრეს მატისისთვის დამახასიათებელი სწრაფვა ფორმის სიბრტყოვანებისა და სიმარტივისადმი. სავარაუდოდ, სწორედ ეს ხიბლავდა დიდ ფრანგ ფერმწერს ამ ტექნიკაში.

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ მომდევნო გაკვეთილზე ისინი დეკუპაჟის ტექნიკას პრაქტიკულადაც გაეცნობიან და საშუალება ექნებათ, შეაფასონ მისი შესაძლებლობები.

56. მაკრატლით „ხატვა“

მიზანი: მოსწავლეს განვუვითაროთ ახალი მხატვრული ტექნიკის – დეკუპაჟის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევა, განვუმტკიცოთ მარტივი ფორმების მეშვეობით სხვადასხვა განწყობილების მქონე დეკორატიული კომპოზიციების შექმნის უნარი, ფერთა ჰარმონიული ან კონტრასტული შეხამებების შექმნის უნარი.

შეფასება: დეკუპაჟის ტექნიკის ფლობა, მარტივი ფორმების მეშვეობით ჩანაფიქრის შესატყვისი დეკორატიული ნამუშევრის შექმნის უნარი, კომპოზიციური განაწილების პრინციპების ცოდნა-გამოყენება, ფერთა შეხამების უნარი.

აქტივობა და დროის განაწილება: 1. დავალების მიცემა და მომავალი ნამუშევრისათვის ადგილის შერჩევა – 5 წთ.; 2. პრაქტიკული სამუშაო – 30 წთ.; 3. პრეზენტაცია – 10 წთ.

რესურსი: სახელმძღვანელო, ფორმატი, თეთრი და ფერადი ქაღალდები, გუაშის ან აკვარელის საღებავი, ფუნჯი, წყლის ჭურჭელი, მაკრატელი, წებო.

მუშაობის ფორმა: ჯგუფური.

შედეგი: ს.გ.საბ.1.ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისთვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი;

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, ახლადნასწავლი მხატვრული ტექნიკის – დეკუპაჟის გამოყენებით შექმნან დეკორატიული ნამუშევრები. მოსწავლეებს აუცილებელი რესურსი უკვე მომარაგებული აქვთ. იმისათვის, რომ სამუშაო ხალისიანად წარიმართოს, მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დაიყონ ჯგუფებად და თითოეული ჯგუფის მიერ შექმნილი ნამუშევრით შეამკონ საკლასო ოთახის ინტერიერი, მაგ., ოთხი კედელი, ან დერეფნის გასწვრივ კედლის მონაკვეთები, სკოლის ვესტიბიული და ა.შ. შესამკობი ადგილების შერჩევა და ჯგუფებისათვის მათი განაწილება უშუალოდ მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით ხდება.

აქტივობა 2

ადგილების შერჩევის შემდეგ თითოეული ჯგუფი იწყებს მოსამზადებელ სამუშაოს – ზომავს იმ ადგილს, სადაც, სავარაუდოდ, უნდა მოთავსდეს ნამუშევარი; ამზადებს ფორმატს/ფორმატებს, საჭიროების შემთხვევაში აწებებს მათ ერთმანეთზე. შემდეგ ჯგუფის წევრები იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას, რა ტიპის კომპოზიციის შექმნა სურთ, რა გამოსახულებებისგან იქნება შემდგარი მათი ნამუშევარი, ფიგურული იქნება ის თუ ორნამენტული, როგორ ფერებს ამჯობინებენ და ა.შ. ჯგუფის წევრები ინაწილებენ ფუნქციებს – ზოგი მათგანი იწყებს ქაღალდისგან გამოსახულებების გამოჭრას, ზოგი ამზადებს საღებავებს. გამოჭრილი ფორმების ფორმატზე დაწებებამდე უმჯობესია, ისინი ჯერ უბრალოდ განლაგდეს გარკვეული კომპოზიციის შექმნის და შეფასების მიზნით. ჯგუფის წევრები ეთათბირებიან ერთმანეთს, როგორი კომპოზიციური წყობა უფრო ეფექტურია. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებენ ფორმების დაწებებას ფორმატზე. ამ სამუშაოს შესრულებაში ჯგუფის ყველა წევრი მონაწილეობს. ასევე თითოეული მათგანი აფერადებს რომელიმე ელემენტს წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები ნებისმიერი ამოცანის შესრულებისას ხალისით თანამშრომლობენ და ეხმარებიან ერთმანეთს. მასწავლებელი შეახსენებს მათ, რომ ამ მეთოდით მუშაობისას შესაძლებელია, უნებლიე ხარვეზი ნამუშევრის ორიგინალურ ელემენტად აქციო. მაგ., შემთხვევით დასმული ლაქა გაიმეორო რამდენიმე ადგილას და დეკორატიული ხასიათი მიანიჭო მას, ან მისცე გარკვეული ფორმა და გამოყო ამა თუ იმ ფერის საშუალებით. საღებავით მუშაობისას აუცილებელია გარკვეული წესების დაცვა. მასწავლებელი შეახსენებს მათ, რომ თითოეული ფორმის შეღებვის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა აცადონ მას გაშრობა. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ მოსწავლეები ფონის დამუშავებას.

აქტივობა 3

პრაქტიკული სამუშაოს დამთავრების შემდეგ თითოეული ნამუშევარი იკავებს განსაზღვრულ ადგილს, მოსწავლეები ცდილობენ, ფრთხილად დაამაგრონ ისინი კედელზე წებოვანი ლენტის მეშვეობით. თითოეული ჯგუფი მზად არის ნამუშევრის პრეზენტაციისათვის. მთელი კლასი გულდასმით ათვალიერებს ჯგუფურ ნამუშევრებს და ისმენ ს თითოეული ჯგუფის წევრის პრეზენტაციას. პრეზენტაციისას მოსწავლეები საუბრობენ იმ ჩანაფიქრზე, რომელიც მათ ჰქონდათ სამუშაოს დაწყებამდე და იმაზე, თუ რამდენად შეძლეს მისი ხორცშესხმა. ავტორები აღნიშნავენ, რომელი ელემენტები და პრინციპები გამოიყენეს ამ პროცესში, რა ხერხებით გადმოსცეს სასურველი განწყობილება. მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს თითოეული ნამუშევრის შესახებ, აფასებენ მათ და აღნიშნავენ თითოეული ნამუშევრის ყველაზე საინტერესო მხარეებს – კომპოზიციურ განაწილებას, ფორმათა მრავალფეროვნებას, ფერთა შეხამებას და ა.შ.

60. აბსტრაქციული ნამუშევარი

მიზანი: მოსწავლეს გამოვუმუშაოთ საკუთარი განწყობილების გადმოსაცემად სახვითი ხელოვნების პრინციპებისა და ელემენტების, სხვადასხვა ხერხის, მასალისა და ტექნიკის შემოქმედებითად გამოყენების უნარი; განვუვითაროთ ნამუშევრის წარდგენის, საკუთარ და სხვათა ნამუშევრებზე საუბრის უნარი.

შეფასება: სხვადასხვაგვარი ხაზის, ფორმის, ფერის გამოყენებით შექმნილი აბსტრაქციული ნამუშევარი, განწყობილებისა და ემოციების გამოსახატავად შერჩეული შესაბამისი მასალის, ტექნიკის, ხერხების გამოყენების უნარი; განსხვავებული ფაქტურის მისაღებად გამოყენებული სხვადასხვა ტექნიკა. საკუთარი ნამუშევრის წარდგენის უნარი.

აქტივობა და დროის ორგანიზება: 1. დავალებისა და რჩევების მიცემა – 5 წთ.; 2. პრაქტიკული სამუშაო – 30 წთ.; 3. პრეზენტაცია – 10 წთ.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსი: სახელმძღვანელო, ფორმატები წყლის საღებავებისათვის (ხორკლიანი ან შედარებით სქელი), უბრალო ფანქარი, საშლელი, გუაშის საღებავები, სხვადასხვა ზომის ფუნჯები, წყლის ჭურჭელი, პალიტრა ან პლასტმასის თეფში საღებავების მოსამზადებლად. ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, წებო.

შედეგი: ს.გ.საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისთვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე განვლილ მასალას და ამის შემდეგ სთავაზობს მათ, თავად შექმნან აბსტრაქციული ნამუშევარი. ამ კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის ხაზი, გეომეტრიული ფორმა, კონტრასტული, ძირითადი, შედგენილი, ცივი და თბილი ფერები, კომპოზიციური განაწილების ძირითადი ხერხები, მონასმი, ფაქტურა. მათ უნდა განსაზღვრონ როგორ გაანაწილებენ ფორმებსა და ხაზებს სიბრტყეზე, რომელ ფერებს გამოიყენებენ ნამუშევრის ცენტრალური თუ სხვა ნაწილებისთვის. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, ნამუშევრის სხვადასხვა მონაკვეთზე ფაქტურის შესაქმნელად გამოიყენონ ღრუბლები, კბილის ჯაგრისი. მათ შეუძლიათ აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებაც ნამუშევრის რომელიმე ადგილის გამოსაყოფად.

აქტივობა 2

მუშაობის პროცესში მასწავლებელი კონკრეტულ რჩევებს აძლევს თითოეულ მოსწავლეს.

აქტივობა 3

ნამუშევრის დასრულების შემდეგ მოსწავლეები გამოფენენ საკუთარ ნამუშევრებს და წარადგენენ კლასის წინაშე.

პროექტი I. ეს მნიშვნელოვანია

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს საკუთარი პოზიციის გამოხატვა გარკვეული კრეატიული ფორმით საზოგადოებაში არსებული ნებისმიერი საჭირბოროტო საკითხის, პრობლემის მიმართ.

შედეგი: ს.გ.საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი;

ს.გ.საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;

ს.გ.საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

პროექტი II. ძველი და ახალი თბილისი

მიზანი: მოსწავლეს გამოვუმუშაოთ გუნდური მუშაობის, სხვებთან აქტიური თანამშრომლობის უნარი; ასევე, გადაწყვეტილების მიღებისა და საკუთარი ფუნქციის პასუხისმგებლობით შესრულების უნარ-ჩვევა.

შედეგი: ს.გ.საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი;

ს.გ.საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;

ს.გ.საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

პროექტი III. თეატრის სამყარო

მიზანი: მოსწავლეს გავუღვივოთ ფანტაზია, განვუვითაროთ თეატრალური წარმოდგენისთვის აუცილებელი ელემენტების – დეკორაცია, კოსტიუმი, ნიღაბი, ბუტაფორია, გრიმი და ა.შ. – დამზადების პრაქტიკული უნარ-ჩვევა; გავუღრმავოთ სხვადასხვა მასალის შემოქმედებითად გამოყენების უნარი, განვუმტკიცოთ სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ინტეგრირების უნარი; განვუვითაროთ ორგანიზაციული და გუნდური მუშაობის ჩვევები.

შეფასება: სხვადასხვა მასალის შემოქმედებითად გამოყენების უნარი; სამუშაოს ორგანიზების, ფუნქციების გადანაწილების, პასუხიმგებლობის გრძნობის და გუნდური მუშაობის ჩვევები; ცოდნის ინტეგრირების უნარ-ჩვევა.

აქტივობა და დროის განაწილება: 1. პროექტი იგეგმება და ხორციელდება მასწავლებლის/ მასწავლებლების და მოსწავლეების მჭიდრო თანამშრომლობით. სპექტაკლის განხორციელებისათვის საჭირო დრო განისაზღვრება ინდივიდუალურად.

რესურსი: სპექტაკლისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზა – სცენა, მაყურებელთა დარბაზი საჭირო ინვენტარით. პროექტის დაგეგმვის ეტაპზე მოსწავლეები თავად განსაზღვრავენ, რა მასალაა აუცილებელი დეკორაციებისა და კოსტიუმებისათვის, როგორ უზრუნველყოფენ სპექტაკლის ხმოვან რიგს, სცენის განათებას და ა.შ.

მუშაობის ფორმა: ჯგუფური.

შედეგი: ს.გ.საბ.1. ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;

ს.გ.საბ.2. ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი;

ს.გ.საბ.3. ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;

ს.გ.საბ.4. სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

სასკოლო წარმოდგენა

საინტერესო წიგნის კითხვისას, ალბათ, თქვენს წარმოსახვაში ხშირად გაცოცხლებულა ესა თუ ის ეპიზოდი, ნათლად დაგინახავთ მისი პერსონაჟები, მათი მიხრა-მოხრა ან ჟესტიკულაცია. თეატრის სცენა სწორედ ის ადგილია, სადაც გასაქანი შეიძლება მისცეთ თქვენს ფანტაზიას და ცოტა ხნით თავად გადაიქცეთ პიესის გმირებად. სპექტაკლის სანახავად მისული მაყურებელი სცენაზე მსახიობების თამაშს ადევნებს თვალს, ხედავს მხატვრის ნამუშევარს და უსმენს მუსიკას. მაგრამ სპექტაკლის შექმნა, თეატრის ხელოვნება სხვადასხვა პროფესიის მქონე სხვა მრავალი ადამიანის თავდადებულ შრომასაც მოითხოვს, მათ გარეშე სპექტაკლი ვერ შეიქმნება. ვინ არიან ეს ადამიანები, რა პროფესიები აქვთ მათ და რა ფუნქცია აკისრია თითოეულ მათგანს, თქვენთვისაც ნათელი გახდება, როდესაც სპექტაკლის დადგმას გადაწყვეტთ, აირჩევთ პიესას და საქმეს შეუდგებით.

- უშუალოდ სპექტაკლზე მუშაობის დაწყებამდე იმსჯელეთ იმის შესახებ, რა დაგჭირდებათ თქვენი ჩანაფიქრის განსახორციელებლად;
- არ დაგავიწყდეთ, რომ სპექტაკლის დადგმას ფინანსური უზრუნველყოფა და რეკლამირება სჭირდება. მოვალეობები გადაანაწილეთ თითოეული თქვენგანის სურვილის და მონაცემების გათვალისწინებით.

- ერთად შეარჩიეთ პიესა და გადაწყვიტეთ, ვინ იქნება სპექტაკლის რეჟისორი;
- როლების განაწილებისას გაითვალისწინეთ პერსონაჟების დამახასიათებელი ნიშნები;
- სპექატკლის წარმატებაში დიდ როლს თამაშობს მისი ვიზუალური მხარე: დეკორაციები, პერსონაჟების კოსტიუმები, გრიმი;
- ამა თუ იმ პერსონაჟის ხასიათის, იერსახის შექმნა თეატრალური ნიღბის საშუალებითაც შეგიძლიათ;
- პიესის სიუჟეტის მიხედვით სპექტაკლში სხვადასხვა ნივთი შეიძლება დაგჭირდეთ. გადაწყვიტეთ, ნამდვილ ხილს, ყვავილებს ან სამკაულებს გამოიყენებთ სცენაზე თუ ე.წ. ბუტაფორიას დაამზადებთ;
- როდესაც თქვენი სპექტაკლის თარიღი ზუსტად გეცოდინებათ, იზრუნეთ იმაზე, რომ საზოგადოებას აცნობოთ მის შესახებ. დახატეთ აფიშები, დაამზადეთ მოსაწვევი ბარათები და დაპატიჟეთ თქვენი ახლობლები და მეგობრები წარმოდგენაზე.

15. პასუხები ინტერაქტივის კითხვებზე

თავი I. ადამიანი და გარემო

გაკვეთილი 1. უძველესი ადამიანის ნახატები

1. ამ ილუსტრაციებზე გამოსახულია ცხენები, ხარი, ირემი, ბიზონი, დათვი. მათი ამოცნობა იოლია, რადგან მათი სახასიათო ფორმები საკმაოდ ზუსტად არის დახატული.
2. აქ მოსწავლემ უნდა აღწეროს ცხენების რემა, როგორ არიან ისინი გამოსახული მოძრაობაში, როგორ გარბიან.
3. მოსწავლეებმა აღწერის დროს ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე, რომ აქ გამოსახულია როგორც ცხოველები, ასევე ადამიანები. მათ უნდა აღწერონ ადამიანთა ფიგურების მოძრაობა; უნდა შენიშნონ, რომ ადამიანებს მშვილდ-ისრები უჭირავთ და მათკენ მომავალ ცხოველებს უმიზნებენ.
4. ცხადია, რომ ცხოველების გამოსახულებები უფრო ბუნებრივად არის დახატული ვიდრე ადამიანებისა.

გაკვეთილი 4. პეიზაჟი

1. ჯოტოს ამ ფრესკაზე ასახულია „ეგვიპტედ ლტოლვის“ სცენა.
2. უკანა პლანზე გამოსახულ პეიზაჟზე წარმოდგენილია კლდეები, თუმცა, ისინი წინა პლანზე გამოსახულ ფიგურებთან შედარებით შეუსაბამოდ მცირე ზომისაა; კლდეებზე რამდენიმე მცირე ზომის ხეა ამოსული, რომლებიც მასშტაბურად ასევე შეუსაბამოა როგორც კლდეებთან, ასევე, წინა პლანზე გამოსახულ ფიგურებთან. ამის გამო, უკანა პლანზე გამოსახული პეიზაჟი თეატრალური დეკორაციის შთაბეჭდილებას ტოვებს. წინა და უკანა პლანის გამოსახულებების შეფარდება ძალზე პირობითია.
3. ჯორჯონეს ნამუშევარზე წინა პლანზე გამოსახულ ფიგურათა შეფარდება პეიზაჟურ ფონთან ბუნებრივი და რეალურია.
4. ჯოტოს ნამუშევარზე დარღვეულია მასშტაბური შეფარდება წინა და უკანა პლანის გამოსახულებებს შორის, რაც ნამუშევარში გარკვეულ პირობითობას ქმნის; ჯორჯონეს სურათზე კი პროპორციული შეფარდება ფიგურებსა და ფონზე ასახულ პეიზაჟს შორის რეალურია და შესაბამისად, სურათი რეალისტურია.
5. რეისდალის ნამუშევრების აღწერისას მოსწავლემ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ ორივე შემთხვევაში გამოსახულია ბუნების შორეული ხედი, გაშლილი, ფართო სივრცეები, ქვემოთ მიწის ზოლი სიღრმეში მიმავალი გზით, შორს ხეების ტევრით (ერთ სურათზე), მდინარით და მის ნაპირზე ქარის წისქვილით (მეორე სურათზე). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ამ სურათებზე ისაა, რომ სასურათო სიბრტყის დიდი ნაწილი უჭირავს ღრუბლებით დაფარულ ცას, რაც უკიდეგანო სივრცის შთაბეჭდილებას ქმნის. ორივე სურათი კი ბუნების სიდიადეს, მშვენიერებას ასახავს და სიმშვიდის განწყობილებას ქმნის.
6. სივრცეს ამ პეიზაჟებზე ქმნის სწორედ ის, რომ ორივე მათგანზე სასურათო სიბრტყის დიდი ნაწილი უჭირავს ღრუბლებით დაფარულ ცას, სიღრმეში მიმავალ გზას და ასევე სიღრმეში მიმავალ მდინარის კლაკნილ ნაპირს.

გაკვეთილი 5. პლენერი

1. ლორანის პეიზაჟზე ასახული ხედი არ არის რეალური, რადგან სურათის კიდეებში გამოსახული

ანტიკური შენობების ნანგრევები და საკმაოდ ცოცხალი ცხოვრებისეული სცენები ერთმანეთს სრულიად არ ეთანადება.

2. ლორანის პეიზაჟებზე გამოყენებულია მოყავისფრო-მოოქროსფრო ფერები და ამიტომ მთლიანობაში ეს ნამუშევრები მშვიდი, ჩამქრალი ფერადოვნებით ხასიათდება, მაშინ როდესაც იმპრესიონისტების ნამუშევრებზე გამოყენებულია სუფთა წითელი, ნარინჯისფერი, ლურჯი, ყვითელი, მწვანე ხასხასა ფერები, რაც აქტიურ, ხალისიან ფერადოვნებას ქმნის.

გაკვეთილი 7. მწვანე არქიტექტურა

1. მაღლივი შენობები და ცათამბჯენები ჩნდება XX ს-ის დასაწყისიდან.
2. მაღლივი შენობების გაჩენას ხელი შეუწყო ტექნოლოგიების განვითარებამ და ახალი სამშენებლო მასალების გაჩენამ (რკინა, მინა, ბეტონი).
3. მაღლივი შენობების სამშენებლო მასალად გამოიყენებოდა რკინა-ბეტონი კონსტრუქციებისათვის და მინა.
4. მწვანე ნარგავები ადამიანის ირგვლივ არსებულ გარემოში აუცილებელია, რადგან ისინი გამოყოფენ ადამიანისათვის აუცილებელ ჟანგბადს და შთანთქავენ ნახშირორჟანგს. ამით მწვანე ნარგავები ადამიანისთვის აუცილებელ სასიცოცხლო გარემოს ქმნიან.
5. აქ შესაძლებელია, მოსწავლეებს სხვადასხვა პასუხი ჰქონდეთ; ვიღაცამ შეიძლება ბაღებს და სკვერებს მიანიჭოს უპირატესობა, ვიღაცამ – პარკებს და დიდ რეკრეაციულ ზონებს, ზოგმა კი – მწვანე არქიტექტურას. ახსნა კი ამ არჩევანს სულ სხვადასხვაგვარი შეიძლება მოუძებნონ მოსწავლეებმა.

გაკვეთილი 9. ბაღი – სამოთხის მიწიერი სახე

1. ძველი სამყაროს ერთ-ერთი სახელგანთქმული ბაღია სემირამიდას დაკიდული ბაღები, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად არის შერაცხილი.
2. ინგლისური ბაღის ხაზგასმული ბუნებრიობა უპირისპირდება ფრანგული ბაღის თვალშისაცემ მოწესრიგებულობას. ინგლისურ ბაღებს თავისუფალი გეგმარება აქვს, ფრანგულ ბაღებს კი – მკაცრად გეომეტრიული.
3. ფრანგულ ბაღს ახასიათებს: 1. მკაფიო გეომეტრიული გეგმარება; 2 გეომეტრიული ფორმებით გაკრეჭილი მცენარეები; 3. წყალსატევები, ძირითადად, არხები; 4. შადრევნები; 5. საპარკო ქანდაკებები; 6. პავილიონები; 7. ლაბირინთი; 8. წინასწარი გეგმის მიხედვით მოწყობილი სასეირნო ბილიკები.

გაკვეთილი 11. ნაგებობა და მისი ფუნქცია

1. ამ კითხვაზე მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ, რაც იციან კოლიზეუმის შესახებ წინა წლებში განვლილი მასალიდან. რომ კოლიზეუმი ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი ცნობილი არენა იყო რომში, რომელზეც სანახაობები იმართებოდა. ეს ელიფსის ფორმის მრგვალი ნაგებობაა, რომლის სამსართულიან ფასადს თაღები უვლის გარს, შიგნით რამდენიმე იარუსად მოწყობილია მაყურებელთა ადგილები. გარდა იმისა, რომ კოლიზეუმი რამდენიმე ათას მაყურებელს იტევდა, მას იმ დროისთვის მოწინავე საინჟინრო ტექნოლოგიით შესრულებული მოძრავი არენა ჰქონდა. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, არენა წყლით ივსებოდა და აქ საზღვაო შეჯიბრებები იმართებოდა.

2-3. მოსწავლეებმა უნდა აღწერონ აქ წარმოდგენილი ორი ნაგებობა და მათი ფორმების მიხედვით უნდა დაასკვნან, რომ მარცხენა ფოტოზე ანტიკური თეატრია წარმოდგენილი, მარჯვენაზე კი – ქალაქ პომპეის საზოგადოებრივი ტუალეტი.

გაკვეთილი 13. მუზეუმები

1. მსოფლიოს ცნობილი მუზეუმები ევროპისა და ამერიკის ბევრ დიდ ქალაქში მდებარეობს: ლუვრი – პარიზში, ერმიტაჟი – სანკტ-პეტერბურგში, პრადო – მადრიდში, გუგენჰაიმი – ნიუ-იორკში.
2. ლუვრის წინ პირამიდის აგებას ბევრი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავდა. პირამიდა, ერთი მხრივ, რასაკვირველია, ეგვიპტური კულტურის ელემენტია, მაგრამ ის დიდი ხანია იქცა მსოფლიოს კუთვნილებად და, საზოგადოდ, კულტურის სიმბოლოდ. ამიტომ საფრანგეთის უდიდესი მუზეუმის – ლუვრის წინ დადგმულ პირამიდას სიმბოლური მნიშვნელობა მიენიჭა.
3. ინტერაქტივის ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით (სავარაუდოდ, მათ სწავლის პერიოდში რამდენიმე მუზეუმი დათვალიერებული აქვთ) პასუხობენ, რომ მუზეუმში ხელოვნების ფასდაუდებელი ნიმუშებია თავმოყრილი, დაცული და გამოფენილი. ამის ნათელსაყოფად მასწავლებელს მოჰყავს მაგალითი, როდესაც მუზეუმის რომელიმე ექსპონატის წარმომავლობა ან ავტორი და შექმნის თარიღი უცნობია. ხელოვნებათმცოდნეები იკვლევენ ასეთ ნაწარმოებს და გამოთქვამენ ვარაუდს. შემდეგ ისეთი კვლევის ჯერი დგება, როდესაც საქმეში ქიმიკოსები და ბიოლოგები ერთვებიან და იკვლევენ იმ მასალას, რომლითაც ეს ნაწარმოებია შექმნილი. თუ ნაწარმოები დაზიანებულია (უმეტესწილად, კარგად შენახულ ხელოვნების ნაწარმოებსაც სჭირდება ამგვარი კვლევა და მისი მდგომარეობის დაფიქსირება) რესტავრატორები მას გამოიკვლევენ და აზუსტებენ, რა სახის „დახმარება“ უნდა აღმოუჩინონ ექსპონატს, რა პროცედურა სჭირდება დაზიანების აღკვეთას და როგორ პირობებში უნდა შეინახონ ის, რომ ნაწარმოები მეტად აღარ დაზიანდეს. სასურველია, საუბარი შეეხოს მათ მიერ სხვა საგნებში (ქიმია, ბიოლოგია) გავლილ მასალას და გამოითქვას მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ თანამშრომლობენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად. შესაძლებელია, მოსწავლეებს ადრე არც უფიქრიათ, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში მომუშავე ადამიანებისათვისაც ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცოდნა ძალზე სასარგებლო და აუცილებელია, რაც გაზრდის მათ ინტერესს ამ საგნების მიმართ და დამატებით მოტივაციას შეუქმნის მათ.

გაკვეთილი 15. ნატურმორტი – მკვდარი ბუნება?

1. ბეიერენის ნამუშევრის აღწერისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უხვად წარმოდგენილი სურსათის, საზეიმო ჭურჭლის და სხვა ნივთების ხასიათს. ნამუშევარი აღძრავს საგანგებოდ გაშლილი სუფრის შთაბეჭდილებას, რაც სრულ თანხვედრაშია მის სახელწოდებასთან „საზეიმო ნატურმორტი“.
2. ბეიერენის ნატურმორტის აღწერისას ყურადღება უნდა გამახვილდეს სურათის დიდ ზომაზე, რთულ და დატვირთულ კომპოზიციაზე, ფაქტურების ზედმიწევნით ზუსტად ასახვაზე.
3. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილებინოს მოსწავლეებს სურბარანის ნატურმორტის სიმარტივეზე და, ამავე დროს, მხატვრის უზადო ოსტატობაზე.

   ბრეიგელის ნატურმორტის აღწერისა და გაანალიზებისას, მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ ნატურმორტი ყვავილებით ამ ჟანრის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული.

   ვილემ კალფის ნატურმორტი კი ნივთების სიუხვით გამოირჩევა. აუცილებელია, რომ აღწერა-ანალიზისას მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილონ იმაზე, თუ როგორ ზედმიწევნით რეალისტურადაა გადმოცემული ამ ნამუშევარზე ყოველი ნივთის ფერი, ფორმა, ფაქტურა. რა როლს ასრულებს ამაში განათება და როგორ ოსტატურადაა აგებული ნატურმორტის კომპოზიცია.

4. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ აქ წარმოდგენილ ნატურმორტებზე როგორ ოსტატურადაა გადმოცემული თითოეული ნივთის ფორმა თუ ფაქტურა: როგორ ზუსტადაა გადმოცემული სხვადასხვა ყვავილის, ღეროს, ფოთლის ფორმები თუ ფერი; როგორ ბზინავს მეტალის ჭურჭელი, როგორი ხორკლიანია ლიმონის კანი, ხავერდოვანია ვარდის ფურცლები და ა.შ.
5. ამ შეკითხვაზე პასუხი ცალსახა იქნება: დიახ, შესაძლებელია ისეთი ნატურმორტის შექმნა, რომელიც სხვა პროფესიაზე მიგვანიშნებს, მაგ., მსახიობის, მშენებლის, ექიმის, და სხვ.
6. სავარაუდოდ, მოსწავლეები მრავალ ასეთ პროფესიას და მასთან დაკავშირებულ ატრიბუტებს ჩამოთვლიან.

გაკვეთილი 17. პერსპექტივა

1. გლოსტერის ლოცვანის მინიატურაზე წარმოდგენილია სახარებისეული სცენა „ხუთი ათასის დაპურება“. კომპოზიციის ცენტრში გამოსახული მართკუთხა მაგიდის გარშემო უამრავი ადამიანია. სურათის ქვედა კიდეში წარმოდგენილი შედარებით მცირე ზომის ფიგურები მნახველისაკენ ზურგით არიან გამოსახულნი, ხოლო საპირისპირო მხარეს, სურათის ზედა კიდეში, მაგიდის თავში მჯდომნი კი პირიქით, უფრო დიდი ზომისანი არიან და პირით მნახველისაკენ სხედან. მაგიდის გრძელი კიდეების გასწვრივ ჩამწკრივებული ფიგურები კი თითქოს სიბრტყეზე გაწოლილები არიან.
2. მაგიდას საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ამ კომპოზიციაში. მასზე აწყვია მრგვალი ფორმის პურები, სხვადასხვა ფორმის ჭურჭელი, დანები. ჩვენ მაგიდის მხოლოდ ზედა სიბრტყეს ვხედავთ ისე, თითქოს ზემოდან დავყურებთ მას.
3. ცხადია, მაგიდა რეალისტურად არაა ასახული, ანუ ჩვენ მაგიდის ზედაპირს ასე ერთიანად რეალობაში ვერ დავინახავთ. ვერც მის გარშემო მჯდომ ფიგურებზე ვიტყვით, რომ ისინი რეალისტურად არიან წარმოდგენილნი ანუ ისე, როგორც ამას სინამდვილეში ჩვენი თვალი დაინახავდა.
4. ჰობემას პეიზაჟის აღწერისას ყურადღება უნდა გამახვილდეს შორს, სიღრმეში მიმავალ სივრცეზე. ამ პეიზაჟის მთავარი ელემენტია ხეების რიგით მოსაზღვრული სოფლის შარაგზა, რომელიც სურათის სიღრმეში მიემართება, მის ორივე მხარეს ველებია გაშლილი. მსუბუქი ღრუბლებით დაფარულ ცას დიდი ადგილი უჭირავს სურათზე.
5. ჰობემას სურათზე სივრცე გადმოცემულია სოფლის შარაგზით, რომელიც სიღრმეში შედის და თანდათან ვიწროვდება; სივრცის შეგრძნებას აძლიერებს ასევე გზის ორივე მხარეს განლაგებილი მაღალი ხეების ორი რიგი, რომელთა ზომაც სიღრმეში პერსპექტიულად მცირდება.
6. აქ გამოყენებულია პერსპექტივის ორივე კანონი: 1. რაც უფრო შორსაა საგანი ჩვენი თვალისაგან, მით უფრო მცირდება მისი ზომა. ამ კანონის მიხედვით, ხეების ზომები სიღრმეში შესვლის კვალად თანდათან მცირდება; 2. სიღრმეში მიმავალი ურთიერთპარალელური ხაზები ერთ წერტილში იკვეთება. ჰობემას ნამუშევარზე გზა სწორედ ასეა გამოსახული.
7. ლეონარდოს ჩანახატზე წარმოდგენილია მამაკაცი, რომელიც საგანგებო მოწყობილობასთან ზის. მის წინ დგას დაბალი მაგიდა, რომელზეც ალბერტის ბადეა დამაგრებული, თავად მამაკაცს სურათის ჩარჩო უჭირავს ხელში და მის გამჭოლად გასცქერის მოშორებით მოთავსებულ გლობუსს. ლეონარდოს მამაკაცის თვალებიდან გლობუსისაკენ გაუვლია ხაზები, რომლითაც იგი გვიჩვენებს, როგორ მოიცავს ადამიანის მზერა გლობუსს მთლიანად. სწორედ ეს ხაზები ქმნის პირამიდას ამ ჩანახატზე.

8. ჩანახატზე გამოსახული მამაკაცის თვალიდან გამომავალი გლობუსისაკენ მიმართული ხაზებით ლეონარდოს ჩანახატზე იქმნება პირამიდა.

გაკვეთილი 18. თავშეყრის წერტილი და ჰორიზონტის ხაზი

1. ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობის“ აღწერის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ წინა პლანზე გამოსახული, მაგიდასთან მჯდომი ფიგურები ფრონტალურად არიან წარმოდგენილნი, ხოლო ფონს მათთვის ქმნის ოთახის სივრცე, რომლის კედლები სიღრმეში პერსპექტიულად შედის.
2. სივრცის შეგრძნება ლეონარდოს ამ ნამუშევარში იქმნება სიღრმეში პერსპექტიულად მიმავალი კედლების საშუალებით, უფრო ზუსტად კი, კედლებზე გამოსახული სწორკუთხა ფორმებით, რომელთა ზომა სიღრმეში შესვლასთან ერთად მცირდება.

თავი II. ადამიანი – სამყაროს ცენტრი

გაკვეთილი 21. ადამიანი სახის გარეშე

1. არსებობს ვარაუდი, რომ ხელები ძალის ნიშანია და ცხოველების გვერდით მათი გამოსახვა, ძველი ადამიანის წარმოდგენით, წარმატებული ნადირობის საწინდარია.
2. არსებობს ვარაუდი, თუ რატომ გამოსახავს უძველესი ადამიანი საკუთარ თავს სახის გარეშე: მას თავდაპირველად მხოლოდ გარემომცველი სამყარო ანუ ის გარემო აინტერესებს, რომელიც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.
3. კუკუტენის ფიგურების აღწერის დროს ყურადღება უნდა მიექცეს რამდენიმე საკითხს: 1. ამ ფიგურებს არ აქვთ თავები და ხელების ნაცვლად, მცირე ზომის წანაზარდები აქვთ; 2. ეს ქალის ფიგურებია; 3. მათი სხეული მთლიანად დაფარულია სხვადასხვა ფორმის ზიგზაგისებური, სამკუთხა, ურთიერთპარალელური ნაჭდევებით.
4. კუკუტენის ფიგურები და საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი „გოგონათა ტორსები“ ერთმანეთს შემდეგი ნიშნებით ჰგავს: 1. ორივე შემთხვევაში ეს ქალების ფიგურებია; 2. არც ერთს არ აქვს თავები და ხელები; 2. ორივე შემთხვევაში ქალების სხეულები მსგავსი ნიშნებითაა დაფარული.
5. კიკლადური კერპების აღწერის დროს ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ დეტალებს: 1. ესეც ქალების ფიგურებია; 2. მათ აქვთ თავები, მაგრამ სახეზე ნაკვთები რელიეფურად არ არის აღბეჭდილი, სახე წარმოადგენს ერთიან სიბრტყეს, რომელზეც მხოლოდ ცხვირია რელიეფურად გამოყოფილი. სხეული სრულიად სადაა; 3. მათ აქვთ ხელები, რომლებიც წელზე აქვთ დაწყობილი.
6. კიკლადური კერპების კუკუტენის ფიგურებთან და შულავერის „გოგონათა ტორსებთან“ შედარებისას ცალ-ცალკე უნდა გამოიყოს მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები (შეიძლება გაკეთდეს სქემაც).

   მსგავსება: 1. სამივე შემთხვევაში ქალების ფიგურები გვაქვს; 2. ფიგურებს ვერტიკალური სტრუქტურა აქვთ.

   განსხვავება: 1. კიკლადურ კერპებს აქვთ ხელები და თავები, თუმცა სახის ადგილას სიბრტყეა, რომელზეც მხოლოდ ცხვირია გამოყოფილი; 2. კიკლადური ფიგურების სხეული სრულიად სადაა, კუკუტენის და შულავერის ფიგურებისაგან განსხვავებით, რომელთა სხეულზე სხვადასხვა ნიშანია დატანილი.

გაკვეთილი 23. მარადისობისკენ მიმავალი ადამიანი

1. უფლისწულ რანოფერის აღწერისას ყურადღება უნდა მიექცეს მის ახალგაზრდა ასაკს, მის ათლეტურ აღნაგობას, დაკუნთულ, ძლიერ სხეულს. გარდა ამისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს რანოფერის ინდივიდუალურ სახის ნაკვთებზე.
2. რანოფერის სახეზე შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი ინდივიდუალური ნიშნები: სავსე სახის ოვალი, ხორციანი ცხვირი, ღრმად ჩამჯდარი ნუშისებური ფორმის თვალები.
3. რაჰოტეპისა და ნოფრეტის სახეების აღწერისას მნიშვნელოვანია, მოსწავლემ გამოყოს შემდეგი პორტრეტული ნიშნები: რაჰოტეპის შემთხვევაში – ოდნავ აპრეხილი ცხვირი, დიდი ხორციანი ტუჩები, გამოყოფილი ყვრიმალები სახეზე; ნოფრეტის შემთხვევაში – სავსე სახის ოვალი, პუტკუნა ლოყები, თმის სახასიათო ვარცხნილობა (რომელიც ქალის თანამედროვე ვარცხნილობას ძალიან ჰგავს).
4. რაჰოტეპისა და ნოფრეტის ფიგურები მაღალსაზურგიან სავარძლებზე წელში გამართულნი მშვიდად სხედან. ფეხები ორივეს მჭიდროდ აქვს მიტყუპებული. რაჰოტეპს, რომელიც წელს ზემოთ შიშველია და თეთრი „ქვედაბოლო“ აცვია, მარცხენა ხელი ფეხის გასწვრივ თითქოს ჰაერში აქვს გაშეშებული, იდაყვში მოხრილი მომუშტული მარჯვენა კი მკერდთან აქვს მიტანილი. ამგვარი პოზის გამო ფიგურა ძალზე დაძაბულია. ქალს თეთრი ქათქათა სამოსით მთელი სხეული აქვს დაფარული. სამოსი მჭიდროდ ეკვრის მის სხეულს და გამოკვეთს ფორმებს. მეუღლის მსგავსად, ნოფრეტს მარჯვენა ხელი მკერდთან აქვს მიტანილი, მარცხენა კი წელზე უდევს და ქსოვილის ქვეშ არის დაფარული. ნოფრეტის ფიგურაც საკმაოდ დაძაბულია.
5. ორივე ფიგურის თვალები შესრულებულია ინკრუსტაციის ხერხით.
6. რაჰოტეპისა და ნოფრეტის სახეებზე არ არის აღბეჭდილი არც მათი ხასიათი და არც განწყობილება, სახეები სრულიად განყენებულია.

გაკვეთილი 25. იდეალური ადამიანი

1. დისკობოლოსს აქვს ძალზე დახვეწილი პროპორციები, დაკუნთული სხეული ძალას ასხივებს, აშკარად ჩანს, რომ ეს ჭაბუკი კარგად იყო გაწვრთნილი ბერძნულ გიმნასიონში, მისი მოძრაობა ძალზე დახვეწილი და მოხდენილია. ამ ყოველივეს გაანალიზების შედეგად ცხადი ხდება, რომ დისკობოლოსი შეესაბამება ძველი ბერძნების წარმოდგენას ფიზიკურად მშვენიერი სხეულის შესახებ.
2. ამ შეკითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანი და ცხადია, რომ ძველი ბერძნების წარმოდგენა ადამიანის გაკვეთილში ჩამოთვლილი დადებითი თვისებების (სიკეთე, სამართლიანობა, კეთილსინდისიერება, სიბრძნე, სიმამაცე, თავშეკავებულობა, ზომიერება) შესახებ დღესაც აქტუალურია.
3. შეკითხვაზე, თუ რას დაუმატებენ მოსწავლეები ადამიანის ღირსებათა ჩამონათვალს, პასუხები შეიძლება, ძალზე მრავალფეროვანი იყოს: მიმტევებლობა, სიყვარული, მზრუნველობა და სხვ.
4. ამ დავალების შესრულებისას მოსწავლეებს შეუძლიათ აიღონ ფანქარი, კალმისტარი ან სულაც სახაზავი, მონიშნონ მასზე დორიფოროსის თავის სიმაღლე და შემდეგ გადაზომონ, რამდენჯერ ჩაეტევა ეს მონაკვეთი მის სხეულში. ისინი აღმოაჩენენ, რომ თავი სხეულში 7-ჯერ ეტევა, რაც პოლიკლეტოსის კანონს სრულად შეესაბამება.
5. დორიფოროსის მოძრაობა სრულიად ბუნებრივია. ამის დასასაბუთებლად მოსწავლეებს შეუძლიათ, თავადაც დადგნენ ასეთ პოზაში და აღმოაჩინონ, რომ არავითარ უხერხულობასა და დაძაბულობას არ გრძნობენ.

6-7. ვენერა მილოსელისა და აფროდიტეს სახეების აღწერისას მოსწავლეები სავარაუდოდ ყველა იმ ნიშანს დაასახელებენ, რომლებიც სილამაზის ბერძნული იდეალის შესატყვისია: ცხვირი

სამჯერ ეტევა სახეში, თვალებს შორის კიდევ ერთი თვალის ჩასმა შეიძლება, თვალები ღრმად არის ჩამჯდარი, სახის ოვალი სავსეა, ტუჩები და ნიკაპი ხორციანია, ხოლო სწორი ცხვირი პირდაპირ, ჩაღრმავების გარეშე ებმის შუბლს.

8. ორივე ქანდაკების სახის ტიპი სრულიად ემორჩილება ე.წ. ბერძნული სილამაზის კანონებს.

გაკვეთილი 27. ადამიანი და მისი ხასიათი

1. ვიტელიუსისა და მოხუცი დიდებულის პორტრეტების აღწერისას, მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მათი გარეგნობის სახასიათო ნიშნებზე, ასაკზე, სახის გამომეტყველებაზე.
2. აქ წარმოდგენილი პორტრეტების სახასიათო ნიშნებზე მსჯელობისას მოსწავლეებმა უნდა აღნიშნონ: ვიტელიუსის შემთხვევაში – სიმსუქნე, რაზეც ღაბაბი მიგვითითებს, დაბალი და განიერი კისერი, თხელი და ასიმეტრიული ფორმის ტუჩები, შეჭმუხნილი შუბლი; გვერდული, ერთგვარად ცბიერი მზერა. მოხუცი დიდებულის შემთხვევაში: ძლიერად დანაოჭებული სახე, გრძელი და განიერი ცხვირი, ძლიერად წინ წამოწეული ნებისყოფის გამომხატველი ნიკაპი.
3. წინა პასუხის შედეგად მოსწავლეებს შეუძლიათ იმსჯელონ ამ ადამიანების ხასიათის, მათი ბუნების შესახებ. ვიტელიუსი ცბიერ, გაიძვერა, ფუფუნების მოყვარულ ადამიანად გვევლინება ამ პორტრეტზე, ხოლო მოხუცი დიდებული კი მკაცრი, ძლიერი ნებისყოფის მქონე, მტკიცე ხასიათის ადამიანი ჩანს, შესაძლოა, სასტიკიც კი.
4. იმპერატორის ფიგურის გაანალიზებისას, მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მის თავისუფალ პოზაზე, თუ როგორი ლაღი და ბუნებრივია მისი მოძრაობა.
5. ავგუსტუსის ხელის ჟესტი მოწოდებას უნდა ნიშნავდეს, ეს ხელის ჟესტი საკმაოდ პათეტიკური და თეატრალურია.
6. იმპერატორს აცვია საბრძოლო სამოსი, მოკლე ტუნიკა, ზედა ტანს აბჯარი მოსავს, რომელიც სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობის მქონე გამოსახულებებითაა სავსე. მოსასხამი მხრებიდან ჩამოცურებია და წელს ქვემოთ უხვ ნაოჭებად მოგროვილა.
7. გადმოცემის მიხედვით, აქ წარმოდგენილია იმპერატორი ავგუსტუსი, რომელიც ბრძოლისაკენ მოუწოდებს თავის მომხრეებს, ამიტომაც ოსტატმა იგი საბრძოლო სამოსში გამოსახა.

გაკვეთილი 28. სხეული – სულის ჭურჭელი

1. ღვთისმშობლის ფიგურის აღწერისას მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ იგი სამი მეოთხედი ბრუნითაა გამოსახული, ცალ ხელში გაშლილი წარწერებიანი გრძელი გრაგნილი უჭირავს, მეორე დაბლა დაშვებული ხელი კი მის ფერხთით გართხმული კტიტორისაკენ მიუმართავს.
2. მისი სამოსი უხვად არის დანაოჭებული და ეს ნაოჭები სხვადასხვა სახის ხაზებითაა გადმოცემული, თუმცა სამოსის ქვეშ მისი სხეულის ფორმები და მოცულობა სრულიად არ იკვეთება.
3. ოპიზის ორფილიან რელიეფზე გამოსახული სცენა წარმოადგენს ქრისტეს წინაშე წარმდგარ აშოტ კურაპალატს, რომელსაც ხელში ტაძრის მოდელი უჭირავს, ქრისტე კი მას აკურთხებს.
4. ოპიზის რელიეფზე ფიგურების პროპორციები ძლიერაა დარღვეული. ფიგურები ჯმუხი პროპორციებისაა, დიდი თავებით და გადიდებული ხელის მტევნებით.
5. ოპიზის რელიეფზე წარმოდგენილი ფიგურების სამოსი ძალზე პირობითადაა ასახული. ურთიერთპარალელური სქემატური ხაზებით მინიშნებულია ნაოჭები, რომლებიც უფრო ორნამენტს წააგავს, ვიდრე რეალური ქსოვილის ნაკეცებს.
6. მაკურთხეველი მარჯვენა საგანგებოდ არის გადიდებული, რათა ხაზი გაესვას ღვთისგან ტაძრის კურთხევას.

7. ცხადია, რომ აშოტ კურაპალატის მიერ წარდგენილ ტაძარს მაცხოვარი აკურთხებს.
8. ამ სქემის აღწერისას მოსწავლეებს, ცხადია, მოუწევთ მასწავლებლის დახმარება, რადგან მათ ჯერ არ იციან ამ სცენის შინაარსი. სასურველია, მასწავლებელმა არაფერი უთხრას მოსწავლეებს შინაარსის შესახებ და მხოლოდ მშრალი აღწერა მოსთხოვოს მათ, რათა შემდგომი მსჯელობისას მოსწავლეებმა თავად ამოიცნონ, თუ რა სცენაა გამოსახული აქ.
9. ამ რელიეფზე მთავარი ფიგურაა სცენის უკიდურეს მარჯვენა ნაწილში გამოსახული ქუდიანი მამაკაცი. ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს ის, რომ ეს ფიგურა ზომით ყველაზე დიდია. შუა საუკუნეებში ფიგურებს შორის იერარქია სწორედ ფიგურათა ზომების დიფერენცირებით გადმოიცემოდა.

გაკვეთილი 29. ძეგლის სილუეტი

1. სავარაუდოდ, მოსწავლეები ერთ ან ორ ქართულ გუმბათიან ტაძარს დაასახელებენ.
2. აქ წარმოდგენილი როგორც ქრისტიანული, ასევე მუსულმანური ქვეყნის ტაძრები გუმბათიანი ნაგებობებია და ისინი ერთმანეთისაგან სწორედ გუმბათის ფორმით და სილუეტით განსხვავდება. ბიზანტიური ტაძრის გუმბათს შედარებით დაბალი და განიერი ყელი აქვს, რომელიც ნახევარსფეროსებური გადახურვით გვირგვინდება, ქართულს – უფრო მაღალი გუმბათის ყელი და კარვისებური გადახურვა აქვს, რუსული ტაძრის ვიწრო გუმბათის ყელს ზემოდან გადმომჯდარი ხახვის ბოლქვის მქონე ფორმის გუმბათი ხურავს, ხოლო მუსულმანური მეჩეთის გუმბათი დაბალია და გარშემორტყმულია მინარეთების წვრილი ვერტიკალებით.

გაკვეთილი 30. ღირსებით აღსავსე ადამიანი

1. გელათის მოზაიკასა და ლეონარდოს ნამუშევარზე ასახული ყრმა იესოს ფიგურები ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან. გელათის მოზაიკის ყრმის გამოსახულება სრულიად პირობითია, ლეონარდოსი კი – ბუნებრივი. თუ გელათის მოზაიკის ქრისტე მაკურთხეველი ჟესტით წარდგება მნახველის წინაშე და ნაკლებად ტოვებს ბავშვის შთაბეჭდილებას, ლეონარდოს იესო მსუქანი პატარა ბავშვია, რომელიც დედას უზის კალთაში და მის მიერ გაწვდილ ყვავილს ყურადღებით აკვირდება. ეს თითქოს ჩვეულებრივი ბავშვია, რომელშიც ქრისტეს ამოცნობა შეიძლება გაგვიჭირდეს კიდეც.
2. გელათის მოზაიკაზე გამოსახული ყრმის ფორმები სიბრტყობრივია, ხოლო ლეონარდოს ნამუშევარზე წარმოდგენილი ყრმისა კი – მოცულობითი და რეალისტურია.
3. ცხადია, ლეონარდოს სურათზე გამოსახული ყრმა უფრო ხორციელი და რეალისტურია.

გაკვეთილი 31. ცხენოსანი ქანდაკება

1. აღწერისას მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ცხენის მძლავრ დინამიკურ ფიგურაზე და მხედრის კეთილშობილებით აღსავსე სახეზე.
2. მარკუს ავრელიუსის წინ გაწვდილი ხელის ჟესტი ერთდროულად გამოხატავს ძალაუფლებას და ძლიერ ნებას; ასევე, სიმშვიდისაკენ მოწოდებასაც.
3. მარკუს ავრელიუსის გამონათქვამზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ყურადღება მიაქციონ ძალაუფლებით მოსილი იმპერატორის ღრმა ფილოსოფიურ ნააზრევს, მის სწრაფვას არა მატერიალური და წარმავალი კეთილდღეობისაკენ, არამედ იმ ჭეშმარიტი ღირებულებებისაკენ, რომლებიც ერთნაირად ფასეულია დიდებულისა და მდაბიოსთვის.
4. ვეროკიოს ცხენოსანი ფიგურების აღწერისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ქანდაკების კომპოზიციაზე, პოზაზე: მხედარს სადავე ხელთ უპყრია და ოდნავ გვერდულად ზის, ცხენსაც წინა ფეხი აწეული აქვს; ეს საკმაოდ დინამიკურს ხდის კომპოზიციას. მნიშვნელოვანია მხედართმთავრის სამოსიც, როგორც ეპოქის მახასიათებელი.

5. მარკუს ავრელიუსის, კოლეონის და გატამელატას ცხენოსანი ქანდაკებების აღწერისას და მათი შედარებისას მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ თითოეულის სამოსზე, პოზაზე, იარაღზე. ეს დეტალები კონკრეტულ ეპოქაზე გვაძლევს გარკვეულ ინფორმაციას.

   სასურველია, საუბარი შეეხოს ცხენოსანი მხედართმთავრების ქანდაკებების როლსაც ქალაქის, საზოგადოების ცხოვრებაში – რატომ იდგმებოდა ასეთი ძეგლები, რა შთაბეჭდილებებს და ემოციას აღძრავს მათი ხილვა და ა.შ.

6. პაოლო უჩელოს ფერწერული ნამუშევარი იმდენად მოცულობითია, რომ მრგვალი ქანდაკების შთაბეჭდილებას ტოვებს. ქანდაკების კვარცხლბეკი, პერსპექტივის კანონების შესაბამისად, რაკურსშია წარმოდგენილი – მაყურებელი მას ქვევიდან ხედავს, რითიც ის კიდევ უფრო ემსგავსება მაღალ კვარცხლბეკზე მდგარ ქანდაკებას.

გაკვეთილი 33. ადამიანის სულის ანარეკლი

1. ტიციანისა და რემბრანდტის პორტრეტების შედარებისას აუცილებლად უნდა ითქვას, რომ რენესანსულ პორტრეტზე ტიციანი წარმოადგენს მედიდურ პოზაში გამოსახულ წელში გამართულ ძლიერ ღირსეულ ადამიანს და მის სახეზე ხაზგასმულია კეთილშობილება და საკუთარ ძალებში თავდაჯერებულობა; მაშინ, როდესაც რემბრანდტის პორტრეტზე გამოსახული ადამიანის სახეზე აღბეჭდილია მოხუცის მძიმე განვლილი ცხოვრება, სევდა, დარდი და იმედგაცრუებაც კი.
2. რემბრანდტის ამ ავტოპორტრეტიდან ჩვენ გვიმზერს ფიქრებით დამძიმებული შუახნის მამაკაცი.
3. რემბრანდტის მზერაში მრავალი განცდის ამოკითხვა შეიძლება: დარდი, სევდა, ეჭვი, ცხოვრებისაგან დაღლა, იმედგაცრუება, მომავლის შიში, შფოთი და მღელვარება.
4. ტიციანისა და რემბრანდტის ავტოპორტრეტებზე დაახლოებით ერთი ასაკის ხანდაზმული ადამიანები არიან წარმოდგენილნი. ორივეგან სადა ფონია, რომელზეც მათი სახეები მკაფიოდ იკითხება. რემბრანდტი თავისი მშფოთვარე და მჭმუნვარე მზერით ჩვენ, მნახველს, გვიყურებს და თითქოს გვიზიარებს საკუთარ დარდსა და სევდას, ტიციანი კი გვერდულად, სამ მეოთხედშია მიბრუნებული და მნახველთან კავშირს არ ამყარებს; იგი თითქოს საკუთარ თავშია ჩაძირული. მისი კეხიანი ცხვირი, დახვეწილი სახის ნაკვთები, მტკიცე მზერა ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებულ, ღირსებით აღსავსე მამაკაცს წარმოგვიდგენს. მასში არ არის ნასახიც კი იმ ეჭვისა და მერყეობის, დარდისა და შფოთისა, რაც რემბრანდტის სახეზე იყო აღბეჭდილი. ამ მხრივ ტიციანი ტიპურ რენესანსულ პიროვნებად წარმოგვიდგება.

თავი III. ადამიანი და ყოველდღიურობა

გაკვეთილი 36. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება

1 და 2. უძველესი ხანის საყოფაცხოვრებო ნივთებზე – ჭურჭელზე, საბრძოლო და შრომის იარაღზე, კოსმეტიკურ კოვზსა და სარკეებზე სხვადასხვა სახის დეკორია დატანილი. ჭურჭელსა და იარაღზე ძირითადად გეომეტრიული ნახატია შესრულებული: კვადრატები, რომბები, წრე, სპირალები ზოგჯერ პირდაპირ ზედაპირზეა დატანილი, ზოგ შემთხვევაში კი ერთგვარად „მოჩარჩოებულია“ ხაზებით. ცენტრალურ ამერიკაში ნაპოვნ თასზე თევზის გამოსახულებაა დატანილი. ეგვიპტური კოსმეტიკური კოვზის სახელური ფაქტობრივად მცირე ზომის ქანდაკებაა, რომელიც ლოტოსის მაღალტანიან მცენარეებს შორის მოთავსებულ ფიგურას წარმოგვიდგენს. ფიგურატიული კომპოზიციებია გამოსახული ბრინჯაოს სარკეებზეც. საფიქრალია, რომ გეომეტრიულ ფორმებსა და სხვადასხვა ტიპის ხაზებს (სწორი, ირიბი, სპირალური და სხვ.) გარკვეულ სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადამიანები ძველ ცივილიზაციებში.

3. ეს დარგებია: ხის მხატვრული ავეჯი, კერამიკა, მხატვრული მინა, სამოსის დიზაინი, დეკორატიული ქსოვილები (ხალიჩა, გობელენი, თექა, ფარდაგი), სამკაულის დიზაინი, სამრეწველო დიზაინი. საზოგადოდ, დიზაინი დღეს ყოველდღიური ცხოვრების ყველა სფეროშია წარმოდგენილი.
4. მაგალითად, ავტომობილების დიზაინი ან მობილური ტელეფონის დიზაინი. კომპიუტერული დიზაინი დღეს ყველა სფეროში აქტუალურია.

5-6. ა. მიქაძის ნამუშევრები წარმოსახვითი პეიზაჟების, სამოთხის ბაღის ასოციაციას აღძრავს.

გაკვეთილი 37. ორნამენტი – ნივთის სამკაული

1-2. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია კერამიკისა და ფაიფურის/ფაიანსის დეკორატიულად შემკული ჭურჭელი. სპარსული ლამპარი ლითონის დეკორატიული ნაკეთობაა და ლითონის მხატვრული დამუშავების დარგს მიეკუთვნება.

3. ჭურჭელი შეიძლება იყოს თიხის, მინის, ფაიფურის, ფაიანსის. დღეს ერთჯერადი ჭურჭელიც მზადდება ხელოვნური მასალისგან (პლასტმასი, ფოლგა და სხვ.). სამკაული ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი თვლებისგან მზადდება. ხალიჩა იქსოვება ბუნებრივი (შალის, აბრეშუმის) ან ხელოვნური ძაფით.
4. ბუნებრივია, მასალა ზეგავლენას ახდენს ორნამენტის მხატვრულ სახეზე.
5. სპარსულ ხალიჩაზე მცენარეული ორნამენტია გამოსახული. ჩუქურთმის ერთ ნიმუშზე გეომეტრიული ორნამენტია, მეორეზე – მცენარეული.
6. გეომეტრიული ფორმებიდან სტილიზებულია წრე, კვადრატი, რომბი; მცენარეულ ორნამენტში ხდება ვაზის, მარტივი ფორმის ყვავილების სტილიზაცია.
7. წარმოდგენილია ქართული, ბერძნული და რომაული, აღმოსავლური (სპარსული), დასავლური (ბიზანტიური) ორნამენტის ნიმუშები.

გაკვეთილი 38. ორნამენტი სხვადასხვა კულტურაში

1. წარმოდგენილი ორნამენტი სხვადასხვა რიტმული წყობით ხასიათდება. დასავლური ორნამენტი ჰორიზონტალურად ორივე მხარეს მკაფიო და თანაბარზომიერი ინტერვალებით ვითარდება. აღმოსავლური ორნამენტი ვითარდება ყველა მიმართულებით. ვხედავთ ასევე ცენტრის გარშემო ოთხყურა ყვავილის ფორმით განლაგებულ ორნამენტულ მოტივს.

გაკვეთილი 39. კერამიკის ხელოვნება

1. ქართული ჭურჭლის დეკორი თრიალეთის პეტროგლიფებს ჩამოჰგავს.
2. დეკორი შესრულებულია სიმბოლური მნიშვნელობის მქონე გეომეტრიული ნახატებით: ჯვარი, ზიგზაგი, სამკუთხედი, რომბები. ასეთივეა ცხოველთა მარტივი სქემატური გამოსახულებები.
3. სამეთუნეო ჩარხის ბრუნვა უზრუნველყოფს, რომ თიხის ჭურჭელს სიმეტრიული ფორმები ჰქონდეს.
5. თიხა „სუნთქავს“ და ამდენად, თიხის ჭურჭელში შენახული სითხე დიდხანს ინარჩუნებს პირვანდელ მდგომარეობას, არ ძველდება.
6. ბერძნული მოხატული კერამიკა უტყუარ ინფორმაციას გვაწვდის ბერძნული კულტურის თავისებურებების შესახებ; სამოსი, ვარცხნილობა, აქსესუარები, იარაღი, ტრანსპორტი (ეტლები) და სხვ.

7-8. ლ. ბაგრატიონის ნამუშევრები ერთი მხრივ, ასოციაციურად ძველ ტრადიციულ კერამიკასთან აკავშირებს მაყურებელს, ხოლო, მეორე მხრივ, თანამედროვე ხელოვნების ნიშნებს ატარებს.

პირველ ფოტოზე წარმოდგენილი ნამუშევარი ხის ასოციაციას აღძრავს, მაგრამ მისი დეფორმირებული იერი თანამედროვე ხელოვნებისთვის დამახასიათებელ „სამეტყველო ენაზე“ მიუთითებს მაყურებელს; მართლაც, თანამედროვე ხელოვნებას ახასიათებს არა რეალისტური გამოსახულების, არამედ მისი შეცვლილი სახით წარმოდგენა. იგივე ითქმის მესამე ფოტოზე წარმოდგენილ კუბის ფორმის გამოსახულებაზე. ნამუშევარს „გამქრალი ქალაქების ანარეკლი“ ჰქვია, და, მართლაც, მრავალსართულიანი სახლის მოცულობას ჰგავს, ოღონდ აქაც დეფორმაციაა სახეზე, თითქოს მიტოვებული ან ნაომარი ქალაქიდანაა ეს ნაგებობა. ამდენად, ნამუშევარი აქტუალურობას იძენს როგორც არა ახალი, არამედ ძველი ხელოვნების არტეფაქტი. მეორე ფოტოზე წარმოდგენილი კერამიკული ობიექტი, თუ შეიძლება ითქვას, ერთგვარი აბსტრაქციაა კერამიკაში, რომელიც არ აღძრავს კონკრეტული გამოსახულების შთაბეჭდილებას. ამას ემატება ტერაკოტის ჩვეულ ფერთან ერთად აშკარად ხელოვნურად დამატებული ლურჯი საღებავი, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს კერამიკაში აბსტრაქციული ფორმის განცდას. ამდენად, თანამედროვე ხელოვნებაში კერამიკა არა მხოლოდ ფუნქციური, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებს ქმნის, არამედ თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების სფეროში ოპერირებს, როგორც დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობის მქონე ობიექტების შემქმნელი დარგი.

გაკვეთილი 41. სამოსი სხვადასხვა ეპოქაში

1. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატი, ტრადიციული ქსოვილის ტიპები, მსოფლმხედველობა, რწმენა, ცხოვრების და ძირითადი საქმიანობის წესი, ისტორიული გარემოებები (მაგალითად, ომების და დაპყრობების შედეგად კულტურული ასიმილაცია და სხვ.) და კულტურული იდენტობა – ყველა ეს ფაქტორი დიდწილად განაპირობებს სამოსის თავისებურებებს, მის მხატვრულ სახეს.
2. ქართული სამოსის აღწერა მოცემულია ტექსტში და მოსწავლემ უნდა მოახერხოს მისი სწორად იდენტიფიცირება სახელმძღვანელოში და ელექტრონულ რესურსებში წარმოდგენილ მასალასთან.
3. წარმოდგენილია სვანური ქუდი, ხევსურული კოსტიუმი, დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი ყაბალახი.
4. პირველ კოსტიუმში იაპონური სამოსის თარგია გამოყენებული, მეორე კოსტიუმში ქართული ყაბალახი თამაშობს მთავარ როლს, ხოლო მესამე კოსტიუმი ძველი ბერძნული და რომაული სამოსის ელემენტებს (ქიტონი) წარმოაჩენს.

5-6. ფორმით აბსოლუტურად თანამედროვე სამოსის შექმნისას დემნა გვასალია იყენებს ქართულ დროშას, ქართული სახელმწიფოს გერბს სამოსის დეკორატიული შემკობისათვის. მესამე ფოტოზე წარმოდგენილია ქართული წარწერებით შემკული ქურთუკი, რომელზეც უნიკალური ქართული ანბანის მეშვეობით დაწერილია ქართველი კლასიკოსი მწერლების სახელები. ამგვარად ხდება ქართული კულტურის, ანბანის და ზოგადად, საქართველოს პოპულარიზაცია მთელ მსოფლიოში, იზრდება ქართული კულტურის ცნობადობა სახელმწიფოს სიმბოლოების და ანბანის მეშვეობით.

გაკვეთილი 43. ადამიანი დიზაინის გარემოში

1-2. ფოტოზე აღბეჭდილი დეტალების – სამოსი, ვარცხნილობა, ინტერიერის დეტალები – მიხედვით ფოტო გადაღებულია მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნაზე.

3. თანამედროვე დიზაინის მახასიათებლებია: ფუნქციონალურობა, დეკორატიული ელემენტების სისადავე, მინიმალიზმი, ფერადოვნება, დინამიკური ფორმები.

4. ავტომობილების დიზაინში განსაკუთრებულად არის ხაზგასმული დინამიკა ფორმათა დენადი ხასიათით.
5. საზოგადოდ, კომპიუტერული დიზაინი დღეს უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანამედროვე სამყაროში, კომპიუტერის დახმარებით იქმნება მხატვრული და ანიმაციური ფილმები, ისეთი ტრადიციული დარგები, როგორიცაა, მაგალითად, სამრეწველო დიზაინი (მაგალითად, თვითმფრინავების დიზაინი და სხვ.). ასევე სარგებლობს კომპიუტერის განუსაზღვრელი შესაძლებლობებით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დიზაინერის პროფესიონალიზმი და ფანტაზია მაინც უმთავრესი პირობაა დასამახსოვრებელი, ფუნქციურად გამართული და ორიგინალური დიზაინის შესაქმნელად.

გაკვეთილი 44. კომპიუტერული დიზაინი

1. ისეთი ფილმები, როგორიცაა „ჰარი პოტერი“, „ბეჭდების მბრძანებელი“, „ავატარი“, „ტერმინატორი“ და, პრაქტიკულად, ფანტასტიკის ჟანრის ყველა ფილმი სწორედ კომპიუტერის დახმარებითაა შექმნილი.

გაკვეთილი 45. წიგნის ისტორიიდან

1. სახარება ოთხი მახარებლის მიერ მოთხრობილი ამბების კრებულია, ამიტომ მას ოთხთავსაც უწოდებენ.
2. მოქვის სახარება მინიატურებით მდიდრულად შემკული ქართული ხელნაწერი წიგნია.ყოველი თავის წინ ტექსტს დართული აქვს კონკრეტული მახარებლის გამოსახულება. ფიგურები ოქროს ფონზეა წარმოდგენილი. საწერ პიუპიტრთან მჯდომი მახარებელი თითქოს მუშაობის მომენტშია ოსტატურად გამოსახული. მისი სამოსის გაფრიალებული ბოლოები დინამიკას სძენს კომპოზიციას. სასიამოვნო და ჰარმონიული ფერადოვნება ფონის ინტენსიურ ოქროსფერს ეხამება. მხატვრის დიდ ოსტატობაზე მიუთითებს სამ მეოთხედში მჯდომი ფიგურის დახვეწილი, ოდნავ დაგრძელებული პროპორციები და სახის დახვეწილი ნაკვთები. სამოსის ნაკეცები პირობითად მიუთითებს სხეულის ფორმებზე. მინიატურას ორნამენტული ჩარჩო აქვს გარს შემოვლებული.
3. ამგვარი თავმდაბლობა ჭეშმარიტი რწმენით იყო ნაკარნახევი. წიგნის გადამწერი ან მხატვარი საკუთარ ღვაწლს მატერიალური სარგებლის მიღების წყაროდ არ განიხილავდა; თვლიდა, რომ ღვთის განსადიდებელ საქმეს აკეთებდა და უმნიშვნელოვანესი არა მის მიერ გაწეული შრომა, არამედ სწორედ სასიკეთოდ შექმნილი შრომის შედეგი იყო. ამიტომ საკუთარი სახელის უკვდავყოფა არ მიაჩნდა იმდენად მნიშვნელოვნად და მომავალ თაობებს მხოლოდ შენდობას სთხოვდა.
4. თანამედროვე ხელოვანთა მისწრაფებები რადიკალურად განსხვავდება. დღეს ავტორს მიაჩნია, რომ რადაც უნდა დაუჯდეს, თავი უნდა დაამახსოვროს საზოგადოებას და ზოგჯერ ეპატაჟურ, ყველასგან განსხვავებულ ხერხებს მიმართავენ ამ მიზნის მისაღწევად. დღეს ხელოვანს არ ჰგონია, რომ მისი ნაშრომი თავისთავადი ღირებულების აქტია და მისი არსებობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ავტორის აღიარება საზოგადოების მიერ.
5. მოსწავლეები აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.
6. წიგნის ფუნქცია კვლავაც ინფორმაციის და ცოდნის გადაცემაა. თუმცა არსებობს ელექტრონული წიგნის ფორმატიც, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია. გარდა ამისა, წიგნს ინტერნეტიც უწევს კონკურენციას.

გაკვეთილი 47. პირველი ნაბეჭდი წიგნი

1. სტამბის დაარსება ნიშნავდა წიგნის ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვნად გაზრდას, რადგან ხელნაწერი წიგნისგან განსხვავებით, ნაბეჭდი წიგნი გაცილებით სწრაფად იქმნებოდა. გარდა ამისა, სტამბას ბერძნული და ლათინური შრიფტიც ჰქონდა და საზოგადოება ეცნობოდა უცხოურ წიგნებსაც.

გაკვეთილი 48. ანბანის სამყარო

1. გრაფიკოსი ოსტატები ხან ქართული ასომთავრული ანბანის მრგვლოვან ფორმებს იყენებენ, ხან უფრო „მანქანურ“ იერს აძლევენ ასოთა მოხაზულობას, რაც ბუნებრივიცაა, თუ ბეჭდვის ტექნოლოგიების სპეციფიკას გავიხსენებთ. ზოგჯერ ლიტერატურული ნაწარმოებისთვის სპეციალურად იქმნება ან არსებულიდან შეირჩევა განსხვავებული შრიფტი, რომელიც თავისი იერით უკეთ შეესატყვისება ნაწარმოების ხასიათს. საერთო შთაბეჭდილების შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრიფტის ხასიათს.

გაკვეთილი 49. პლაკატის ხელოვნება

1. სავარაუდოდ, მოსწავლეებს ნანახი აქვთ პოლიტიკური საარჩევნო პლაკატები საქართველოში. როგორც წესი, ისინი რომელიმე კანდიდატის ფოტოს წარმოადგენს მისი პარტიის/მოძრაობის სლოგანის ფონზე.
2. ასეთი პლაკატები მიზნად ისახავს, რომ ამომრჩეველმა კარგად დაიმახსოვროს მათი მთავარი გაზვნილი, რაც არჩევნებში წარმატების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.
3. „პეჟოს“ სარეკლამო პლაკატზე ხეივანში მოძრავი მანქანის სილუეტია გამოსახული. ხეების მწკრივი და მათი ჩრდილების განმეორებადი რიტმი დიდი სისწრაფით მოძრავი მანქანის ფანჯრიდან დანახული კადრის შთაბეჭდილებას ქმნის და სწორედ ესაა ამ პლაკატის მთავარი მიზანი – ხაზი გაუსვას მანქანის სისწრაფეს.

4- 5- 6. ყველა წარმოდგენილ პლაკატზე დაცულია სათქმელის ლაკონურად გადმოცემის პრინციპი. მტრედი, როგორც მშვიდობის სიმბოლო, მუქ ფონზე თეთრი სილუეტითაა წარმოდგენილი. დედამიწის სიმბოლოდ იკითხება გლობუსის გამოსახულება, რომელზეც მწვანევარჯიანი ხე ამოსულა. მკვდარი ფრინველის ბუმბულებში პლასტმასის ბოთლების ნარჩენები საკმაოდ შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, ხოლო თოვლის ლოლუასავით დამდნარი პინგვინის სხეული თანაგრძნობით აღავსებს მაყურებელს. ეკოლოგიის და მშვიდობის თემები, რომლებსაც წარმოდგენილი პლაკატები ეხება, გულგრილს არ ტოვებს მაყურებელს, ამახსოვრდება მას და ამით აღწევს დასახულ მიზანს.

გაკვეთილი 50. პლაკატი

1. „ჰარი პოტერის“ თემაზე შექმნილ პლაკატებში სხვადასხვა მხატვრული ხერხია გამოყენებული. პირველ მათგანზე თავად წიგნის მთავარი პერსონაჟია გამოსახული ჰოგვორთსის სხვა გმირებთან ერთად. საკმაოდ გონებამახვილურადაა თემა გახსნილი მეორე პოსტერზე. აქ ჩვენ ვხედავთ ნაწარმოების მთავარი გმირის ყველაზე დამახასიათებელ ორ ნიშანს – კლაკნილ ნაიარევს, რომელიც მას შუბლზე ჰქონდა, და ცნობილ მრგვალ სათვალეს. ეს მინიშნებები ნეიტრალურ ფონზეა წარმოდგენილი და სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მაყურებელმა „ამოიცნოს“ პოსტერის შინაარსი. მესამე პოსტერზე მხოლოდ ჰოგვორთსის კოშკურების სილუეტები მოჩანს უკანა პლანზე აღმართულ მთის წვერზე. ამდენად, სამივე მათგანი განსხვავებულ მიდგომას იჩენს დასახული მიზნის მისაღწევად.

თავი IV. ადამიანი და თანამედროვეობა

გაკვეთილი 52. შთაბეჭდილების ხელოვნება

1. კლოდ მონე ოდნავ ბურუსში ჩაძირული ამომავალი მზის სხივების გამოსახვისას მიმართავს წერის განსხვავებულ, ახალ მანერას – ერთმანეთში არეული, მოძრავი მონასმები დილის ბინდბუნდის და აქა-იქ გამომკრთალი, ჯერ კიდევ სუსტი სხივებით განათებული გარემოს შთაბეჭდილებას ქმნის.
2. კლასიკური ნამუშევრების წერის მანერა სუფთა, თითქოს საგანგებოდ „ გარეცხილი“ ფუნჯით დადებული მონასმითაა შესრულებული. როგორც წესი, მაყურებელი ვერც თავად მონასმის მიმართულებას ხედავს, კოლორიტიც საგანგებო სუფთა ფერების ურთიერთშეხამებით იგება. ხშირად, ამას ემეტება ე.წ. სამუზეუმო კოლორიტიც, ანუ დასრულებულ ტილოს ზემოდან ოქრას თხელი, მოოქროსფრო ფენა აქვს გადასმული კოლორიტის გასამთლიანებლად. იმპრესიონისტების ნამუშევრებში ყველაფერი მაყურებლის სამსჯავროზეა გამოტანილი, ხედავ მონასმების მიმართულებას, ერთმანეთში არეულ ბევრ ფერს, რომლებიც ახლოდან თითქოს ქაოსურ მოძრაობაშია; მხოლოდ ოდნავ მოშორებიდან დათვალიერების დროს აღიქვამს მაყურებელი ამ ქაოსურ ზედაპირზე კონკრეტულ გამოსახულებებს. ბევრი ფერადოვანი, დინამიკური და შეუნიღბავი მონასმით წერა იმპრესიონისტული ფერწერის ერთგვარი სავიზიტო ბარათია.
3. ყაყაჩოები წითელი საღებავების ლაქებითაა წარმოდგენილი მწვანე მდელოზე. მხატვარი არ ისახავს მიზნად ფაქტურის, ფორმის ამოწერის ამოცანას, მაგრამ მიუხედავად ამისა მიზანი მიღწეულია, მაყურებელი ნახატს აღიქვამს, როგორც ყაყაჩოებით სავსე მინდორს.
4. ვან გოგი განსაკუთრებით დინამიკურ, სპირალურად დახვეულ და, ამავე დროს, პასტოზურ, მსუყე მონასმებს იყენებს ცისა და ღრუბლების გადმოსაცემად.

გაკვეთილი 54. „ძველი“ და „ახალი“ მენინები

1. მენინების კომპოზიცია მხატვრის სახელოსნოში განლაგებულ ადამიანთა ჯგუფს წამოგვიდგენს. მთავარი ქმედება მხატვართან სეანსზე მისული მეფე-დედოფლის ტილოზე ასახვა უნდა იყოს, მაგრამ ველასკესი მათ სურათის უკანა პლანზე დაკიდულ სარკეში ანარეკლების სახით წარმოგვიდგენს. თავად მხატვარი და დიდი ზომის ტილო სურათის მარცხენა კიდეში ფრაგმენტირებულადაა წარმოდგენილი, ხოლო კომპოზიციის ცენტრს დიდებულ კაბაში გამოწყობილი მცირეწლოვანი ინფანტა წარმოადგენს, რომლის ირგვლივაც სასახლის მოახლეები განლაგებულან. სურათის სიღრმეში მოჩანს კარის ღიობი და მამაკაცის მუქი სილუეტი შიგნით. ნამუშევრის რთული, მრავალშრიანი კომპოზიცია მკაფიოდ აჩვენებს ველასკესის დიდ ოსტატობას, განალაგოს ადამიანთა გამოსახულებები ძალდაუტანებლად, მიუხედავად იმისა, რომ, რასაკვირველია, დიდი ძალისხმევაა დახარჯული ამ კომპოზიციის მოფიქრებასა და შესრულებაზე.
2. განათება კომპოზიციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხია, რომლითაც მხატვარმა კომპოზიციური ცენტრი გამოჰყო სურათის ქარგაში.
3. სივრცე გადმოცემულია კომპოზიციური პლანების მონაცვლეობისა და განათების ინტენსიობის ცვლილებით.
4. ჯ. სარჯენტმა საკუთარ ნამუშევარში „გადაითამაშა“ კომპოზიციური წყობის, განათების და შუქ-ჩრდილის სხვადასხვა მოტივი.
5. პიკასოს აინტერესებდა და იზიდავდა ველასკესის ნამუშევრის რთული, მრავალპლანიანი და მრავალშრიანი კომპოზიციური წყობა.
6. პიკასოს ნამუშევრებზე გამეორებულია ინფანტასკენ დახრილი მოახლე ქალის, ბიჭის და ძაღლის, მოლბერტზე დადებული სურათის უკანა მხარის, კარის ღიობისა და მასში მდგარი ადამიანის სილუეტის გამოსახულებები.

7 მენინების გამომსახველობითი ენა პიკასოს მეოცე საუკუნის გამომსახველობითი ენით აქვს შეცვლილი. ფიგურები სქემატური და სიბრტყობრივია, მოძრაობები – მარტივი, სხეულები – სქემატური. ახალი ხელოვნების ენით მოთხრობილი ეს ამბავი ნათელი და მეტყველი მაგალითია იმისა, რამდენად მნიშვნელოვანია მხატვრობის/ფერწერის პრობლემები ვიზუალურად აბსოლუტურად განსხვავებულ ნაწარმოებებში. ყველა ეპოქა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ გამომსახველობით ელემენტებსა და პრინციპებს იყენებს მთავარი სათქმელის გადმოსაცემად.

გაკვეთილი 55. ანრი მატისი – „დიდი ბავშვი“

1. ფოვისტების ნამუშევრებში მაყურებლის ყურადღებას იქცევს ფერის თავშეუკავებელი ენერგია, რომელიც კაშკაშა ნათებად მოედინება ყველა ტიპის ნაწარმოებიდან, პეიზაჟი იქნება ეს თუ პორტრეტი.
2. უჩვეულოა ფერადოვნება, რომელიც თითქოს არ ითვალისწინებს ადამიანის სახის, ან პეიზაჟის რეალურ ფერებს. ჟღერადი ფერებით შესრულებული ნამუშევრები მთლიანად ფერის ენერგიითაა მოცული.
3. მადამ მატისის სახეზე დადებული საკმაოდ სქელი მწვანე ჩრდილი (საკმაოდ უჩვეულო გადაწყვეტა იმ დროისათვის) გახდა ნამუშევრისთვის სახელის შეცვლის მიზეზი.
4. ა. მატისი ხშირად იყენებს წითელ, მწვანე, ლურჯ, ყვითელ კაშკაშა ფერებს. ხშირია ერთი ნამუშევრის ფარგლებში კონტრასტული შეხამებების გამოყენება. ამგვარი ფერადოვნება ხშირად საზეიმო, მაჟორულ განწყობილებას ქმნის.
5. ა. მატისი უპირატესობას სიბრტყეს ანიჭებს, მის ნამუშევრებზე ძნელია გაავლო ზღვარი, მაგალითად, კედელსა და ინტერიერში მდგარ მაგიდას შორის, ორივე მათგანი ერთ დიდ წითელ სიბრტყედ აღიქმება წითელი ოთახის ინტერიერში.

გაკვეთილი 57. მზერა მომავლისკენ

1. უმბერტო ბოჩონის ნამუშევარში აივნიდან დანახული ქუჩის რამდენიმე ხედვის წერტილიდან დანახული რაკურსებია წარმოდგენილი. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს მოძრავი მასა ერთიან რიტმულ მთლიანობაშია აივნის სივრცესთან. ნამუშევარს ასეც ეწოდება: „ქუჩა შემოდის სახლში“.

   ნატალია გონჩაროვა ველოსიპედზე მჯდომ ადამიანს წარმოგვიდგენს მოძრაობის მომენტში.

2-3. ორივე შემთხვევაში მოძრაობის გადმოცემაა მთავარი მიზანი. გამეორებული ფორმები მოძრავი კადრის შთაბეჭდილებას აღძრავს. ამავე მიზანს ემსახურება დიაგონალურად აგებული კომპოზიცია, ფერადოვანი ლაქების რიტმული მოძრაობა, ხაზობრივი რიტმი... მაყურებლის თვალწინ თითქოს გაიელვებს ველოსიპედისტის გამოსახულება, რომელსაც ქუჩის აბრების დანაწევრებული ტექსტები „მისდევს უკან“.

4. მ. დიუშანის ნაწარმოებში ქალის ფიგურის სქემატური გამოსახულება მრავალჯერ მეორდება კიბის თითოეულ საფეხურზე. კადრირების კინემატოგრაფიული პრინციპი ხაზს უსვამს დინამიკის შთაბეჭდილებას.

გაკვეთილი 58. კუბიზმი

1. თანამედროვე ხელოვნების რამდენიმე მიმდინარეობა ავანგარდის ანუ მოწინავე რაზმის ფუნქციას ასრულებს მეოცე საუკუნის ხელოვნების ისტორიაში.

2-3- 4. პ. პიკასოს ნამუშევარზე დაშლილი გამოსახულებების კონტურებში შეიძლება ამოიკითხო ქალისა და მანდოლინის მოხაზულობები. მხატვარი უსწორმასწორო გეომეტრიულ ფორმებად შლის გამოსახულებებს, თუმცა სხეულისა და მუსიკალური ინსტრუმენტის ძირითადი ელემენტების ამოკითხვა მაინც შესაძლებელია.

5. სივრცის გამოსახვა არ შეადგენს კუბისტური ნამუშევრის მიზანს, აქ უპირატესობა სიბრტყეს და მასზე ფენებად გაშლილ გეომეტრიულ ფორმებს ენიჭება.
6. ჟ. ბრაკის ნამუშევარში ოთხკუთხედები, ცილინდრი, ოვალის გეომეტრიული ფორმებია გამოყენებული.
7. ამ ნამუშევარზე შეიძლება ამოიცნო ადამიანის გამოსახულება და მისი სხეულის ცალკეული ნაწილები; გიტარა, ნატურმორტის ელემენტები.
8. ეს ნამუშევარი შესაძლოა, პორტრეტიც იყოს.
9. პიკასოს გამონათქვამი, გარკვეულწილად, მისი მხატვრული კრედოა. ის ხატავს ისე, როგორც გონებაში აღიქვამს საგნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ არა აქვს მნიშვნელობა, რეალურად როგორ გამოიყურება ესა თუ ის ობიექტი. მხატვარი არ იცავს მანამდე დამკვიდრებულ ნორმებს და კლიშეებს, თავისუფლად უგულებელყოფს მათ და ქმნის ახალ მხატვრულ რეალობას.
10. პიკასოს „ავინიონელ ქალიშვილებში“ თავმოყრილია სხვადასხვა ხედვის წერტილიდან დანახული პროფილი, ფასი, სახის და სხეულის ნაწილები.

გაკვეთილი 59. აბსტრაქციონიზმი

1. რეალისტური და აბსტრაქციული კომპოზიციების აღწერისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ შ. დობინი ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს პეიზაჟის ელემენტებს, ვ. კანდინსკის ნამუშევარზე კი მხოლოდ ფერადი ლაქები და ფერადი ხაზებია დაფიქსირებული.
2. დობინის ნამუშევარში გამოყენებული ფერები და ხაზები რეალისტურია, შეესაბამება სინამდვილეს. კანდინსკის კომპოზიცია ცისფერი, წითელი, ოქროსფერი, მწვანე ლაქების რიტმულ მონაცვლეობას წარმოუდგენს მაყურებელს.
3. შ. დობინის პეიზაჟი მშვიდ, გაწონასწორებულ განწყობილებას ქმნის, ხოლო კანდინსკის პეიზაჟი მაჟორულ, შეიძლება ითქვას, ხალისიან განწყობილებას უქმნის მაყურებელს.
4. პიტ მონდრიანი სუფთა, ლოკალური და კონტრასტული ფერებით „ავსებს“ უჯრედებს, ხოლო ჯ. პოლოკის ტილო ერთმანეთში არეული, თითქოს ერთ გაურკვეველ ფერად ქცეული საღებავის ფენითაა დაფარული.
5. ვ. კანდინსკის წარმოდგენილი ნამუშევრები ქაოსური, თითქოს სიზმრისეული ფერადოვნებითაა სავსე. პიტ მონდრიანი გეომეტრიული სიზუსტით „აფერადებს“ უჯრედებს და თითქოს ასე ცდილობს ჟღერადი ჰარმონიის შექმნას.

6-7. ჯექსონ პოლოკის ნამუშევარი წინასწარ დაგეგმილი სცენარის გარეშე საღებავის შემთხვევითი ლაქებით, აბლაბუდით არის დაფარული. ეს ერთგავარი ფერწერული ქაოსია, თავისუფალი, ირაციონალური, სენსიტიური... ეს ირაციონალური კომპოზიცია თითოეულ მაყურებელს საკუთარ საფიქრალს აღუძრავს.

გაკვეთილი 61. სტრიტარტი

2. წარმოდგენილია რეალისტურ მანერაში შესრულებული ნამუშევრები. ერთ შემთხვევაში, ეს ფასადზე ურბანული ელემენტებით შექმნილი სიღრმისეული ილუზიის აღმძვრელი კომპოზიციაა, მეორეგან შენობის ფასადზე არარსებული კაფე და მისი პერსონალია გამოსახული, მესამე შენობაზე ევროპული რენესანსული სარკმლის მიღმა შეყვარებულების შეხვედრის სცენაა გამოსახული.
3. სტრიტარტის ოსტატებს ამ გამოსახულებების შექმნისას სურთ, ქუჩაში გამვლელებს შეუქმნან ილუზია, გაარღვიონ ბრტყელი კედლის შთაბჭდილება და სივრცის ელემენტების გათამაშებით „დააჯერონ“ მაყურებელი, რომ მის თვალწინ სიღრმეში გაშლილი სცენა თამაშდება.
4. Banksy-ს ხელწერაა მძაფრი სოციალური პროტესტი თანამედროვე საზოგადოების ბევრ სოციალურ თუ პოლიტიკურ პრობლემაზე. კონკრეტული ნამუშევარი მწვავედ აყენებს დაბალი

სოციუმის წარმომადგენელი ბავშვისათვის არასახარბიელო მომავლის, პრაქტიკულად მომავლის არქონის პერსპექტივას.

გაკვეთილი 62. „დიდი ზომის“ ხელოვნება

1. შეფუთული ღობის ასეულობით მეტრზე გადაჭიმული ობიექტი ჩინეთის დიდი კედლის ასოციაციას აღძრავს.

გაკვეთილი 64. ძველი და ახალი ქალაქი

1. რეკონსტრუქციამდე (ფოტო 1.) ეს ფაქტობრივად არ იყო ქუჩა; ეს არე შევსებული იყო სახლებით. რეკონსტრუქციის შემდეგ (ფოტო 2.) აიღეს სახლები და მათ ადგილას გაჩნდა ქუჩა (ვია დელა კონჩილაციონე), რომელმაც გახსნა ხედი, პანორამა წმ. პეტრეს ტაძარზე. რეკონსტრუქციის შემდეგ ხაზგასმით არის გამოკვეთილი წმინდა პეტრეს ტაძრისკენ მიმავალი გზის ვერტიკალი, რაც ტაძრის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.
2. წმ. პეტრეს ტაძარი მოჩანს ვია დელა კონჩილაციონეს ბოლოს. ეს ტაძარი თითქოს აგვირგვინებს სივრცეს. მისი განიერი სხეული და მძლავრი გუმბათი მედიდურ, მონუმენტურ შთაბეჭდილებას ქმნის, მისკენ მიმავალ ქუჩაზე განლაგებული სახლები პერსპექტივას შლის, მათი სიმაღლე, სახლების მასშტაბი ისეთია, რომ არათუ ხელს არ უშლის წმ. პეტრეს ტაძრის დომინანტობას, არამედ აძლიერებს კიდეც მას. ქუჩაზე განლაგებული სახლების პერსპექტივა თითქოს ამზადებს მნახველს კომპლექსის მთავარ ნაგებობასთან – წმ. პეტრეს ტაძართან „შესახვედრად“. სახლების ფორმები, დეკორი, ფასადები თავშეკავებული და ზომიერია, რაც კვლავ წმ. პეტრეს ტაძრის უპირატესობას უსვამს ხაზს. ერთიანი იერსახის შესანარჩუნებლად, ტაძრისკენ მიმავალი გზის გასწვრივ სახლების ფასადებზე, ქუჩის გაყოლებაზე რიტმულად მეორდება მსგავსი ელემენტები, დაცულია რეგისტრის ხაზები ანუ სახლები ერთი სიმაღლისაა და ეს ყველაფერი მთლიან ანსამბლად აქცევს სხვადასხვა დროს აგებულ ნაგებობებს.
3. ძველ საბერძნეთში და რომში ქუჩები და მოედნები ქანდაკებებით იყო შემკული. მოსწავლეები ასახელებენ ძველი ბერძნული ან რომაული ქალაქების აუცილებელ ელემენტებს, მაგ., სვეტებით გარშემორტყმულ ტაძრებს, აგორას ან ტრიუმფალურ თაღებსა და ფორუმს. საუბრობენ იმის შესახებაც, რომ ქალაქის დამახასიათებელი თავისებურებებია ხელოვნების ნაწარმოებებიც – ქანდაკებები, რელიეფები, მოზაიკა და სხვა.

   ფლორენციის სენიორიის მოედანზე ძველი ქანდაკება დგას, ხოლო ჰენრი მურისა (ლონდონი) და ფრენკო ჰერის (ბილბაო) ქანდაკებები თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებია. ჰენრი მურის ქანდაკების ოვალები პლასტიკური, დენადი ფორმების შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ისინი რბილი მასალისგანაა ნაძერწი (სინამდვილეში ბრინჯაოსგანაა დამზადებული).
5. კლასიკური ქანდაკება გვიჩვენებს ადამიანის სხეულის, მისი ანატომიური აგებულების ზედმიწევნით ცოდნას. ეს ერთგვარად ელინისტური კულტურის რეპლიკაა აღორძინების ეპოქაში. თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები გაცილებით თავისუფლად ექცევა ფორმას. ცხადია, ობობა ერთგვარი ალეგორიული პერსონაჟია, ხოლო მურის ოვალები – პლასტიკური აბსტრაქციული ფორმის დემონსტრირება თანამედროვე ქალაქის ფონზე.
6. თანამედროვე რეკლამის ფორმებია: ბილბორდები, ლაითბოქსები და ა.შ.
7. პლაკატები და აფიშები კი შეიძლება შეგვხვდეს როგორც ქუჩაში, ასევე შენობებში. რეკლამა ყველაზე ხალხმრავალ ადგილებში განთავსდება ხოლმე, გზაჯვარედინებზე, მაგისტრალებზე, ტრანსპორტის გაჩერებაზე და ასე შემდეგ. სარეკლამო განცხადებებს ათავსებენ ჟურნალებში, გაზეთებში, ტელევიზიაში, ქალაქის ქუჩებში, ტრანსპორტში და ტრანსპორტზე.

ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე (+995 32) 2 200 200

დამატებითი ინფორმაცია სახელმძღვანელოს/სერიის შესახებ იხილეთ ვებ-გვერდებზე: https://www.facebook.com/PublishingHouseklio **და/ან** www.klio.ge

ISBN 978-9941-481-54-3

დაფინანსებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში